


გვი მიქაძე



# მამუკა ბახათაშვილი

(ცხოვრება და შემოქმედება)



გამომცემლობა „სოდნა“  
თბილისი 1958

რედაქტორი ალ. ბარანიძე



## შაშუკა ბარათაშვილის ბიოგრაფიისათვის

მაქვან შრავალი ტკივილი...

მამუკა

მწერლის სრულყოფილად წარმოდგენისა და მისი მხატვრული შემოქმედების ღრმად და საფუძვლიანად გაგებისათვის აუცილებელია მწერლის ბიოგრაფიის ნეცნიერული შესწავლა, რადგან, შეიძლება ითქვას, პოეტის ბიოგრაფია მისი შემოქმედების ბიოგრაფიაც არის. დიდი ილიაა სიტყვებით რომ ვთქვათ, „ქერძო ცხოვრება და თავგადასავალი პოეტისა ამხსნელია და გამომრკვეველი მისის პოეზიისა“<sup>1</sup>.

მამუკა ბარათაშვილის შესახებ მეტად მწირი ცნობები მოგვეპოვება. ეს აიხსნება, ალბათ, იმით, რომ თავისი სიცოცხლის უკანასკნელი წლების გატარება მამუკას მოუხდა რუსეთში და მის შესახებ ცნობები უკვალოდ დაიკარგა, ან, ყოველ შემთხვევაში, დღეისათვის მიუკვლეველია. ბუნებრივია, რომ ასეთ ვითარებაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ყოველგვარ ახალ ცნობას, რომელიც ხელს შეუწყობს პოეტი-თეორეტიკოსის მეტად არასრულ ბიოგრაფიის შევსებას.

ჩვენ მიზნად დავისახეთ შეგვესწავლა და სხვა დამატებითი მასალებით გაგვეფართოებინა მამუკა ბარათაშვილის დღემდევარსებული ბიოგრაფიული მონაცემები. ხანგრძლივი კვლევა-ძიება დაგვიჩინდა თბილისისა და მოსკოვის არქივებში და ძველი ქართული ხელნაწერების შემცველ დაწესებულებებში, რათა მიგვეჩვენებინა რაიმე ისეთი ახალი და საყურადღებო ცნობებისათვის, რომ

<sup>1</sup> ილ. ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. II, პ. ინგორო ყვას რედ., 1941 წ., გვ. 101.

ლებიც ცხადყოფდა მწერლის ცხოვრებიდან აღებულ ცალკეულ დამახასიათებელ და მნიშვნელოვან ეპიზოდებს. მაგრამ ჩვენი ცდა ამ მხრივ უშედეგოდ დამთავრდა... და აი, ამდენი ძიების შემდეგ ისლა დაგვრჩენია, რომ მწერლის ბიოგრაფია ვიწრო ჩარჩოებით შემოვფარგლოთ, დაბადებისა და გარდაცვალების თარიღების აღუნიშნავადაც კი!..

\* \* \*

• ბარათაშვილთა საგვარეულო XV საუკუნეში ყალიბდება, ხოლო ამავე საუკუნის მეორე ნახევრიდან იგი დიდდება და ძლიერდება<sup>1</sup>. ჯერ კიდევ ვახუშტი ბატონიშვილი ბარათაშვილების წინაპრად ქაჩიბაძეებს ასახელებს: „იტყვიან ესენი (ბარათაშვილები. — გ. მ.) ჩამომავლობასა ქაჩიბაძისასაო“<sup>2</sup>. ბარათაშვილთა წარმომავლობის შესახებ საინტერესო ცნობას გვაწვდის თვით მამუკაც: „...ვინ ძირად ბარათ, ქავთარის მოძე ქაჩიბაძისა“ („ქება მეფის ბაქარისა“, სტრ. 18) — ამ ცნობის შესახებ აკად. სიმ. ჯანაშია მიუთითებდა, რომ მამუკას სიტყვები შესაძლებელია ორგვარად იქნეს გაგებული: 1) ბარათაშვილები წარმოდგებიან ბარათა ქავთარის ძის ქაჩიბაძისაგან ან 2) ბარათაშვილები წარმოდგებიან ბარათასაგან, რომელიც არის შორეული შთამომავალი ქავთარ ქაჩიბაძისაო<sup>3</sup>.

საკითხის გადასაჭრელად საჭიროა სიტყვა „მოძეს“ ნამდვილი მნიშვნელობის დადგენა. ჩვენი ფიქრით, ეს სიტყვა უნდა ნიშნავდეს მოღვაწეს. თუ სიტყვის ამ გაგებიდან გამოვალთ, მაშინ მამუკას სიტყვები შედარებით ნათელი გახდება: მამუკა ლაპარაკობს ბარათაშვილების „ძიზზე“ და „მოღვაწეზე“. მაშასადამე, მამუკას სიტყვები ასე უნდა გავიგოთ: ბარათაშვილები წარმოდგებიან ბარათასაგან, რომელიც არის მოღვაწე ქავთარ ქაჩიბაძისა.

• ბარათაშვილობა ამ საგვარეულოს შეერქვა სალაროს მოლარე ბარათა ქაჩიბაძისაგან, რომელიც ცხოვრობდა 1428 წ. ახლო ხანებში<sup>4</sup>. თავის მხრივ ქაჩიბაძეები დასავლეთ საქართველოდან უნდა იყვნენ გადმოსული X—XIII საუკუნეებში<sup>5</sup>. აქვე უნდა დავსძინოთ, რომ ამ გვარიდან წარმოშობილან აბაშიშვილები, გერმა-

<sup>1</sup> ს. ჯანაშია, ბარათაშვილთა გენეალოგიისათვის, „შრომები“, ტ. II. 1952 წ., გვ. 464 და 466.

<sup>2</sup> ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თ. ლომოურისა და ბ. ბერძენიშვილის რედ., 1941 წ., გვ. 24.

<sup>3</sup> ს. ჯანაშიას დასახ. შრომა, გვ. 473.

<sup>4</sup> თ. უორდანი, ქრონიკები, წ. II, 1897 წ., გვ. 232, 353 და 372.

<sup>5</sup> ს. ჯანაშიას დასახ. შრომა, გვ. 481.

ნოზიშვილები, გოსტაშაბიშვილები, იარალიშვილები, ფალავანხოს-როშვილები, ქავთარიშვილები, იოთამიშვილები და ყაფლანიშვილები<sup>1</sup>.

XVIII საუკუნის პირველი ნახევრისათვის ბარათაშვილების გვარიდან ცნობილია ორი მამუკა. ერთი მათგანი არის მამუკა ავთანდილის ძე, ხოლო მეორე — მამუკა თამაზის ძე. შვილი სოჭხით-საბარათაშვილოს გამოჩენილი სარდლისა.

სამეცნიერო ლიტერატურაში პოეტად მიღებული იყო სწორედ ეს მამუკა თამაზ სარდლის ძე<sup>2</sup>; თავისი კაპიტალური შრომის „ქართული ლიტერატურის ისტორიის“ მეორე გამოცემაში პროფ. კორნ. კეკელიძემ დაადგინა, რომ პოეტი და „ლექისის სწავლის წიგნის“ („ქაშნიკის“) ავტორი არის მეორე მამუკა — მამუკა ავთანდილის ძე<sup>3</sup>.

მამუკა ავთანდილის ძის შესახებ ცნობები არ მოგვეპოვება მისი რუსეთში გადასახლებამდე. ერთი კი ცხადია, რომ ის დაახლოებული იყო სამეფო კართან. თანამდებობით ყოფილა მეფის ხმლის მჭერელი, რომლის შესახებაც ვახტანგის ამალის სიაში წერია: „მეფის ტლმის-მჭერელი თავადი მამუკა ავთანდილის შვილი ბარათაძე“<sup>4</sup>. მამუკას ეს თანამდებობა დამოწმებულია მისივე ნაწერებში: „მე მცირეთვანმან მონამან, ვის მმართვეს ხრმალთა ქერანი“ („წამებული“, სტრ. 10). სხვათა შორის, ამ მამუკას სურათი უნდა იყოს დაბეჭდილი 1709 წ. გამოცემულ „სახარებაში“. აღნიშნულ სურათზე ნოცემულია მჯდომიარე ვახტანგ VI სამეფო კვერთხით, ხოლო მის უკახ ფეხზე მდგომი მეფის ხმლის მჭერელი მამუკა მეფის ხმლით ხელში. 1

ვახტანგის ამალის სიის მიხედვით, მამუკას ჰყოლია ორი ძმა — ზაალი და თომა<sup>5</sup>; არსებული ცნობების გათვალისწინებით, მამუკა ავთანდილის ძე ბარათაშვილის გენეალოგია ასე შეგვიძლია წარმოვიდგინოთ<sup>6</sup>:

<sup>1</sup> იას. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, ქვემო ქართლი, ნაწ. III—IV, 1938 წ., გვ. 330—331.

<sup>2</sup> „ქაშნიკი“ მამუკა ბარათაშვილისა, გ. ლეონიძის გამოც., 1920 წ., გვ. 30. პოეტი-აკადემიკოსი ი. გრიშაშვილი ერთ დროს „ქაშნიკის“ ავტორად მამუკა ორბელიანს ასახელებდა („საიათნოვა“, 1918 წ., გვ. 70).


<sup>3</sup> კ. კეკელიძე, ქართ. ლიტ. ისტორია, ტ. II, 1941 წ., გვ. 575. მამუკა ბარათაშვილის ბიოგრაფიის შედგენისას ვსარგებლობდით პროფ. კ. კეკელიძის წიგნის მესამე გამოცემით.

<sup>4</sup> ს. ყ უ ბ ა ნ ე ი შ ვ ი ლ ი, დავით გურამიშვილი ჰუსართა პოლკში, 1955 წ., გვ. 123.

<sup>5</sup> ი ქ ვ ე, გვ. 133.

<sup>6</sup> გენეალოგიურ ტაბულაზე ისჯით აღნიშნულია მამა-შვილის დამოკიდებულება, ხოლო შვეული ხაზით — დამოკიდებულება შვილთან ან ახლო მთამომავალთან.

ბარათა ქაჩიბაძე (ცხოვრობდა 1428 წ.  
ახლო ხანებში)



იმ დროს იყო ორი ავთანდილ ბარათაშვილი: ერთი ავთანდილ შიოშის ძე, ხოლო მეორე — ავთანდილ ავთანდილის ძე. ჩვენ ვერ შევძელით გამოგვერკვია, თუ რომელი ავთანდილის ძეა მამუკა-ამიტომ ვიძლევიტ ორივე ავთანდილის გენეალოგიას (იხ. გვ. 9).

ბროგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, მამუკას შესახებ ცნობები არ მოგვეპოვება მისი რუსეთში გადასახლებამდე. როდესაც ვახტანგ VI დიდი ამალით 1724 წლის 15 ივლისს რაქის გზით რუსეთს წავიდა, მამუკა თავისი ძმებით გაჰყოლია მას იმ თერთმეტ ბარათაშვილის რიცხვში, რომელთაც პოემა „ვახტანგიანი“ იხსენიებს:

ბარათიანთ ერთგულება მოდგმით, იციო, ვით აქვთ სარკი,  
ბერთ და ერთ თერთმეტ ქნეს ხლება, ნუმც ექნების დანაკარკი<sup>1</sup>.

ვახტანგის ამალა ასტრახანში გაჩერდა, თვითონ ვახტანგი კი ყველაზე უფრო ახლობლებით მოსკოვზე გავილით პეტერბურგში გაემართა. მამუკაც ასტრახანში დარჩა. ასტრახანში დარჩენილ ამალის წევრებს, უსაქმოდ ყოფნის გამო და სამშობლოს დატოვებისაგან გამოწვეული კაემნის გასაქარვებლად, დაუწყიათ ინტენსიური ლიტერატურული მუშაობა. აკი აცხადებს მამუკა თავის „წამებულში“: „ცუდ ყოფით, ფიქრით შეკრულმან და უსაქმობით მარეპან, მამ რა ქმნას მწირმან მწირს ალაგს... არც იკითხოს და არც წეროს?“ (სტრ. 6). ვახტანგის ლიტერატურულ წრეში ამ დროს შედიოდნენ: დიმიტრი ორბელიანი, ონანა მდივანი (ქობუ-

<sup>1</sup> „ვახტანგიანი“, ს. ყუბანეიშვილის ვაშოც. („ლიტერატურული ძიებანი“, IV, 1943 წ.), გვ. 192. გამოცემაშია: თერთმეტთა.

თამაზ ბარათაშვილი (გარდაცვლილად ჩანს  
1678 წელს<sup>1</sup>)

შოშ (სიომ) (1686 წ. ცოცხლად ჩანს<sup>2</sup>)

↓ ↓ ↓ ↓ ↓  
გვგუნა ბათათა დურმიშანი აკთანდილი

აკთანდილ ბარათაშვილი

↓ ↓  
აკთანდილი ქაიხოსრო  
(იხსენიება 1674 წ.<sup>3</sup>) (1701 წ.  
ცოცხლად  
ჩანს<sup>4</sup>)

<sup>1</sup> „საქართველოს სიძველენი“, ტ. I, გ. თაყაიშვილის რედ., 1899 წ., გვ. 49.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 322.

<sup>3</sup> მ. ხუბუა, საქართველოს მეტეუმის საარსული ფირმანები და ჰაქმები, 1949 წ., გვ. 16.

<sup>4</sup> Е. Такайшвили, Грузинские памятники окрестностей Волого-И-юти, «Известия Кавказского общества императорского Московского археологического общества», вып. I, 1904 г., стр. 2. აქ მოხსენიებულია აბაშიშვილად.



ლაშვილი), დიმიტრი სააკაძე. თომა ბარათაშვილი, მამუკა გურამიშვილი და სხვები. ამ წრეში აქტიურად ჩაბმულა მამუკა ბარათაშვილიც და 1725 წელს დაუწერია „წამებული“.

1728 წელს მამუკა მონაწილეა იმ დიპლომატიური მისიისა, რომელიც რუსეთის მთავრობამ გაგზავნა ვახტანგ მეფის მეთაურობით შაჰთამაშთან კასპიის ზღვის სანაპიროთა საქმეების შესახებ მოსალაპარაკებლად.

1729 წ. ვახტანგ მეფესა და მის შვილებს — ბაქარსა და გიორგის ეწყალობათ სოჟ. ვოსკრესენსკოე, რომელიც მდებარეობდა ახლანდელ პრესნაზე. სწორედ აქ, პრესნაზე, უნდა დასახლებულიყო მამუკა ბარათაშვილიც, როგორც მეფის ამალის წევრი და ვახტანგთან დაახლოებული პირი.

1730 წელს მოსკოვში მყოფ ვახტანგის ამალას შეუერთდა დავ. გურამიშვილი,<sup>1</sup> რომელიც ამის თაობაზე წერს:

ეჭვისი წლით წინათ ჩემს უწინ ქართლიდამ წაბრძანებულნი,  
რა მიველ მოსკოს, ვიხილე მეფე და ქართველთ კრებულნი<sup>2</sup>.

ა ჩასვლისთანავე დავითს ლიტერატურული ურთიერთობა დაუმყარებია მამუკასთან. უფრო მეტიც, ის მამუკას ლიტერატურული შეხედულებების ცხოვრებაში გამტარებელი გამხდარა. აღვილად საფიქრებელია ისიც, რომ მამუკა, დავით გურამიშვილთან ერთად, აქტიურად მონაწილეობდა სამეფო კარზე გაძარბოვლ ლიტერატურულ პაექრობებშიც.<sup>3</sup> ამითი უნდა იყოს გამოწვეული ის, რომ მამუკა თავის თავს უწოდებს „ლექსთა თქმით მოკამათესა“ („ჯიმშედიანი“, სტრ. 6), ხოლო დავითი კი მამუკას შესაებ ამბობს: „ღვრინვენ ყარან და მამუკა, მე მსურის მათი ყურებაო“<sup>4</sup>.

1731 წელს მამუკა მოსკოვში წერს თავის ცნობილ „ლექსის სწავლის წიგნს“ („ქაშნიკს“). 1732 წელს მამუკამ გალექსა „რუსუდანინანის“ მეორე თავი, რომელსაც „ჯიმშედიანი“ ეწოდება. 1733 წელს დავ. გურამიშვილთან ერთად მაგუკა მდინარე ედილით (ვოლგით) კავკასიისაკენ მიჰყვება ვახტანგ მეფეს საქართველოს საქმეების მოსაგვარებლად. სხვადასხვა მიზეზის გამო, ვახტანგი საქართველოში ვერ ჩამოვიდა და საცხოვრებლად ასტრახანში დასახლდა. ამ პერიოდისათვის მამუკას სიმპათიები ვახტანგის შვილის ბაქარისაკენ გადახრილა, რის გამოც მამუკა ასტრა-

<sup>1</sup> დავით გურამიშვილი, დავითიანი, 1955 წ., გვ. 94.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 29.

ხანიდან მოსკოვში გადასულა ბაქართან და 1734 წელს მას დაუწერია „ქება მეფის ბაქარისა“.

1736 წლის ახლო ხანებში ქართველი თავადაზნაურების დავალებით მამუკა პეტერბურგში წარუდგა რუსეთის დედოფალს ანა იოანეს ასულს (1693—1740) და სთხოვა ლტოლვილი მეფე სამშობლოში დაებრუნებინა შესაფერისი პატივით.

ასტრახანში მყოფი ვახტანგი 1737 წელს გარდაიცვალა. ვახტანგის გარდაცვალების შემდეგ რუსეთის ხელმწიფემ ქართველ ემიგრანტებს წინადადება მისცა: ან რუსეთის ქვეშევრდომობა მიეღოთ, ან აოხრებულ სამშობლოში წაუღიყვნენ. ვახტანგის ორიენტაციის მომხრეებს ქართლში არ მოესვლებოდათ. მათ პირველი წინადადება აირჩიეს — ემიგრანტები რუსეთში დარჩნენ. რუსეთში დარჩა მამუკაც...

რუსეთში მამუკას მათეს ეძახდნენ, როგორც ამას თვითონ აღნიშნავს „ჯიშმედნიანში“: „მამუკა ბარათაშვილი, რუსნი მიხმობენ მათესაო“ (სტრ. 6). ახლად აღმოჩენილი საბუთებით დატურდება პოეტის სიტყვები.

ქ. მოსკოვში, საკავშირო ცენტრალურ სახელმწიფო არქივში დაცულია ორი საბუთი, რომლებშიც მოხსენიებულია „Матвей Баратов“-ი. ამ საბუთებს, სხვა პირთა შორის, ქართულად ხელს აწერს „ქნიაზ მათვე ბარათოვი“.

პირველი საბუთი, დათარიღებული 1739 წლის 7 აგვისტოთი, წარმოადგენს ქართველ ემიგრანტთა თხოვნას რუსეთის დედოფალ ანა იოანეს ასულისადმი. ეს თხოვნა ჩაკერებულია სენატის კანცელარიის საქმეებში შემდეგი წარწერით: „О определении грузинцов в службу в гусарския роты и о выдаче им жалованья и о высылке их с фамилиями в малую Россию для принятия деревень и о прочем“<sup>1</sup>. დასახელებული საბუთის მე-4 მუხლში ნათქვამია, რომ ვახტანგ მეფის სიცოცხლეში ქართველ თავადებს დანიშნული ჰქონდათ ჯამაგირი, რომელიც გასულ წლებში მათ არ მიუღიათ; იქვე ჩამოთვლილია, თუ ვის რამდენი ფული და სურსათი ეკუთვნის წლის განმავლობაში; ამასთან, მათე ბარათაშვილის შესახებ წერია: „Матвею Баратову шездесят рублее, ржи двенадцать четвертей, овса десять четвертей, сена сто восемьдесят пуд, дров одна сажень“ (ფ. 147 v).

მეორე საბუთი, დათარიღებული იმავე წლის 15 ნოემბრით, წარმოადგენს მათე ბარათაშვილისა და მამუკა მუსხელიშვილის

<sup>1</sup> ЦГАДА, Ф. Канцелярия Сената, кн. № 2/1663, лл. 146—148 (აქა და ქვემოთ ხელნაწერის მართლწერა დაცულია.—გ. მ.).

თხოვნას სენატისადმი. საბუთის წარწერაა: „О пропуске грузинских князей Магвея Барагова, Мамуку Мусхалова, когда они с фамилиями из отечества их в Астрахань возвратятся с надлежащим осмотром в Москву или (в Астрахань) в Санкт-Петербург, и о даче им ямских подвод“ (იქვე, ფ. 356 – 358).

დასახელებული პირნი მიმართავენ სენატს, რათა განმეორებოთ მისცენ მათ საშვები სამშობლოში (საქართველოში) წასასვლელად, რომ იქიდან წამოიყვანონ თავიანთი გვარეულობა. საბუთში ნათქვამია, რომ მათკენ მიმართულ უკვე პქონდათ ვიზა სამშობლოში წასასვლელად, მაგრამ მასში აღნიშნული არ იყო იმათი უკან დაბრუნების შესახებ. ამიტომ ისინი ხელახლა მოითხოვენ საქართველოში წასვლისა და უკან დაბრუნების ნებართვას. საბუთს დართული აქვს სენატის მიერ გაცემული ნებართვა. რომლის მიხედვითაც მოხსენიებულ პირთ უფლება ეძლევათ სამშობლოში წასვლა და უკან რუსეთში დაბრუნება.

ვინ არის საბუთებში მოხსენიებული მათე ბარათოვი?

აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში დაცულია პირი „უწყებანისა“ (Ros—316), რომელიც შედგებილია ვახტანგ VI-ის გარდაცვალების შედეგ და რომელშიც ჩამოთვლილია რუსეთში სამეფო კარზე მყოფი ქართველები. აქვე აღნიშნულია ამ ქართველებისათვის რუსეთის მთავრობის მიერ დაწესებული ჯამაგირი და სურსათი. საყურადღებოა; რომ „უწყებანში“ მათე ბარათოვი არსად არ იხსენიება. ს. მაგიეროდ, სიაში ეკითხულობთ: „Князь Мамука Баратов, при нем служителей двенадцать“ და ჩამოთვლილია იგივე ჯამაგირი და სურსათი იმავე რაოდენობით, რამდენიც ზემომოყვანილ პირველ საბუთში იყო აღნიშნული (ამ საბუთში ქვავის რაოდენობა განსხვავდება). ჯამაგირისა და სურსათის ერთნაირი რაოდენობა სწორედ იმაზე მიუთითებს, რომ მათე ბარათოვი და მამუკა ბარათაშვილი ერთი და იგივე პიროვნება იყო. მათე ბარათოვი რომ სხვა პიროვნება ყოფილიყო, მაშინ იგი დასახელებულ სიაში აუცილებლად იქნებოდა მეტყინილი. ამგვარად, ცხადი ხდება, რომ საბუთებში მოხსენიებული მათე ბარათოვი არის იგივე მამუკა ბარათაშვილი.

ძველი ქართული ხელნაწერების შესწავლისას ჩვენთვის ცნობილი გახდა პოეტის კიდევ ერთი ლექსი, რომელშიც მოხსენიებულია მამუკა—მათე. ეს უცნობი ლექსი შემოგვინახა აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში დაცულმა ხელნაწერმა კრებულმა<sup>2</sup>. დასა-

<sup>1</sup> პოეტმა აკადემიკოსმა გ. ლეონიძემ გამოაჩვენა, რომ საქართველოში გამგზავრების დასტური მამუკას პირველად მოუთხოვია 1739 წლის 20 სექტემბერს. ერთგან, თურმე, მამუკა საბუთზე აც აწერს ხელს: „ქართლს წამავალი კნიაზი მათე ბარათოვი“ („ლიტერატურული გაზეთი“ 1954, № 34).

<sup>2</sup> Q 573, ფ. 24.

ხელეული კრებული შეიცავს სხვადასხვანაირი ქალაქის ორ რეგულს. ჩვენთვის საყურადღებო ლექსი შეტანილია მეორე რეგულში. ეს რეგული, როგორც ბოლო მინაწერიდან ირკვევა, გადაწერილია 1847 წელს მოსკოვში: „დაიწერა მოსკოვსა შინა ჩუგუწ წელსა, მარტსა“. ამ კრებულში ჩვენთვის საინტერესო ლექსს, რომელიც მოთავსებულია 24-ე ფურცელზე, წამძვარებული აქვს ასეთი მინაწერი: „თუ იკითხოთ, ესე კნიაზი იყო ბარათაშვილი, გადმოყოლირი (sic) მეფის ვახტანგისა“.

ეს ბარათაშვილი, როგორც შემდეგ ლექსის შინაარსიდან ირკვევა, მამუკა ბარათაშვილია. მამუკას ლექსი, რომელიც უსათაუროა, 21 სტროფისაგან შედგება. შინაარსის მიხედვით იგი ალეგორიული ხასიათისაა. მართლაც, ლექსში დასახელებულია ბიბლიური პირები, მაგრამ მასში მამუკა თავის ბიოგრაფიულ ცნობებს უნდა იძლეოდეს. ლექსი იწყება შემდეგი სტროფით:

ნუ ეძიებთ ჩემსა წელსა, ვერ მიხვდებით ანგარიშსა,  
კნიაზ მათვეს შეძახიან, მათუსალას ძმას და შეილსა;  
ადამ იყო პაპ-ჩემი, იმას დავრჩი სარს წლისა,  
სამოთხეში არ შეგვიშვეს, დიდათ ვსწავხვარ ამისთვისა.

ლექსის მერვე სტროფიდან ვგებულობთ, რომ ეს „კნიაზ მათვე“ არის იგივე „კნიაზი მამუკა“: „მიბრძანა კნიაზ მამუკა, შეშა დანიკერ კულითა“. როგორც ვხედავთ, კიდევ ერთხელ მტკიცდება მამუკას მიერ „ჯინშედიანში“ თქმული სიტყვები.

საყურადღებოა ლექსის მე-20 სტროფი, რომელშიც მამუკა გადაკერით მიუთითებს მის ცხოვრებაში მომხდარ რაღაც ამბავზე:

საფრანგეთში ვიქადაგე აღსრულება მე სოფლისა,  
არ ირწმუნეს ჩემი სიტყვა, შიგ ჩამაგდეს ფოგერის ძირსა,  
თურმანიძე გვერთ მომიღვეს, ისიც იყო ჩემის ხნისა,  
იქიდან გამოვიპარე, რუსეთს ვცხოვრობ მე ამ ხნისა.

მანუკა ბარათაშვილის ლექსის შემდგომი დაწვრილებითი შესწავლა შეავსებს პრეტის მეტად ძუნწ ბიოგრაფიულ ცნობებს.

მამუკას ოჯახური მდგომარეობის შესახებ ზუსტი ცნობები არ მოგვეპოვება. ვიცით მხოლოდ, რომ XVIII საუკუნის 40-იან წლებამდე რუსეთში იგი ყოფილა თავის ორ მსახურთან ერთად. რუსეთში მოპოვებულ ერთ საბუთში ჩამოთვლილია, თუ ვის რამდენი შეილი ჰყავს, მამუკას შესახებ კი არაფერია ნათქვამი. მას რომ იქ წვილები ჰყოლოდა, ექვს გარეშეა, ისინიც იქნებოდნენ იმათ რიცხვში წოხენიებული. მეორე საბუთში, როგორც ვნახეთ, მამუკა მოითხოვს თავისი გვარეულობის წაყვანას რუსეთში. და

ნამდვილებით არ შეგვიძლია იმისი თქმა, თუ აქ „ღვარეულობაში“ ვინ იგულისხმება: ცოლ-შვილი თუ საერთოდ მისი გვარის წარმომადგენლები, ნათესაები. სამწუხაროდ, არც მის შემოქმედებაში ჩანს რაიმე კვალი ამ მხრივ.

მამუკას ჰყოლია ორი ძმა—თომა და ზაალი. ზაალის შესახებ, მასალეპის უქონლობის გამო, ვერაფერს ვიტყვი. თომას შესახებ კი შემდეგი ირკვევა: ის არის ვახტანგ VI-ის ძის—გიორგი ბატონიშვილის მზღეიელი რუსეთში. სამეფო კარზე იგი ეწევა ლიტერატურულ საქმიანობას. სხვათა შორის, 1725—35 წლებში მას გადაუწერია „ბარამ-გულანდამინი“. თომა პოეტიც ყოფილა, ჩვენამდე მოღწეულია მისი რამდენიმე ლექსი<sup>1</sup>. თომა ახლო ურთიერთობაში ყოფილა დავ. გურამიშვილთან, რომელსაც მისთვის ლექსი მიუძღვნია: „თომავე, დავით მეო ამ წიგნს მოგართმეო!“

დღემდე არ არის ცნობილი, თუ როდის გარდაიცვალა მამუკა. ერთი კი ცხადია, 1750 წ. იგი ჯერ კიდევ ცოცხალია, რადგან ამ დროს გარდაიცვალა მისი პატრონი ბაქარი, რის გამოც მამუკამ მანამდე დაწერილ თავის ლექსს „ბაქარის ქებას“ დაუმატა კიდევ ორი სტროფი, რომელშიც აღწერა ოუსეთში მყოფი ქართველების მიერ ბაქარის დატირების სურათი.

რა მოუვიდა მას ბაქარის გარდაცვალების შემდეგ, არ ვიცით. სწორი არ არის ცნობა, თითქოს მამუკა გარდაიცვალა დაახლოებით სამოკიან წლებში<sup>2</sup>. ამ მოსაზრებას საფუძვლად უძებს მამუკას თანამედროვისა და მეგობრის დიმიტრი სააკაძის ლექსი, რომელშიც ვკითხულობთ:

ციცისთან ვახლდი მამუკას, ცოტად რამ გავიხარეთა,  
წამობრძანდა და ვიახელ, მოვედით პრესნას არეთა,  
წარბეკა, მე თაქს დავადგე, ცრემლს მოვადენდი მჭარეთა,  
დავსწყვევთ, ვინც რომ მოვიდა პირველ რუსეთის მხარეთა.

პროფ. ალ. ბარამიძეს შენიშნული აქვს, რომ დიმ. სააკაძეს აქ „მოთხრობილი აქვს როგორც მამუკასთან (ბარათაშვილთან, თუ გურამიშვილთან) ერთად შემთხვეული განსაცდელი ამბავი“<sup>3</sup>. საკითხის შესწავლამ დაგვარწმუნა, რომ მოყვანილ ლექსში მოხსენიებული მამუკა არის მამუკა გურამ-

<sup>1</sup> გ. მიქაძე, თომა ბარათაშვილის ბიოგრაფიკათვის, გაზ. „ახალგაზრდა სტალინელი“, 1957, № 20.

<sup>2</sup> კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, ტ. II, 1952 წ., გვ. 519.

<sup>3</sup> ალ. ბარამიძე, ნარკვევები, ტ. II, 1940 წ., გვ. 464. დაყოფა ჩვენ გვე-  
რუთურის. — გ. მ.

მიშვილი და არა მამუკა ბარათაშვილი. დიმ. სააკაძის მიერ  
ლექსით დაწერილ ბარათებში არაერთგზის იხსენიება სწორედ მა-  
მუკა გურამიშვილი. ასე. მაგალითად:

მამუკა გურამიშვილი მაგრა სდგას, ვითა ლოდია,  
მეც გვერდ ვაზლავარ მებრძოლად, ჯერ არვინ დაგვიკოდი...

მამუკავ, რასთვის გაგვიშვი, პრენას გაგვიჯუჯ ბუგათა,  
რაზნოშჩიკები გახლავან, უხიხარ დიახუგათა<sup>1</sup> და სხვ.

დასასრულ, უნდა აღვნიშნოთ ერთი გარემოებაც. 1733 წელს  
ვახტანგ მეფის ბრძანებით მდივანს მელიქსედეკ კავკასიძეს გადაუ-  
წერია ვახტანგის ლექსთა კრებული, რომელშიც შეტანილია მამუკა  
ქავთარიშვილის ორსტროფიანი ლექსი (S 4500, გვ. 211).

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული იყო მოსაზრება  
მამუკა ბარათაშვილისა და მამუკა ქავთარიშვილის ერთიდაიგივეო-  
ბის შესახებ. როგორც ახლა დადასტურდა, მართლაც, მამუკა  
ქავთარიშვილი იგივე მამუკა ბარათაშვილია. ჩვენთვის საინტერესო  
ლექსი დაცულია აგუეთვე ქ. ლენინგრადში, სსრ კავშირის მეცნი-  
ერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ქარ-  
თულ ხელნაწერთა ფონდში. ეს ლექსი ჩაწერილია ვახტანგ VI-ის  
ლექსთა კრებულში და წარწერილი აქვს ავტორის ვინაობა: „მა-  
მუკა ბარათაშვილისა“ (M 3, ფ. 13).

ასეთია მამუკა ბარათაშვილის ცხოვრება-მოღვაწეობის ის  
საფეხურები, რომელთა გარკვევაც ცოტად თუ ბევრად დღემდე  
მოხერხდა და რომლებმაც განსაზღვრეს და ჩამოაყალიბეს პოეტის  
შემოქმედების ხასიათი და მიმართულება.

<sup>1</sup> „ანთოლოგია“, ტ. II, 1928 წ., გვ. 223.

## მამუკა ბარათაშვილის შემოქმედება

როგორც ვნახეთ, მამუკა ბარათაშვილი მიემხრო ვახტანგის ორიენტაციას და მის ამაღლას რუსეთში გაჰყვა. ვახტანგის ამაღლაში იყვნენ მწერლები, მწიგნობრები, კულტურის ფრონტის მუშაკები. რუსეთში ისინი თავს არ ანებებენ კულტურულ-ლიტერატურულ მუშაობას. ასე ეყრება საფუძველი რუსეთში XVIII საუკუნის ქართულ ემიგრანტულ მწერლობას.

ერთმორწმუნე მეფის რუსეთის მთავრობამ ქართველი ემიგრანტები პირველ ხანებში შეიფარა, აღმოუჩინა მათ როგორც მორალური, ისე მატერიალური დახმარება. ამ დროისათვის ქართველ ემიგრანტებს საკირო პირობებიც ჰქონდათ კულტურულ-ლიტერატურული საქმიანობისათვის. და მართლაც, ჩაღდება ლიტერატურული მუშაობა მოსკოვში, ასტრახანში, ვესესიატსკოეში, პრესნასა და აგრეთვე, უკრაინის ქალაქებში. მალე ქართველი ემიგრანტების „ბენდიერებას“ ფრთები შეეკვეცა. ვახტანგ მეფის გარდაცვალების შემდეგ მათ მოუსპეს მატერიალური დახმარება, რომელსაც მეფის რუსეთის მთავრობა მანამდე აძლევდა. ამასთან, ისინი იძულებული გახადეს მიეღოთ რუსეთის ქვეშევრდომობა.

ქართველი ისტორიკოსის სიტყვით, „მეფე ვახტანგ რა გარდაცვლილიყო, ვინა ქართველი თავადიშვილი იყო რუსეთს ხელმწიფის დავთარში დაწერილიყვნენ, მიეცათ ჯამაგირი და მას აქეთ იყოფებოდნენ იქ ქართველნი რომელნიმე და მსახურებდეს“.

ემიგრანტები ჩავარდნენ აუტანელ მდგომარეობაში: სამშობლოდან გადახვეწას დაემატა ეკონომიური გაჭირვებაც. შექმნილმა პოლიტიკურმა და ეკონომიურმა პირობებმა ემიგრანტ მწერლებში გამოიწვია ცხოვრების უარყოფითი შეფასება. ეს მოტივი საკმაოდ ძლიერადაა წარმოდგენილი მათს ლირიკულ ლექსებში. ისინი უჩივიან ამ სოფლის მუხთლობას, ცრუობას, გაუტანლობასა და დაუნდობლობას. ამ გარემოებამ კი, თავის მხრივ, ხელი შეუწყო ემიგრანტთა შემოქმედებაში რომანტიზმის საწყისების გაჩენას.

ემიგრანტულ ლიტერატურას ნაკლებად ახასიათებს საღვეგმირო და საზღაპრო შინაარსის თემები, ან სატრფიალო-სამიჯნურო პოემები. მათი შემოქმედების საგანი ყოველდღიური ამბებია, ისინი ახლოს დგანან ცხოვრებასთან და ცხოვრების ყოველდღიური სინამდვილით სულდგმულობენ. ალბათ, ნაწილობრივ ანითაც არის

გამოწვეული, რომ ემიგრანტმა მწერლებმა თავიანთ შემოქმედებაში უხვად გამოიყენეს ავტობიოგრაფიული ხასიათის მასალები. მეორე მხრივ, საპატიო ადგილს იკერს მათს შემოქმედებაში ეროვნული მოტივიც. საერთოდ, მათი ლექსებიდან მკვეთრად მელაუნდება იმედგაცრუებული ემიგრაციის მდგომარეობა და მათი სულიერი მღელვარება, სასოწარკვეთილებისა და გულვატებილობის განწყობილება.

ემიგრანტი მწერლების შემოქმედების სპეციფიკურმა კილომ, მოტივმა გამოხატულება პოვა შესატყვის ფორმაში. ახალი თემების დასამუშავებლად, რომლებშიც გადმოცემული იყო პიროვნების ინტიმური გრძობა-განწყობილებანი, საჭირო გახდა ლექსის ახალი სახეები, ფორმები. ვრცელი და გრძელი ლექსების ნაცვლად, თავისი განწყობილებების გადმოსაცემად ემიგრანტი მწერლები მიმართავენ მცირე ზომის თხზულებებს, მოკლე ლირიკულ ლექსებს.

მამუკა ბარათაშვილი ემიგრანტული მწერლობის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია. მისი პოეზია გამსჭვალულია თითქმის ყველა იმ მონაცემით, რაც ახასიათებს ემიგრანტულ ლიტერატურას. მამუკას შემოქმედების გაცნობისთანავე ნათელი ხდება, რომ მისი ლექსები დაწერილია სხვადასხვა მიზეზის გამო სხვადასხვა დროს, თუშუა ყოველთვის შესაძლებელი როდია პოეტის ლექსების ქრონოლოგიის გარკვევა. ვინაიდან მამუკას ლექსების უმეტესობის დაწერის თარიღი უცნობია, პოეტის შემოქმედების ანალიზს ვიძლევიტ არა ქრონოლოგიური წესით, რაც, უთუოდ, უკეთესი იქნებოდა პოეტის შემოქმედებითი ზრდის გასათვალისწინებლად, არამედ მისი ნაწარმოებების თემატიკური მონაცემების მიხედვით.

მამუკა ბარათაშვილის შემოქმედების მთავარი მოტივია მღურვა სოფლისადმი, გამოწვეული სამშობლო ქვეყნის უნუგვეზო მდგომარეობითა და პირადი ცხოვრების გაუბედურებით. მისი ლირიკული ლექსები დაწერილია უცხოეთში ექსპორიობისა და ემიგრანტობის დროს. ბუნებრივია, რომ ამ გარემოებას არ შეეძლო თავისი კვალი არ დაეჩნია მამუკას შემოქმედებისათვის. მწირობაში მყოფი პოეტი დიდ სულიერ მღელვარებას განიცდიდა. ერთ ლექსში პოეტი ამბობს: „ველარ გავძელ უთქმელობა გულთა ჩემთა განზრახვისაო“ („შაირის ტაეპი“). ასტრახანში ჯერ კიდევ ახლად დასასლებული პოეტი გულისტკივილით უწინასწარმეტყველებდა თავის თავს: „აწ სოფლისაგან სიმუხთლე ვიცი არ ამცილდებისაო“ („წამებული“). „მრჩობლედში“ კი მამუკას გადმოცემული აქვს



ემიგრანტის ცხოვრება, „მწირობა სხვათა თემისა, უხმარ და უქმად გდებანი“. უცხოობაში მყოფი პოეტი განიცდის გაჭირვებას, უთვისტომობასა და უნუგეშობას. მისი თქმით, უცხოეთში მყოფი ადამიანისათვის სიტკბო შექპნილია სიმწარედ, შიამაღ:

შეგეწყალეოღესთ ყოველთა, მწირი მწირობდეს რებულად  
ძნელია, ვცადე, არ იცით, ვინა ხართ თავის ნებულად.

შაქარი—მისთვის სამსალა, თაფლი არს კოლომანია,  
გული აქვს დაუღვრომელად, ვით რა ჰსწადს ვერას თქმანია.

ცხოვრება უსამართლო აღმოჩნდა პოეტის მიმართ. მან პოეტს წილად არკუნა უცხოეთში გადახვეწა და სივის ხელთშემყურეობა. „შაირში“ მამუჯა შემდეგნაირად გადმოგვცემს თავისი ბედის უკუღმართობას:

ჰე, სოფელო, შენთა მსგავსი, ვითა გწადდა, დამემართა,  
სიცრუვითა აღლესილი გულთა მკარ და დამემართა,  
ჰსჯობდა შენდა მიმედრიკა, სხვაგან სითმე დამემართა,  
მაგრამ მიჰხსნის შენგან კიდევ მარიამის და მე მართა.

ლექსში „მოკლე შეწყობილი“ მოცემულია პოეტის უნუგეშო მდგომარეობა:

მაქვან მრავალი ტკივილი,  
გულკენესით აღმონთხივილი.

ამ ნიადაგზე წარმოიშვა პოეტში ცხოვრებით გამოწვეული უკმაყოფილების გრძნობა, რომელმაც პოეტს სევდიანად წარმოათქმევინა: „ნუმცა ვის მოგხედეს ჩემებრივ, გული მკენეს აღმომტირებადო“ („მორჩობლელი“).

ასეთი ცხოვრება ერთ-ერთი მიზეზი გახდა წუთისოფელზე პოეტას შეხედულების ჩამოყალიბებისათვის. მისი თქმით, სოფელი არის მუხთალი, გაუტანელი, ჭრელი. ცხოვრებით უკმაყოფილება პოეტისა საწუთროსადმი მღურვაში გამოიხატა. სოფლის მღურვის თემაზე დაწერილ ლექსებში მოცემულია ადამიანისა და სინაძღვის კონტრასტი და შეუთანხმებლობა.

ფეოდალური კლასის დამარცხებამ და სამშობლო ქვეყნიდან მოშორებამ გააღრმავა პოეტის გულგატეხილობა. „მოკლე შეწყობილში“ პოეტი წუთისოფელს უსაყვედურებს, რომ „წუეულ ხარ,— ბევრი ჩივიანა, მაქებრად არვინ გივისა“, და დასძენს: „ბევრი ჰყავს ჩემებრ მღურაეო“. მამუჯაც გამოთქვამს თავის საყვედურს:

წყვეა მაქვს საკურველისა,  
მუხანათისა, კოელისა  
საწუოოს, წამთა მკმნელისა  
დიდების დამცემელისა.

ლექსში „ცრუ და მცბიერი წუთისოფელი“ პოეტი ამბობს, რომ წუთისოფელი ადამიანს „პირველ ახარებს, ბოლოდ ამწარებს“, მხიარულებას სიმწუხრით შეუტყვის, ანუ, მამუქას პოეტური თქმით, „შეებისა უამად სიბნელე შოგის, არ გაგიტენდა“. წუთისოფლად „ოხერა და ახი უწონელია“, ამიტომ „გმობა სჯობს მისი“. ცხოვრებისაგან გატანჯულმა პოეტმა ასეთი სიტყვებიც კი წამოისროლა წუთისოფელზე: „წყველ არს იგი და მისი ქნაცი“.

„ლექსი მოკლემი“ პოეტი გამოგვეკვამს წუთისოფლის სიმუხბთლეს და, ტანჯვა-გაჭირვებას გამოვლილი, სხვებს სარიგებს, რომ აო მიენდონ მას (წუთისოფელს):

ვინ ენდო მცირედ მყოფელსა,  
შეიქმს ჩემებრივ მყოფელსა.

დავგმე და სული უხარი  
მათ, ვინცა მისგან უხარი.

მიწყვი ვემღურით წყვეულსა,  
მაგრამ მოგვაგებს წყვეულსა.

• • • • •  
• • • • •

საწუთო ერთის წამისა,  
განემორენით წამისა.

ნურავის გინდათ აშება,  
თვარ თქვენცა, ვით მე, აშება.

იქნებიათ მოუსვენია,  
ყოელთათვის მოუსვენია.

პოეტი საგონებელში ჩავარდნილა და აკვირვებს ის გარემოება, რომ საწუთრო მუხბთალია, ვერაგია, ადამიანის მტერია, ხოლო ადამიანი კი მაინც მისი „მდომარეა“:

საწუთო ესე მუხბთალი, ყოველთა მტერი, რასათვის არის კაცი მისი  
მდომარე?

არა აქვს შება წყვეულსა, იცით—ჩვენთვის ნიადაგ მხირად არს იგი  
მჯდომარე.

(„პისტიკაური“)

მიუხედავად სოფლის ასეთი გაუტანლობისა და მუხტლობისა, მამუკა საბოლოოდ ღაინც არ მიდის წუთისოფლის სრულ უარყოფამდე. პირიქით, ერთ-ერთ ლექსში იგი მიუთითებს სინამდვილესთან წერიგების აუცილებლობაზე:

რადგან ვიყავ მისი მდომი, არა მმართვეს მისთვის ომი,  
კმუნვა მომკეს თუ რახომი, უნდა ვიყო მუდამ მთმომი,  
მაგრამ ჩემებრ კაცთა ტომი არ უქმნია კირთა მწდომი,  
ურიცხვი და განუხომი ჩემთვის ჰბადა მოსარჩომი.

(„რეული“)

უფრო მეტიც, პოეტს საქებრად მიაჩნია ის ადამიანი, რომელიც ამქვეყნიური ცხოვრების სიამოვნებას არ ეურჩება: „იქებიანი, რომელიცა ეურჩების სიამოვნეს ამ წუთისა არასდროსა“ („გრძლელი შაირი სამეკეთი“). ხოლო ლექსში „მრჩობლელი“, აწერს რა უცხოეთში მყოფი ადამიანის უნუგეშო მდგომარეობას, პოეტი დაასკვნის, რომ ადამიანი სასოწარკვეთილებას არ უნდა მიეცეს, პირიქით, მან ახალგაზრდული გატაცებით უნდა იმხიარულოს და დრო გაატაროს, უარყოს ზედმეტი წუწუნი და ვაება:

ვითა ყრმა, წამად შეებული, წამ ურვამოპოვნებული,  
გულს უყვავებდეთ, ალხენდეთ, რა გერგოსთ იგი ვნებული.

\* \* \*

ნაწილობრივ „გულის მოლხენის“ მიზნით უნდა აიხსნას მამუკას გატაცება სატრფიალო-სამიჯნურო ლექსებით. საფუქრებელია, რომ სატრფიალო-სამიჯნურო პოეზია უცხოობაში მყოფი მამუკასათვის სევდის გაქვრების ერთ-ერთი საშუალება იყო სიყვარულის გრძნობა სულიერ მოსვენებას აძლევდა ცხოვრებისაგან დაჩაგრულ პოეტს. სიყვარული მას დარდსა და მწუხარებას ავიწყებინებდა. სწორედ ეს გარემოება უნდა იყოს იმის ერთ-ერთი მიზეზი, რომ ასე უხვად ვხვდებით მამუკასთან სამიჯნურო თემაზე დაწერილ ლექსებს.

სატრფიალო-სამიჯნურო ლექსებში მამუკამ პრაქტიკულად გადადგა ნაბიჯი ამქვეყნიური ქალის სადიდებლად; მის პოეტიკურ ტრაქტატში გამოთქმული შეხედულება ღვთიური სიყვარულის შესახებ, რომლის თაობაზეც „ლექსის სწავლის წიგნის“ მიმოხილვისას გვექნება საუბარი, მისთვის მხოლოდ მოწოდებად დარჩა. მამუკას ამ გზას გაჰყვა შემდეგში დავით გურამიშვილი, რომელმაც შექმნა ნთელ ქართულ პოეზიაში ერთ-ერთი შესანიშნავი ლექსი „ზუბოვკა“, რომელიც წარმოადგენს, თუ შეიძლება ითქვას, გურამიშვილის მხატვრული შემოქმედების გვირგვინს.

როგორც ვთქვით, მამუკას შემოქმედებაში ასახული სიყვარული ამქვეყნიური და რეალურია. თავის ლექსებში პოეტი იძლევა მიწიერი სიყვარულის მოტივს და ეტრფიალება ამქვეყნიურ ქალს. სამართლიანად აღნიშნავს ამის შესახებ პროფ. კორნ. ქეკელიძე: „Все почти лирические его произведения представляют гимн восторженной, страстной любви к реальной, земной красавице и не дают никаких оснований видеть в них аллегорию божественной, суфистической любви“<sup>1</sup>.

იმის ნათელსაყოფად, რომ მამუკას ტრფობის საგანს წარმოადგენს ამქვეყნიური ქალი და არა აღევარიული სახით წარმოდგენილი ღმერთი, აქვე მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს. ლექსში „წუობილი მრავალმუხლი“ მამუკა ამკობს ქალს და აღნიშნავს, თუ ვინ არის ამ სილამაზის მომნიჭებელი:

შენ სახე მზისა სამუდმოდ ღმერთს შენთვის მოუსვენია,  
გაკვეს მისგან მიწყვი აშუა არ ჯამად გარდამვლენია...

„რუსულ ხმებში“ კი მამუკა იძლევა კონკრეტულად ქართველი ქალის ქებას. ეს ლექსი შინაარსის მიხედვით შეიძლება ორ ნაწილად გავყოთ. პირველ ნაწილში მოცემულია ქალის, იგულისხმება რუსი ქალის, გარეგნობის აღწერა და ხასიათი, ხოლო მეორე ნაწილში კი — ქართველი ქალის სიტურფე-სინარნარე და ზნეობრივი სიფაქიზე. თვითონ მამუკაც ხომ ამბობს, როდესაც ამთავრებს ქალის შესახებ საუბარს, რომ ამის შექდეგ „ვიწყო კადრებით, თუ შედარებით ძალ-მიძს რა ვაქო ქართველთა ქალი“.

როგორც ვხედავთ, „მამუკამ ქართული სატრფიალო პოეზია ზეციური სამყაროდან ამქვეყნად ჩამოიყვანა და დაამკვიდრა“<sup>2</sup>. სწორედ ამაში მდგომარეობს უმთავრესად მამუკა ბარათაშვილის სატრფიალო-სამიჯნურო ლექსების ღირსება. სატრფიალო თემაზე დაწერილი მისი ლექსები გამოირჩევა თავისი მაღალმხატვრობითაც. ამიტომ, არ შეგვცდებით თუ ვიტყვით, რომ თავისი შემოქმედებითი შესაძლებლობა და ნიჭი მამუკამ გამოავლინა სწორედ სატრფიალო ღირიკაში.

თავისებურად ესმის მამუკას სიყვარულის საკითხი. სიყვარულის გრძნობა მას სხვა გრძნობებზე უფრო ძლიერად და მწველად

<sup>1</sup> კ. ქეკელიძე, Отражение восточного суфизма в древне-грузинской поэзии, „იტრუდეტი“, II, 1945 წ., გვ. 285. დაყოფა ჩვენია. — გ.მ.

<sup>2</sup> მისივე, ძე. ქართ. მწერლობის ისტორია, ტ. II, 1952 წ., გვ. 526.

მიაჩნია. სიყვარულის პრობლემას მამუკა სილამაზის საკითხს უკავშირებს. ფიზიკური მშვენიერება, პოეტის აზრით, ადამიანში აღმძვრელია სულიერი განცდებისა. ამიტომაც, რომ მამუკა არ იშურებებს პოეტურ საღებავებს სილამაზის შესამკობად. მამუკას სატრფიალო-სამიჯნურო ლექსების მნიშვნელოვანი ნაწილის საგანად გამხდარა ქალის გარეგნული მშვენიერების აღწერა. სატრფოს სხეულის ყოველი ნაკვთი მისი პოეტური ქების საგანია. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საყურადღებოა ლექსი „ვიხილე შენი შევებება“, რომელშიც პოეტი მხატვრული პარალელიზმების საშუალებით ოსტატურად ახერხებს ქალის სანდომიანობის გარეგნული სიმშვენიერის გადმოცეიას.

მამუკა მოხდენილად აგვიწერს არა მარტო სატრფოს გარეგან სილამაზეს, არამედ იმ შინაგან განცდებსაც, რომლებიც ახასიათებს შეყვარებულთ. უფრო მეტიც, მამუკა იძლევა სიყვარულის არა მხოლოდ აღწერას, არამედ თავის დამოკიდებულებას ამ კეთილშობილური გრძნობისადმი. ამდენად ზოგიერთი მისი სატრფიალო ლექსი ინტიმური გრძნობისა და პირადი განცდების ხასიათს ატარებს და გადმოგვცემს შემოქმედის შინაგან სამყაროს.

ლექსში „ამდენარი“ პოეტი ეტრფიალება ამქვეყნიურ ქალს, რომელსაც მზეს ადარებს. ამ ქალის ახალგაზრდულმა გამოხედვამ სიყვარულის ცეცხლი აღუგზნო მას, რისთვისაც სევდაჰ, მოწყენილობამ შეიპყრო:

ჩემ საყვარელო ვინაო, მიწყვი მიდგებარ წინაო,  
გონებით შემკრა სურვილმა, აროდეს მომეღხინაო,  
შენთა ასაკთა ჳერეტამან ცეცხლი უმეტეს მჰქინაო,  
ამისთვის ვიკმენ ულხენი, უფრორე მომეწყინაო,  
რომე არ დაეთმო, მაშ რა ჳქნა, თუ შენი ჳერეტა მინაო..  
მზე ხან და დამწვა... ნათელმან მე შენმან ამაქშინაო.

მეორე ლექსში („წყობილი მრავალმუხლი“) მამუკა ქალს ამკობს აღორძინების პერიოდის მწერლობისათვის დამახასიათებელი ეპითეტებით და, მართალია, სიყვარულმა პოეტი საგონებელში ჩააგდო, მაგრამ იგი დარწმუნებულია, რომ „მამუკასათვის სიბნელე არ არის განუთენია!“

მამუკა ქალს როდი უყურებს როგორც მარტოდენ წუთიერი სიამოვნების მომგვრელ არსებას. მისი ზოგიერთი ლექსის მიხედვით ქალი ცხოვრების მამოძრავებელი ძალაა და ბედნიერების მომტანი. ამიტომ მამუკას ლექსებში მოცემული სიყვარული ყოველთვის წმინდაა, ფაქიზი და შეურყენელი. მის ლექსებში ნაკლებადაა წუთიერი, ხორციელი და ეინმორეული სიყვარული, რასაც შემდეგ განსაკუთრებულ ადგილს უთმობს თავის შემოქმედებაში ბესიკი.

მამუკას ყურადღების გარეშე არ დაუტოვებია ცოლქმრული ზრთიერთობის საკითხიც. ამ მხრივ საგულისხმოა ლექსი „უცხო“, რომელშიც პოეტი ჩამოთვლის ზოგიერთი მამაკაცის უარყოფით თვისებებს და დაასკვნის, რომ ასეთი თვისებები აქმონე მამაკაცი ცოლისათვის „იქნება... დასაყვედრელი!“ დასახელებულ ლექსში მამუკამ მალალი ზნეობა და წმინდა ოჯახის სიყვარული იქადაგა. ლექსი „უცხო“ მამუკას ზნეობრივი მოძღვრების გამომხატველია. ამ ლექსში პოეტი გვევლინება ჯანსაღი ზნეობის ადამიანად, მიუთითებს რა პატიოსან ოჯახურ დამოკიდებულებაზე.

მამუკას „ლექსის სწავლის წიგნიდან“ თვალნათლივ ჩანს, რომ იგი იყო მორწმუნე პოეტი. თავისი დამოკიდებულება რელიგიისადმი მამუკამ სწორედ ამ ტრაქტატში გამოხატა. ბუნებრივად იბადება კითხვა: როგორ მოხდა, რომ მორწმუნე პოეტი ასე უხვად ამუშავეს სატრფიალო-სამიჯნურო ხასიათის ლექსებს. საქმე ისაა, რომ რელიგიურად განწყობილ პოეტს სიყვარულის პრობლემა გადაწყვეტილი აქვს ისეთნაირად, როგორც ამას ქრისტიანული მორალი ქადაგებდა. ამიტომ მამუკა როდი არის ყოველგვარი მიჯნურობის წინააღმდეგი. მამუკა უარყოფს მხოლოდ ისეთ მიჯნურობას, რომელიც „კაცსა დასვრის“.

თავის პოეტიკურ ტრაქტატში მამუკა წერს: „თუ ქალის აშიყობაზე ვინდა, ცოლ-ქრმობის სიყვარულზედა თქვი და იმის გზებზე, როგორც პავლე დიდი მოციქული ისწავლება და რუსთველი ცოლ-ქრმობის სიყვარულს ისწავლება და აქებს“. როგორც მოყვანილი ციტატიდან ჩანს, მამუკა სხვა თემაზე არ გამორიცხავს „ქალის აშიყობაზე“ დაწერილ ლექსებს. ასეთ შემთხვევაში პოეტმა ცოლ-ქმრულ სიყვარულზე უნდა თქვას. უნდა აქოს ასეთი სიყვარული, ხოლო უნდა აძაგოს მრუშობა. მრუშობას მამუკა „ცუდ აშიყობას“ უწოდებს, ხოლო ასეთის შესახებ თბულლების დაწერას „ავზედ თქმას“.

მამუკას დასაშვებად მიაჩნია ქალ-ვაყის ლტოლვა ზნეობრივად გამართლებული ოჯახის შესაქმნელად, რადგან მას სწამს, რომ ოჯახი ერთადერთი პირობაა კაცობრიობის ზრდისა და შენარჩუნებისათვის. თანაც, პოეტისათვის უცხო არ იყო ის შეხედულება, რომელიც გამოთქმულია ვახტანგ მეფის მიერ „ვეფხისტყაოსნის“ კომენტარებში: „ესეც (ცოლქმრული სიყვარული.—გ.მ.) იმისივე სასუფეველის მიჯნურის მძღომის მიბაძვა არისო“<sup>1</sup>. ამიტომ მამუკას

<sup>1</sup> „ვეფხისტყაოსანი“, ვახტანგისეული გამოცემა 1712 წლისა, აღდგენილი აკაკი შანიძის მიერ, 1937 წ., გვ. ტ.

დადებითად აქვს გადაჭრილი ცოლქმრული სიყვარულის პრობლემა და „ცოლ-ქმრობის სიყვარულზე“ თქმას პოეტი ახორციელებს თავის პრაქტიკულ მოღვაწეობაში.

როგორც ვნახეთ, მ. ბარათაშვილს საკმაო უნარი შესწევს, რომ გადმოგვეცეს სიყვარულის ძალა. იგი ამისთვის მოხდენილად არჩევს პოეტურ საღებავებსა და ხერხებს. სატრფიალო-სამიჯნურო ლექსებში პოეტი გვევლინება როგორც ღრმა განცდებისა და გრძნობების მქონე ადამიანი, შეყვარებული გულის პატრონი, ზოგჯერ კი დასევდიანებული პიროვნება. ამასთან, სატრფიალო ლექსებშიც მამუკა გვევლინება როგორც უკეთესი მერმისით დაიმედებული ადამიანი.

ალსანიშნავია ისიც, რომ პოეტის მიერ სათარგმნელად შერჩეული ლექსები უკლებლივ სატრფიალო-სამიჯნურო ხასიათისაა. რა თქმა უნდა, მამუკას საგანგებოდ გამოუნახავს მისი განწყობილებების გამომხატველი და მისი შემოქმედებისათვის მონათესავე თხზულებები. ამიტომ თარგმნილ ლექსებს გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება მამუკას შემოქმედების შესასწავლად.

\* \* \*

მამუკასათვის უცხო არ არის სახოტბო მოტივებიც როგორც ვიცით, მამუკა ბარათაშვილი ჯერ ვახტანგ VI-ის, შემდეგ კი მისი შვილის ბაქარის კარის პოეტად ითვლებოდა. სწორედ ამ გარემოებამ გამოიწვია მის შემოქმედებაში ძველი ქართული საკარო პოეზიის ტრადიციის განახლება, ხოლო მათთან ურთიერთობამ განსაზღვრა მამუკას სახოტბო ლექსების კილო. ამ ლექსებში მამუკა აქებს და აღიდებს თავის პატრონებს, რადგან, მისი თქმით, „მონათაგან პატრონისა ხამს სიტყვანი საქებელნი“ („შაირის ტაეპი“), ხოლო ლექსში „იამბიკო“ პოეტი აცხადებს, რომ „ჩემი ხელმწიფე ჩემ საქებ არი“.

მამუკას შეუთხოვავს ვახტანგ მეფის ქება, რომელსაც „იამბიკო“ ეწოდება. ლექსი შედგება ოთხი ხუთტაეპიანი სტროფისაგან. აქ პოეტი აქებს თავის ხელმწიფეს, რომლის წინაშეც იგი ვალნადებარია. პოეტის თქმით, ვახტანგი ღმერთს ქართლის მეფედ, „ქართლის მპყრობად უმზადებია“. მამუკა სურათოვნად აგვიწერს ვახტანგის გარეგნობას და მის ზოგიერთ თვისებას:

მე, მონა მისი, მაქები მნახეთ,  
თვით გმირი ტანად, შევნიერ სახეთ,  
იტყვიან—ვახტანგ მებრძოლთა მახეთ,

არის დამძლევი ლახვართა მახეთ,  
ქართლისა მპყრობად მიწათა და ხეთ.

მამუკას დაუწერია აგრეთვე „ქება მეფის ბაქარისა“, რომელშიც „მეფეს ბაქარსა, სიტკობდ შაქარსა, აქებს მამუკა ბარათაშვილი“. ეს ოდა 63 სტროფს შეიცავს და დაწერილია ჩახრუხაული მეტრით. „ქებაში“ პოეტი აღნიშნავს, რომ იაკობ ღუმბაძემ შეაქო არჩილ მეფე, ხოლო ჩახრუხაძემ თამარი, და იქვე დაასკვნის: „დავრჩი ბაქარის მე მონა მქებადო“. მერე მამუკა ჩამოთელის სხვა მწერლებსაც, კერძოდ, „ძველთა მეფეთა, ძლიერთა, მხნეთა“, რომლებმაც „უხმეს მაჯამა“: თეიმურაზ პირველს, არჩილსა და ვახტანგს. იგი აღნიშნავს აგრეთვე, რომ „საბამ ქილილა, დაწვნი ილილა, შოთამ — ტარიას ტრფიალებანი“ და „სხვათ ვინმე სხვანი, რად აღრიცხვანი, აქეს სურვილით ცეცხლთა დებანი“.

მამუკა შემდეგნაირად აღწერს ბაქარის ფიზიკურ თვისებებს:

სიბრძნის ზღვა არსად, მისებრ სხვა არსად დაბადა ღმერთმან მისი სახენი,  
ტანი ვით სარო, მშვენიერ სარო, ფერხნი ვით ლოდი მძემუღ სახენი,  
აღვისა მკლავი, ბეჭ—შთა, მძლე მკლავი, მებრძოლთა ცუდო სიტყვა მკვახენი,  
ვეფხისებო მალ ის, მებრძოლმან მაღის თავი უჩინო, სად კლდე და ხენი.

თავისი ფიზიკური მონაცემებით, დასკვნის პოეტი, „ვერვინ უდარებს, ვინ მასთან დარებს, სწორნი უსწოროდ მისთვის მქენელიო“. ბაქარი აგრეთვე არის „სიბრძნითა სრული მართ ვითა პლატონ“. შემდეგ პოეტი აღტაცებული გრძნობებით ასეთ სტრიქონებს უძღვნის თავის ქების ობიექტს:

მეფეე ძლიერო, მტერთა მთხიერო, შებამწიერო, ძალთა მციერო,  
თანაზიერო, დასთა ციერო, ლომებო მშიერო, სჩან სახიერო,  
ლაშე მთიერო, წყობად მზიერო, მავნე მტკიერო, სხვათ თვით სვიერო,  
სახომიერო, ასაკიერო, კარგსიტყვიერო, მაშუქიერო!

„ქების“ 23—24-ე სტროფები პეტრე პირველს შეეხება. მასში პოეტი აღწერს პეტრეს სახელმწიფოებრივ და მიედრულ გამპკრიახობას, აქებს მის სიკმდიანობას, ახასიათებს რუსთა ხელმწიფეს, როგორც შეუღრეკელ მებრძოლს, სპეტაკსა და ქველს. აი, მამუკას ლექსის ეს სტროფები:

არს პეტრე დიდი, ვისა გწადს—მიდი, იხილე მისი ქვეყნის ვრცელობა,  
დიდი და მცირე თეთრთ რუსეთთ მპირე, მებრძოლი ძლევით, თვით აქეს  
ქველობა,  
სხვათა და სხვათა სამეფოთ სხვათა აქვან ძლიერად დამპერველობა,  
ოდენ ვთქვა დიდ არს, დიდებით მდიდარს ღმერთმან დიდ უქმნა დიდ-  
ბულობა.



პეტრე სპეტაკსა, ძალთა მეტაკსა, შეყრდნა შეწყფთ სამთა დიდებად,  
სიმზნის უღელი, ქრისტეს უღელი, მშვიდ განისწორეს მძლავრთა ჭიღებად;  
ცეცხლთა სროლანი, ვთ ქართ ქოლანი, მისი არს ძალა დაურიდებად,  
თვით ზღვათა მცურად, მხედარ და მქურად მებძოლთა ძლევად მიმოზი-  
დებად.

აქვე უნდა დავსძინოთ, რომ მამუკა ბარათაშვილამდე პეტრე დიდზე ლექსები დაუწერია არჩილ მეფეს, პეტრე პირველის პოლტავაში შედეგებზე გამარჯვების გამო<sup>1</sup> და „მეფეთა საქებელნი და სამხილებელნი“<sup>2</sup>. ადვილად შესაძლებელია, რომ მამუკას სკოდნო-და „მეფეთა საქებელნი“. თვითონ მამუკას სტრიქონები კი უცნობი არ უნდა ყოფილიყო დავ. გურამიშვილისათვის. ამ მირივ საინტერესოა პეტრეს დახასიათებისას მამუკას მიერ თქმული წინადადების — „თეთრთ რუსეთთ მქირე“ სრული დამოხვევა გურამიშვილის ქვემოთოყვანილ სიტყვებთან: „თეთრის რუსეთის მქირევილი“<sup>3</sup>.

ხოტბაში ჩანს პოეტის გეოგრაფიული ცოდნა და სასულიერო მწერლობის ღრმა დაუფლება. მამუკა იცნობს აგრეთვე ფილოსოფოსებსაც. ზოგჯერ „ქების“ ცალკეულ სტროფში ჩამოთვლილია ხოლმე გეოგრაფიული სახელები, ფილოსოფოსები, ბიბლიური პირები და სივ. ასე, მაგალითად, 23-ე სტროფში მამუკას ჩამოთვლილი აქვს მნათობნი: კრონოსი, მზე, ლომი (ზოდიაქო), დია, არია, მთვარე, ერმი, აფროდიტე; ხოლო 42-ე სტროფში შექმდეგი მნათობნი: ვოოტა, წოვარი, ქნარი, აგებარძი, თავდირი. ხოტბის 31-ე სტროფში მამუკას დასახელებული ჰყავს ფილოსოფოსები: კსისტ, ვარონ, ემან, კრატ, ვიას, ზინონ, აქსალორ, მენედიმ, პითაქ, კინიკ, მათე, ანკსიმე, დემონაკ, სიმონიდ, ეპკურ, დავითი, აპული, სოლონ, სოგრატ, ანტისტე, ბოლრატ, ფეოფრატ, ეპიკ, პითალორ. „ქების“ 57-ე სტროფში იხსენიება ბიბლიური პირები: ანდრია, პავლე, გიორგი, დავით, გედეონ, გაბრიელ, ბარნაბა, ანგია, ბარუქ, ანანია, ელისე, რაზდონ და ელია. 32-ე სტროფში პოეტს ჩამოთვლილი აქვს შემდეგი ქართული საკრავები: ნემტვი, ჩანგი, წინწილი, ბარბითი, ავილი || ავლი, ორდანო, ზროხაკული, ბობლნი, ქნარი, ათძალი, ებანი, ტაბლაკი, კიმონი და დაფი.

<sup>1</sup> ვლ. ტატისვილი, ქართულები მოსკოვში, გაზ. „ლიტ. და ხელოვნება“, 1949 წ., № 35.

<sup>2</sup> „არჩილიანი“, ტ. I, აღ. ბარამიძისა და ნ. ბერძენიშვილის რედ., 1936 წ., გვ. 237—239, სტროფები 62—70.

<sup>3</sup> „დავითიანი“, 1955 წ., გვ. 53.

„ქებაში“ მამუკა ბაძაეს ჩახრუხაძესა და იაკობ დუმბაძეს, რომელმაც იოანე შავთელის „აბდულმესიანიში“, თამარისა და დავითის ნაცვლად, ყველგან არჩილი ჩასწერა და ამგვარად ის არჩილ-მეფის ხოტბად გადააქეთა<sup>1</sup>. ამის შესახებ პოეტი ამბობს, რომ მე მივბაძავ „ბრძენსა მას ორსა, თვით სცნობდეთ სწორსაო“.

„ბაქარ მეფის ქებაში“ პოეტი ადგილ-ადგილ იმეორებს „აბდულმესიანის“ პოეტურ ხერხებსა და საშუალებებს, მეტაფორებს, ჰიპერბოლებს, ეპითეტებს და სხვ. ერთი სიტყვით, არცთუ ისე იწვიათად „აბდულმესიანის“ სახეებით ამკობს მამუკა ბარათაშვილი ბაქარს“<sup>2</sup>. მიუხედავად ამისა, მამუკას დასახელებული ლექსი უცილობლად ორიგინალური შემოქმედების ნაყოფია და წინა დროის მხოტბეთა თხზულებათაგან ძირითადად შთაგონებულია საერთო აღნაგობის მხრივ.

აქვე უნდა შევჩერდეთ ერთ საინტერესო საკითხზეც. „ბაქარ მეფის ქება“ მამუკას დაუწერია 1734 წელს, ბაქარის სიცოცხლეში. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში დაცული ხელნაწერის (S303) მიხედვით კი „ქების“ ბოლო ორი სტროფი (სტრ. 62 და 63) შემდგენიარად იკითხება:

ვა ჩემთვის ხშირად არვინ თქვის ძვირად. რა ნება სრულ ქმნა ზეგარდმო  
ძალმან,  
მისცვალა ამით, დღე შემქნა ღამით, სიბნელით დამწვა სიობლის აქმან.  
ესტირ მამებარად, ხშირ მამებარად, საყეთ სრულ ყვის ზღვით ღომის  
ბრკალმან,  
მათეს ქენება, მიწყვი ხსენება, ძალთანა სწიოს მწვერვალთა მალმან.

შეკრბეს ქართველნი, თვალ ცრემლით სველნი, განკვირვებულან შენაა  
წოლასა,  
გიხმობენ საწყლად, თავთ ზედან დაკლვად, არა ჩვეულნი შეჭხედენ ძრწო-  
ლაა,  
დაირღვა თემი, სამკვიდრო ჩემი, ვერავინ იძლეეს ყუათა ყოლასა.  
ვისკენ მიემართოთ, რა დავიმართოთ, ვერ განგვიმარტავს დასაქოლავსა.

ჯერ კიდევ პროფ. ალ. ბარამიძემ აღნიშნა, რომ „შინაარსის მხრით გაკვირვებას იწვევს ქების ერთ-ერთი უკანასკნელი სტრო-

<sup>1</sup> იაკობ დუმბაძის აღნიშნული საქმიანობა უცნობი არ იყო მამუკაშათვის, რადგან ის იაკობს „მბაძეს“ ანუ მიმბაძველს უწოდებს.

<sup>2</sup> ალ. ბარამიძე, ნარკვევები, I, 1945 წ., გვ. 134. შდრ. აგრ. მისივე, ნარკვევები, II, 1940 წ., გვ. 459.

ფი<sup>1</sup>. მკვლევარი ჩააფიქრა მამუკას სიტყვებმა: „შეკრბეს ქართველნი, თვალ ცრემლით სველნი, განკვირვებულან შენსა წოლასა“ და სხვ. ალბათ, მკვლევარი ფიქრობდა, რომ „ქება“ დაწერილია ბაქარის სიცოცხლეში, მაშასადაე, აქ არ შეიძლება საქმე გვქონდეს სამგლოვიარო ხასიათის სტრიქონებთანო. ამიტომ იგი ასეთ განმარტებას აძლევს „ქების“ ბოლო სტროფს: „მამუკა პატრიოტულ ურვას შეუპყრია (დაიარღვა თემი, სამკვიდრო ჩემია), ერთგვარი საყვედურით მიჰმართავს ქების ობიექტს პასიფიკისათვის (ქართველნი... განკვირვებულან შენსა წოლასა) და მოუწოდებს მოემდებინაქენო“<sup>2</sup>.

პროფ. კოონ. კეკელიძე „ქების“ ბოლო ორი სტროფის მიხედვით ასკვნიდა, რომ მამუკას „ტრემლები მოსდის, როდესაც მოიგონებს: „დაიარღვა თემი, სამკვიდრო ჩემიო“<sup>3</sup>, ე. ი. მამუკას ტირილი თემის დარღვევის გამო არის გამოწვეულიო.

ჩვენი ფიქრით, „ქების“ ბოლო ორი სტროფი აშკარად სამგლოვიარო ხასიათისაა, მასში გადმოცემულია ბაქარის დატირება რუსეთში მყოფი ქართველების მიერ. ამ სტროფებში შემდეგია მოთხრობილი: ბაქარის გარდაცვალებით მამუკას დღე დაუბნელდა, დაობლდა, რის გამოც პოეტი ტირის. ქართველები შეკრებილან „თვალ ცრემლით სველნი“, ღრმად დამწუხრებულან ბაქარის სიკვდილით. ბაქარის გარდაცვალების გამო „დაიარღვა თემი“. ობლად დარჩენილმა ქართველებმა აღარ იციან ვის მიმართონ, როგორ მოიქცენ.

საკითხავია, როგორ მოხდა, რომ ბაქარის სიცოცხლეში, 1734 წელს დაწერილ „ქებაში“ შეტანილია ბაქარის გარდაცვალების ამბავი.

ქ. ლენინგრადში, საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ქართულ ხელნაწერთა ფონდში ინახება „ქების“ მეორე ცალი, რომელიც წარმოადგენს ავტორიზებულ ნუსხას. ხელნაწერი თავდება 61-ე სტროფით. ამის შემდეგ მამუკას დაუწყია ლექსის გაგრძელება და საკუთარი ხელით მიუწერია ჩვენთვის საინტერესო სტროფები.

ლენინგრადისეული ხელნაწერის შესწავლას შემდეგ დასკვნამდე მივყავართ: ბოლო ორი სტროფი „ქებას“ თავდაპირველად არ

<sup>1</sup> აღ. ბარამიძე, ნარკვევები, II, 1940 წ., გვ. 459.

<sup>2</sup> იქვე. შდრ. აგრ. მისივე, პატრიოტული მოტივები ძველ ქართულ პოეზიაში (XVI—XVIII სს.), 1942 წ., გვ. 63.

<sup>3</sup> „ძველი ქართ. ლიტერატურის ისტორია“, ტ. II, 1941 წ., გვ. 580.

ჰქონდა, ბაქარის გარდაცვალების შემდეგ დაუწერია მამუკას მოყვანილი სამგლოვიარო სტრიქონები<sup>1</sup>.

რადგან ბაქარი გარდაიცვალა 1750 წელს და აღნიშნულ სტროფებში გადმოცემულია ბაქარის გარდაცვალებით გამოწვეული უშუალო განცდა-განწყობილება, „ქების“ ბოლო ორი სტროფი მამუკას ბაქარის გარდაცვალებისთანავე უნდა შეეთხზა, ე. ი. 1750 წელს.

ამრიგად, ლენინგრაძისეული ხელნაწერით ირკვევა, რომ „ბაქარ მეფის ქების“ ბოლო ორ სტროფში გადმოცემულია ბაქარის დატირება რუსეთში წყოფი ქართველების მიერ<sup>2</sup>.

„ბაქარ მეფის ქებით“ მამუკა ბარათაშვილმა აღადგინა ძველი ქართული საკარო პოეზიის ტრადიცია და პირველმა გამოიყენა ახალი ქართული ოდა. ამიტომ სწორი არ არის ის შეხედულება, თითქოს „ბესიკმა შეჰქმნა... ახალი ქართული ოდა“<sup>3</sup>. აღნიშნული მოსაზრება უმართებულოდ სცნო ჯერ კდევეტო. რუხაძემ, რომელიც წერდა: „პრიორიტეტი ამ შემთხვევაში ეკუთვნით მამუკა ბარათაშვილს ან თეიმურაზ I და II და არა ბესიკს“<sup>4</sup>.

უნდა აღვნიშნოთ, რომ თეიმურაზ I არ შეუთხზავს სახოტბო ლექსი, მან გამოიყენა სახოტბო ლექსის მხოლოდ საზომი (იხ. ლექსი „შვიდთა კრებათათვის“). ამიტომ გამორიცხულია მისი დამსახურება ამ ნხრივ. რაც შეეხება თეიმურაზ II, მან მართლაც დაწერა „ქება სრისა“, მაგრამ ეს ლექსი შეთხზულია თითქმის ორი ათეული წლის შემდეგ მამუკას ლექსის დაწერიდან. თეიმურაზ II დასახელებული ლექსი დაუწერია 1753 წლის შემდეგ, რადგან სასახლის აგების თაობაზე პოეტი ამბობს: „მას ჟამსა ქორონიკონი უნ მანნი ანი ჯდებოდაო“<sup>5</sup>. მაშასადამე, თეიმურაზ მეორესაც ვერ მივაკუთვნებთ პრიორიტეტს ახალი ოდის შემოღების საქმეში.

\* \* \*  
✠ მამუკასთან ვხვდებით დიდაქტიკური ხასიათის ლექსებსაც. თვითონ პოეტი ამის შესახებ ამბობს: „ვჰსწერ მრავალთა სასწავლოსა, თუმც არ ქარტამ გაისვა ისო“ („შაირის ლექსი“). მართა-

<sup>1</sup> შემდეგ ეს მოსაზრება გაიზიარა პროფ. კორნ. კეკელიძემ („ძველი ქართ-  
მწერლობის ისტორია“, ტ. II, 1952 წ., გვ. 521).

<sup>2</sup> გ. შიქაძე, ბაქარ მეფის ქება მამუკა ბარათაშვილისა, გაზ. „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1952 წ., № 23.

<sup>3</sup> გ. ლეონიძე, ძიებანი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. I, 1949 წ., გვ. 173.

<sup>4</sup> იხ. რეცენზია გ. ლეონიძის წიგნზე: „ლიტერატურული ძიებანი“, VII, 1951 წ., გვ. 351.

<sup>5</sup> თეიმურაზ მეორე, თხზ. სრული კრებული, გ. ჯაკობიას რედ., 1939 წ., გვ. 108.

ლია, ისეთი სიმკვეთრით არა, როგორც ამას ვხედავთ არჩილის, ვახტანგისა და დავ. გურამიშვილის შემოქმედებაში, მაგრაჰ მანის შემინიშნება მამუკას ნაწერებში დიდაქტიკური მოტივი. ამ მხრივ ძალზე საინტერესოა ლექსები: „შაირის ტაეპი“, „ლექსი მოკლე“, „გრძელშაირის ლექსი“, „გრძელშაირის ტაეპი“ და სხვ. ზნეობრივი დარიგებანი საკმაოდ არის მოცემული პოემა „ჯიმშედინიანი“.

მამუკას დიდაქტიკა გვაფიქრებანებს, რომ ვახტანგ მეფის „სიბრძნე მალალობელის“ გარდა, იგი იცნობდა უთუოდ არჩილის დიდაქტიკურ თხზულებებსაც.

სივათა შორის, პოეტს შეუქმნია საკუთარი სენტენცია-აფორიზმებიც. აი, მათი რამდენიმე ნიმუში:

1. ავი ავთათვის ნუ გშურან...  
(„გრძელი შაირი“);
2. ვერვინა სვას სათავისა წყარო სწორად მონადენი  
(„შაირის ტაეპი“);
3. ვის საპურველი უსუსტებს, არ ვარგა ძისგან ბრძოლანი  
(„გრძელშაირის ტაეპი“);
4. თეუხი წყალთა ზის, მკერულმან ბამს შექმნას ფერხი სველია  
(„გრძელშაირის ტაეპი“);
5. მართალ არს: ვისცა აშორავს თვალნი, გულნიცა შორავსა  
(„ჯიმშედინიანი“, სტრ. 531);
6. მგზავრი მოცდება დგომითა, უშჯობესია ტარება  
(„გრძელშაირის ტაეპი“);
7. მსგავსსა მოგვეგოს მსგავსება თქვენი თქვენთავე წყევისა  
(„შერეული“, სტრ. 1);
8. მცარე წინწალმან საწვავად ახმილი შექმნას ვრცელია  
(„ჯიმშედინიანი“, სტრ. 97);
9. მძივის ამწევსა უმართებს არ სუატაჟ განა კიდება?  
(„გრძელშაირის ტაეპი“);
10. ნუ ემღურვით სოფელს მწყენად. ავი ავთა უნდა მკმენად!  
(„რეული“, სტრ. 3);
11. ოჲსა არა აქვს გარჩევა აზნაურება, გლუხება,  
ხელმწიფესა და მონასა მახვილი სწორად ეხება  
(„ჯიმშედინიანი“, სტრ. 285);
12. სჯობან მცირედი მართლისა, ვიდრე მრავალთა მრუდისა  
(„ჯიმშედინიანი“, სტრ. 284);
13. შიში, კრძალვა და სირცხვილი უმეცარს გააბძენებსა  
(„ჯიმშედინიანი“, სტრ. 12);
14. ცოტა მკლავთაგან მოიმკის თივა მკელ ბევრის-ბევრია  
(„ჯიმშედინიანი“, სტრ. 483);
15. ცუდია დევნა წასულთა, არ ვარგა ბევრთა თხრობანი  
(„ჯიმშედინიანი“, სტრ. 82);

16. წამ შუცდენილსა სიბრძენსა ძიება უნდა გრძელია  
(„ჯიმმელიანი“, სტრ. 97);
17. კირნახული ჰყოს ლელწამი, შაქარს იქმს გამოდენასა  
(„გრძელშაირის ტაეპი“);
18. ჰაერში მოჰკლავს ხე ორბსა, მისთავე ფრთეთა წებული  
(„გრძელშაირის ტაეპი“).

\* \* \*

„ლექსის სწავლის წიგნში“ მამუკას გატარებული აქვს ის მოსაზრება, რომ პოეზიის საგანს უმთავრესად საღვთო, საეკლესიო თემები უნდა შეადგენდეს. ამასვე იმეორებს მამუკა „ჯიმმელიანის“ შესავალშიც: „ლექსი ქებდეს მალალსა ღმრთისა ტრფიალთა ნდომასაო“. თავის პრაქტიკულ მოღვაწეობაში კი პოეტი-თეორეტიკოსი ნაკლებად ახორციელებს ამ შეხედულებას. საღვთო თემაზე მან მხოლოდ ერთი თხზულება დაწერა. ეს არის საკმაოდ ვრცელი ლექსი, რომელსაც პოეტმა „წამებული“ უწოდა: „წიგნს წამებული ვუწოდე, ვისა მრწამს მათი მხერანიო“. „წამებული“ მამუკას დაუწერია ქ. ასტრახანში 1725 წლის 9 დეკემბერს. ეს ნაწარმოები მამუკას პირველი ლექსია. თავისი პოეტური ნათლობის შესახებ მამუკა წერს:

ვით კარგთან ავიც უშიშრად ჰსძოვს ველსა დაშორებითა,  
რაც რამ მელაყბოს უშვერად, უმეტრად. სიტყვა გებითა,  
მკითხველმან მიყოს წყალობა შენდობით, არ გაგდებითა,  
პირველ ნათქვამხედ არ შემქმნათ სირცხვილის  
ცეცხლთა დებითა.

„წამებული“ შედგება 108 სტროფისაგან. თხზულებაში გალექსილია მთელი წლის წმინდანთა სახელები. საეკლესიო ტრადიციისდა გვარად. თხზულება იწყება სექტემბრის თვით. „წამებული“ იმავე ხასიათის „გალექსილი კალენდარია“, როგორც იოანე პეტრიწს გაღმოულია ქრისტეფორე მიტილენელის შრომიდან<sup>1</sup>.

შესავლის მერე თხზულება იწყება შექმდეგი სტროფით:

ღირსსა სვიმიონ[ს], კალისტეს და ეროგინეს, ისოსა,  
იოანეს და მამანტის, მათ წმიდათ, რ უღირსოსა;  
ანთიმოს[ს] და თეოქტისტეს, შორით არ გარდამისოსა,  
ბაბილასა და მოაგესა ვვედრებ მტერი მიწრ სოსა<sup>2</sup>.

„წამებული“ მამუკას გაულექსიავს „უანის“ მიხედვით. უფრო სწორად, მამუკას „უანინდან“ აულია ის თავი, რომელსაც „თოჟს-

<sup>1</sup> კ. ქეკელიძე, ძველი ქართ. მწერლობის ისტორია, II, 1952 წ., გვ. 520.

<sup>2</sup> ხელნაწერში: მტერთ მომიკრისოსა.

თა“ ეწოდება. პოეტს დედანი მთლიანად არ გაუღეკსავს, რის შე-  
სახებაც თვითონვე წერს:

ვთქვი „ჟამნთა“ მიერ რიგისად, დღე დღისად გარიგებული,  
თვითო ტაეპის მოწამე თვითო დღისა ვჰყავ კებული,  
რაც ვერ გავაწყვევ ლექსთა თქმით, დედანთა არის დებული,  
მე არ ძალ-მედვა, მკითხველნო, თვით იცით, ვინც ხართ მცნებული.

მამუქას „წამებული“ მხატვრულობის თვალსაზრისით მეტად  
მდარე და უმნიშვნელო ნაწარმოებია.

მართალია, მამუქას „წამებულის“ გარდა რელიგიურ თემაზე  
სხვა თხზულება არ დაუწერია, მაგრამ მისი შემოქმედების გაცნო-  
ბისთანავე იგი აშკარად ქრისტიანული სარწმუნოების მიმდევრად  
და მქადაგებლად გვევლინება. ლექსში „შერეული“ მამუქას გატა-  
რებული აქვს ის აზრი, რომ „არ მიჰსცა ღმერთმან ბოროტი, ვინ  
მისი მინდობილია“ (სტრ. 3). მორწმუნე პოეტი სავსებით დარ-  
წმუნებულია განგების მფარველობის ძალაში: „შემწევს მე ძალი  
მალისა, ჩემ ბრძოლად ძალ-გიძთ, ჰე. ვისაო“ (სტრ. 1). პოეტის  
რელიგიური განწყობილებანი მკაფიოდ მოჩანს პოემა „ჯიმშედი-  
ნის“ იმ სტრიქონებში, რომლებიც დამოკიდებული არ არის პრო-  
ზაული ტექსტისაგან. ასე, მაგალითად, პოეტს სწამს, რომ „ბორო-  
ტით გასრულებულსა რისხავს მფლობელი ზენარი“ (სტრ. 183).  
ამიტომ იგი პოემის ერთ-ერთ გმირს ათქმევინებს: „ემშაკისა ბო-  
როტება ღმრთისა ძალით განეაქარეო“ (სტრ. 154).

მამუქას მსოფლმხედველობისათვის ნიშანდობლივია ბედისწე-  
რის მიმდევრობაც. პოეტის თქმით, განგების მიერ მოცემული  
ბრძაიება ადამიანს არ აცილდება:

ვერვინ შესცვალოს ბრძანება ზეგარდმო ძალთა მწყობისა,  
მოკლვა უღმრთო სიმალღე. ძალი ლახჯართა სობისა,  
არვის მიეცეს სიმტკიცე რომელთა თავთა მნდობისა,  
ამალღეს გული მდაბალი, ზეჰარი დაიმზობისა. (სტრ. 160)

ძალზე საინტერესოა პოემის შესავალი (15—16-ე სტროფები),  
რომელშიც მოკემულია ბიოგრაფიული ცნობა და მოთხრობილია  
ქრისტიანული სარწმუნოებიდან გადაბირების, „სულის მიტაცების“  
შესახებ:

მე ვარ ვისიმე ტრფალი საყვარელისა ჩემისა,  
იგი ხემწიფობს ციერთა, ვინ ქვეყნად შეუმწყემისა,  
ერთია იგი სინათლე ნათელთა გამომ იმისა;  
ვიდრე არ მოვკვდე, იტყვიან, ნება არ მოგვემისა.

ტრფილას მამორებს ბოროტნი, არა აქვთ ჩემი თნებანი,  
მზა შეუქნიათ მოღებად უშაკრე გემოვებანი,  
სწადსთ შევსვა. სული მიმტაცონ, მასჲან არ მქონდეს ნებანი,  
რა ერგო, მიკვირს, წყეულთა ჩემთა და თათა ვნებანი.

\* \* \*

„ლექსის სწავლის წიგნში“ მამუკა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს საგმირო-სარაინდო თემებს. იგი მოითხოვს მხატვრული ჩაწარჩობის საშუალებით სამშობლოსათვის გამოსადეგი ფალაგნებისა და გმირების აღზრდას, რაც ეპოქის მოთხოვნისაგანაა გამოწვეული. იმდროინდელ საქართველოს მართლაც ესაქიროებოდა გმირები მ-უ-ხედავად ამისა, საფალავნო ამბებზე მან გალექსა მხოლოდ ერთი თხზულება, რომლისთვისაც შემდეგი სათაური მიუცია: „წყება პირველი წიგნისა ამის ჯიმშედინისა. გალექსული მამუკა ბართაშვილისა მიერ, ანბავთავან რუსულდანიანისა განოღებული ბრძანებით“.

როგორც სათაურიდანაც ჩანს, „ჯიმშედინი“ მამუკას გაულექსაღეს ვახტანგ მეუის ბრძანებით. ამასვე იმეორებს მამუკა პონინის შესავალშიც: „მიბრძანეს ლექსთა შემკობა ჭებად ჯიმშედის გმირისაო“ (სტრ. 13). ქართული მწერლობის დიდ მოამაგეს ვახტანგ VI, აღბათ, „ამირანდარეჯანიანის“ გამლექსაღვის სულხან თანიაწვილის მოწოდება — „ლექს უფრო ყურსა უპყრობენ, ამბას წიგნები ძეს ავად“ ჰქონდა მიედველობაში, როცა მამუკას ავალებდა „ჯიმშედინის“ გალექსვას<sup>1</sup>.

ქართული სახლპრო ნაწარმოები „რუსულდანიანი“, რო,ორც უკვე გამოჩვეულია, შეთხზული უნდა იყოს არა-უადრეს XVII საუკუნისა. თხზულების ავტორის ვინაობა უცნობია. თხზულების ძირითად ნაწილს წარმოადგენს მწუთარებამი მყოფი რუსულდანის სანუგეშებლად წარმოთქმული თორმეტი ზლაპარი, რომელთა უმეტესი ნაწილი საღვეგმირო ხასიათისაა. „ანბავთავან რუსულდანიანისა“ მამუკას გაულექსაღეს მეორე თავი, რომელსაც ეწოდება: „ამბავი ხათაელთ ჭელმწიფისა ტომერანისა და ძიაა მისისა ჯიმშედისა“<sup>2</sup>. ეს თავი დამოუკიდებელ თხზულებადაც კი არსებობს „ამბავი ჯიმშედ ხელმწიფისას“ სახელწოდებით (S 551).

<sup>1</sup> პოეტი აკადემიკოსის გ. ლონიძის მოსაზრებით, ვახტანგ VI-ის მეუღლის, ზერქებთ ბატონის ასულის „რუსულდანის „საკებრათ“ დაწერილია მამუკა ბართაშვილის „ჯიმშედინი“ (ს. ს. ორბელიანი, სიბრძნე-სიტრუისა, გ. ლეონიძის რედ., 19.8 წ., გვ. LXXXV).

<sup>2</sup> S 436, ფ. 76r—158 r; S 369B, გვ. 267—405.



„რუსუდანიანის“ მეორე თავი კარგადაა ცნობილი სამეკნიერო ლიტერატურაში. მისი მოკლე შინაარსი ფრანგულად გადმოცემული აქვს ჯერ კიდევ აკად. მარი ბროსეს<sup>1</sup>. შემდეგ ეს ზღაპარი დაბეჭდა პროფ. დ. ჩუბინაშვილმა<sup>2</sup>. ზღაპრის შინაარსი ვრცლად გადმოსცა რუსულად ალ. ხახანაშვილმა<sup>3</sup>. მის წიგნშივეა დაბეჭდილი შემოკლებულად ქართული ტექსტი<sup>4</sup>.

დღემდე დაცულია „რუსუდანიანის“ ხელნაწერების არცთუ ისე მცირე რიცხვი<sup>5</sup>, რომლებიც ერთმანეთისაგან რედაქციულად ძირითადად არ განსხვავდებიან. ჩვენთვის საინტერესოა მეორე კარის მდგომარეობა ამ მხრივ. აქაც რედაქციული სხვაობა არ ჩანს. სხვაობა შეინიშნება უთავრესად ნაწარმოების დასაბოლოებაში. ასე. მაგალითად, ხელნაწერ S 436-ში თხზულება 11 თავისაგან შედგება, ხოლო ხელნაწერ S 3698-ში კი—12 თავისაგან. ამას გარდა, აქ ორი ხელნაწერის შეჯერებიდან ირკვევს, რომ ერთი სათაური—„აქა მამასთან წიგნის მიწერა ჯიმშედისაგან“ (ფ 131 r), რომელიც S 435 ხელნაწერში არის, არ არის S 3698 ხელნაწერში და, პირიქით, ორი სათაური—„აქა დევის ქალაქში მისვლა ჯიმშედისაგან“ (გვ. 329) და „აქა ქორწილი შინა ჯიმშედისა და მათისაგან ხელწიფედ დალოცვა“ (გვ. 392), რომლებიც არის S 3698 ხელნაწერში, არ არის S 436 ხელნაწერში.

ახლა ვნახოთ, რა მიმართებაშია ამ მხრივ აღნიშნულ ხელნაწერებთან მამუკას „ჯიმშედიანი“. მამუკას თხზულება 12 თავისაგან შედგება და, რაც მთავარია, მასში მოცემულია ორივე ხელნაწერის დასაბოლოება, ე. ი. მასში მოცემულია ის სათაურებიც, რომლებიც აკლია აი ერთ, ან მეორე ხელნაწერს. აქედან დასკვნა: მამუკას ხელთ უნდა ჰქონოდა „რუსუდანიანის“ ისეთი ხელნაწერი, რომელშიც მოცემული იყო ორივე ხელნაწერის სათაურები ან, რაც უფრო საეჭვოა, მას უნდა ესარგებლა „რუსუდანიანის“ რამდენიმე ხელნაწერით.

„ჯიმშედიანია“ შესავალში პოეტი აღნიშნავს:

<sup>1</sup> *Bullet. Scientifiquo*, 1938, IV, 53—62; *Bullet. de l'Acad.*, 1878, t. XXIV.

<sup>2</sup> „ქართული ქრისტომატი“, ნაწ. I, 1846 წ., გვ. 36—73.

<sup>3</sup> „Очерки...“, III. стр. 13—17.

<sup>4</sup> „ქართული სიტყვიერების ისტორია (უძველესი დროიდან XVIII საუკუნამდე)“, 1919 წ., გვ. 323—324.

<sup>5</sup> S 436, S 3698, საქ. ცენტრარქივის ქართ. ხელნაწერთა კოლექცია, № 102, S 23, S 2541, Q 363, H 65 და სხვ.

ამასვე დასძენს მამუკა მეორე ადგილას: „ვარ ამბის ლექსად  
შემცვლელიო“ (სტრ. 20). საინტერესოა გავარკვიოთ, როგორ  
„შესცვალა ლექსად“ მამუკამ პროზაული ტექსტი, რა ურთიერთობა  
შეიქმნა მამუკას გალექსილი „ჯიმშედიანი“ პროზაულ ტექსტთან.

საერთოდ, მამუკა თითქმის ზედმიწევნით იმეორებს პროზაულ  
ტექსტს, პროზაული ტექსტის არც ერთი მნიშვნელოვანი დეტალი  
მას არ გამოუტოვებია, მოხერხებულად საზღვებლობს ტექსტის სი-  
ტყუებითა და გამოთქმებით. გალექსიანი არ მიმართავს არც ერთ  
ახალ ეპიზოდს, არ განოქყავს ახალი მოქმედი პირები. ერთი სიტყ-  
ვით, როგორც სამართლიანად შენიშნავს პროფ. კორნ. კეკელიძე,  
„მამუკას პროზაული „ჯიმშედიანი“ გაულექსიანს ზედმიწევნითი  
სიახლოვით, პარაგრაფუ პარაგრაფზე და აძბავი ამბავზე, ფაქტო-  
ბრივი მასალა გამოტოვებული არაა“<sup>1</sup>.

მართალია, პროზაული ტექსტი და გალექსილი „ჯიმშედიანი“  
ზოგად ხაზებში ერთნაირია, მაგრამ ეს ისე კი არ უნდა გავიკოთ,  
თითქოს მამუკა ბრმად მიჰყვება ორიგინალს და თავის პოეტურ  
ნიჭს არ ავლენს თხზულების გალექსივის დროს. მიუხედავად ყოვე-  
ლივე ზემოთქულისა, გალექსილი „ჯიმშედიანი“ პროზაული საგან  
მანც განსხვავდება. ხშირად მარუჟა ძიმართავს შექმნილი სიტუა-  
ციების უფრო დახუსტებით აღწერას, პროზაული ტექსტი მამუკას  
გაუმდიდრებია თავისი დიდაქტიკური ხასიათით სტროფებით, ზოგ-  
ჯერ ფქტების უფრო ზუატად გადმოკეპით, ზოგიერთი ეპაზოდი  
მამუკას თან გაერცობილია, ალაგ-ალაგ კი შეუპოკლებია თხზულე-  
ბის მიატკრული ადგალები. იქის ნათელსაყოფად, თუ როგორ  
ეპკრობა მამუკა ბარათაძვილი პროზაულ ტექსტს, საილუატრა-  
ციოდ მოვიკვამთ ნიმუშებს პირველი სამი თავიდან<sup>2</sup>.

## I. მამუკას არ გაულექსიანს პროზაული ტექსტის მხატვრული ადგილები

1. რა კერცხის ხსენება ხელმწიფემ  
გაიგონა, ასე გაჯავოდა ორმ. თუ  
სარქა: პირით ალი აპოადიოდა  
(ფ. 80 v).

<sup>1</sup> „ძველი ქართული მწიროლობის ისტორია“. ტ. II, 1952 წ., გვ. 328.

<sup>2</sup> პროზაულ ტექსტზე მითითებისას ყველგან ვსაოგებლობთ S 436 ხელნაწერთ.

2. ხელმწიფის შვიდი გულალმა ჩდია სისხლისაგან შესუსტებული, რომ მისი ვარდისფერი ლოყები ზაფრანისფერად შექნია და ის გმირი ტანი და ალვის მზგავსი (ხელნაწერშია: მგზავსი) ხელი და ფეხი უძრავად უყრია (ფ. 83 ო).
3. ასეთი დაიწვილა რომე, ასე ვთქვი, ცა ქუხს და ქვეყანა იძვრის-მეთქი (ფ. 84 ო) და სხვ.

## II. მამუკა ამოკლებს კროჯაული ტემსტის მხაღმრულად გილებს

1. ავდეგ და წამოველ. სისხლის კვალის მისდევდა, იმას მივეყვ, მაგრამ უცხო სისხლი სდენოდა. ერთი ალაჯი გზა იყო და აქათ-იქამდი, ასე ეგონებოდა კაცსა. რომ გზაზე ყირმიზი ქვა ჩაუსხამსო. ის სისხლი რომ გამშრალიყო, სიპივით შექნილიყო. მივეყვ იმ სისხლსა და მიიქელ, სადაც ვეშაპი მოეკლა. დაფხედე. მე მკვდრისაგანც შევზარდი, ცოცხლისა მისგან კაცს როგორ არ შეეშინდებოდა? მის უსაკვირველესი და უდიდესი ვეშაპი მას აქეთა აღარ მინახავ, თორემ მაშინ როგორ მენახა. თავი სპილოს ოდენი ჰქონდა. ფაფარი მის განსა ფარვიდა, ტანი მისი შავს მთას გვანდა, ჯაგარი თითო მტკაველი უფრო ესა. ერთი ფეხი მოღვერ და წამოვიღე და მოუტანე, ოღომც, მოწიფელობა არ გიქნია-მეთქი (ფ. 85 ო).
2. შუალამისა ქამი რომ შეიქნა, ასეთი სინათლე მოვიდა, რომე ის მინდორი და ხე ასე განათლდა, ასე ვთქვი, სულ ცეცხლით ანთო (ხელნაწერშია: ანეთო) მეთქი. გამოვიდა ერთი შენიარაი ქალი, მისიხიდალმე მოვიდა და თავს დამადგა (ფ. 85 ო).

გავემართე საძიგბად  
ვეშაპისა გასმცნულად,  
სისხლით ვპოვე იგი მძოვრი,  
მიწას აჩნდა ვითა ბნელად.  
(122, 3-4)

ენახე, გავეკირდი, სიდიდე  
რისამცა დასადარებდა.  
ქეჩოთა სიზრტე ჯაგარი  
მრთლად ტანთა დასაფარებდა.  
ფერხი მოკვეთე, მოვიღე,  
ძლივ ძლებად ჩემდა წარებდა.  
ეკადრე, არა ხარ ნაკლებად  
თქვენთა სწოროთანა გარებდა.  
(123)

შეზანა რამე ჩვენება  
ნათლად ქალისა სახითა..  
(125,1)

3. ერთი ასეთი დაიწვილა, რომე ასრე ვთქვი— ამ ყურში თოფი გამაგდეს (!)-მეთქი. შეიძრა სრულ ის ბალი და, რაც ხის ძირი იყო, გუნდი და გუნდი გველი ამოვიდა, შემოგვებია გარე და წავიკარით ქმალს. (ფ. 90 r).

4. [ალმასის გველი] ასე მოვა, რომე რაგინდ მოწმენდილი იყოს [ცა], ქუხილი და ელვა შეიქნებაო; ასეთი ტკრციალი და წვიმა [წაშოვა]. რომ კაცს ტყუა აეშლება. რა მოვა, უწინ ცეცხლის ფერად ერეწება [კაცსა], მერმე ალმასის ფერად ქვრციალს დაიწყებს (ფ. 91v).

5. ოდეს მივახლოვდით და დაეხედეთ, იგი ტვერი თურე ბალი იყო ასეთი, რომ ერთის ქვიცუნის ოდენი იყო. გალავანი სულ მწვანისა და წითლის კვით აგებული იყო, ასე შეწყობილი, რომ ღენაზა, მისი უამესი აღარა იქნებოდა რა. რაც ქუეყანაზედ რამ მოქმედება რამ არი კაცისა თუ პირუტყვისა (ხელნაწერშია: პირიტყვისა), ფრინველისა, ნადირისა, ხისა თუ ბალახისა, მოძრავისა და თუ უძრავისა, — ყოველიფერი მათ ქუვათაგან გამოწყუვანილი და ისე შეწყობილი ნაგები იყო. კარი ეზა ეკალმუხისა, ოქროთა და ლაქვრდითა ნაჭრელები, და გალავანი მოდაბლო ევლო, რომე გარედამ მის ბალისა

დაიშტვინა, გველი მიწით ჩვენთვის მტერად აღმოსევით, ორთა მათად სახოცველად ხელი ხშალთა წამოწვივით.

(153, 2-3)

მოსვლა მისი ცათა ქეხით, დღე ნათელთა დასაბნელად.

(156,4)

სამოთხე ტურთად დასხმული ენახეთ რა სიახლეებისა.

(135,4)

ზღუდე ქვით შემოვლებული, მრავლითა ფერადებითა, მდაბალი, კაცთა სამხერი, ვითა გზა შინახედებითა, ხენი ტურთანი მრავალნი მსხმონი და ძირთა დებითა, გული იტყოდა მნახეთა: გარედგან შევარდებითა.

(136)

ბილნარი და შემყობილობა ჩნდა, მაგრა მისის ხეფხარისა რიგისა და შეხამებულობისა უაწესი არა არს პირსა ქუეყანისასა: ხე—მსხმოიარე ყოვლითა ხილითა და მიწა—მოლითა და ყვაელითა სავე ბაღის შუაგულსა ტბა იყო დიდი და წყაროები მოცინარე და მის ტბის შუაგულსა თალარი დიდი, ოქროსი. რომ შევხედე შორით (ხელნაწერშია: შორთ), მზე რომ შესდგომოდა, ცეცხლივითა ენთებოდა (ფ. 87 v—88r).

6. რა დილა გათენდა და საწუთროსა განმანათლებელმა მხემა პარი ამოყო, შავი ფარდაგი დახივა და წითელი ვარჯი მოჰქანა; ჯიმშეთ ადგა, ქელი და პირი დაიბანა და ლოცვად დადგა (ფ. 93r—v).

7. [დევმან] რომ დაგვინახა, ცამან ვითა იგება და მოგუმართა. მას კებახედა მერმე გრგვინვით მოვიდა. მე ასე მეგონა, დასტურ ცის კება იყო-მეთქი და ქუხილი. რომ მივხედე, სითაც ხმა მოვიდა, დავინახე, რომ საშინელი მოვა რაზე, წითელი როგორც სისხლი. თავი დიდს მთას უგვანდა და ორი რქა მალს კანდარივით მოაქვს. თვალნი დიდროანს ტბას უგვანდა და კბილები—ლოდებსა. იღრპენდა და იგინებოდა. ქუხილი მის ლაპარაკისა თურმე იყო და მისის კბილთა ღრპენა კლდეთ რღვევას გვანდა და მისის ქელ-მკლავის უსაკვირველესი რალამც იქნებოდა, სახაროდ კმარიყო. შევშინდი დიდად და შევძახე ქელმწიფის შვილსა: არიქა (ხელნაწერშია: არ იქნა), ამას ხედავ რა არის-მეთქი?! (ფ. 94 r—v).

გათენდა, ჯიმშედ ილოცავს...  
(180,1)

მოვიდა, ხმანი მოისმის,  
მართ ვითა წყლისა მრავლისა,  
იგი სინათლე ბრუნებით  
თვალთაგან გამომავლისა,  
რქა ორი, შუბლთა უმაღლე,  
კვიპაროხისა მკაველისა,  
შევშინდი, ჯიმშედს შევძახე,  
ხედავ მაქვს მისის სწავლისა.  
(186)

### III. ვამუშავს ტექსტი განსხვავდება ორიგინალისაგან

- |  |   |
|--|---|
| 1. ცხენს ლაგამი წაყვარე (ფ. 84v).  | შვებედს წაყვარე დანდალი...<br>(117,2)   |
| 2. ნახა, რომ ხლვიდამ შავი ღრუბელი ვითა აემართა და მინდორს რომ მოძარტა... (ფ. 84v).   | ვითა მთა შავი, ხლვათაგან გამომევალთა მნახესა.<br>(118,3)  |
| 3. ახალ ოხხე ხმალი შემოვირტყი და მშვილდ-ისარი ავილე (ფ. 84 v).   | ხრმალი შევიბი უცემელმან...<br>(118,2)   |
| 4. მე რეგვენობა მან აღარ მაცალა. მშვილდი გავაგდე და ხმალი აღმოვიწოდე და მივარდი ხედა, დაქქარ და თავის კვინიხა ავაგდებინე (ფ. 84 v).                                      | ყმაწვილობა მომერივა, მივირს თავი ვაუგბილე, მშვილდი დავდევე, მოვიწვადე ხრმლით სიკვდილი ვადვილე.<br>(120, 3-4)<br>მოლქნიე, შეუახეთქე, კეფა თავთა განაშოდა.<br>(121,1)                                   |
| 5. მივმართეთ აღმოსავლეთით კერძო და ვიარეთ იმ სახდელითა თხუთმეტ დღე და დამე, რომე არცა კაცი გინახა და არცა ფრინველი და არცა ნადირი. ვიარეთ დიად გაუძლეული ალაგი (ფ. 87r). | ოცი დღე გავლეთ მინდორი მის მცირე ნაქამადითა, ბალახი, წყალი, ხე ზდილი, ვერა-რა განვიცადითა, ვერცა ნადირი, ფრინველი, შესაპყრობელი ბადითა, ენა დაგვიო წყურვილმან, ვთქვით, სიკვდილს მივემზადითა.<br>(131) |
| 6. წვიმა ვითა ისარი დაასხეს ერ[თ]ქანერტს. ტანი ორთავე ისრის სიმრავლითა ტყესავით შეეგნა (ფ. 91 v).  | სხვა მოიწვადეს, დაასხეს ტანთა, უმოავლე მტვერისა, შესხდა ისარი აბჯართა, არა ჩნდა ნემსთა წვერისა.<br>(165, 3-4)   |

მოყვანილი მაგალითების გარდა, აღსანიშნავია, რომ მამუკა, ორიგინალიაგან განსხვავებით, ზოგჯერ სხვადასხვა ფორმით ხმარობს მოქმედ პირთა სახელებს: ოშანგ || ოშაქ, ბედუქულმართი || ბედმრული.

## IV. მამუკა ამრცობს პროზაულ ტექსტს

1. ერთი დედაკაცი მოვა, ორი ჯოხი უჭირავ და ძლივით მოვა. და რაც იმან გითხრას, ის ყმაწვილი იმითა (იხ წესით: S 3698, გვ. 270) ხარ-დეო (ფ. 78 v).

მოვალსო ვინმე დიაცი  
თქმად თქვენდა შემაგონისა,  
ბერი დღეთაგან მიხწნილი,  
სიკვდილთა შენაწონისა,  
მშვილდი მოხრია სიყმისა,  
ხელთა არგანნი ჰქონისა,  
რა გითხრასთ, გახრდა გიმართებს  
ჩემგან თქმულისა მონისა.

(43)

2. წამოვხლტი და უკუყვიელე: „აბა, გასქდი კვერცხივითა!“ (ფ. 80r).

ზე წამოვხლტი, ბაგის მშვილდი  
წარმოვხიდე ჩემთვის მკვლელად,  
გულთა მიერ მხადებულსა  
ენის ისრის გასამხელად,  
შეცავე ტყორცე ხელმწიფესა,  
მეც შემექნა იგი მკერელად,  
„რასთვის გასქდი კვერცხის  
მსგავსად,“ —  
ველარ ვიქმენ დამგარეულად.

(60)

3. ცამან ვითა დაიქება (ფ. 91r).

რა მოგვიახლა, უმატა  
წვიმა-სეტყვისა სროლამა,  
ქუხილმან, ელვა-ქებამან,  
გრგვინვამა, ხმელთა ძრწოლამა,  
ცეცხლისფერითა ჩენამა,  
გრძნებისა თან მოყოლამა,  
ღვართა დენამა მინდორი  
სრულად მოიკვა, მოლამა.

(161)

## V. პროზაულ ტექსტთან შედარებით მამუკა უმატებს ადგილებს

მამუკას პოეტური ფანტაზიის ნაყოფია შემდეგი სტროფები: 62, 80, 89, 97, 104, 108, 140, 160, 170, 171, 188 და სხვ.

პროზაული ტექსტისა და მამუკას თხზულებების შეჯერების შედეგად ირკვევა, რომ უმეტეს შემთხვევაში მამუკა გაუზრბინ ორი-გინალის მხატვრულ ადგილებს: ან სულ არ ლექსავეს მას, ან ძალ-

ზე შეიკლებულად გადმოგვეცემს. ხოლო როცა პროზაულ ტექსტთან შედარებით თავისი ქმნილების ადგილებს ავრცობს, ასეთ შემთხვევებში ის მას აპოეტურებს, სულ სხვა ნებატრულ სამოსელში იძლევა. მთელ რიგ შემთხვევებში მამუკა ორიგინალს უმატებს საკუთარ სტროფებსაც, და მამუკას მსოფლმხედველობის გასარკვევად განსაკუთრებით საყურადღებოა სწორედ ეს დანამატი სტროფები.

მამუკა ბარათაშვილის პოემას, რომელიც 560 სტროფს შეიცავს, თან ერთვის პროლოგ-ეპილოგიც. პოემის შესავალი შედგება 20 სტროფისაგან. ისე როგორც ე. წ. კლასიკური და აღორძინების პერიოდების სხვა პოემებში, მასშიც მოცემულია ღვთის ქებადიდება, მეფე-პატრონის შესხმა, შემოქმედის ვინაობა და სხვ., რადგან ვახტანგ მეფის სიტყვებით რომ ვთქვათ, „წესია პირველად ანდერძსა და შესავალში პირველად ქება ღვთისა და მერმე მეფეთაო“<sup>1</sup>. შეაქებს რა ვახტანგ მეფეს, მამუკა დაასკვნის:

მონასა რამცა ძალ-ედვას ხობისა ჴეკადრობანი,  
მზავსსა ვერა შობს გონება, აქვან ნყოფთა მცრობანი...  
(სტრ. 5)

შემდეგ პოეტი გადმოგვეცემს ლექსის დანიშნულების შესახებ. მისი სიტყვით, უნდა

ლექსი აქებდეს მალასა ღმრთისა ტრფიალთა ნდომასა,  
ანედეს აძბავს, უბნობდეს ტკბილ-სასმენელად წდომასა,  
მისცემდენ ლექსთა მხმობელნი სიღრმე სიბრძნისა ზომასა,  
ესია მისი წადილუ, თვარ ცულად სხვათა შრომასა. (სტრ. 10)

აქვე პოეტი გვაწვდის ზოგიერთ ბიოგრაფიულ ცნობასაც.

შესავლის შემდეგ თხზულების შინაარსი ასე ვითარდება: დიდებულთა ასულს რუსუდანს იამანეთს შოუხდა რძლობა. რუსუდანი იქ დასნეულდა. მას ჰყავს თორმეტი ძმა, რომლებიც ეძებენ წამალს დასნეულებული რუსუდანისათვის. ძმები რუსუდანს „ნახულნასმენთა ეტყვიან საკურნებელად სენისა“. უფროსმა ძმამ „ამბავი თქვა ტურთა სასმენელია.“ შემდეგ ამბის თხრობა დაიწყო მომდევნო ძმამ ფარემუსმა. და სწორედ ფარემუსის მონათხრობი, რომელიც იწყება 24-ე სტროფით, წარმოადგენს „ჯიმშედიანის“ შინაარსს...

<sup>1</sup> „ვეფხისტყაოსანი“, ვახტანგისეული გამოცემა 1712 წლისა, აღდგენილი აკაკი შანიძის მიერ, 1937 წ., გვ. სპთ.



პოემის ბოლოსიტყვაობაში, რომელიც 6 სტროფისაგან შედგება, ავტორი გადმოგვცემს, რომ წუთისოფელი წასაც „მუითლად დაავლებინებს ამ არებს“ და მოითხოვს, რომ თუ ვინმეს ბრძანებით ან თავისი სურვილით დაიწყებთ ამ ქნნილების ხელახლა გააღწევას, „თავ-ბოლო სწორად გებული ჩემი ნუ განეხენებაო“<sup>1</sup>. მერე პოეტი იძლევა შემოქმედის შეფასების ერთგვარ კრიტიკიუმსაც:

რიოშთა განსცდის კიდონტი, ნეთა— ზღვა, ცემა ლადოსა,  
კვლავ მგალობელთა - ხმა ვრცელი, შედგომა სალალდოსა,  
მელექეთ— გოძელთა ამბავთა გაღქქსჟა სათანადოსა,  
ვით იწყოს ანი ზმდი სწორად, არ გაარადოსა.

(სტრ. 559)

პოემაში ვხვდებით ფეოდალური საქართველოს ყოფისა და სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობისათვის დამახასიათებელ ბევრსაყურადღებო და საინტერესო ცნობას. მამუკას უხვად აქვს მოცემული სამეფო კარის აღწერა, არისტოკრატიული წრის ყოფაცხოვრება, დროსტარება. პოეტი ხშირად ზედმიწევნით გვისურათებს ადამიანის სოციალური თუ ოჯახური ცხოვრების ამა თუ იმ მხარესაც. ასე, მაგალითად, აწერილი აქვს: ლხინი-ქეიფი, ნაქეიფართა აბანოში წაყვანა, საჩუქრების გაცემა, ნადირობა და სხვ.

ნადირობა საქართველოში ძველ დროიდანვე იყო გავრცელებული. როგორც პროფ. კორნ. კეკელიძე აღნიშნავს, „ძველ საქართველოში ნადირობა აუცილებელი აქსესუარი იყო ფეოდალური საზოგადოების ყოფა ცხოვრებითი პრაქტიკისა“<sup>1</sup>. ნადირობა მიჩნეული იყო სასარგებლო საქმიანობად. სხვა დანიშნულებასთან ერთად ნადირობა გართობის, სპორტის ფუნქციასაც ასრულებდა. შორეული წარსულიდან ცნობილი ყოფილა სხვადასხვა სახის ნადირობა.

„ჯიმშედიანში“ მამუკას მოცემული აქვს ნადირობის ერთ-ერთი სახის აღწერა. პოემის 415—418 სტროფებში გადმოცემულია მთავარი გმირის ჯიმშედის წასვლა სანადიროდ. მხიარულებისა და ქეიფის შემდეგ ჯიმშედი და მისი მეგობრები სანადიროდ მიდიან. აღწერის მიხედვით ჩვენ საქმე გვაქვს კოლექტიური ნადირობის ერთ-ერთ სახესთან.

მრავალრიცხოვანი რაზმი ალყას შემოარტყამს მინდორს, სადაც ნადირი ბინადრობს. ერთ მხარეს ეს ალყა გახსნილია. მონადიროთა რაზმმა განგაში ატეხა, რითაც „აშალეს მიეცთა სიმრავლე“. ალყის

<sup>1</sup> კ. კეკელიძე, ეტრულები, III, 1955 წ., გვ. 134.

გახსნილი მხარისაკენ „მოვიდა ჯოგთა სიმრავლე“. დაიწყო მხეცთა სრვა. ნადირობის შემდეგ დასასვენებლად კარვები გაშალეს... მეორე დღისათვის ისევ დაიწყეს ნადირობა. სულ ნადირობამ გასტანა ერთ კვირამდე. ამ ნადირობის სურათი მოხდენილად დამიმზიდველად აქვს მამუკას აღწერილი. აქვე მოვიყვანთ ამ ადგილს. პოემიდან:

შესხდა სიმრავლე ლაშქართა, გავლეთ ნადირთა ძიებით,  
აღუა შეარტყეს მინდორთა, ჩვენ კარი მივციოთ ღიებით,  
ხმა დასცეს შემომკრებელად, ყურთა სასმენად ძაიებით,  
აშალეს მხეცთა სიმრავლე, ვით მტვერნი ქართანებით.

მოვიდა ჯოგთა სიმრავლე, ჩვენთ სახედარსა ამალებს,  
დავიყარენით სასროლად ვერსაით გარდასამალებს,  
მინდორთა ჰკრეფდნენ მოსრულსა, ვერვინ მისცემდა წამალებს,  
მიყრილნი ეწყვენეს ნახოცნი, ვითა შეეჰყრა ამალებს.

სანადიროთა სიტუაჲის არ ძალ-მიც სიტყვის თქმენია,  
დავხოცეთ მხეცნი ესდენი, ვერ ვქენით აღრიცხვანია,  
ართუ ერთთა ნადირთა, უკნობლად სხვადასხვანია,  
ვისადგურენით მინდორთა, ჩვენთვის კარავთა დგმანია.

კვლავ ხვალისათვის შევსხედით, ვიშრომეთ დაუშრომელად,  
დავხოცეთ წარმატებული პირველად გვერა რომელად,  
დღე შვიდუღნი გავლევით, სხუა ვაოცით შეუერთომელად,  
ველნი დაყროლდეს მკოერთაგან, არს ფუინველთათვის მკრომელად.  
(სტრ. 415—418)

მამუკას ეხერხება ბრძოლის სურათების გადმოცემა. ერთგან პოეტი შემდეგნაირად გვიხატავს საბრძოლო ასპარეზზე გამოსულ შერკინებულთა კიდილს:

ჰკრეს ტაბლასა, შემოგვივლა ბევრმან ორთა შესახარად,  
ნუთუ მტერთა მომლოდინე არ ვიყვენით ჩვენცა მხარად,  
ხელნი ხმალთა დავიწვადეთ მათთა სულთა აბეხარად,  
გაერიგნენ მომშეულნი მგელნი არვეთ დასაბზარად.

ლახტთა ცემა, შუბთა სობა, ხმალი ბევრგან მოქნეულად,  
სისხლთა წყარო სიმრავლისა, თბე მიყრილი უცნეულად,  
ცოცხალთ რევა მკედართა შორის, მცირე დარჩა უვნეულად,  
ქართა მიერ სასტიკისა თოვლნი იქნა გაბნეულად.

ამოვსწყვიტეთ სიმრავლენი კაცთა მიერ შეუგება,  
სისქე გუნდთა აუშლელად კვალთა მათთა შეუდგება,  
ამოგლიჯის მხარ-ბარკალი, ხმალი მისი ჩანაგება,  
იცემება ჯიმშედ მდგარად, მტერთა რისხვად შემარგება.

ხმა მისწვიტეს კიჲინისა, ხმალთა ქნევა, გულთა კვნესა,  
გაუმრავლდათ მედგრად ბრძოლა, მიკვირს, ვითა დაგვიდგნესა,  
სილამემან დაგვაშორა, მტერი სამტროდ ვერა ცნესა,  
ხვალ განაგეს ჩვენი ბრძოლა, ვიცი კარგად ვერა ქნესა.  
(286—289)

პოემისათვის დამახასიათებელია მორალისტური ტონი. მამუკა სენტენცია-აჯორიზმების საშუალებებით მიმართავს ხოლმე დამოძღვრას. აფორიზმები ზოგჯერ შიგ თხრობაშია ჩართული, ზოგჯერ კი ცალკე სტროფადაა გამოყოფილი.

მამუკას სოციალურ იდეალს წარმოადგენს პატრონყმური, უფრო სწორად, ბატონყმური ინსტიტუტი. ფეოდალურ საზოგადოებაში განსაზღვრულია საზოგადოების წევრთა ფუნქციები, სადაც, მამუკას სიტყვებით რომ ვთქვათ, „მონა მიწაა, პატრონად ვერ უზაჰს თავთა ხმობასა“ (321). სოციალურ განსხვავებულობაზე ნიუთითებს მამუკა, როცა პოემის ერთ-ერთი გმირის პირით აცხადებს:

სხვა არს მეფე და სხვა—მონა, სხვადასხვა მათი ზდილობა,  
ერთია მეფე, მრავალი—ქვეყანათ აღმოსილობა,  
ბევრთა ვერა ქნან მეფობა, იქნება შენაცილობა.

(188)

პოეტის მოსწრებული თქით, სოციალური განსხვავების ზღვარი იშლება მხოლოდ ომის დროს, ბრძოლაში, სადაც სიკვდილი თანაბრად იღებს ყველას—ამ დროს უკვე მნიშვნელობა არა აქვს აღამიანის წოდებრივ წარმომავლობას:

ომსა არა აქვს გარჩევა აზნაურება, გლეზება,  
ხელმწიფესა და მონასა მახვილი სწორად ეხება. (285,1-2)

უდავოა, რომ მამუკა გვევლინება გაბატონებული სოციალური უკუღმართობის დამცველად და განმამტკიცებლად, როდესაც, მოითხოვს რა ქვეშევრდომისაგან ერთგულებასა და მორჩილებას, პატრონისა და ყმის ურთიერთობის შესახებ პოემის ერთ-ერთ გმირს ალაპარაკებს: „თუ მსახურებაჲ მიბრძანებთ, მონასა მმართვებს მონება“ (317), ანდა: „...ყმა მართებს პატრონთა ნება-მყოფელი“ (265). როგორც ვხედავთ, სოციალური გარემოს შეფასებისას მამუკა გამოდის თავადაზნაურული კლასის ინტერესებიდან.

სოციალურ გარემოზე მამუკას შეხედულების გამოსარკვევად მხედველობაში მივიღეთ, რა თქმა უნდა, ისეთი ადგილები, რომლებიც დამოკიდებული არაა გასალექსავი ტექსტისაგან, პროზაული თხზულებისაგან, არამედ წარმოადგენს პოეტის ნაზრევს, მის მსოფლმხედველობის ნაყოფს.

პოემაში მამუკას საკმაოდ მოეპოვება პოეტური თვალსაზრისით სრულყოფილი ნიმუშები, რომელთა შესახებ მწერლის შემოქმედების მხატვრული მხარის მიმოხილვისას გვექნება საუბარი.

\* \* \*

მხატვრული თხზულებების გარდა, მამუკას კალამს ეკუთვნის აგრეთვე პოეტური ტრაქტატი, რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია „ქანნიკის“ სახელწოდებით, ხოლო ჩვენს გამოცემაში ეწოდება „ლექსის სწავლის წიგნი“. აღნიშნული შრომა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მამუკას ნაწერებიდან, რადგან ის წარმოადგენს ქართული ლექსის ბუნების შესწავლის პირველ ცდას.

თხზულება არის ნორმატიული პოეტიკის სახელმძღვანელო, რაც ნათლად ჩანს სათაურიდან და თვით მამუკაც თავისი შრომის დანიშნულებას ასე განსაზღვრავს: „ეს სწავლა დაესწერე, რომ ლექსი ურიგოდ არავის მოუვიდეს“. წიგნი შედგება ორი ნაწილისაგან. პირველი ნაწილი წარმოადგენს შრომის თეორიულ ნარკვევს, ხოლო მეორე ნაწილში თავმოყრილია ქართული ლექსის სხვადასხვა ნიმუში.

შრომის დასაწყისში მამუკა მოგვითხრობს პოეზიის შინაარსისა და ლექსის დანიშნულების შესახებ. იგი პოეზიას დიდაქტიურ ფუნქციას მიაწერს. მამუკას აზრით, პოეზიამ უნდა დაჰგნოს ყოველივე ავი და განადიდოს კეთილი. მამუკას შეგებული აქვს ლიტერატურის დადი აღმზრდელობითი მნიშვნელობა. ამიტომ მამუკა შემოქმედის ამოცანას აღმზრდელობითი დანიშნულებით განსაზღვრავს. იგი ამბობს: „თუ კარგს რტყვი სიტყვის სიმარჯვითა და ცოდნის ძალითა, სულიერის ცოდნითა და სამხედროს ცოდნით, მთქმელი მოიგონება და მსმენი ისწავლის... მაგრამ თუცა ავზედა თქვა, ურიგოდ თქვა, ქებისა და მოგონებეს ნაცულად, საძრახავი და საგმობელი იქნება და ცოდვებ მძიძე, რომე კაცე ცოდვაზედ აღძრავს და ავსასწავლის“.

მამუკა განსაზღვრავს პოეზიის თემატიკურ ნორმებსაც. ნაწარმოების ფორმის სრულყოფილობასთან ერთად მამუკა სათანადო ყურადღებას აქცევს ნაწარმოების შინაარსობრივ მხარეს. იგი შემოქმედისაგან მოითხოვს აქტუალურ თემაზე წერას. აი, პოეტმა რაზე უნდა წეროს: „მართებს, კაცმა ავი ამბავი არ გალექსოს; თუ სააშიყო ლექსი უნდა, ღძრთის სააშიყო, ეკლესიისა წმინდათა [ამბავი გალექსოს], როგორც რუსთაელს უთქვამს... და თუ ქალის აშიყობაზე გინდა, ცოლ-ქრნობის სიყვარულზედა თქვი და

იმის გზებზე, როგორც პავლე დიდი მოციქული ისწავლება და რუსთველი ცოლ-ქრმოისის სიყვარულს ისწავლება და აქებს... ან კარგი იგავეზო მოიყვანე და იპახედა თქვი. ან კაი სწავლის ამბებით კაი აპბები გალექსე, ან ომსა და ფალაენების ამბავხედ თქვი, ამისთვის, რომ კაცს გააგულოვნებს, ომს მოაწოდებს, ომისა და იარაღის გზარებას ასწავლის, და რჯულისა და მეფის და ქვეყნის მტერზე გამოსაყენებელია“.

როგორც მოყვანილი ციტატიდან ჩანს, პოეზიის მიზანი მამუ-კასათვის უაღრესად პრაქტიკულია, რაც, სხვათა შორის, იმ. შიცი მდგომარეობს, რომ სამშობლოსათვის აღხარდოა მეტ ოძოლი ადა-მანრი. პოეზიის უტილიტარული ხასიათის განსაზღვრა მამუკას ესთეტიკურ შეხედულებათა ქვეყნითილია

შემდეგ მამუკა აღნიშნავს იმას, თუ ამა თუ იმ თემას რა ზო-მის („ზმის“) ლექსი შეეფერება. მაგალითად, „გძელმეწყობილი, გინა ძდენარი და შეწყობილი. კაის სწავლის იგავებისათჳნი არის“... და სავ. მაკრამ. რაკ მთავარია, მამუკა ილაშქრებს ერთი ნ. წარ-მოკებისათჳს მეტრული მრავალფეროვნების წინააღმდეგ. მისი აზრით, მწეოალმა ამბას თხრობა უნდა კადმოგვეცეს ერთი ზომით დაწერილი ლექსით.

მამუკა ეაება აგრეთვე იმას, „თუ ლექსი როკორ უნდა თქვას ვისცა უნდა“. ლექსის თქმა ორგვარია: ლექსის წერა შეიძლება ან ნიჭით, ან სხვა პოეტების ლექსების მიბაძვით. მეორე შეთავევაში პოეტი თავისი აზრის სიტყვებს შეუფარდებს უკვე არსებული ლექ-სის ზომას. ამგვარა ო, რამუკა ასხეავებს ორგვარ მეპოქედს: ერთი არის პოეტი ნოვატორი, რომელსაც თავისი ნიჭით ლექსის შეთიზ-ვაში სიახლე შეაქვს; მეორეა — პოეტი-ეპიგონი, რომელიც ლექსს „კააწყონს“ უკვე არსებული ზომის მიხედვით: აი, რას ამბობს ამის შესახებ მამუკა: „ლექსის თქმა ორია: ერთი — თავის აგებულებით ექნება კაცს ლექსის გაწყობა. მეორე — აგებულებით რომ არა ქონ-დეს, იქნება, რომ ლექსი დაიდვას წინ და რამთონათ ლექსი გაი-ყოფა, თითო ს. ნაცლოდ. ისე სიტყვა გააწყოსო“. დროთა წითა-რებაში, დაეუფლება რა ლექსის წერის ტექნიკას, მამუკას აზრით, მიმაძღველი შეიძლება გადეს დამოუკიდებელ პოეტად („მერმე თავისითაც შეიძლოს თქმა“). შესაძლებელია, ალტს არ შესწევს უნარი დამოუკიდებლად ახალი ზომის ლექსის შეთიზვისა („იქნება ულექსოთ ვერა თქვას“), მაგრამ მას ევალება ლექსში გადმოგვეცეს ისეთი შესაარსი, რომელიც ორგვარი ძნიშვნელობისა იქნება. მა-მუკას საილუტრაციოდ მოცემული აქვს ერთი ტაეპი „ვეფხის-

ტყაოსნიდან“ („მას უშმაგო ვით მიენდოს...“), რომელიც, მისი აზრით, ორგვარად შეიძლება გაგებულ იქნეს.

მ. ბარათაშვილი იძლევა დარიცხვას პოეტური მეტყველების სტილის გარშემო. ძნელი გამოსათქმელი და გრძელი სიტყვა ლექსის შთაბეჭდილებას აფუჭებს. პირიქით, „გვარიანი, უნახე ტყაილათ სათქმელი და მოკლე სიტყვა“, ერთიმეორეზე თანამიმდევრობით დალაგებული და შეწყობილი, „დიად, გვარიანი იქნება, როგორც რუსთველის ლექსა“. ლექსის ეს სრულყოფილობა „ღრამატიკის და რიტორიკის უკოდინარს ცოტათ გაუძინელდება“.

მამუკას ყურადღების გარეშე არ დაუტოვებია ტაეპის დაბოლოებათა შეთანხმების საკითხიც. „ლექსია ბოლოეს“, ანუ რითმას, იგი დიდ მხიშველობას ანიჭებს. მამუკა წეს: „ლექსის ბოლოები, ბევრი ასო რომ ერთპანეთის ტოლი იყოს, იმითი არ გაეწყობა. ასე უნდა: სიტყუა სიტყუას ეწყობოდეს, თვარემ ორი და სამი ასო იყოფა“. და იქვე დასძენს: „მაგრამ სპარსის მოლექსენი ამას მაგთონს არად მიიჩნევენო“.

ამთავრებს რა ლექსის გარეგან ნხარებებზე საუბარს, მამუკა ეხება ფორმისა და შინაარსის ურთიერთობის საკითხს. შესაძლოა ლექსი კარგად იყოს გაწყობილი რომელიმე სალექსო ზომაზე. მაგრამ შინაარსის გარეშე ის გამოუსადეგარი იქნება. და პირიქით, კარგი შინაარსის მქონე ლექსი კარგად უნდა იყოს გაწყობილი შესაფერი სალექსო ზოვის ძიხედვით. „იქნება ლექსი გემრიელი და წყობილი იყოს, ეს ამბის გაუღეკსავათ სხვაში არად მოსახმარია, მაგრამ იმაშიაც თუ კაი სწავლის სიტყუა მოვი და იქ ლექსს არ ავსებს, მოლექსობაში ნაკლებობა არი“, — დასძენს მამუკა.

შეჰდეგ მამუკა არჩევს შაირის, გრძელშაირის, ჩახრუხაულის, გრძელჩახრუხაულის, შეწყობილის, მფინარის, წყობილი მრ. ვალმუხლის, გრძლელი შაირი სამკვეთის სალექსო ზომებსა და აგებულებას. დასახელებული ლექსების ანალიზის დროს საილუსტრაციოდ მოაქვს საკუთარი ლიქსებიც. იქვე აღნიშნ. ვს, თუ რატომ თვითონ არ დაწერა ყველა საზომიე ლექსი: „ესენი მოჯობე იცვენენ ჩემისა და აპისთვის ესენი დაქსწერე და ჩემი ნათქავეც ამათ ვაახელო“. დასასრულ, მამუკა ითხოვს, რომ იგი არ გამოირიცხონ პოეტების რიცხვიდან.

ასეთია მოკლედ ის საკითხები, რომელსაც მამუკა განიხილავს თავის „ლექსის სწავლის წიგნში“.

„ლექსის სწავლის წიგნი“ შეიქმნა ვახტანგ მეუის ლიტერატურულ წრეში, სადაც დაკანონებული იყო სასულიერო და საერო მწეულობის გამჯვენა. აი, როგორი სიტყვევით გამოხატავს იმ-

დროინდელ გაბატონებულ შეხედულებას სასულიერო და საერო ლიტერატურის შესახებ ვახტანგის ლიტერატურული წრის ერთ-ერთი აქტიური წევრი ონანა მდივანი (ქობულაშვილი): „ვითარცა იაგუნდთა შორის კენჭნი, ანუ მთოვარეთა შორის ვარსკვლავნი, ნათელსა შორის ბნელი და ვარდთა თანა ასკალნი, ესრეთ შორს არიან საერონი სამღთოთა წერილთა მიერ, ვითარცა ესე ესრეთ“<sup>1</sup>. მამუკამ აითვისა და თავის შრომაში გამოხატა ეს თვალსაზრისი. მის ნაშრომს აშკარად ემჩნევა თეოლოგიური განხრა. მამუკას სიტყვით, „ღმრთის ჭება-დიდება კარგები ითქმის“.

საეკლესიო-რელიგიური განწყობილება მამუკას შრომაში მკაფიოდ იჩენს თავს განსაკუთრებით „ღვთიური სიყვარულის“ თეორიის დასაბუთებისას. მამუკა პირდაპირ მიუთითებს პოეტს, რომ თუ იგი სატრფიალო-სამიჯნურო ლექსების დაწერას მოინდომებს, თავის ლექსებში უნდა ღვთისა და წმინდანების სიყვარული იგულისხმოს, სატრფოს სახით მან ღმერთი უნდა წარმოიდგინოს, ე. ი. მამუკას პოეტიკური ტრაქტატის ნისედ-ვით სატრფიალო ღირიკა ალფეგორიულ-მისტიკური უნდა იყოს.

საფიქრებელია, რომ მამუკა ყოველთვის საკუთარი მსოფლმხედველობრივი თვალსაზრისიდან არ გამოდიოდა. როდესაც აყალიბებდა „ლექსის სწავლის წიგნში“ მოცემულ ნორმებს ერთი მხრივ, ესეც უნდა იყოს მიზეზი, რომ ზოგჯერ შეთანხმება არ არის მწერლის თეორიულ მოსაზრებებსა და მის პრაქტიკულ მოღვაწეობას შორის. კერძოდ, მამუკას ზემონოყვანილი სამიჯნურო თვალსაზრისი არ შეესაბამება პოეტის მხატვრულ შემოქმედებას. ნაცვლად ალფეგორიულ-მისტიკური ხასიათისა, მამუკას სატრფიალო ღირიკა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, რეალისტურია.

„ლექსის სწავლის წიგნში“ შეინიშნება ბრძოლა უცხოური ლიტერატურული მიმართულების წინააღმდეგ. კერძოდ, მამუკა იბრძვის სპარსული ლიტერატურული მიპდინარეობისა და მისი ერთგული დამცველის თეიმურაზ I-ის წინააღმდეგ. პოეტი-თეორეტიკოსი „ლექსის სწავლის წიგნში“ ჰგმობს იმ პოეტებს, რომლებსაც „თათრის ზღაპრები გაულექსავს, მსმენთ საზიანოდ და მთქნელთ საუარიგოდ“. ეს არის არა მარტო მამუკა ბარათაშვილის აზრი, არამედ XVIII საუკუნის მთელი მოწინავე ქართული საზოგადოებრიობისა.

<sup>1</sup> Е. Такайшвили, Описание, I, стр. 524.

როგორც ვხედავთ, მამუკამ გაბედულად გაილაშქრა სპარსული მწერლობის წინაშე ქედის მოხრის წინააღმდეგ. ამასთან, მან წამოაყენა მოთხოვნა, რომ ქართველმა მწერლებმა წერონ ისტორიულ სინამდვილეზე და ისეთ აქტუალურ, საჭირობოროტო თემებზე, რომლებიც „რჯულისა და მეფის და ქვეყნის მტერზე გამოსაყენებელია“. ამ მხრივ საინტერესოა ნაშრომის ის ადგილი, სადაც მამუკას ჩამოთვლილი აქვს, თუ რაზე უნდა წეროს პოეტმა. სხვათა შორის, აქ ნათქვამია, რომ შემოქმედმა „ეკლესიისა წმინდათა“ ამბავი უნდა გალექსოსო. „ეკლესიის წმინდანებში“ კი ექვს გარეშე, მამუკა გულისხობს არა, მსრფლიო, არამედ ნაციონალურ, ქართველ წმინდანებს. მაშასადამე, მამუკა მოითხოვს ქართველ წმინდანთა ცხოვრება-მოღვაწეობის აღწერას, რაც თავისთავად იმ დროისათვის მეტად საყურადღებო მოვლენად უნდა ჩაითვალოს და მამუკას პატრიოტული მისწრაფებით უნდა იყოს გამოწვეული.

მეტად საინტერესოა მამუკას შრომა მეტრიკის თვალსაზრისით ეს საკითხი საკმაოდ ვრცლად და ამომწურავად განხილული აქვს მკვლევარ აკ. გაწერელიას<sup>1</sup>, ამიტომ მას აქ მოკლედ შევხებით.

ქართული ლექსის საზომის ძირითად ერთეულად მამუკას მიაჩნია სიტყვა ან სიტყვების განსაზღვრული ჯგუფი („მუხლი“), რომლებიც მიიღება ტაეპის „გაქრის“ თუ „გაყოფის“ შედეგად, ხოლო ლექსის მეტრი კი მას გაგებული აქვს როგორც გარკვეული წესით „სიტყვების გაწყობა“ ან „მუალების“ განლაგება ტაეაში.

მამუკას მოსაზრებით, ტაეპის ცეზურით დაყოფილ საზღვრებში („გაქრილში“, „გაყოფილში“) სიტყვების სხვადასხვაგვარად „გაწყობა“ განსაზღვრავს საზომის თავისებურებას. სწორედ ამით არის გამოწვეული, რომ 16-მარცვლიან ლექსში მამუკა განარჩევს „შაირსა“ და „გრძელშაირს“. შაირში „პირველი მუხლი და სამი სხვა ტოლ-ტოლი არიან. ეს ერთი სტრიქონი ზომ ოთხად ჰაიყო, იმაში სიტყვის მეტ-ნაკლებობა არ არის, ოთხივე სწორე არის“; ხოლო გრძელშაირში კი არის „...პირველი მუხლი მეტი, მეორე ნაკლები, მესამე პირველის ოდენი და მეოთხე კიდევ ნაკლები“ შაირისა და გრძელშაირის განსხვავებაზე მამუკა დაასკვნის: „ამ თვითოს მუხლების მეტ-ნაკლებობით ეს ორივე შაირი სხვადასხვა ხმები შაიქნაო“.

როგორც აღვნიშნეთ, საზომის ძირითად ერთეულად მამუკას „მუხლი“ მიაჩნია. ტერმის რაობა მისთვის უცნობია. სავსებით ბუნებრივად, უცნობია მისთვის აგრეთვე საზომის ტერმებად დაყო-

<sup>1</sup> ა. გაწერელია, ქართული კლასიკური ლექსი, 1953 წ., გვ. 42—46.



ფა და მისი გრაფიკულად გამოხატვა. ამიტომ, ლექსის საზომის გადმოცემისას, გრაფიკული სქემების ნაცვლად, მამუკა მიმართავს ე. წ. ლოგომეტრულ სქემებს—სიტყვის თუ სიტყვების ჯგუფის საშუალებით ლექსის მეტრის ჩვენებას. ამისთვის მამუკას საგანგებოდ აქვს შერჩეული სიტყვა „მიჯნური“, რომელსაც შეკვეცის თუ გაერთიანების საშუალებით ცვლის მარცვლობრივად. ასე, მაგალითად:

მიიჯნური / მიჯნური / მიიჯნური / მიჯნური,

ან:

მიჯნური მიჯნურ / მიჯნური / მიჯნური მიჯნურ / მიჯნური.

მოყვანილი „ხმების“ (ზომის) მეტრული სქემები გრაფიკულად ასე გადმოიცემა:

და

უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ როდესაც მამუკა იძლევა ე. წ. ლოგომეტრულ სქემებს, საილუსტრაციოდ იქვე მოყავს შესაბამისი „ხმის“ (ზომის) ტაეპი ან სტროფი. მაგალითად, გრძელჩახრუხაულის ანალიზისას მამუკა იძლევა ჯერ სანიმუშო საზომს

მიჯნურთათვისგან/მიჯნურთათვისგან/მიჯნურთათვისგან/მიჯნურთათვისგან, ხოლო შემდეგ კი ცნობილ სტროფს „თამარიანიდან“: „მო, ფილოსოფნო, სიტყვითა არსნო“...

როგორც მოყვანილი ე. წ. ლოგომეტრული სქემებიდანაც ჩანს, ტაეპს მამუკა ყოფს „მუხლებად“. ამ პროცესს იგი „გაქრას“, „გაყოფას“ უწოდებს, ხოლო გაყოფის შედეგად მიღებულ ერთეულს— „გაქრილს“, „გაყოფილს“, რაც სავსებით შეესატყვისება „მუხლს“. ცეზურის აღმნიშვნელი ტერმინი მისთვის უცნობია. ზემომოყვანილი სიტყვებით თუ ვიმსჯელებთ, ცეზურას „გამყოფი“, „გამქრელი“ უნდა რქმეოდა. [გაყოფის თუ გაქრის გრაფიკულ გამოსახულებად მამუკას მოცემული აქვს ორწერტილი (: ) და შვეული ხაზი (/).

დასასრულ, მეტრიკის საკითხებზე მამუკა ბარათაშვილის შეხედულებების გაცნობის შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ. რომ მამუკას პოეტიკური ტრაქტატი „არის სილაბურ-ლოგომეტრული თეორიის ნიმუში, რომელიც ქართულ ლექსს განიხილავს სიტყვების გაწყობის მხრივ. საზო-

მი მას (მამუქას.—გ. მ.) მიაჩნია სიტყვიერ ჯგუფებს შორის არსებული პაუზების მიხედვით დაყოფილ «სტრიქონად» და არა ტერმების კომბინაციად<sup>1</sup>

„ლექსის სწავლის წიგნი“ ბევრ ახალ და საყურადღებო ცნობას შეიცავს ძველი ქართული პოეტიკის ცნებებისა და ტერმინების დადგენის თვალსაზრისით, თუმცა, უნდა შევნიშნოთ, რომ XVIII საუკუნეში ქართული პოეტიკის ცნებებისა და ტერმინების სიკრულემ და გაურკვეველობამ მამუქას შრომაზეც მოახდინა გავლენა. ამით უნდა იყოს გამოწვეული, სხვათა შორის, რომ „ლექსის სწავლის წიგნი“ ერთი და იგივე ცნებისათვის პარალელური ფორმები გამოყენებული (მაგ., ტაეპი—მუხლი—სტრიქონი) ან, პირიქით, რამდენიმე ცნებისათვის ერთი საერთო ტერმინი ნახმარი (მაგ., ტაეპი ლექსის ერთ-ერთი სახეობის მნიშვნელობით და ტაეპი სალექსო სტრიქონის გაგებით).

ლექსის სწავლის წიგნი“ წარმოადგენს საინტერესო ლიტერატურულ-ბიბლიოგრაფიულ წყაროსაც. მაგალითად, ცნობილია, რომ მხოლოდ ამ ძეგლმა შემოგვინახა ვახტანგ მეფის რამდენიმე ლექსი. საყურადღებოა მასში დაცული ცნობაც, რომლის მიხედვით საბას შეიწერება „ქილილა და დამანას“ ლექსების გაწყობა და სხვა.

ვამთავრებთ რა „ლექსის სწავლის წიგნის“ მიმოხილვას, უნდა დავასკვნათ, რომ ქართული ლექსის თეორიის შესწავლაში, როგორც მოსალოდნელი იყო, მამუქა ბარათაშვილი ვერ გასცილდა ვიწრო ვერსიფიკაციულ ფარგლებს. მიუხედავად ამისა, მის შრომას გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება XVIII საუკუნის ქართული ლექსის შესასწავლად<sup>2</sup>.

<sup>1</sup> ა. გაწერელია, ქართული კლასიკური ლექსი, 1953 წ., გვ. 48.

<sup>2</sup> ერთ საპოლემიკო ხასიათის წერილში—„ჯეო ცოდნა!“ ვინმე იმერელი (ფსევდონიმი) წეუდა, რომ „ხელოვნების, განსაკუთრებით მელექსეობისათვის, საჭიროა აკოეთვე მ ბარათაშვილის კა მნიკის ცოდნაცო“ („სახალხო გაზეთი,“ 1911 წ., 30/XII, № 188).

## მამუკა ბარათაშვილის შემოქმედების მხაჯვრული მხარე

მწერლის შემოქმედებითი უნარის სრულყოფილად გათვალისწინებისათვის საჭიროა შევისწავლოთ არა მარტო ის, თუ რა დასწერა მან, რა შინაარსი მოგვცა თავის ქმნილებებში, არამედ ისიც, თუ როგორ და რა საშუალებებით გადმოგვცა ეს შინაარსი. ბელინსკის სიტყვებით რომ ვთქვათ, საჭიროა მთლიანი მხატვრული ნაწარმოების შეფასება, ამ ნაწარმოების იდეის გახსნა და ჩვენება იმისა, თუ რა მიმართებაში იმყოფება ეს იდეა თავის გამოხატვის ფორმასთან. ამიტომ, ნაწარმოების შინაარსობლივი მხარის შესწავლასთან ერთად, საჭიროა ნაწარმოების მხატვრული მხარის შესწავლაც. ნაწარმოების მხატვრული მხარე უნდა განვიხილოთ მისი შინაარსის საფუძველზე და მიმართული უნდა იყოს ნაწარმოების საერთო ღირსების გასარკვევად.

ხელოვნებაში, ისე როგორც ბუნებასა და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში, შინაარსი და ფორმა მთლიანობაში არსებობს, ამ დიალექტიკურ მთლიანობაში განმსაზღვრელს წარმოადგენს შინაარსი, რომელიც ფორმაში, მის სხვადასხვა ელემენტში ვლინდება. ფორმის ყველა ელემენტი ემსახურება იდეური შინაარსის გახსნას. ექვს გარეშეა, რომ ლიტერატურაზედაც ვრცელდება ვ. ი. ლენინის სიტყვები იმის შესახებ, რომ „ფორმის განუვითარებლობა და ნაკლები სიმტკიცე საშუალებას არ გვაძლევს შინაარსის განსავითარებლად შემდგომი სერიოზული ნაბიჯები გადავდგათ“<sup>1</sup>...

ამდენად, საჭირო და აუცილებელია მამუკა ბარათაშვილის შემოქმედების ანალიზი მხატვრულობის თვალსაზრისით და გარკვევა იმისა, თუ რამდენად შეესატყვისება მის შემოქმედებაში შინაარსი მხატვრულ ფორმას. რადგან პოეტის მხატვრული ოსტატობის გამოსვლინებლად ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია ნაწარმოების ენა, ამიტომ მამუკას შემოქმედების მხატვრულ ანალიზს დავიწყებთ პოეტური ენის მიმოხილვით.

<sup>1</sup> ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 7, მეოთხე გამოც., 1949 წ., გვ. 486.

„ენა არის საშუალება, იარაღი, რომლის შემწეობითაც ადამიანებს ურთიერთობა აქვთ ერთმანეთთან, უზიარებენ ერთმანეთს აზრებს და აღწევენ ურთიერთგაგებას“ (სტალინი). ენა არის აზროვნების საშუალება და მისი გამოხატულება. ენის მეშვეობით ხდება სამყაროს ათვისება.

მხატვრულ ნაწარმოებშიც შენარჩუნებულია ენის სპეციფიკური თავისებურებები. მხატვრულ ლიტერატურაში ენა წარმოადგენს ძირითად საშუალებას, რომლის მეშვეობითაც მწერალი ქმნის მხატვრულ სახეებს, ხასიათებს. მაქსიმ გორაკის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ენა არის ლიტერატურის პირველელემენტი, მისი ძირითადი იარაღი და—ფაქტებთან, ცხოვრების მოვლენებთან ერთად—ლიტერატურის მასალა“<sup>1</sup>.

მეტყველების ჩვეულებრივ ფორმებთან ერთად მხატვრულ ნაწარმოებში მწერალი იყენებს ენის ისეთ ფორმებს, რომლითაც სახეებს ქმნის, ასეთ ენას ეწოდება მხატვრული ან პოეტური ენა. „პოეტური ენა ამ გაგებით წარმოადგენს მეტყველების განსაკუთრებულ სტილს ოფიციალურ, მეცნიერულ, დიპლომატიურ, სამხედრო და სხვ. ენასთან შედარებით“<sup>2</sup>. ენის პოეტურობა, თუ შეიძლება ასე ითქვას, არის ერთგვარი ტრადიცია.

პოეტური ენის შესწავლის გარეშე ვერ შევძლებთ ლიტერატურული ნაწარმოების სავსებით გაგებასა და მის მკვნიერულ ანალიზს. პოეტური ენის შესწავლა შესაძლებელს ხდის შემოქმედის პოეტური შესაძლებლობის გარკვევას და მოცემულ ეპოქასთან მისი ურთიერთობის გათვალისწინებას.

მხატვრულ ნაწარმოებზე მუშაობისას შემოქმედი მიმართავს ენის ლექსიკურ მარაგს, საიდანაც გარკვეული კანონების მიხედვით არჩევს და ერთმანეთთან აკავშირებს საჭირო სიტყვებს. იმისდა მიხედვით, თუ როგორ იყენებს მწერალი ენის ლექსიკურ მარაგს, რამდენად დატულია მის ნაწერებში ენის სისწორე, სიზუსტე და სიცხადე, რაც აუცილებელი პირობაა აზრის ნათლად გამოსახატავად, ფასდება მწერლის სტილიც. ერთი სიტყვით, რაც უფრო დაუფლებულია შემოქმედი ენის ლექსიკურ მარაგს, მით უფრო მდიდარია მისი პოეტური ენა.

<sup>1</sup> А. М. Горький, О литературе, 1937 г., стр. 313.

<sup>2</sup> Г. О. Винокур, Понятие поэтического языка, МГУ, Доклады и сообщения филологического факультета, вып. 3, 1947 г., стр. 3.

მამუქას პოეტური ლექსიკის ზედმიწევნითი შესწავლა ჯერჯერობით შეუძლებელი ხდება, რადგან მისი მხატვრული შემოქმედების უმეტესმა ნაწილმა ჩვენამდე მოაღწია მხოლოდ ერთადერთი ხელნაწერით, რომელიც გადაწერის მიერ ენობრივად მეტად შერყვნილია. ცნობილი გადაწერილი გ. ავალიშვილი, ანტონ პირველის გრამატიკული სკოლის მიმდევარი, თავის გრამატიკულ შეხედულებებს პრაქტიკულად ახორციელებს მამუქას ტექსტების გადაწერის დროსაც, რითაც მამუქას ზოგჯერ ისედაც ძნელად გასაგებ ენას მეტად ხელოვნურსა და მძიმეს ხდის. ეს დასკვნა აშკარა ხდება „ქება მეფის ბაქარისას“ ორი ხელნაწერისა და „ლექსის სწავლის წიგნის“ არსებული ხელნაწერების შეჯერების შედეგად. ამიტომ, როდესაც მამუქას პოეტური ლექსიკის შესახებ გვიხდება საუბარი, უფრო სანდო და შეურყვნელი ნუსხების აღმოჩენამდე, საჭირო არის მეტი სიფრთხილის გამოჩენა და უფრო ზოგადი დასკვნების გამოტანა, რათა აცილებულ იქნას მოსალოდნელი შეცდომები.

მამუქა ბარათაშვილს სამწერლო ასპარეზზე გამოსვლა მოუხდა იმ დროს, როცა ჩამოყალიბდა ახალი ქართული სალიტერატურო ენა. ამეთვრამეტე საუკუნისათვის ახალი ქართული სალიტერატურო ენის ჩამოყალიბება უკვე დამთავრებულია<sup>1</sup>. ამიტომ, მამუქას ლექსები ძირითადად დაწერილია სწორედ ახალი ქართული სალიტერატურო ენით. მაგრამ ეს ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს პოეტის შემოქმედება დაზღვეული იყოს ძველი მწიგნობრული ენისათვის დამახასიათებელი სიტყვებისა და გამოთქმებისაგან. პირიქით, მამუქასთან უხვად ვხვდებით მოძველებულ სიტყვებსა და გამოთქმებს — არქაიზმებს. მწერალი არქაიზმებს შეგნებულად კი არ მიმართავს, როგორც საშუალებას, როგორც პოეტურ ხერხს, არამედ მას იყენებს მექანიკურად. მეტყველების ეს ფორმა წერლის მიზნიდან არ გამომდინარეობს.

მამუქას იხზულებათა გაცნობისთანავე ნათლად შეიმჩნევა, რომ მისი ლექსიკური მარაგი საკმაოდ არის დატვირთული ძველი მწიგნობრული ენისათვის ნიშანდობლივი სიტყვებითა და გამოთქმებით, როგორც არის, მაგალითად: არა მგამა, გზნათუ, დანდალი, კიდარი, პერეული, უცები, ქედი და ა. შ. მწიგნობრული მეტყველების კვალი განსაკუთრებით ემჩნევა მამუქას ოდას „ქება მეფის ბაქარისას“, რისი სათავეც „თამარისას“ და „აბდულმესიანში“ უნდა ვეძიოთ.

<sup>1</sup> ა. ჩიქობავა, ქართული ენის ზოგადი დახასიათება, „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი“, I, 1950 წ., გვ. 019.

პოეტის დამსახურებად უნდა ჩაითვალოს, რომ იგი ცდილობს ცოცხალი, ხალხური სასაუბრო ენით გაამდიდროს თავისი პოეტური მეტყველება ეს გარემოება უმთავრესად თავს იჩენს სატრფიალო-სამიჯნურო ლექსებში. (მამუკა დაეწაფა ხალხურ შემოქმედებას და თვითონაც დაიწყო ხალხური სიმღერების „ხმებზე“ წერა, რის გამოც, ბუნებრივია, მის შემოქმედებაში უხვად შევიდა ხალხური მეტყველების ლექსიკა (იხ. ლექსები: „შეწყობილი“, „მდენარი“ და სხვ.). ამასთანავე, პოეტის შემოქმედება ვერ ასცდა კუთხურ გამოთქმებს— დ ი ა ლ ე ქ ტ ი ზ მ ე ბ ს. ასე, მაგალითად, მამუკას ლექსებში დიალექტური ფორმებია: მამცემს, მამწონო, მამშორდეს, მოჰყლამს, მარამ, სითმე, სარძიკველი, რჰტო, რკუ და სხვ. დიალექტიზმებს მოჰარბებულად ვხვდებით „ჯიმჰედიანშიც“: მიამა, მამკლას, ამამილო, აღმაადენს, უანბობს, შააგინებს, მეესმისა, შორეთგან, სელისათეინ და სხვ.

როგორც ვხედავთ, მამუკასთან არქაულ-მწიგნობრული და ხალხური სასაუბრო ენის მოვლენები ერთმანეთშია შერეული. საერთოდ კი მამუკას ენა ქართლ-კახურ მეტყველებას ეყრდნობა.

მამუკა ხშირად მიმართავს ახალი სიტყვების— ნ ე ო ლ ო გ ი ზ მ ე ბ ი ს ხმარებას. ნეოლოგიზმები ამდიდრებს პოეტის ლექსიკურ მარაგს. უმეტეს შემთხვევაში მამუკას ახალი სიტყვები წარმოქმნილია მანამდღეარსებული სიტყვებიდან. მაგალითად, სიტყვა „ანაბარადან“ მამუკამ აწარმოა სიტყვა „ანაბრობილი“ („ჯიმშედ.“, 440), „ნამცხვარიდან“ — „შენამცხვარიც“ („ჯიმშ.“, 510). სიტყვა „სუდარადან“ მამუკა აწარმოებს შემდეგ ნეოლოგიზმს: „ჯიმშედის მკლავით ყოველნი ერთბაშად შეისუდაროს“ („ჯიმშედ.“, 279), რაც ნიშნავს: სუდარაში გაეხვიოს, ე. ი. მოკვდეს, მოისპოს. ახალ გააზრებას აძლევს მამუკა სიტყვა „გულს“ შემდეგ ტაეპში: „გულსა ღამესა სასტიკი გაჩნდა სიმძაფრე ქარისა“ („ჯიმშ.“, 274). როგორც ვხედავთ, მოყვანილ მაგალითში „გული“ იხმარება „შუას“ მნიშვნელობით (მიღებულია „შუა გულიდან“).

როგორც გამონაკლისი, მამუკასთან გვხვდება რუსიციზმიც: „თვით თანა დეტო ჰყავს, ვითა სვეტი...“ („ქება მეფის ბაქარისა“, 45).

მამუკა მიმართავს სინონიმურ და ომონიმურ სიტყვებსაც. შინაარსით მონათესავე, მაგრამ არა ერთი და იმავე მნიშვნელობის სიტყვებს სინონიმები ეწოდება. სინონიმებია: „ურიცხვი და განუზომი ჩემთვის ჰბადა მოსარჩომი“ („რეული“, 2). ან: „ტირის, მოადგა ხელმწიფე, ძე ნახა მწუხარ წყენითა“ („ჯიმშ.“, 66). სინონიმების გამოყენება ერთ ფრაზაში მიეკუთვნება გამეორებას,

ამიტომ მას განვიხილავთ მამუკას პოეტური სინტაქსის გარჩევის დროს.

ერთნაირი ბგერითი აგებულებისა და სხვადასხვა მნიშვნელობის მქონე სიტყვებს ო მ ო ნ ი მ ე ბ ი ეწოდება) ბგერითი მსგავსების გამო ომონიმები ჩვენს ყურადღებას ამახვილებს მოცემული სიტყვების შინაარსზე და წარმოადგენს მხატვრული გამოსახვის ელემენტს. ომონიმების ზომიერი გამოყენებით პოეტი ლექსს აძლევს მხატვრულ სახეს.

ომონიმური სიტყვები მამუკასთან შედარებით უხვად არის წარმოდგენილი რითმებში. ხშირად პოეტს მთელი სტროფები აქვს გაწყობილი ომონიმური რითმებით, ე. წ. მაჯამებით) ტერმინი მაჯამა ამ შემთხვევაში იხმარება სტროფული ერთეულის—ომონიმური რითმების აღსანიშნავად. უფრო სწორად, ისეთი ომონიმური სიტყვების ან სიტყვათა კომპლექსის აღსანიშნავად, რომლებიც იხმარება სტროფში ტაეპების გასართმავად.

ომონიმების შემთხვევაში საჭიროა განსაკუთრებული სიფხიზლე, რათა ერთმანეთში არ აფურიოთ სხვადასხვა მნიშვნელობის სიტყვები. უნდა აღინიშნოს, რომ ალორძინების ხანის ქართველ პოეტებთან ომონიმებზე შემთხვევაში ქართული ენა განსაკუთრებით შერყენილია. ომონიმების შერჩევისას შემოქმედი ხშირად მიმართავს ქართულისათვის არაბუნებრივსა და ზოგჯერ მიუღებელ გამოთქმებს, ზოგ შემთხვევაში კი არ ერიდება უცხოური ლექსიკის მოშველიებასაც. ეს გარემოება ძალზე აძნელებს აზრის სწორად გაგებას. ხელოვნური. უჩვეულო სიტყვათწარმოების გამო ასეთ შემთხვევებში ხანდახან გამოუცნობი ხდება ქართული სიტყვები. მამუკას ლექსებიც დაზღვეული როდია ამ ნაკლისაგან.

სიტყვების ხელოვნური წარმოებაა, მაგალითად, შემდეგ ომონიმებში:

1. გაქოს მონამა, ღაწვთა მონამა ვის არა აქენდეს...

(„ქება მეფის ბაქარისა“, 18);

2. ვინ პირველ მთქმელად, ვითა ზღვა მთქმელად... („ქება“, 3).

ადვილი გასაგებია, რომ ხაზგასმული სიტყვები შემდეგნაირად უნდა იკითხებოდეს: 1. მონამვა, 2. მნთქმელად.

მამუკას ძალზე ბევრი აქვს მთელი მაჯამური სტროფები. აი სანიმუშოდ ერთი სტროფი, რომელშიც მოცემულია სრული მაჯამური რითმა განახმალი:

შვიტენით შერეული ერთმანერთთა განახმალი,  
სისხლი მორვად გარდადენით, ართუ მიწა განახმალი,  
რისხვით მათთვის, წყალობითა ჩვენთვის ცაა განახმალი,  
სამი არის შეწვენადი—გული, მაჯა, განახმალი.

(„ჯიმშედიანი“, 310)

მოყვანილი სტროფის ომონიმები შედარებით ადვილად ამოსაცნობია. პირველ ტაეპზ. ის ნიშნავს გამოხმობილს, გამოწვეულს; მეორე ტაეპში — გახმობილს, გამიმარს; მესამე ტაეპში — გახსნილს, ვალებულს; მეოთხე ტაეპში — ხმალს.

ჩანს, მამუკას არ მოსწონდა მაჯამა, თორემ ის არ იტყოდა, რომ წინა დროის პოეტებმა „უხმეს მაჯამა, დიდ ჰყოს გარჯამა, სახელი მისი ვინცა ცვლილებადო“ („ქება მეჟის ბაქარისა“).

მამუკა მიმართავს ანტონიმებსაც. ერთიმეორის საწინააღმდეგო მნიშვნელობის სიტყვებს ანტონიმები ეწოდება. ანტონიმები:

დღ-ღამე შერთვით დავლივეთ ღვინო ლალისა კოკითა) („ჯიშზ.“, 380),  
ან:

ჭირთა და ლხინთა უანბობ, ვითა სოფელი გვავალსა („ჯიშზ.“, 465).

ანტონიმებს მოხდენილად ხმარობს მამუკა ანტითეზას გამოყენებისას (ამის შესახებ იხ. ქვემოთ).

\* \* \*

პოეტური მეტყველების დროს შესაძლებელია სიტყვებისა და გამოთქმების არა პირდაპირი, არამედ გადატანითი, ახალი მნიშვნელობით ხმარება, რასაც ტროპი ეწოდება) ტროპი ერთ-ერთი საშუალებაა მხატვრული სახის შესაქმნელად და პოეტური ენის გასამდიდრებლად. (ტროპის მეშვეობით მწერალს შეუძლია მეტი სიზუსტით გამოჰყოს საგნების თუ მოვლენების დამახასიათებელი ნიშნები; გამოხატოს თავისი დამოკიდებულება საგნებისა და მოვლენებისადმი. ლიტერატურის მკვლევარებში ასხვავებენ ტროპის შემდეგ სახეებს: მარტივს — შედარება, ეპითეტი და რთულს — მეტაფორა, გაპიროვნება, ჰიპერბოლა, ლიტოტესი, სინეკდოქე და სხვ.

ტროპის სახეებიდან მამუკა უფრო ხშირად მიმართავს მხატვრულ შედარებას. (მხატვრულ შედარებას იყენებენ იმ მიზნით, რომ უცნობი მოვლენა წარმოიდგინონ ნაცნობის საშუალებით, ნაკლებად ცნობილი საგანი — უფრო ცნობილი საგნით, რომ საგნები და მოვლენები მწერალმა უფრო თვალსაჩინო და საგრძნობი გახადოს.)

მხატვრული შედარების დროს საგნები და მოვლენები შეპირისპირებულია ერთმანეთთან რაიმე ნიშნის მსგავსების საფუძველზე. ამიტომ შედარება შემოქმედისაგან მოითხოვს შესადარებელი საგნებისა და მოვლენების საფუძვლიან ცოდნას. შედარებისათვის დამახასიათებელია ორი მხარე: რაც უნდა შევადაროთ და რასაც



უნდა შევადაროთ. შედარების წევრები დაკავშირებულია ერთმანეთთან სხვადასხვა საშუალებით (კავშირებით, ნაწილაკებით და სხვ.). შედარება შეიძლება გამოიხატოს აგრეთვე ვითარებით ბრუნვაში დასმული სიტყვით, შედგენილი შემასმენლით, აღმატებითი ხარისხის გამოყენებით და ა. შ.

როგორც აღვნიშნეთ, მამუკას ლექსები უხვადაა შემკობილი მხატვრული შედარებებით. შედარება მამუკასთან გამოხატულია სხვადასხვაგვარად. აი სანიმუშოდ ზოგიერთი მათგანი:

1. თბე დამძიმდა ღვინისაგან, ვით ღრუბელი მოსანამე („ჯიმშ.“, 408).
2. მეცა იგი ვარ, ვითარცა კაცი... („ტრუ და მცბიერი წუთისოფელი“, 10).
3. გულმზიარული, ზნე კეთილ სრული, უხვი ზღვისაებრ გამომცამდენად. („ქება...“, 7).
4. ქეჩოთა სიზრქე ჯაგარი მრთლად ტანთა დასაფარებლად („ჯიმშედ.“, 123).
5. ცხენი პილოთა უდიდე, სახე ნახატთა შვენებით (389).
6. ყრმა იშვა მნათობთ უნათლე, მჯობი ცისკრისა ძალითა (53).
7. მსგავსად რამე მარგალიტთა გამოუჩნდა ყელთა წნელად (75).

შედარება საშუალებას აძლევს მამუკას უფრო მეტად მკაფიოდ გამოხატოს საგანი, მოვლენა და, მაშასადამე, გახსნას იდეური ჩანაფიქრი. პოემა „ჯიმშედიანში“ როდესაც ჯიმშედმა გრძნეული დედაკაცისაგან შეიტყო, რომ დევს შეპყრობილი ჰყავს ლამაზი ქალი ბეჭფარი, ავტორის თქმით, მასაც ისე მოეღო სიყვარულის სახშილი, „ვით ცეცხლი ავთანდილს თინათინისა“ (217). რუსთაველის ცნობილი გმირების ფაქიზ გრძნობასთან შედარებით პოეტმა გაცილებით კონკრეტული, ნათელი გახადა ჯიმშედის სიყვარულის გრძნობის ძალა. მხატვრული შედარების კარგი ნიმუშია აგრეთვე ტომერანის ტირილის შედარება სანთლის ღნობასთან. როგორც აღმოდებული სანთელი იწვის და იღვენტება, ასევე „იწვის“ და იცრემლება ტომერანიც უშვილობის გამო: „ტიროლის შვილთა მთხოველი, იღვრების მსგავსად ცვილისა“ (70). შეპირობირების გამოყენებით ავტორი მკაფიოდ გვიხატავს შვილის მონატრული მამის სევდიან განწყობილებას. მაგრამ შედარება მამუკასთან ყოველთვის როდი აღწევს მიზანს. ზოგჯერ პოეტის შემოქმედებაში გვხვდება მდარე, უფერული შედარებები, რომლებიც არ ასახავენ სინამდვილეს. ასეთია, მაგალითად, ზღვის ღელვის შედარება კატის კნავილთან (395) და სხვ.

სარც ისე იშვიათად პოეტი მიმართავს შესადარებელი საგნის ან მოვლენის ვრცელ აღწერას. ასეთ შედარებას გაშლილი ანუ

გ ა ვ რ ც ო ბ ი ლ ი შ ე დ ა რ ე ბ ა ე წ ო დ ე ბ ა . გ ა ვ რ ც ო ბ ი ლ ი შ ე დ ა რ ე ბ ი ს ნ ი მ უ შ ი ა ქ ე ვ მ ო მ ო ყ ვ ა ნ ი ლ ი ს ტ რ ო ფ ი :

ვინმე მუშაკმან კეთილად ქმნას რამე მოსაქმედელად, მოაზნას, მოსთესოს, მომკოს და შეზენოს საიმედელად. მიხვდეს სახმილი, გარდუწვას, რა მისი იყოს მხედელად, უმართებს კმუნვა ჩემებრივ, გარე ვლოს შემომკედელად. (551)

მხატვრულ შედარებას უახლოვდება თავისი ბუნებით მეტაფორა, რის გამოც ზოგიერთი მკვლევარი მეტაფორას განმარტავს როგორც შემოკლებულ შედარებას. მეტაფორის შემთხვევაში ერთი საგნის თვისება გადატანილია მეორეზე. ამიტომ მეტაფორებს ასხვავებენ იმისდა მიხედვით, თუ რა საგნიდან რა საგანზე გადააქვთ ეს თვისება, მაგალ., სულიერი საგნის თვისება გადატანილია უსულოზე, უსულო საგნის თვისება გადატანილია სულიერზე და სხვა. შინაარსის მოთხოვნიდან გამომდინარე, ერთსა და იმავე მეტაფორას შეიძლება გააჩნდეს სხვადასხვა ფუნქცია, საერთოდ კი მეტაფორა აცხოველებს პოეტური მეტყველების სურათოვნობასა და ემოციურობას და აძლიერებს მკითხველში ესთეტიკურ შთაბეჭდილებებს. ენობრივი აგებულების მხრივ მეტაფორა წარმოადგენს მოქნილსა და შეკუმშულს, რის გამოც მოხდენილად გამოხატავს სხვადასხვა აზრობლივ ნიუანსს. მეტაფორა ხელს გვიწყობს ღრწად ჩაეწვდეთ ავტორის ნააზრევს.

მეტაფორა ტროპის ყველაზე მეტად გავრცელებული სახეა. მას უხვად ვხვდებით მამუკასთანაც. პოეტს გამოყენებული აქვს მეტაფორის თითქმის ყველა სახეობა. მამუკასთან ვხვდებით როგორც საკმაოდ გავრცელებულ, „გაცვეთილ“ მეტაფორულ სახეებს, ისე ახალ, ორიგინალურ სახეებს, რომელთა გამოყენებაში შეღავნდება მამუკას პოეტური ნიჭი. აი, მეტაფორულად როგორ აგვიწერს მამუკა გრძნეულ დედაბერს: „მშვილდი მობრია სიყმისა, ხეოთა არგანნი ჰქონისა“ (43). ამ ტაეაში მშვილდის თვისება — მოლუნულობა გადატანილია ადამიანზე, რომელიც სიბერისაგან წელშია მოზნეკილი. ეს მეტაფორული სახე — მშვილდი პოეტს სხვა შემთხვევაშიც აქვს გამოყენებული. ვაზირის შვილს კამათი მოუვიდა ჯიშ-შედთან, რის შესახებაც ვაზირის შვილი ამბობს:

ზე წამოვხლტი, ბაგის მშვილდი წარმოვხიდე ჩემთვის მკვლელად, გულთა მიერ მზადებულსა ვნის ისრის გასამხელად... (60)

მოყვანილ ნიმუშში ისრის გასასროლად მოზიდული მშვილდის თვისება გადატანილია დასალაპარაკებლად მომზადებული ადამიანის ბაგეებზე.

მეტაფორული მეტყველების კარგი ნიმუშია აგრეთვე პოემის შემდეგი ადგილიც. როდესაც მცირეწლოვანი ჯიმშედი მოითხოვს ახსნას, თუ რა არის კვერცხი და პასუხად ყველასაგან უარს მიიღებს, ჯიმშედს ეწყინება, მოილუშება, ჩაფიქრდება. ამ სურათს პოემის ერთ-ერთი მოქმედი პირი შემდეგნაირად გადმოგვცემს: „დახშა მზის სხივი ღრუბელმან, ვერ ვქენი ყინელთ დნობანიო“ (63). და მართლაც, მოღრუბლულ დღესა და ყინვიან ამინდს მოგაგონებთ გამწყრალი ადამიანის ცივი გამოხედვა. აქ მშვენიერადაა გადმოცემული მხიარული განწყობილების შეცვლა მოწყენილ, სევდიან განწყობილებად.

მეტაფორა მამუკას მოხდენილად აქვს გამოყენებული ბეჭდარის დადარდინებული გრძნობის გადმოსაცემად. როდესაც ჯიმშედი დევის ქალაქში შევა, დევის თილისმით მაშინვე გაქვეავდება. გაქვევებულ ჯიმშედს ნახაეს ბეჭდარი და ღრმა მწუხარებას მიეცემა. ეს განცდა ასე აქვს გადმოცემული პოეტს:

ტირის და მოსთქვამს საბრალოდ ოხრობით უბედობასა,  
ქვა დადნის შესაწყალეზლად, მასთან იქმოდის ხმობასა... (332).

აი კიდევ სანიმუშოდ მამუკას მეტაფორები:

1. მთვარემან ღრუბლით შეკრულმან მკრძლად სიტყვა გვიშაქარისა  
(„ჯიმშ.“, 274).
2. ვარდი გაშალა ღომილმა კბილ შუქთა გამომდენისა (35).
3. მივა საჯუფთოდ მთვარისა ღომი მზეთ მოკამათელი (230).
4. დაიწყო ვარდმან ღომილი, მტერთ ეცა დანა გულეზა (243).
5. ღომს მიხვდა იგი ქურციკი, რა ჰყვანდა დანაგულეზა (243).
6. რა გენახა, მთვარე დაიპო ადამასისა ფრჩხილითა (331).
7. რა ღომსა ესევეთარი უოხრა ნათელმა უღელმა,  
გული ვერ ჰფარა ქართაგან, ვით მტვერი ველმა უღელმა,  
მჩქელვარე ზღვამან დაუნთქა, არა დუმილმა უღელმა,  
გარდმოაღინა ნაკადი სანმილმან ამადუღელმა. (277)
8. შეედათ წყალნი კამკამი მდინარედ, არ ალყობითა,  
კიდევ ლაქვარდით წყობილი ძნიათლა შენატყობითა,  
წყალთა ისარნი ამოვლენ სიმაღლედ ამაყობითა,  
ცათ ადამასი გარდექნათ, სვეტად ფირუზი წყობითა. (423)
9. წინ სიხარულთა მე გული ესჯდი რასმე შემამკენესოდა,  
ხამთრის ნარჩომსა ყინელსა ელოდა რასმე ბრძენსოდა,  
არ მეშლებოდა ყვავილი, ჩირთობდა, არ ფურცლესოდა,  
კვლავ მეცა იგი ლახვარი, ვითა პირველად მესოდა. (529)

საგნის ან მოვლენის მკვეთრად გამოსახვისათვის მამუკა დრო-დადრო მიმართავს ისეთი სიტყვის თუ ფრაზის—ეპითეტის ხმარე-

ბას, რომლის მეოხებითაც იგი მოხდენილად ახერხებს მკითხველის ყურადღების გამახვილებას საგნის ან მოვლენის იმ მხარეზე, რომლის წინ წამოწევას პოეტი ფიქრობს.

ეს ეპითეტის საგნის ან მოვლენის თვისებების მაჩვენებელი სიტყვაა, რომელიც პოეტურ მეტყველებაში იხმარება შთაბეჭდილების გაძლიერების მიზნით. ეპითეტის საშუალებით შეიძლება საგნის ან მოვლენის გამოხატვა როგორც დადებითად, ისე უარყოფითად. ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ აფასებს შემოქმედი ამა თუ იმ საგანს ან მოვლენას. ეპითეტად იყენებენ: არსებით სახელს, ზედსართავს, ზმნიზედას და მეტყველების სხვა ნაწილებს. შედგენილობის მიხედვით არსებობს მარტივი და რთული ეპითეტი.

სხვა პოეტურ საშუალებებთან ერთად მამუკა იყენებს ეპითეტების ყველა სახეობას. ეპითეტები ჰარბად გვხვდება ბაქარ მეფის საქებრად დაწერილ ლექსში. განსაკუთრებით საყურადღებოა ამ მხრივ „ქების“ მე-19 სტროფი, რომელშიც ეპითეტების გამოყენებასთან ერთად მომარჯვებულია მწიგნობრული ენა, ამაღლებული სტილი, მიმართვის პათეტიკური ტონი. ლექს „უცხოში“ ამპარტავანი, „დიდების მდომი“ ქმარი დახასიათებულია ეპითეტების მრავალგზის გამოყენებით. აქ ეპითეტი მნიშვნელოვნად გვეხმარება ლექსის იდეური შინაარსის გახსნაში.

ეპითეტებით უხვადაა შემკობილი „ჯიმშედიანის“ გმირებიც. მათ მიეწერებათ მზის, მთვარის, შეიდი მნათობის და სხვ. თვისებები. პოემაში მამუკა აგვეწერს ალჰასის გველის ქალაქში ჯიმშედისა და ქერამის მისვლას „დიდთა პალატთა“ და მასპინძელთა დახვედრას:

ქვად დაფენილი ფირუზი არა ჩნდა მონაფენითა,  
გვერდი ზურმუხტით ყოველი მათ ექნათ ანაშენითა,  
სვეტი და სტოვა ლალისა, ვით მზე შუქთ გარდმოდენითა,  
ტახტი მართლად იაგუნდისა ვნახეთ, რა შევლეთ ბქენითა.

პური დაავეს, კურქელი თვალთა სხვათა და სხვისანი,  
უ კურა დადგეს, თვითოსა ადამასისა ქვისანი,  
იაგუნდისა კოკითა ლვიანო, ვის ძალა სმისანი,  
ჰქონდათ მუტრიბთა, მგოსანთა რა უაჟესი ხმისანი.

(397—398)

მოყვანილ ნიმუშებში ეპითეტები გამოყენებულია საგნების ცალკეული ნიშნების კონკრეტულ ციისათვის, მათში ხაზგასნულია გამოსახატავი საგნების გამახვილებელი თვისებები. აქ ეპითეტები გამოსახვის მოხდენილი საშუალებაა.

აი კიდევ რამდენიმე ეპითეტი „ჯიმშედიანიდან“:

1. ხურმუხტის თასი სასმელად, ყირმიზი ღვინო მინთა (359).
2. ლალის ტაბკითა სხვილისა მარგალიტ გარდმოშენილი (378).
3. დღე-ღამე შერთვით დავლივეთ ღვინო ლალისა კოკითა (380).

როდესაც ეპითეტი ტრადიციულადაა გაბატონებული, ის „მოძველებულია“, დაკარგული აქვს სურათოვნობა, ემოციურობა და გადაქცეულია მუდმივ ეპითეტად. ასეთებია მამუქასთან, მაგალითად, ადამიანის შემამკობი ეპითეტები: ტანი წერწეტი, მიჯრილნი კბილნი, კბილ-მარგარიტი, გიშრისა თვალნი, თვალნი მელანი, ინდის ლაწვები, ბაგე ვარდისა, ამაყი გული და სხვ.; ან წუთისოფლის განმსაზღვრელი ეპითეტები: მუხთალი, მუხანათი, ქრელი, ცრუ და ცბიერი... შემოქმედის მხატვრული ოსტატობა ახალი, ორიგინალური ეპითეტების ხმარებაში გამოიხატება. მართალია, მამუქა მიმართავს ახალ ეპითეტებს, მაგრამ მათი ხვედრითი წონა პოეტის შემოქმედებაში არცთუ ისე დიდია.

მამუქასთან გვხვდება ისეთი სიტყვებიც, რომლებიც ერთსა და იმავე დროს წარმოადგენს მეტაფორასაც და ეპითეტსაც. ასეთ სიტყვებს მეტაფორული ეპითეტი ეწოდება. მეტაფორული ეპითეტებია, მაგალითად:

1. ექებენ მისთვის წამალსა მდულარე ცრემლთა მდენისა („ჯიმშა“, 22).
2. შვილი გიბოძა უებრო, ნუ ხარ გულითა შავითა (47).
3. განფერთხო ბეჭვარს და მწვარსა გარე სახმილთა მგხნარითა (337).

მოვლენების მკვეთრად გამოსაჩენლად, სახეების ზედმიწევნით გამოსახატავად, შთაბეჭდილების გაძლიერების მიზნით, სხვა პოეტურ ხერხთა შორის იყენებენ აგრეთვე ჰიპერბოლას ან ჰიპერბოლურ გამოთქმას. ჰიპერბოლა ეწოდება საგნის ან მოვლენის გაზვიადებულად გამოხატვას.

ჰიპერბოლა საყვარელი პოეტური ხერხია მამუქასათვისაც. მისი გამოყენება ძალზე ეპარჯება პოეტს. მამუქას შემოქმედებაში ჰიპერბოლა უმეტესად გაერთიანებულია სხვა მხატვრულ საშუალებებთან, რაც მკითხველში იწვევს მეტ ემოციურობას, დაძაბულ განცდებს. ჰიპერბოლას პოეტი ციმართავს განსაკუთრებით დევგმირული ხასიათების შექმნისას. „ჯიმშედინის“ პერსონაჟებს ის ამკობს გრანდიოზული თვისებებით, გვიხატავს განსაკუთრებული აგებულებისა და ძალის მქონეებად. ასე, მაგალითად, ჰიპერბოლებისა და სხვა მხატვრული ხერხებით გადმოგვცემს იგი ჯიმშედისა და ილიასის გყელის შერკინების სურათს. პოეტის აღწერაში

ჩანს საბრძოლო ასპარეზზე გამოსულ შერკინებულთა ძლიერება, შეუპოვრობა, გაშმაგებული კიდილი:

შეუპყრეს კალთა ჯაჭვისა ხელ და ხელისა რკენმა,  
მიწა შეხილა ტალახად პერეულისა დენამა,  
ახეთქებდიან უწყალოდ, ცეცხლი ქნის კბილთა ღქენამა,  
ვრცვლად დახეთქა მინდორი მათისა ხმათა სმენაჲ.

ხელნი შეარტყეს წელთამდე, ნაოხობთა დაესობიან,  
კბილნი დაასხეს აბჯართა, მართ ხორცთა დაეტყობიან,  
ოფლი, ვით წყალთა მდინარედ, გადიან, გაეხმობიან,  
ცეცხლი და წყალნი შეყუილან, აროდეს დაიძმობიან.

(170—171)

ხოლო ჯიმშედისა და დევის შებრძოლების დროს, როდესაც ჯიმშედმა დევის „ორნივე თვალნი დაშრიტნა“, დამარცხებით გამოწვეულ დევის გაშმაგებას ჰიპერბოლების მოხმობით მამუკა შემდეგნაირად აგვიწერს:

კლდეთა არღვევდის, ისროდის ველთა, ფრეწს ხელთა მსკენელითა,  
მტვრად შექნის ხელთა გდებული კვა, ლოდი მინიმე, ძნელითა (190).

აი კიდევ ჰიპერბოლის სხვა შემთხვევებიც:

1. დაებრე ქარნი გულთაგან ოხერით სადენლად ველისა („ჯიმშ.“, 199).
2. სუნი სულთა სიმყარალისა, ვითა კვამლი გამოსდიან (236).
3. ცხენთა მსხდომელთა ოროლნი ღრუბელთა მინაწდომისა (255).
4. გულიი გალომდეს ლეინითა, ვერვინ შეიპყრას თოკითა (380).

\* \* \*

შემოკმედის ოსტატობა ვლინდება არა მარტო სიტყვათა შერჩევაში, არაჰედ იმის ცოლნაშიც, თუ როგორ გამოიყენოს მეტყველების აგების სხვადასხვა ფორმა.

საგნებზე ან მოვლენებზე ყურადღების გასამახვილებლად და გრძნობების უფრო დაძაბულად გამოხატვის მიზნით იწერალი ხშირად არღვევს ჩვეულებრივი მეტყველების ნორმებს, მიმართავს სიტყვების ან წინადადებების ისეთნაირ დალაგებას, როგორიც ზოგჯერ არ ემორჩილება ჩვეულებრივი სინტაქსის კანონებს. ცხრიის მხატვრულად გამოსახვის მიზნით ჩვეულებრივი სინტაქსური წესებიდან გადახვევას პოეტური სინტაქსი ეწოდება. პოეტური სინტაქსისათვის დამახასიათებელია სხვადასხვა პოეტური ხერხი, რომლებსაც ფიგურები ეწოდება.

მამუკა ბარათაშვილი არანაკლებ იყენებს ფიგურებსაც. ფიგურებიდან მისი შემოქმედებისათვის ყველაზე უფრო ნიშანდობლივია გამეორება. გამეორების დროს ერთი და იგივე სიტყვა ან წინადადება რამდენჯერმე მეორდება, რითაც პოეტი ყურადღებას ამახვილებს გამეორებულ სიტყვაში ან წინადადებაში მოცემულ შინაარსზე. გამეორება გამოყოფს ამა თუ იმ სიტყვებს, აძლიერებს მასზე ინტონაციას და ამ გზით მეტყველებას ანიჭებს გამოსახვის განსაკუთრებულ ხასიათს.

მამუკა სარგებლობს სხვადასხვა სახის გამეორებით. ის იმეორებს როგორც ცალკეულ ბგერებს, ისე სიტყვებსა და მთლიან წინადადებებს) ამასთან, პოეტი გამეორებებს ახდენს ტაეპში, სტროფსა და ზოგჯერ ლექსშიც. ასე, მაგალითად, სიტყვები გამეორებულია ტაეპში:

1. დეჟმან აასწრა, შევძახე: „ნუ ჯიმშედ, ნუ იმცრევითა“ („ჯიმშედ“, 193).
2. არცა დარბახთა მორი, არც მეტყველ, არცა რეპითა („ჯიმშედ“, 33).
3. სხვასა ვთეს მცირად, სხვას ვიმკი ხშირად და სხვასა ძირად სხვას გახმევე პირად („ქება მეფის ბაქარისა“, 52).
4. შენგამო, შენგამო ცრემლდინებულმან („რუსული ხმები“, 1).
5. გვამთაგან, გვამთაგან აბეხარია! („რუსული ხმები“, 7).
6. ვინ არის, ვინ არის მისი დარია? („რუსული ხმები“, 4).

ზოგჯერ მეტყველების ესა თუ ის ნაწილი ტაეპში გამეორებულია სხვადასხვა ფორმით. ეს ფიგურა მეტყველებას ანიჭებს ახალ ინტონაციურსა და აზრობლივ ნიუანსს. ასეთი გამეორებანი საკმაოდ გვხვდება მამუკასთანაც. აი მათი რამდენიმე ნიმუში:

1. დედოფლისა ხმათა ხმოებით შემოგვერტყა ეშმა რასად, იყო ხოცა ხმალთა ჩვენთა, მკვდარი ვითა დასის-დასად, მეომრობით შეგვესწორა ჩვენ ბედშავი ერთი ასად, ამოვსწვიტეთ გუნდი ს-გუნდი, ხმალი ქებულ, ვითა ნასად. („ჯიმშედ“, 362)
2. მისცა ძალი სამართლისა სწორის-სწორად განკითხვისად, დაუქციე ხათავით, ძირისძირით მოსავლსად (106).
3. უფიცხე მოსაწვეულად ხელი ხელთანა ხლებული (169).
4. ვერ შენებურად მოლხენით გიყურებ ხმათა სმიანი (401).
5. ვითარი ქამი მაქვანან, ეგრეთვე ხმათა ხმიანი (401).
6. გავლევით ნება დნებისად, ლაშენი გავათევენით (368).
7. აქა გამოჩნდა კეთილი მიხეხთა მიხეხისანი (370).
8. ნება ნებოდეს რომელსა სიმხნით არჰორთა დრკულებსა (241).
9. მე ჩემთა თანა მშობელთა, თქვენ თქვენთა გმხერდე მნახესა (367).
10. იგია ჩემი ქვეყანა, დასთ წყობა გაწყობილია (342).
11. ნუ ემდურვით სოფელს მწყენად, ავიავთა უნდა მქვენად! („რუსული“, 3).

გამეორებას მიეკუთვნება აგრეთვე სინონიმების გამოყენება ერთ ფრაზაში. სინონიმური სიტყვების გამეორებით მამუკა აძლიერებს წინადადების შინაარსობლივ მხარეს. ამასთან, მიღწეულია ეფექტურობა ფორმის მხრივაც. სინონიმური სიტყვების გამეორებები:

1. მეორეს ბარკას დაჰფრინდა, ვიტყვი ტ ა ი კ ს ა, ჰუნესა (196).
2. ხელმწიფის წინა მივიდენ დაკრილნი, დაკოდელეზი (290).
3. შაგინებს ქალსა თვისსა ჩასაქოლად, ჩასაკირად (306).
4. ტირილი და წუხილი, ვამე, არ გაცინება („პრიიდი დრუჟკის ხმა“, 8).
5. ზაკვა და ეშმაურება სიყვდილთა დანაცადება („ჯიმშ.“, 251).
6. ტირის და მოსთკვამს საბრალოდ ოხრობით უბედობასა (332).
7. ორი თვე მომცა სოფელმან შვება და განლაღებანი (5.8).
8. ჩემთვისა თქვა დედოფალმან საჯუფთოდ და საუღლეღად (473).

სიტყვების გამეორება ზოგჯერ ტაეპებსაც აკავშირებს. ამ მხრივ საყურადღებოა ანაფორა და ეპიფორა. როგორც გამონაკლისი მამუკასთან გვხვდება ანაფორის ის სახეობა, როდესაც ტაეპები ერთი და იგივე სიტყვით იწყება:

გაზიხენწიფდა ხელმწიფე ჩემი აქამდი ტყვეული,  
ლირსი ტახტისა თვისისად ჯდომად ღწერთშენაწვეული,  
მზელომთა დასაწყარებად, დია მშვილდოსანთ წვეული,  
მზე გარადმოსა ძალითა წყალობა გარდმატეული.  
(„ჯიმშ:დიანი“, 504)

მოყვანილი სტროფი მთლიანად შეეხება ჯიმშედის გახელმწიფებას და სავსებით სამართლიანად ლოგიკური მახვილი გადატანილია სწორედ ჯიმშედზე. მოქცეულია რა მისი ეპითეტი—„მზე“ ტაეპების დასაწყისში. ამასთან, ანაფორით შეკრულია სტროფის ტაეპები და ამით შინაარსობლივ მთლიანობასთან ერთად მიღწეულია ფორმობლივი მთლიანობა.

მამუკა ორჯერ მიმართავს ტაეპების დასასრულს ერთი და იგივე სიტყვების გამეორებას—ეპიფორას:

1. შესაწყალი ის გული არის სვედაკარგული,  
სიყვარულითა შენით არის სვედაკარგული.  
(„პრიიდი დრუჟკის ხმა“, 3)
2. შეკვანებდენ, მაგრამე ჩვენ ღმერთი შემწეწელისა,  
ვით ორნი ჩვენთა ქვეყანად შემრევად შემწეწელისა.  
(„ჯიმშ:დიანი“, 281)



მაშუკას ლექსების გარკვეული ნაწილისათვის ნიშანდობლივია აგრეთვე პირველი სტროფის ბოლო ტაეპის გამეორება მთელი ლექსის მანძილზე—რეფრენი რეფრენი დამახასიათებელია ქართული ხალხური პოეზიისათვის, საიდანაც მერე გადავიდა სასულიერო პოეზიაში რეფრენი შეითვისა ქართულმა კლასიკურმა ლექსმაც, ხოლო შემდეგ ერთ-ერთ ძირითად ელემენტად იქცა მუხამბაზურ პოეზიაში.

რეფრენს ვხვდებით მაშუკას შემდეგ ლექსებში: „უცხო“, „ჩერნიჩკოს ხმა“ და „ვიხილე შენი შევება“. ლექსში „ვიხილე შენი შევება“ მაშუკას გამოუყენებია ორიგინალური რეფრენი: ლექსის ყველა სტროფის პირველი ტაეპის დაბოლოებაში მეორდება—„ვეტრფიალები... სულა“, ხოლო მეორე ტაეპის დაბოლოებაში—მხოლოდ „ვეტრფიალები“.

გამეორებას უახლოვდება, და შედარებასაც გულისხმობს, ისეთი პოეტური ხერხი, რომელსაც პარალელიზმი ეწოდება. პარალელიზმის დროს დაპირისპირებულია ორი მოვლენა მათი პარალელური გამოსახვით. აეთი დაპირისპირება ხაზს უსვამს მოვლენათა მსგავსებას ან განსხვავებას. პარალელიზმის ხმარებით პოეტი განსაკუთრებით გამოყოფს ფრაზის ამა თუ იმ ნაწილს, ხდის მას უფრო შესამჩნევსა და გამომსახველს. პარალელიზმის შემთხვევაში გვაქვს თანაბარი და ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი მნიშვნელობის მქონე წევრები. იმისდა მიხედვით, თუ რამდენი წევრია შეფარდებულ-შედარებული, პარალელიზმი შეიძლება იყოს ორწევრიანი, სამწევრიანი და ა. შ.

მაშუკასთან გვხვდება როგორც ორწევრიანი, ისე მრავალწევრიანი პარალელიზმები. აი, მათი რამდენიმე ნიმუში:

1. შინა მჯდომი სახლთა მცველად, მარბენელი უნდა ველად („რველი“, 1).
2. ვინ თქვა: თეფი - ხმელთა მრბენად, რკუ—ჭაერათა აღსაფრენად, ქვა—ნაყოფთა აღმომცენად, არვე თხათა—ლომთა რკენად. („რველი“, 3)
3. რიოშთა განსცდის კიდონტი, ნათა—ხლვა, ცემა ღადოსა, კვლავ მგაჟობელთა—ხმა ვრცელი, შედგომა საღალადოსა, მელექსეთ—გრძელთა ამბავთა გაღექსვა სათანადოსა, ვით იწყოს ანი ჭმდე სწორად, არ გაარადოსა.

(„ჯიმშედანი“, 559)

ლექსში „ვიხილე შენი შევება“ პარალელიზმი გამოყენებულია როგორც კომპოზიციური საშუალება; მთელი ლექსი აგებულია პარალელიზმებით. აღნიშნული ლექსი მოგვეყავს მთლიანად:

ვიხილე შენი შევება—სახესა ვეტრფიალები... სულა,  
აღვად აღზრდილი ლელწამი—წვლილს ტანსა ვეტრფიალები.

შავნი, მშვილდურად მოხრილნი—წარბებსა ვეტრფიალები... სულო, მკერვრტ გულსა დამასობელსა—წამჭამთა ვეტრფიალები.

შავი ზღვა მაცურებელთა ჰნთქავს—თვალთა ვეტრფიალები... სულო, სულისა ნავთსაყუდელსა—კილოსა ვეტრფიალები.

ბროლის კალონი მტკიცენი—ლაწვებსა ვეტრფიალები... სულო, ჩევის გულისა კუბოსა—შავს ხალსა ვეტრფიალები.

მეშუთა სამყოფი სოთურად—საყნოსელს ვეტრფიალები... სულო, კოკობნი ვარდნი შეთხხულნი—ბაგეთა ვეტრფიალები.

მარგარიტნი არნ მიჯრილნი—თეთრ კბილთა ვეტრფიალები... სულო, მათეს ჰკლავს ამოდ მოსმენა—ენატკბილს ვეტრფიალები.

ცნობილია პარალელიზმის ორი სახე—დადებითი და უარყოფითი. დადებით პარალელიზმთან ერთად მამუქასათვის საყვარელი პოეტური ხერხია უარყოფითი (კონტრასტი) პარალელიზმიც. უარყოფითი პარალელიზმის დროს შემოქმედი მიმართავს ახალ სიტყვას, როგორც იმავე წინააარსს გამოხატავს უარყოფის გზით. უარყოფითი პარალელიზმით პოეტი აღწევს მოვლენის უფრო მკაფიოდ გამოხატვას. მამუქას შემოქმედებაში უარყოფითი პარალელიზმის ნიმუშებია:

1. ეს ლამპარი უშრეტელი არ ძველი არს, ახალია („პოლცის ხმა“, 1).
2. ზრმალი მივართვი საყვავად მე ჩემთა, განა სხვისისა („ჯიმშედინი“, 105).
3. გამოვალს ვინმე დიაცი ერთი, არ უამრავები (204).
4. ნებად გვალოცა დია მან მინდვრად, არ მალალ ქედისა (369).
5. ვიყავით ამაღ ჩვენთანა დღე მწარე, არა ტკბილებით (470).

ფართო გამოყენება აქვს მამუქას შემოქმედებაში ანტითეზას. ისეთ პოეტურ ხერხს, რომლის დროსაც მკვეთრად დაპიოისპირებულია ერთიმეორის საწინააღმდეგო საგნები და მოვლენები ანტითეზა (კონტრასტი) ეწოდება. ანტითეზა წარმოადგენს გამოსახვის მკაფიო საშუალებას. ამ ნხატვრული ხერხის მოხმობით პოეტი აღწევს მეტ ემოციურობას.

მამუქასთან დაპირისპირება მრავალნაირია. ყველა შემთხვევაში მას მოხდენილად აქვს გაძოყენებული ანტონიმები. სანიმუშოდ აქვე მოვიყვანთ რამდენიმეს:

1. მოკვდის, გაცოცხლდის ხელმწიფე ჩემი ლაზვართა სროლითა, მრავალგზის მიხვდის სიბნელე, ჭამ შეიმოსის ბროლითა. („ჯიმშ-“, 503)
2. ცეცხლი და წყალნი შვერილან, აროდეს დაიმობიან (171).
3. ხელმწიფესა და მონასა მახვილი სწორად ეხება (285).
4. ყურება ჰკლავს და ყურება აღხენს („რუსული ხეზი“, 16).

5. ნახვა მკლავს და ნახვა მალხენს, ვის ვიგონებ ამას სულა,  
მოშორება სიკვდილს მიმცემს, ნახვით სიბრძნე დაკარგულა.  
(„პოლციის ხმა“, 2)
6. დღეთათვის მზე და ღამეთათვის არს მეფედ რიგისა.  
(„ჯიმშედ.“, 233).
7. ან თუ მაქებს, ან მაძაგებს,—ორში ერთი არ ამცდება.  
(„შაირის ტაჰაი“, 9).
8. წამამება, გრძლად წამება  
უმჯობესია მამაციათვის!  
(„რუსული ხმები“, 20).
9. მორჩილთა უხამსსიკეთე, ურჩთათვის რისხვა ვნებისა  
(„წამებული“, 3).

ხანდახან მამუკა იყენებს რიტორიკულ მიმართვასაც. ასეთ შემთხვევებში პოეტი მიმართავს კონკრეტულ თუ განწყენებულ საგნებს და ამით გამოხატავს განცდებს—სიხარულს, გაკვირვებას, მღურვას და ა. შ. ერთი სიტყვით, ეს ფიგურა ემსახურება ემოციის გამოწვევას. სწორედ მღურვის მოზღვავებული გრძნობაა გადმოცემული წუთისოფლისადმი მიმართვაში:

ჰე, სოფელო, შენთა მსგავსი, ვითა გწადდა, დამემართა.  
სიკრუვითა აღლესილი გულთა მკარ და დამემართა,  
სჯობდა შენდა მიმედრიკა, სხვაგან სითმე დამემართა,  
მაგრამ მიჰხსნის შენგან კიდევ მარიამის და მე მართა.  
(„შაირი“, 2)

რიტორიკულ მიმართვას მამუკა არაერთხელ იყენებს „ჯიმშედლიანშიც“. როდესაც ჯიმშედი მოჰკლავს ვეშაპს და გაათავისუფლებს ბეჭფარს, უკანასკნელს ის ასე მიმართავს:

ჰე, ნათელო, ჩემთვის მყოფო, ვინ უნათლებ მზეთა პირსა,  
გამოსცადენ მკლავნი ჩემნი, მბრძოლთა მბრძოლად არა სჭირსა,  
მომეცემი მონაცვალედ შენთვის ძებნად შენაზირსა,  
თუ მინახავს ჰირნი დიდნი, ვიცი რომე შენად ღირსა. (239)

მოყვანილ სტროფში გადმოცემულია მიზნის მიღწევის შედეგად გაცდილი კმაყოფილების, სიხარულის გრძნობა.

რიტორიკული მიმართვის კარგი ნიმუშია აგრეთვე ბეჭფარის მიმართვა დასაკლავად გამზადებული ცხენის—ბედუკულმართისადმი:

სიმხნის ტახტო და კირჩხიბო, მთოვარის ბურჯო სვისაო,  
ღრიანკელისა ვარსკვლავთა მსგავსად მესისხლე მტრისაო,  
დევ-ვეშაბთ აღმომწყვეტელო, მედგრად მცურაო ზღვისაო,  
ბედუკულმართო, ტაიკთა მსგავსო სახელთა თქმისაო.

მსახურე შენთა პატრონთა, თავი არ დაგიზოგავსა,  
სიფიცხე სლეთთა შენითა მთვარესა მომეც, ღოგავსა,  
წამლად თქვეს შენი სიკვდილი, ესე რა ნაცულად მოგავსა...  
(338—339)

ქლნიშნული ფიგურების გარდა, მამუკა ხშირად მიმართავს ინვერსიასაც. წინადადებაში სიტყვათა უჩვეულო განლაგებას ინვერსია ეწოდება. ინვერსიის დროს ჩვენ საქმე გვაქვს წინადადების წევრების გადაჯგუფებასთან. წინადადების წევრების გადაჯგუფება გამოყოფს, ხაზს უსვამს საკირო სიტყვებს, მეტყველებას ანიჭებს მეტ გამომსახველობას ინვერსიის საშუალებით მწერალი ყურადღებას ამახვილებს საგნის ან მოვლენის იმ მხარეზე, რომელიც მისთვის საკიროა. ასე, მაგალითად, ლექს „პისტიკაურში“ (სტრ. 1) მამუკა წერს:

ქოფელმან ასრე შემოყრა ცრუმან: ლაწეთა შეჰმატა მგლოვარე  
თვალთა მანანა.

მოყვანილ მაგალითში მსაზღვრელი სიტყვა „ცრუმან“ მოწყვეტილია საზღვრული სიტყვისაგან („სოფელმან“) და წარმოითქმის რამდენადმე განცალკევებული ინტონაციით, რის გამოც ეს სიტყვა გამოიყოფა, მეტ ყურადღებას იპყრობს.

სანიშნულად მოგვეყავს ინვერსიის კიდევ რამდენიმე შემთხვევა:

1. გავლო, წაიდა, მინახავს მე იგი აღარ ნახვითა („ჯიმშედ“, 349).
2. აქვს, გაეცალე, დამაგდე, სიმრავლე მაცთურობანი (276).
3. მოვიდა, მეფეს თაყვანი მისცა დიაცმან თავითა (47).
4. შეილი გიბოძა უებრო, ნუ ხარ გულითა შავითა (47).
5. ეგონა დავნთქი ულუქსა, მართ ვითა ყრმამან სძე ლია (209).

მამუკას პოეტურ მეტყველებას ზოგჯერ ახასიათებს აზრის გადმოცემა მოკლე, მარტივი წინადადებებით, ყოველგვარი მხატვრული ხერხის გარეშე. აზრის გადმოცემა მოკლედ, შეკუმშულად, იწვევს მეტყველების სისწრაფეს, დინამიკურობას. ასეთ შემთხვევებში მამუკა მიმართავს უკავშირო წინადადებების ხმარებას, ასინდეტონს, როგორცაა, მაგალითად:

1. ნახა, წასწვდა, განეშორა, მივა, მისდევს მისკენ რებით („ჯიმშ.“, 77).
2. დაკლეს, გააპეს, წაჰხადეს წელნი კურნებად ორისა (340).
3. შევშინდი, დავბნდი, დავეცი, მე მისგან შემერიდისა (348).
4. გავლო, წაიდა, მინახავს მე იგი აღარ ნახვითა (349).
5. აქვს, გაეცალე, დამაგდე, სიმრავლე მაცთურობანი (276).

როგორც ვხედავთ, მოყვანილ მაგალითებში სიმძიმის ცენტრი გადატანილია ზმნაზე. საერთოდ, ზმნების სიუხვე უმეტესად

შენიშნება იქ, სადაც შინაარსით გადმოცემულია მოქმედება, მოძრაობა.

უნდა შევნიშნოთ ისიც, რომ პოეტი ხშირად აზმნავეებს სხვადასხვა სახელს და აძით აღწევს სიტყვ-ს ეკონომიას. უფრო მეტიც, „ჯიმშედლიანის“ მოქმედი პირის ბეჭთარის სახელიდან პოეტმა აწარმოვა ასეთი ზმნა: „ამოდ ვიყავით მას ღამე, ჩვენ შუქი ვიბეჭდარენით“ (293).

უმთავრესად სიტყვის ეკონომიას ემსახურება აგრეთვე ზმნაში ტმესის ხმარებაც. „ჯიმშედლიანში“ მეტად ხშირია-ზმნისწინის ზმნისაგან ჩამოკვეთის და მათ შუა ნაწილაკის ჩასმის (ტმესის) შემთხვევები, რისთვისაც პოეტს გამოყენებული აქვს ცა ნაწილაკი:

1. შე-ცა-ვსტყორცე ხელმწიფესა, მეც შემეჭა იგი მკერელად (60).
2. კვლავ მიბანა, ა-ცა-ვდეგ, ნებითა შევემწე ვისა (109).
3. ჩემთა გულთა შენაძლებად მი-ცა-ვმართე განაბედად (119).
4. ცხენსა მივეციოთ სახრდელი, დანდალნი წა-ცა-ვყარენით (137).

ერთხელ გვხვდება ასეთი ტმესიც: „მო-რე-გვისრულდა წადილი ჩვენ არა შენდა წილებით“ (470).

აზრის მოკლედ გადმოსაცემად პოეტი მიმართავს სიტყვების გამოტოვებასაც, რასაც ელიპსისი ეწოდება. ელიპსის ვხვდებით უმეტესად პარალელიზმების დროს. ეს ფიგურა შედარებით ხშირად გამოყენებული მამუკას ლექსებში. სიტყვათა ელიპსური წყობით მამუკა აღწევს ფრაზის ლაკონიურობას. მოგვყავს ელიპსისის რამდენიმე ნიმუში:

1. ცრუ და მცბიერი წუთისოფელი,  
მიმდოთა ვიტყვი—ეგრევე მყოფელი.  
(„ცრუ და მცბიერი წუთისოფელი“, 1)

სრული სახით ასე უნდა იყოს: ცრუ და მცბიერი არის წუთისოფელი, მიმდოთა ვიტყვი—ეგრევე იქნებიან მყოფელი.

2. ჯიმშედ სიცილით: „ჩემო მზევ, ნუ სწუხს გონება შენია“!...  
(„ჯიმშედლიანი“, 302).

სრული სახით ასე უნდა: ჯიმშედი სიცილით ეტყვის...

3. ჩვენ ორნი ერთის ტაიჭით და ბეჭთარ ერთი—ერთითა (252).

სრული სახით უნდა იყოს: წავედით ჩვენ ორნი ერთის ტაიჭით და ბეჭთარ ერთი წავედა ერთითა ცხენითა.

4. მზემან: „ჩეფეო, სამეფო, ქერამ შენია, მუნ არსა,  
მე ტყუბმან შენი ფურტარი შევსვა ყვავილთა ქუნარსა,  
თაფლი სიტკბოსა მისისა არ გგონებ დასაწუნ არსა...“ (474)

უნდა იყოს: მზემან თქვა...

5. მოუთმენელად სიფიცხე ვისა აქვს—წყენა გულისა (62).

უნდა იყოს: მოუთმენელად სიფიცხე ვისა აქვს, ექნება წყენა გულისა.

მაჰუკას რამდენჯერმე აქვს გამოყენებული შეწყვეტა (აპო-სიოპეზა). შეწყვეტის დროს წინადადება დაშავებული არ არის, შეწყვეტილია. წინადადება შეწყვეტილია იმ სიტყვაზე, რომელსაც აზრის გამოსახატავად არსებითი მნიშვნელობა აქვს. ამ თეგურით მწერალი მეტყულებას ანიჭებს ამალელებელ ხასიათს და იწვევს მკითხველში განცდებს. ასე, მაგალითად, „მდენარში“ მამუკა წერს:

მზე ხარ და დამწვა... ნათელმან მე შენმან ამაჰშინაო.

მამუკას ლექსებში სინტაქსური წყობა ყოველთვის არ ემორჩილება ლექსის მეტრს. მის ლექსებში ვხვდებით გადატანის (ანემატეზის) შემთხვევებსაც. ამ დროს ტაქტის აზრობლივი-შინაარსობლივი დაბოლოება არ ემთხვევა მეტრის დასასრულს (იხ. აქვე, გვ. 105). ამიტომ სინამდვილეს არ შეეფერება ის მოსაზრება, თითქოს გადატანა დამახასიათებელი კომპოზიციური თავისებურებაა მხოლოდ ახალი ქართული პოეზიისათვის.

აქვე მოვიყვანთ გადატანის რამდენიმე ნიმუშს მამუკას შემოქმედებიდან:

1. ვის მისგან დასაბურავი

უნდა, სთმოს, მიჰსცეს თურ ავი.

(„პოკლე შეწყობილი“, 3)

2. დავგმე და სული უხარი

მათ, ვინცა მისგან უხარი.

(„ლექსი მოკლე“, 2)

3. ზოგთა ფრინველნი მცირენი, ზოგთა ნადირი რებული  
ხოცეს ხელმარჯვედ, თვის-თვისად იარალთ შედარებული.

(„წყობილი“, 3)

4. ვისცა ატუნებს საწუთო, მრავალგზის მიტვევბანი  
აქვს მისთვის, უყვარს შობილი, რათა არ ჰპოვოს წბილია.

(„შერეული“, 3)

5. ოდეს წამოველ, მამამან წამალი დაკოდილისა

მიბოძა, წყლული მოვბანე, ვაყარე ხისა ჩრდილისა

ძირსა მწოლესა, შეუარ, ვიდრე მწუხრიდგან დილისა

მკელელი ვდასტაქრობ ჩემებით, მე თანა შეცაზრდილისა.

(„ჯიმშელიანი“, 99)

\* \* \*

ინტერესმოკლებული არ არის მანუკა ბარათაშვილის ლექსების ბგერწერაც. მოვლენის უფრო ნათლად და მკაფიოდ გამო-სახვის მიზნით დიდი მნიშვნელობა აქვს ბგერწერას. ბგერწერის დროს ხაზვასმულია ცალკეული სიტყვების ბგერები, რითაც მათ

(ბგერებს) ენიჭებათ გამოსახვის განსაკუთრებული მნიშვნელობა. ამასთან, ბგერწერის დროს გვეძლევა ლექსის მუსიკალური ქღერადობა.

ბგერწერის სახეობებიდან ძალზე გავრცელებულია პოეტური მეტყველებაში ალიტერაცია და ასონანსი. ალიტერაცია არის ერთი და იგივე ან დამსგავსებული თანმოვნების გამეორება. მაგ. მუქას გამოყენებული აქვს დასახელებული მხატვრული საშუალებაც. ასე, მაგალითად, სანთელზე ცეცხლის მოდება (მოკიდება) ალიტერაციის მოხმობით მამუქას ასე აქვს გადმოკეპული: „ამად მოიდებს, დაიწვის, განბრწყინვდეს. დაშენდებისა“ („გრძელი შაირი“, 2); ხოლო ციდან ცვრის მოწყვეტას პოეტი შემდეგნაირად გვისურათებს: „ცას ცვარი მოჰსწყდეს სიციბითა, რაცა ზღვათა იქს რებასა“ (იქვე, 4).

აი კიდევ ალიტერაციის რამდენიმე ნიმუში:

1. ...ზეიმი ზარად ზმა მტერთა მტრულად („ქება მეფის ბაქარისა“, 49).
2. უფიცზე მოსაწვევლად ხელი ხელთანა ხლებული („ჯიმშედ“, 169).
3. შენთან დამაგდო რეგვენმან, ცეცხლთა სირცხვილთა მრცხვენისა („ჯიმშ.“, 248).

ალიტერაციასთან შედარებით უფრო იშვიათად იყენებს მამუქა ასონანსს. ასონანსი არის ერთი და იგივე ხმოვნის გამეორება. ასონანსია:

1. სიხარული აქვს ანასდი ავთა არევით („პისტიკაური“, 3).
2. ნუთუ სისხლთაგან უსულო უტყვად უძრავი, ურები („ჯიმშ.“, 98).
3. უსმი, უსიტყვო, უყნოსლად, არა მაქვს თვალთა ჩენანი (133).

მოყვანილი ბოლო ორი ნიმუში მიბაძვავა რუსთველური ასონანსისა. ეს ასონანსი გამოირჩევა კეთილხმოვანებით, რადგან გამეორებულ ხმოვან ბგერას (უ) ამავე დროს სიტყვის მახვილები მოუღდის. უფრო მეტ მუსიკალობას აღწევს მამუქა მსგავსი თანხმოვნებისა და ხმოვნების ერთად ხმარების დროს:

1. არა მარა მარია, სკამთა წამომჯღარია... („პოროდილა ჩეჩოტოჩკას ხმა“).
2. გვამთა ფრინველთა ჭუათა ჭამითა აქვან შევბანი („გრძელშაირის ლექსი“, 4).
3. ყვასა და კუღსა ისარი გაავლო გაცმა, გადებით („ჯიმშედ“, 296).
4. სახლთა საფერასა საკებთა, მსგავსსა როჟელსა ვღგებთა (381).
5. ხემწიფესა უებროსა ჩემსა ხმელთა გარდამწოდმსა (79).

საყურადღებოა ისიც, რომ მამუქა იყენებს რუსთაველისთვის საყვარელ სპეციფიკურ მხატვრულ ხერხს—ბგერების გამეორების მიზნით ტაეპში სიტყვათა ხშირ გამეორებას, რითაც პოეტი კიდევ უფრო აღწევს მუსიკალურ ქღერადობას. მაგალითად: „თვალი თვა-

ლობს და გულიცა გულობს გულისა გულებსა“ („ჯიმშედ.“, 241). მოყვანილ ტაეპში ფორმოვლივი მონაცემებით გატაცებამ დაჩრდი-  
ლა ლექსის შინაარსობლივი მხარე.

\* \* \*

მამუკას პოეტური ენის მიმოხილვა სრული არ იქნება, თუ არ შევეხებით იმ „გრამატიკულ გადახვევებს“, რომლებსაც არც ისე მცირე რაოდენობით ვხვდებით პოეტის შემოქმედებაში. „გრამატიკული გადახვევები“ გამოწვეულია არა პოეზიის მოთხოვნით ან პოეტის მიერ ენის უცოდინრობით, არამედ ლექსის მხატვრული მხარის სრულყოფილობის დროს ტექნიკური დაბრკოლებებით, რომელთა გადასალახავად გრამატიკული ნორმების დარღვევასაც არ ერიდება შემოქმედი.

იმ დროისათვის გაბატონებული იყო შეხედულება, რომელსაც სულხან-საბა ორბელიანი შემდეგნაირად გამოხატავდა: „მოლექსეთათვის სიტყვა და ლაპარაკი არა დაიდება, რაჟც გაეწყობა, მას იტყვიანო“<sup>1</sup>. შემოქმედის ასეთი სრული თავისუფლება ბიძგს აძლევდა მამუკას თამამად გადაეხვია გრამატიკული ნორმებიდან და ქართული სიტყვა ან ფრაზა ზოგჯერ არასწორი ფორმით გადმოეცა. ეს „გრამატიკული გადახვევები“ უმათავრესად გამოწვეულია შემდეგი ფაქტორებით:

## I. მეტრის ბამო

გრამატიკული ფორმების დარღვევა ზოგჯერ გამოწვეულია მეტრის გავლენით. გრამატიკულად გამართული ფრაზა არ ემთხვევა მოცემული ლექსის მეტრს—იმაზე მეტია, ან ნაკლებია. ასეთ შემთხვევაში მამუკა მიმართავს სხვადასხვა სახის გრამატიკულ გადახვევას.

ა) ნაპარაუღევი ფრაზა ნაკლებია მოცემული ლექსის მეტრზე

1. არჩეულ ფრაზას მამუკა ხელოვნურად უმატებს მარცვლებს, უფრო სწორად, ხმოვნებს. ეს ხმოვნები არ ასრულებს რაიმე გრამატიკულ ფუნქციას, იხმარება მხოლოდ და მხოლოდ მეტრის შესავსებად.

„ქართულში გვხვდება ხმოვნები ა და ო, რომლებიც არც ფუძეს ეკუთვნიან და არც რაიმე გრამატიკულ ფუნქციას ასრულებენ. ეს ხმოვნები გვხვდება მხოლოდ ლექსში, სიტყვების ბოლოს,

<sup>1</sup> სულხან-საბა ორბელიანი, სიტყვის კონა, 1949 წ., ს. ი თ რ დ ა ნ ი შ ვ ი ლ ის რ ე დ . წინასიტყვაობა, გვ. XXIV.



უფრო კი ცეზურის შემდეგ და ტაეპის დაბოლოებისას—მარცვალ-  
 თა რაოდენობის შესავსებად. რადგანაც ეს ხმოვნები მარტოოდენ  
 პოეზიაში იამარება და მეტრიკის მიზნებისათვის, უულება გვაქვს,  
 მათ პროსოდიული ხმოვნები ვუწოდოთ<sup>1</sup>. მეტრის შესავსებად  
 მამუკას გამოყენებული აქვს ორივე პროსოდიული ხმოვანი.

A. მეტრის შესავსებად გამოყენებული აქვს პროსოდიული ხმო-  
 ვანი ა:

- ა) პირნათლად ხის-ა, ვით შუქი მზისა... („ცრუ და მცბიერი წუთისოფე-  
 ლი“, 4).
- ბ) რით ვინუგეშებ, ესე არ ვიცი, ვერ-ა ვივიწყებ, ვარ უსასოთა.  
 („ნე სმუშაის ხმა“, 3).
- გ) . . . . . მრავალფერებს ა,  
 . . . . . შეიფერებს ა,  
 . . . . . დაიმტერებს-ა,  
 . . . . . დააბერებს-ა.  
 („გრძელი შაირი“, 3)

B. მეტრის შესავსებად გამოყენებული აქვს პროსოდიული  
 ხმოვანი ო:

- ა) შენ ხარ კვლუტ სინათლე-ო, რადა გშორავს სიმართლე-ო?  
 ვით დამაგდე, ჩემო მზეო, განმინათლე სიბნელე-ო.  
 („ჩერნიჩკოს ხმა“, 4)
- ბ) . . . . . სვისა-ო,  
 . . . . . მტრისა-ო,  
 . . . . . ზღვისა-ო,  
 . . . . . თქმისა-ო.  
 („ჯიმშედიანი“, 338)

C. მეტრის შესავსებად მამუკას ზოგჯერ გამოყენებული აქვს  
 გრამატიკული თვალსაზრისით უფუნქციო და. რადგან ეს და  
 გამოყენებულია მეტრიკის მიზნებისათვის (გვხვდება ტაეპის და-  
 ბოლოებაში მეტრის შესავსებად), პროსოდიული ხმოვნების ანა-  
 ლოგიით, მასაც შეიძლება პროსოდიული და ვუწოდოთ. პროსო-  
 დიული და ძალზე გავრცეებულია ძველ ქართულ მწერლობაში.  
 მას უხვად ვხვდებით თეიპურაზ პირველთან, ნოდარ ციციშვილთან,  
 ვახტანგ მეუესთან და სხვა მწერალთა შემოქმედებაში. აი ერთი  
 სტროფი „ჯიმშედიანიდან“ (553), რომელშიც მოცემულია პრო-  
 სოდიული და:

<sup>1</sup> ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, მორფოლოგია, 1953 წ.,  
 გვ. 632.  
 74

მოვკვდი უცილოდ, მიფიცავს, ვინ ხედავს, სული წავიდა,  
მაგრამ მოძრაობს თბე ჩემი, ეს არის საკითხავი-და,  
რა არს მიზეზი უსულოდ გონ სიტყვა შემკრებავი-და,  
ვერვ.ნ სცნობს საქმეს ღმრთისასა, თვით არის დამკლიტავი-და.

2. ნახევარხმოვან ა-ს (იოტას) მამუკა იყენებს სრულხმოვანი  
ი-ნის მნიშვნელობით. ცნობილია, რომ დიფთონგები მთლიანად  
ქმნიდნენ ერთ მარცვალს, ცალკე აღებული ხმოვნები კი უმარცვლო  
ბგერები იყო. მამუკა ზოგჯერ დიფთონგს ჰყოფს ორ მარცვლად:  
აბ—ბ + ი. ამ მოვლენას მეტრიკაში დიერესი (ბერძნ. diairesis)  
ეწოდება. დიერესის გამოყენებით მამუკა ლექსში სპობს მარცვალ-  
ნაკლებობას. აი ამისი ნიმუში ლექსიდან „პრიიდი დრუეოკის ხმა“  
(სტრ. 1):

ნათობ, ვითა ნათელი, მზისა გამონნათელი,  
არა ვიცი, რისა ვთქვა, შესწორებაჲ შენი.

მოყვანილ სტროფში ნათლად ჩანს, რომ ნახევარხმოვანი ა  
მამუკას სრულხმოვნის, უფრო სწორად, მარცვლის მნიშვნელობით  
აქვს გააზრებული.

3. მამუკა ზოგჯერ სიტყვების გამეორებას მიმართავს არა  
როგორც პოეტურ ხერხს, არამედ როგორც მეტრის შესავსებ  
საშუალებას. ასეთ შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს ტავტოლოგიურ  
შეცდომასთან, ე. ი. გრამატიკული კანონების თვალსაზრისით ამა  
თუ იმ სიტყვის უმართებულო ხმარებასთან. ასეთია, მაგალითად,  
„ყოფნა“ ზნის გამეორება ქვემოთყვანილ ტაეპში:

ი ყ თ მ ც ა, ი ყ ა ე უსწოროდ სანოთხით გარდნომზენია („ჯიმშ“, 302).

ტავტოლოგია გვაქვს შენდევ ტაეპშიც:

კუმშად ნათელი მ დ ე ბ ა რ ე, შენხედველათათვის დ ე ბ უ ლ ი („ჯიმშ“, 244).

ბ) ნამარაუდვი ფრაზა მითია მოცემული ლექსის მებრზე

1. არჩეულ ფრაზაში შეძვეალ სიტყვებს მამუკა ხელოვნურად  
აკლებს მარცვლებს, უფრო სწორად, ხმოვნებს, რაც გრამატიკული  
კანონების მიხედვით გაუმართლებელია. მარცვლების ხელოვნურად  
შეკვეცას ელიდია ეწოდება. ელიდია გვაქვს შემდეგ ნიმუშებში:

ა. ჩემი ხელმწიფე ჩემ საქებ არი,  
არის იგ ჩემთვის ვალნადებარი („იამბიკი“, 1).

უნდა იყოს: ჩემი, საქები, იგი.

ბ. ჩემ საყვარელო ვინაო, მიწყვი მიდგხარ წინაო  
(„მდენარი“).

უნდა იყოს: ჩემო.

ა. ცოტა მკლავთაგან მოიშრის თოვა მქელ ბევრის-ბევრია („ჯიმშ.“, 283).

უნდა იყოს: მქელეული.

2. მამუკა მიმართავს აგრეთვე ხმოვანთა შეკუმშვასაც, როგორც ეს ჩანს ქვემოთმოყვანილი ნიმუშებიდან:

ა. ერთის მისის კერეთითა

ქკვა შემეკმნა რეთითა („ნ სმუშჩაის ხმა,“ 4).

ბ. რა გაუთენდა ტომერანს, არს ქკვითა საკვირველითა („ჯიმშ.“, 44).

ც. თვით რჩულსა ქკვათა მიმდოსა სხვათ სიბრძნე დაუჯერებსა („ჯიმშ.“, 354).

მოყვანილ ნიმუშებში შეკუმშულია უ ბგერა: ქკუა—ქკვა (შდრ. 545-ე სტროფს: „ყრმაღა განეჟრთხო, მიცინის, მიცნა ქკუითა მცრებიითა“).

დასასრულ, აქვე გვინდა შევნიშნოთ. რომ „ჯიმშედლიანში“ მამუკას მეტრის გამო ცხენის სახელი „ბედუქულმაოთი“ ერთხელ შეცვლილი აქვს „ბედმრუდად“: „რა ბედშავსა ბედმრუდისა ხმა მიესმა, განუხარდა“ (სტრ. 93).

## II. რიტმის ბამო

ლექსის რიტმული ფაქტორები ხანდახან მოითხოვს სწორი სინტაქსური წყობის დარღვევას. სწორედ მეტრულ-რიტმული კომბინაციის შესანარჩუნებლად, მამუკასთანაც გვხვდება სინტაქსურად გაუმართავი წინადადებები:

ა. ცხენსა და კაცსა ემოსა გველსა აბჯარი რკინისა („ჯიმშ.“, 168).

ბ. ჰნათობ, ვით ცეცხლი თივისა,

ცხელ და წამ მარამ ცივისა („მოკლე შეწყობილი“, 5).

## III. რიტმის ბამო

მამუკას ლექსებში ხშირად ენის სისწორე დაცული არ არის რიტმის გამო. აი, ამისი რამდენიმე ნიმუში:

1. სიტყვაში გადასწული აქვს ასოები.

ა. იგი სინათლე ბრუნებით თვალთაგან გამომაველისა,

რქა ორი, შუბლთა უმაღლე, კვიპაროხისა მკაველისა. („ჯიმშ.“, 186)

უნდა იყოს: მკლავისა.

ბ. ცხენთა ფერხისა მიწათა დაეცა შევერდებისა,

მკლავთა სიმტკიცე ლომისა უმეტეს გამაგრდებისა. („ჯიმშ.“, 375)

უნდა იყოს: შევედრებისა.

2. სიტყვაში უმატებს ასოებს.

ა. მალხინებს წესიერებით, ვერ ღაწვი შუქთა მკირალის  
ნახიან მსგავსად პირველთა, ვარ ბედთა განამწირალის.  
(„ჯიმშ.“, 347)

უნდა იყოს: განამწირალი.

ბ. რა ვიხილე, მასე წამსა კაეშანი გარე წავსა... („ჩერნიჩკოს ხმა“, 5)

უნდა იყოს: წავა.

ც. ვითა ყრმა, წამად შეებული, წამ ურვამოპოვნებული,  
ბულს უყვებდეთ, ალბენდეთ, რა გერგოსთ იგი ენებული.  
(„მრჩობლედი“, 6)

უნდა იყოს: ურვამოპოვნებული.

დ. მუნ ახლო, მალლა სხვაგვარად ერთის კაცისა სანები  
იყო, ვპურობდით, მოვიდენ კაცი პატიოსანები.

(„ჯიმშედიანი“, 424)

უნდა იყოს: პატიოსანები.

3. სიტყვაში აკლებს ასოებს.

ა. რომე არ დავთმო, მაშ რა ექნა, თუ შენი კერეტა შინაო,  
მზე ხარ და დამწვა... ნათელმან მე შენმან ამაქშინაო.  
(„მდენარი“)

უნდა იყოს: მინდაო.

ბ. პელაგონსა შემარია, სხვა ვიუბნა ენადრები,  
ვინცა იყო ხმობად ჩემდა, მას სიკვდილი ენატრები.  
(„ჯიმშედიანი“, 69)

უნდა იყოს: ენატრება.

4. ცვლის ასოებს ან სიტყვებს:

ა. მიქცია სიტყვა, საქვეყნოდ იტყვა... („ქება მეფის ბაქარისა“, 61)

უნდა იყოს: ითქვა.

ბ. ომსა არა აქვს გარჩევა აზნაურება, გლეხება,  
ხელმწიფესა და მონასა მახვილი სწორად ეხება.  
(„ჯიმშედიანი“, 285)

უნდა იყოს: აზნაურობის, გლეხოების.

ც. ბედუქოლმართსა გარდავკარ მე ტაჯგანალა გავისა,  
ვეშაპს გარდევლო გარეგან, ზურგი არ გარდაგავისა...  
(„ჯიმშ.“, 297)

უნდა იყოს: გაეასა.

დ. ტახტთა გარდაეხე, თვით დავსხი, მეტთა არა ვარ მქნელია,  
წაცამოყვდით, მოუძღვი, მათი ვარ წამომსხნელია.  
(„ჯიმშ.“, 481)

უნდა იყოს: წამომსხნელია.

განვიხილეთ რა მამუკა ბარათაშვილის პოეტური ენა, შემდეგი შეგვიძლია დავასკვნათ: მართალია, მამუკა პოეტი-ნოვატორია, მაგრამ მაინც, როგორც მოსალოდნელი იყო, იგი ვერ აცდა ეპოქის გავლენას, მამუკას პოეტური მეტყულება დამუხტულია ქართული სალიტერატურო ენის იმდროინდელი ნორმებითა და ღონით.

## ბ. ქართულ ლექსთა სახეები

ქართულ ლექსთა სახეების გამოყენების მხრივ მამუკა ბარათაშვილის შემოქმედება მე უად მრავალფეროვანი და მრავალმხრივია. პოეტი ცდილა თითოეული ლექსისათვის გამოეყენებინა ახალი ზომა, რიტმი თუ რითმა. შემთავებით არ უნდა იქოს, რომ მის ლექსებს სახელწოდება შერქმეული აქვს არა ლექსის შინაარსის მიხედვით, არამედ ლექსის ფორმობლივ კომპოზიციური მონაცემების მიხედვით. მაგალითად, „შეწყობილი“, „რეული“, „შერეული“ და სხვ. უკვე ეს ფაქტი მოწმობს, თუ რამდენად გულმოდგინედ ეკიდებოდა პოეტი ქართულ ლექსთა სახეებს. ქართული ლექსების გამოყენებისას პოე უს ზოგჯერ ცვლილენები შეჰქონდა მათში და მის თანამედროვე თუ შემდგომ თაობას ამ მხრივაც უკაფავდა გზას. ამრიგად, ძველი ქართული ლექსების გამოყენების შემთხვევაშიც თავისი შესწორება-ცვლილებებით მამუკა ნოვატორად გვევლინება. განსაკუთრებით აღსანიშნავია მამუკას დამსახურება ახალი ზომისა და კომპოზიციის ლექსების შემოღების საქმეში.

საჭიროა ზოგადი ანალიზი გაუუკეთოთ იმ ძველ ქართულ ლექსებს, რომლებსაც იყენებს თავის შემოქმედებაში მამუკა, მით უფრო, რომ „ლექსის სწავლის წიგნში“ მას უპეტეს შემთხვევაში საილუსტრაციოდ მოაქვს ესა თუ ის ლექსი, ხოლო მოყვანილი ლექსის ანალიზს კი არ იძლევა.

მამუკას მათერულ შემოქმედებაში გამოუყენებია შემდეგი ქართული ლექსები:

### 1. იამბიკო

„ლექსის სწავლის წიგნში“ მამუკა ბარათაშვილი იამბიკოს შესახებ არაფერს ამბობს: „იამბიკო წმინდათ წერილში ბეურია და ვისაც გინდა, იქიდან შეიტყობა“. როგორც მოტანილი ციტატიდან ჩანს, მამუკას ზედმეტად მიაჩნია იამბიკოს განმარტება, რადგან იგი სასულიერო მწერლობის ენარს წარმოადგენს და სავალდებულოა

ყველამ იცოდეს; ვინც არ იცის, სასულიერო მწერლობა გაიცნოს და იქ ნახავს.

იამბიკო ქართულ ლექსთა შორის ერთ-ერთი უძველესი ლექსია. ის წარმოადგენდა ქართული სასულიერო პოეზიის გაბატონებულ ფორმას. მეცნიერებაში ერთხმად აღიარებულია, რომ ქართული იამბიკო გამართული ყოფილა ბერძნული იამბიკური ტრიმეტრის მიხედვით. იამბიკოს სტროფი შედგება ხუთი ტაეპისაგან. თითოეული ტაეპი შეიცავს 12 მარცვალს. ასე რომ, სტროფში არის 60 მარცვალი ანუ, ძველი ქართული ტერმინოლოგიით, „შეტყუება“. იამბიკოს ტაეპი ცეზურით იყოფა ორ არათანაბარ ნაწილად. პირველ ნაწილში ხუთი მარცვალია, მეორეში—შვიდი, ან, პირიქით პირველში შვიდია, მეორეში—ხუთი. [რითმა ქართული კლასიკური იამბიკოსათვის სავალდებულო არ არის ურითმობა ქართულ იამბიკოს შეთვისებული უნდა ჰქონდეს ბერძნული ლექსის გაელენით. ვინაიდან ქართული ლექსის ბუნებისათვის დამახასიათებელი არაა ურითმობა, შემდეგში ქართულში იამბიკო-მაც რითმა შეიძინა.

იამბიკოს სახელწოდებით შემდეგ ვხვდებით ისეთ ლექსებსაც, რომლებსაც სხვაგვარი ზომა და სტროფული აგებულება აქვთ. სხვათა შორის, საბასეულ „ქილილა და დამანაში“ მოცემულია ათმარცვლიანი გარითმული იამბიკო. დასახელებული იამბიკო მამუქას საილუსტრაციოდ მოაქვს „ლექსის სწავლის წიგნში“.

საბასთვის მიუბაძავს მამუქას და მასაც დაუწერია 10-მარცვლიანი იამბიკო, რომელიც შედგება საერთო რითმის მქონე ხუთი ტაეპისაგან:

მისი სახელი მიდიდებია,  
ვინ ღმერთსა მამად უწოდებია,  
რტო მისი ჩვენთვის უქადებია,  
მეუქვსე ვახტანგ უზადებია,  
თვით ქართლის მპყრობად უზადებია.

საყურადღებოა, რომ ასეთი სახის იამბიკო ნაწილად გამოიყენა სახოტბო ლექსისათვის.

## 2. ფისტიკაური .

ფისტიკაური ერთ-ერთი ძველი ქართული ლექსია. ის შედგება ოთხი ოცმარცვლიანი ტაეპისაგან, რომლებსაც აქვს გარეგანი საერთო რითმა. საბასეულ „ქილილა და დამანაში“ ფისტიკაური ორტაეპიანი ლექსია. ამგვარი ლექსი მამუქას მოცემული აქვს თავის შრომაში.

ფისტიკაურის შესახებ „ლექსის სწავლის წიგნში“ მამუკა წერს: „პისტიკაური—ერთი ამბავი რომ ორ მუხლად გინდოდეს სათქმელად, ორ მუხლად არ იმართებოდეს, იმის სათქმელად კარგია“, ე. ი. რაიმე ამბავი რომ ორ სტრიქონში გინდოდეს მოაქციო და არ ეტეოდეს, ამისთვის ფისტიკაური—გრძელტაეპიანი ლექსი კარგიაო. მართლაც, მამუკასთან ფისტიკაური (|ჟ პისტიკაური) გრძელტაეპიანი ლექსია. იგი წერს ორტაეპიან ფისტიკაურს, რომელშიც პირველი სტრიქონი 25-მარცვლიანია, ხოლო მეორე— 23 მარცვლიანი:

ხუთთა ხელმწიფე თუ რა ვის გენახოსა შებული, სიხარულითა ნიდაღ მანანა,  
სოფელჰან ასრე შემიპყრა ცრუმან: ღაწვთა შკამატა მგლოვარე თვალთა მანანა.

ასეთი ფისტიკაური მამუკას შემოღებულია.

### მ. ჩახრუხაული

ჩახრუხაული უფრო გვიანდელ საფეხურს წარმოადგენს ქართული ლექსის განვითარებაში, ვიდრე ფისტიკაური. ჩახრუხაულში რითმების წყობა, ფისტიკაურთან შედარებით, კიდევ უფრო გაზოგადებულია. ჩახრუხაულიც შედგება ოთხი ტაეპისაგან და შეიცავს ოცმარცვლიან საზომს, ოღონდ ტაეპის წინა მუხლის ტერფები გართმული აქვს ე. წ. ალორძინების დროიდან, კერძოდ საბასეულ „ქილილა და დამანაში“, ვხვდებით ორ, ოთხ და ექვსტაეპიან ჩახრუხაულს<sup>1</sup>. ამასთან, ზოგჯერ ჩახრუხაულის ყველა ტერფი და ტაეპი საერთო რითმითაა შეწყობილი (იქვე, გვ. 227).

„ლექსის სწავლის წიგნში“ მამუკა ანალიზს უკეთებს ჩახრუხაულსაც, მას საილუსტრაციოდ მოჰყავს „თაპარიანის“ ცნობილი სტროფი: „თამარ წყნარი, შესაწყნარი“... თუ მამუკას მიერ მოყვანილი საილუსტრაციო მასალითა და სქემატური ნიმუშით ვიმსჯელებთ, მისთვის ჩახრუხაული არის ისეთი ოთხი ტაეპის მქონე 16 მარცვლიანი ლექსი, რომლის ყველა ტერფი და ტაეპი საერთო რითმითაა შეწყობილი.

### 4. გძელჩახრუხაული

მამუკა იძლევა აგრეთვე ჩახრუხაული ლექსის მეორე სახეობას, რომელსაც გძელჩახრუხაულს უწოდებს. მამუკას გძელჩახრუხაუ-

<sup>1</sup> „ქილილა და დამანა“, აღ. ბარამიძისა და პ. ინგოროყვას რედ., 1949 წ., გვ. 87, 232, 43 და სხვ.

ლი სწორედ ის ლექსია, რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში ჩახრუხაულის სახელითაა ცნობილი<sup>1</sup>.

ოთხტაეპიანი გძელჩახრუხაული ლექსით აქვს დაწერილი მამუკას „ქება მეფის ბაქარისა“. მაგალითად:

ედების ალად, ედები სალად გული მტერთათვის წყობისა ვამად,  
ავესმის არად, აგეს მის არად, ძლიერთა რყენად გამაწყო წამად,  
რომელთ აწყობა, რომელთა წყობა სეფურით ქონა მტერთ ლაწეთა მნამად,  
მისი არი სხვა, მისია რისხვა, ნურაე:ნ განსცდის ჟუწყებულ ამად.

(„ჯიშედიანი“, სტრ. 25)

ამავე ლექსში მას გამოყენებული აქვს ისეთი გძელჩახრუხაული სტროფები, რომლებშიც ყველა ტერფი და ტაეპი საერთო რითმითაა შეწყობილი (სტრ. მე-3 და მე-19).

### 5. შაირი

ძველ ქართულ პოეზიაში ყველაზე უფრო გავრცელებული ლექსია შაირი. შაირი აღნიშნავს გარკვეული სტროფული აგებულების თექვსმეტმარცვლიან ლექსს, რომელიც ოთხი ტაეპისაგან შედგება და ოთხივე ტაეპი გარეგან საერთო რითმას ატარებს. შაირი აღსანიშნავია თავისი რიტმული მრავალფეროვნებით. ამ მხრივ იგი ქართულ ლექსებში ყველაზე მნიშვნელოვანია.

„ლექსის სწავლის წიგნში“ შაირის განხილვის დროს მამუკამ პირველმა წამოაყენა დასახელებული ლექსის აგებულების საკითხი. ამასთან, მან პირველმა გაარჩია „ვეფხისტყაოსანში“ შაირის ორი სახეობა და მოგვცა მათი ანალიზი. შაირის იმ სახეობას, რომელიც ახლა სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია „მალალი შაირის“ სახელწოდებით, მამუკამ „შაირი“ უწოდა, ე. ი. როდესაც მამუკა შაირს ხმარობს, იქ ყველგან მალალი შაირი იკულისხმება. შაირი (resp. მალალი შაირი) მხოლოდ და მხოლოდ წყვილმარცვლიანი ტერფებისაგან შედგება. მაგალ.:

კაცთა მტერად ცრუ სოფელი, თუმც შორს იყოს, მოუწევს,  
ეტლსა წალმა მობრუნავსა ჩალხსა მრუდად მოუწევს,  
დაგვაშორებს შუქსა მისსა, ვინ კეთილსა მოუწევს,  
მისგან პყრობით მრავალ ყოფით ერთი ერთსა მოუწევსა.

<sup>1</sup> ზოგიერთი ვერ გაერკვა მამუკას შრომაში მოცემული ჩახრუხაული ლექსის ანალიზში, რის გამოც შემდეგი „დასკვნა“ გამოიტანა: „მამუკა ბარათაშვილმა (კუაშნიკი, 1731 წ.) მოახდინა ჩახრუხაული ლექსის (რაც ქართული საერთო ხობის კლასიკურ მაგალითად ითვლება), დაყოფა, მაგრამ თვორიულ ტერმინოლოგიაში ის არ აუყვანია“ (ტრ. რუხაძე, ძველი ქართული ლირიკის ისტორიიდან, 1954 წ., გვ. 288). მართლაც, ძნელი მისახვედრია რისი თქმა სურს მოყვანილი სტრიქონების ავტორს!



მამუკას დაუწერია ასეთი შაირის ხუთი სტროფი.

### 6. გრძელი შაირი

შაირის მეორე სახეობას, რომელიც დღეს ცნობილია „დაბალი შაირის“ სახელწოდებით, მამუკამ „გრძელი შაირი“ ანუ „გრძელშაირი“ დაარქვა.

შაირი და გრძელი შაირი ერთმანეთისაგან რიტმული ვარიაციებით განსხვავდება. მარცვალთა რაოდენობის ჰხრივ ერთნაირი ლექსების რიტმული სხვაობა, სხვა მონაცემებთან ერთად, მახვილიანი და უმახვილო მარცვლების განლაგების თავისებურებაზეა დამოკიდებული. აი, ერთი სტროფი მამუკას ლექსიდან:

ფუტკარი სასჯლით შემოჭრებს ყვეილსა მრავალფერებსა,  
პირნახულხედან იხარებს, სიტკბოს არ შეიფერებსა,  
მიჯნურმან ჰნახოს სასჯელი, ტრფიალს ნუ დაიმტერებსა,  
სიტკბო მიჰხვდების ბოლოს ეამს, შვება არ დააბერებსა.

პოეტს დაწერილი აქვს გრძელი შაირის ხუთი სტროფი.

### 7. გრძელი შაირი სამკვეთი

გრძელი შაირი სამკვეთი პირველად ცნობილი ხდება მამუკას „ლექსის სწავლის წიგნის“ მიხედვით. დასახელებული ლექსი შედგება საერთო რითმაზე შეწყობილი ოთხი ტაეპისაგან. ყოველ ტაეპში არის ოცდაოთხი მარცვალი. ამ ლექსის ტაეპი ორი მთავარი ცეზურით სამ თანაბარ ნაწილად იყოფა, იკვეთება, აქედანაა მისი სახელწოდებაც — „სამკვეთი“, ხოლო ცეზურებით კი იყოფა ექვს ნაწილად, ე. ი. გრძელი შაირი სამკვეთის ტაეპი სამ რვა-მარცვლიან მუხლად იყოფა, თითოეული მუხლი კი ორი ოთხმარცვლიანი ტერფისაგან შედგება. რადგან, შაირისაგან განსხვავებით, ლექსის ზომა უფრო გრძელია, ამ ლექსს შაირთან შეპირისპირებით „გრძელი“ ეწოდება. მაშასადამე, ლექსის სახელწოდება „გრძელი“ შერქმეულია ლექსის მეტრის მიხედვით, ხოლო „სამკვეთი“ — ტაეპის ცეზურებით დაყოფის მიხედვით.

კაცსა უნდა: ამ სოფელსა არ მიყვეს და არ აქოსა, განეშოროს, განაგდოსა,  
ჩავარდების გენიას დაუშრეტსა, ანაგზებსა, სამუდამოდ არ ანდოსა.

თავი მკრძალად, სული მრთელად შეინახოს, არა ჰყოსა, წაწყმენდული  
არანდოსა;

იქებიან, რომელიცა ეურჩების სიამოვნეს ამ წუთისა არასდროსა.

მამუკას მითითებული აქვს, თუ რა შემთხვევაში გამოიყენება დასახელებული ლექსი. „გრძელი შაირი სამკვეთი ამისთვის კარ-

ვია, ერთი საქმე რომ გასალექსავად გინდოდეს, სტრიქონში არ იმართებოდეს, ასე თქმა შეემატება, და რომ თქვა—კარგიაო“.

## 8. უცხო

სულხან-საბა ორბელიანს დაუწერია ლექსი „უცხო“ ანუ „ოთხ-ხუთი ლექსი“<sup>1</sup>. ლექსის სახელწოდება—უცხო, ჩვენი შეხედულებით, ნიშნავს საუცხოოს, კარგს, მშვენიერს. ლექსი შედგება ხუთი ოთხტაეპიანი სტროფისაგან, ე. ი. ლექსი დაწერილია ხუთ სტროფად და თითოეული სტროფი ოთხი ტაეპისაგან შედგება. აქედან მეორე სახელწოდებაც—ოთხ-ხუთი ლექსად

დასახელებული ლექსის ყოველი სტროფის პირველი სამი სტრიქონი ათმარცვლიანია და საერთო რითმაზეა შეწყობილი, ხოლო მეოთხე — ცამეტმარცვლიანია და უცვლელად მეორდება ხუთივე სტროფში, — იგი რეფრენს წარმოადგენს. ამასთანავე, ყოველი სტროფის პირველ ტაეპს აქვს იმავე სტროფის გარეგან რითმასთან საერთო შანაგანი რითმა.

საბას ლექსის წაბადვით მამუკასაც შეუთხზავს ლექსი „უცხო“. პოეტს თავის „უცხოში“ მცირეოდენი ცვლილება შეუტანია: ლექსის რეფრენი 12-მარცვლიანი ტაეპით დაუწერია.

ქალთათვის ქმარი, კეთილად მკმნარი,  
ვით ჰასაკთათვის, თავი არს მბმარი,  
ნუთუ უსიბრძნო და გარდამცდარი,  
იკმნება მისთვის იგი დასაყვედრელი!

შეიკმნას ძალი, უწესობს ძალი,  
მას შეეუღლოს და ეკმნას მკრძალი,  
თუ შეუძლები, ხელთ-მოუცალი,  
იკმნება მისთვის იგი დასაყვედრელი!

ქმარი შინ მჯდომი, დიდების მდომი,  
ამპარტავანი, ხელთ არას მხდომი,  
ქალთა სიკეთით მისი დამრჩომი,  
იკმნება მისთვის იგი დასაყვედრელი!

კაცი უღონო, სხვათა სამონო,  
თავისთა მწუნო, სხვათა მანწონო,  
არისმცა ცოლის პატივთ არმკონო,  
იკმნება მისთვის იგი დასაყვედრელი!

ავგული მეტი, თუ ვნამწვეტი,  
უსაქციელო, უშნო და ზეტი,  
მეწყალვის ქმარი, არს მისი მკვერტი,  
იკმნება მისთვის იგი დასაყვედრელი!

<sup>1</sup> დაწერილ. იხ. ალ. ბარამიძე, წარკვევები, I, 1945 წ., გვ. 340—341.

## 9. რვეული

მამუქასთან სხვადასხვა ფორმით გვხვდება ერთი მნიშვნელობის სიტყვა: რვეული, რვეული, რვეული და რვეული. ტერმინი წარმოდგება „რვის“-გან: დასახელებული სიტყვის ძირს (რვ) დაერთვის მაწარმოებლები: „ეული“ და „ული“. ამისდა მიხედვით ვღებულობთ:

1. რვ-+ ული, თანხმოვნის გაჩენის შემდეგ: რ-ჰ-ვ+ ული (|| რ-ღ-ვ+ ული);

2. რვ+ეული.

როგორ ესმის ეს ტერმინი და ჩანაირი ლექსი აქვს ნაგულისხმევი მამუქა. ბარათაშვილს რვეულის სახით? თითქოს ტაეპის რვა ჯერადობას უნდა აღნიშნავდეს ბუნდოვნად თქმული მამუქას სიტყვები: „რვეულიც აგრევე, თუ ერთი ამბავი ოთხს სტრიქონში არ მოდიოდეს, წყობილი რჩებოდეს, ამაზე რომ თქვა. უფრო გაწყობილი იქნება“, ე. ი. თუ ოთხ ტაეპში ერთ შინაარსს (ამბავს) ვერ ჩატევ, მაშინ რვა ტაეპად დაწერეო. მაგრამ სულ სხვა სურათს ვხედავთ საილუსტრაციო მატალითში. იქ რვეული წარმოადგენს ისეთ ოთხტაეპიან ლექსს, რომელსაც რვა ერთნაირი შინაგან-გარეგანი რითმა აქვს: ოთხი ცეზურის წინ მდებარე და ოთხი გარეგანი. აქედან ასეთი დასკვნა უნდა გამოვიტანოთ: რვეული შერქმეულია რვა ერთნაირი რითმის გამო.

მამუქას თვითონაც დაუწერია ასეთი რვეული, რომელიც 16-მარცვლიანი ლექსით არის გაწყობილი:

სოფელია ყოვლთა მწველად, რასთვის მიჩნდა იგი მშველად?  
ნათქვამია სიტყვა ძველად: ვინ მიენდოს მისთა მკლველად?  
ვინ დააგდო განუცდელად, მე რასათვის ავთა მოქმედლად,  
შინა მჯდომი სახლთა მცველად, მარბუნელი უნდა ველად.

## 10. შეწყობილი

შეწყობილი პირველად საბასეულ „ქილილა და დამანაში“ გვხვდება. ამ ნაწარმოების მიხედვით შეწყობილი 16-მარცვლიანი ლექსია, რომელიც შედგება საერთო რითმის მქონე ექვსი ტაეპისაგან. ტერმინიც აქედან წარმოდგება, — ის მიუთითებს, რომ ყველა ტაეპი ერთ რითმაზეა შეწყობილი.

შეწყობილის გაგებაში სიახლე შეაქვს მამუქა ბარათაშვილს. მამუქას შეწყობილი თოთხმეტმარცვლიანი ლექსია („ლექსის სწავლის წიგნი“). ის შედგება შვიდი ტაეპისაგან.) შვიდივე

ტაეპი საერთო რითმაზეა შეწყობილი. მცშიდე ტაეპში მამუკა სა-  
ვალდებულოდ თვლის აეტორის დასახელებას.

ამეო, ამეო საყვარელსა რაჟეო,  
ასე, ვითა ენებოს, თავი დააწაჟეო.  
მიწყვიე ჰგონე მხურვალედ, თვალი შეინამეო,  
მისად თუ ჰყო ესედა, აღწერილი სწამეო.  
რა მიიციე სასჯელი, ლხინი ათამამეო,  
მისგან რასმე რგებასა, თუ არვის ეტყვი, მამეო.  
თუ მამუკას მელექსედ არ იტყვიან, ვა მეო!

მამუკას სიტყვით, „შეწყობილის ხმაც ოთხად გაიქრება“,  
რის შედეგად მივიღებთ შემდეგ სქემატურ გამოსახულებას:

მიიჯნური | მიჯნური | მიიჯნური | მიჯნური.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ არ არის მართალი ზოგიერთი  
შეკვლევარის შეხედულება, ვითომც „შეწყობილს მამუკა ბარათაშვი-  
ლი სხვაგვარად მდენარს უწოდებდა“<sup>1</sup>.

#### 11. გრძელშეწყობილი ანუ მდენარი

ეს ტერმინები პირველად მამუკას „ლექსის სწავლის წიგნში“  
გვხვდება. მამუკა არ იძლევა მდენარის<sup>2</sup> ანუ გრძელშეწყობილის  
ახსნა-განმარტებას, აღნიშნავს მხოლოდ განსხვავებას გრძელშეწყო-  
ბილსა და შეწყობილს შორის. იგი ამბობს: „ახლა ამ შეწყობილის  
ხმას და ამ მდინარის ხმას ეს [სიტყვა] გაჰყოფს, რომელიც ამასა და  
იმას მოემატება [ან] მოაკლდება და ეს სიტყუა ამ მდენარის ხმას გა-  
აკეთებს:

მიჯნურობისა : განია : მიჯნურობისა : განია“.

მამუკას სიტყვებიდან შემდეგი გამომდინარეობს: შეწყობილი  
განსხვავდება მდენარისაგან იმ ელემენტით, რომელიც საპირობა  
დაემატოს შეწყობილს, რათა მივიღოთ მდენარი, ან, პირიქით,  
მოაკლდეს მდენარს, რათა მივიღოთ შეწყობილი<sup>3</sup> თუ მამუკას  
სქემისა და სანიმუშოდ მოცემული მაგალითით ვიმსჯელებთ, ვნა-  
ხავთ, რომ მდენარი არის თექვსმეტმარცვლიანი ლექსი. საერთოდ  
შეწყობილისა და მდენარის ერთმანეთთან შედარებას შემდეგ  
დასკვნამდე მივყავართ: ეს ლექსები იდენტურია მეტრული განსხვა-  
ვების გამოკლებით. (მამუკას შეწყობილი თოთხმეტმარცვლიანი ლექ-

<sup>1</sup> სიმ. გაჩეჩილაძე, ლიტერატურისმცოდნეობის საფუძვლები, 1950 წ.,  
ჯგ. 370.

<sup>2</sup> „მდენარის“ პარალელურად მამუკა „მდინარისაც“ ხმარობს.

სია, ხოლო მდენარი—თექვსმეტმარცვლიანი, ე. ი. მდენარი მამუ-  
კას შეწყობილთან შედარებით უფრო გრძელია, აქედანაა მისი  
მეორე სახელწოდებაც — გრძელშეწყობილი მაშასადამე, მდენარი  
არის საერთო რითმაზე შეწყობილი 16-მარცვლიანი ლექსი, რომე-  
ლიც შვიდი ტაეპისაგან შედგება. ლექსის ბოლო ტაეპში მამუკას  
სავალდებულოდ მიაჩნია ავტორის სახელის მოხსენიება.

ჩემ საყვარელო ვინაო, მიწვივ მიდგებარ წინაო,  
გონებით შემკრა სურვილმა, აროდეს მომელხინაო,  
შენთა ასაკთა კვრეტამან ცეცხლი უმეტეს მჭყინაო,  
არისთვის ვიქმენ ულხენი, უფრორე მომეწყინაო,  
რომე არ დავთმო, მაშ რა ვქნა, თუ შენი კვრეტა მინაო.  
მზე ხარ და დამწვა... ნათელმან მე შენმან ამაქშინაო,  
თქვეს: ლექსი სწეროს მამუკამ, ხელნი არავინ ჰქირნაო.

### 12. მოკლე შეწყობილი

მოკლე შეწყობილს მამუკა უწოდებს ოთხი სტრიქონისაგან  
შემდგარ რვა მარცვლიან ლექსს, რომელიც საერთო რითმაზეა გა-  
მართული. ლექსს „მოკლე“ ეწოდება იმიტომ, რომ შეწყობილთან  
შედარებით მოკლეა, მცირე ხომის ტაეპებისაგან შედგება.

ვინ მისი მიმნდობარია,  
წამ ერთის მეგობარია,  
მიჰსცეს ლახვართა მწვდარაა,  
ბოროტ გრძელ, შვება—მდარია

### 13. შერეული

„ლექსის სწავლის წიგნში“ მაძუკა ამბობს, რომ „შეწყობილი  
მრავალრიგია: წყობილიცა ჰქვიან, შერეულიცა ჰქვიან, მრჩობ-  
ლედიცა ჰქვიან, — ყოველს რიგით რიგი მოხმარება აქვს.“ ე. ი.  
ტერმინი შეწყობილი ფართო მნიშვნელობით იხმარებაო. ამ  
შემთხვევაში, ექვს გარეშეა, მამუკა გულისხმობს რითმათა  
კომბინაციას. ჯერ საბასეული 16-მარცვლიანი შეწყობილის მე-  
სამე და მეხუთე ტაეპი საერთო რითმაზე არ იყო გამართული,  
არამედ სხვა რითმას ატარებდა, მაშინ ლექსს შერეული ეწოდე-  
ბოდა. ლექსის სახელიც ამას აღნიშნავს: ერთრითმიანობა და-  
რღვეულია, რითმები შერეულიაო.

ვისგან მაქვს ძალი, გონება, სხვა არვინ შემეწყვიას,  
ვისხარებ მტერთა ძლევითა, იგი ვერ მომეგრევიას;  
წყვეულ ხართ ბოროტებანი, ახლოს ნუ მომეკარენით,  
შემწვეს მე ძალი მალლისა, ჩემ ბრძოლად ძალ-გიძთ, ჰე, ვისა,  
უხმარ გაქვს მანქანებანი, ვითა გჯაღდსთ, ვერ იხმარენით,  
მსგავსსა მოგეგოს მსგავსება თქვენი თქვენთავე წყვიასა.

#### 14. წყობილი

წყობილს მამუკა უწოდებს საბასეულ შეწყობილს რომლის შესახებ ზემოთ გვქონდა საუბარი. თუ გავიხსენებთ მამუკას სიტყვებს შეწყობილის შესახებ, რომ *წყობილი წარავალრიგია: წყობილიცა ჰქვიანო*, მაშინ გასაგები გახდება, რატომ უწოდებს საბასეულ შეწყობილს მამუკა წყობილს.

ვამთა სიმცროსა არ მომკეს საბრძოლად საქურველია, მესწავა მღერა კაპაჩუთა, მოღმარ ურკენრად მკერელია, მცნეს სახზარ სახზარეზოდ, არ ბედით მათში მრჩელია, პირველ ავილე სხვათანი, ვიქმენ სახზართა მძერელია, შევქმენ თავისა თვისისა საბრძოლი სისხლთა მღერელია, ხელთა მიპყრიან მხეტა კვრად, არა ვარ სირთა მსერელია

ზოგიერთი მკვლევარი აღნიშნავს, თითქოს მამუკას თქმით თეჯლისი არის წყობილის მსგავსი ლექსი. სინამდვილეში მამუკასთან მსგავს დასკვნას ვერსად ვხვდებით, უფრო მეტიც, მამუკა არ იცნობს თეჯლისს.

#### 15. წყობილი მრავალმუხლი

წყობილი მრავალმუხლი მხოლოდ მამუკას შრომის მიხედვითაა ცნობილი. მამუკა წერს: „წყობილი მრავალმუხლი ამისთვის არის, რომ ერთი იგავიანი ამბავი რომ ერთმანერთზე გრძლად მობმული იყოს და შიირი სადა წყობილში არ გაემართებოდეს, წყობილის მრავალმუხლით უნდა თქვა, რამთონს სტრიქონათაც გაემართოს, იმდონად თქვა, ურიგოდ არ არი“ ამ შემთხვევაში მამუკა მრავალტაეპიან ლექსს გულისხმობს, რომელიც ვრცელი ამბებისათვის არის გამოსაყენებელი. მაგრამ მეორე ადგილას მამუკა განსაზღვრავს ამ ლექსის ტაეპა რაოდენობას. მისი სიტყვით, წყობილი მრავალმუხლი უნდა იყოს ათტაეპიანი ლექსი. თანაც მეთე ტაეპში პოეტმა უნდა ჩართოს თავისი სახელი. ეს ლექსი თექვსმეტმარცვლიანია და შეწყობილია საერთო რითმაზე. ლექსის პირველი სტრიქონის წინა მუხლის ტერფები გარითმულია გარეგან რითმასთან.

თღმცა შენია, შენ ია, ვარდს არ წარტყვევა ჰშენია,  
სხვათაგან ნათობს გაშლილი, გონებას მოუღბენია,  
მისგან სავსე ხარ ლბინითა, არსით შეგემთხვას სენია,  
ტანსა გამოსიეს მშვენვარე, გიდგან აღვისა ხენია.  
ლამაზად იზდი ასაკთა, მკურეტელთ არ მოუწყენია,  
მისსა რად გმართებს მიჯნურთა კუშტობა, მოუსვენია?  
შენ—სახე მხისა, სამუდმოდ ღმერთის შენთვის მოუსვენია,

გაქვს მისგან მიწვივ ამება არ ეამად გარდამელენია,  
დგას შენდა ლხინი კეთილი, რა მზრდელსა განუჩენია,  
მამუკასათვის სიბნელე არ არის განუთენია!

მამუკა იძლევა ლექსის სქემატურ დაყოფასაც:

მიჯნური მიჯნურ | მიჯნური | ძიჯნური მიჯნურ | მიჯნური )

### 16. მრჩობლელი

მრჩობლელი არის ისეთი ლექსი რომლის ყოველი წყვილი ტაეპი მოსაზღვრე რითმას ატარებს. მრჩობლელისათვის განსაზღვრული არაა არც მეტრი და არც ტაეპთა რაოდენობა, მხოლოდ აუცილებლად უნდა იყოს წყვილი ტაეპი. ამიტომ არის, რომ მრჩობლელის სახელწოდებით ყოველთვის წყვილ ტაეპზე დამთავრებული ლექსები გვხვდება. მამუკას „მრჩობლელი“ 16-მარცვლიანი ლექსია.)

### 17. ლექსი

დართო მნიშვნელობის გარდა, ტერმინ „ლექსში“ იგულისხმება აგრეთვე ლექსის კონკრეტული სახეობა — ორტაეპიანი ლექსი. მამუკას თქმით, „ლექსი ორი მუხლი იქნება“. „ლექსის“ მეტრი ნებისმიერია, „რომლისაც ხმასა იტყვი, იმ ხმით ლექსი იქნება“. ლექსს აქვს მოსაზღვრე რითმა (აა). ხშირად „ლექსს“ შერქმეული ჰქონდა სახელწოდება იმას მიხედვით, აუ რომელი ლექსის „ხმით“ იყო გაწყობილი. როდესაც მამუკა არჩევს ლექსის სახეებს, საილუსტრაციოდ მოაქვს ხოლმე განსახილველი ლექსის „ლექსი“ და „ტაეპი“. მამუკას შემოქმედებაში ვხვდებით ხუთ შაირის ლექსსა და ამდენივე გრძელ შაირის ლექსს.

### 18. ლექსი მოკლე

მოკლე ლექსი ორტაეპიანი ლექსია მოსაზღვრე რითმით. ის „ლექსისაგან“ განსხვავდება თავისი ზომით: მოკლე ლექსის ტაეპი „ლექსთან“ შედარებით უერო მოკლეა. მამუკას „ლექსი მოკლე“ რვა მარცვლიანი ლექსია.)

### 19. ტაეპი

ქართული ლექსის ეს სახეობა პირველად „ქილილა და დამანაში“ გვხვდება. ის უცნობი არ არის მამუკა ბარათაშვილისათვისაც, რომელიც წერს: „ტაეპი ერთს მუხლსა ჰქვიან. რომლისაც ხმასა ბოლოს სტრიქონის ხმაზე იტყვი, იმ ხმის ტაეპი იქნება, რომ ესეებიც გარჩევით შიგ [წიგნში] დამიწერია“) მართლაც, თავისი შრომის ბოლოში მამუკა ასე განსაზღვრავს „ტაეპს“<sup>17</sup> „... ტაეპისა თქმა გინდა, ამ წერილებისა, რომელსაც [ხმა] გინდოდეს... სულ ბოლოს [სტრიქონის] ხმაზედ ერთი

ტაეპი თქვი და ამბავიც ვაათაოს და ტაეპიც იქნებაო“, ე. ი. მამუკას თქმით, „ტაეპი“ არის ერთსტრიქონიანი ლექსი, რომელშიც დასრულებულადაა გადმოცემული რაიმე აზრი. „ტაეპის“ ზომა განსაზღვრული არაა და რა ზომის ლექსის ბოლოსტრიქონის მიხედვითაც გააწყობ, იმ ზომის ტაეპი იქნება.)

ამრიგად, „ტაეპი“ არის ერთსტრიქონიანი ლექსი. მას შეიძლება ჰქონდეს შინაგან-გარეგანი რითმა, შეიძლება არა. (მეტრის მიხედვით გვხვდება სხვადასხვა ზონის „ტაეპები“. ) ჩვეულებრივად „ტაეპს“ აოქმეცდნენ სახელს იმ ლექსისას, რომლის მიხედვითაც გაწყობილი იყო ის.

მამუკას მაღალი შაირის მიხედვით გაუწყვია „ტაეპი“, რომელსაც შაირის ტაეპი ეწოდება, ხოლო დაბალი შაირის მიხედვით დაუწერია გრძელ შაირის ტაეპი. მამუკას „ტაეპს“ შინაგან-გარეგანი რითმა არა აქვს.

## 20. ანბანთქება

ანბანთქება წარმოადგენს აკროსტიქულ ლექსს. ქართულ ლიტერატურაში ის ჩნდება ე. წ. აღორძინების პერიოდში (არსებობს მრავალი ტიპის ანბანთქება, რომლებიც შემოღებულია სხვადასხვა ავტორის მიერ. ანბანთქების ერთი ტიპი შემოიღო სულხან-საბა ორბელიანმა. მისი ანბანთქება ერთსტროფიანია<sup>1</sup>. სიტყვები დალაგებულია ანბანის რიგზე ანიდან ზ-მდე. ამ ტიპის ანბანთქებაში თაყისი კალამი გამოუცდია მანუკასაც.

ამ ბრჭენტ გვარ-დარად ენა ვის ზევს მე თავეს იდვას კრებულნი,  
ლექსი მათ ნათლად ოცვის პირს უღერს რიგი ხრულ ტბილებული,  
უქნიათ ფიქრი ქებული, ღირს ყოვლად შიგ ჩანს ცნებული,  
ძვირ წოდებულად, ჳირთ ხელად, კანად ჯავრთა, შაი, გებული.

განხილული ლექსების გარდა, მანუკას დაწერილი აქვს კიდევ სხვა ლექსებიც, რომლებიც არანაკლებ საყურადღებოა ქართული ლექსის ბუნების შესასწავლად. ამ ლექსებს სპეციალური ქართული სახელი არ აქვს და დაწერილია რომელიმე „ხმაზე“. მაგალითად, „პოლცკის ხმა“, „ჩერნიჩკოს ხმა“, „რუსული ხმები“ და სხვ. ყველა ეს ლექსი დაწერილია რუსულ-უკრაინულ-პოლონური ხალხური სიმღერების ცოდნით. პოეტისათვის უცნობი არ იყო აღმოსავლური სიმღერებიც. აღნიშნული ლექსებით მამუკამ პირველად გამოიყენა რუსულ-აღმოსავლური ხალხური სიმღერები ქართულ პოეზიაში.

<sup>1</sup> გ. მიქაძე, ანბანთქება ძველ ქართულ ლიტერატურაში, „სტალინის სახელობის თბ. სახელმწ. უნივერსიტეტის სტუდენტთა სამეცნ. შრომების კრებული“, წ. III, 1948 წ., გვ. 217.



## С. მეზრი და რიჟმი

ლექსი წარმოადგენს მეტყველების განსაკუთრებულ სახეს, როპელშიც ძალზე მოწესრიგებულია ბგერითი მხარე. ლექსი არის რიტმულად მოწესრიგებული მეტყველება. სწორედ ძირითადად ეს გარემოება აქვთ მხედველობაში, როდესაც ლექსს ასხვავებენ პროზისაგან. მაგრამ რიტმულად ორგანიზებული ყოველგვარი მეტყველება როდი წარმოადგენს მხატვრულ მოვლენას, ლექსს. რიტმი დაკავშირებული უნდა იყოს რიგ სხვა თავისებურებებთან, რათა რიტმულად ორგანიზებული მეტყველება გახდეს მხატვრულად ორგანიზებული ლექსი.

ამრიგად, ლექსის ერთ-ერთი ძირითადი დამახასიათებელი ნიშანია რიტმი. რიტმი არის რაიმე მოვლენის—მოძრაობის, ბგერების კანონზომიერი გამეორება დროის გარკვეულ მონაკვეთში. რიტმი გვხვდება სხვადასხვა სფეროში, რითაც განისაზღვრება სწორედ მისი ხასიათი. ჩვენ ამჟამად გვინტერესებს ლექსის რიტმი, პოეტური რიტმი.

პოეტური რიტმი რთული და სინთეზური მოვლენაა. თავის სპეციფიკურ ნიშნებს ის მხოლოდ ლექსში იძენს. რიტმი ახასიათებს ყველა ეპოქისა და ხალხის ლექსს. პოეტური რიტმი სხვა სახის რიტმისაგან იმით განსხვავდება, რომ იგი, პირველ ყოვლისა, მეტყველებით გამოხატული მოვლენაა.

ლექსში მოცემული ესა თუ ის შინაარსი მოითხოვს გარკვეულ რიტმს, რომელიც თავისებურია ყოველ ცალკეულ შემთხვევაში. მხატვრული ღირებულების მქონე ლექსის რიტმი სავსებით შეესატყვისება ამ რიტმის ფონზე გადმოცემულ შინაარსს. ლექსის შინაარსი მისსავე რიტმის მთლიანობაში განიცდება. რიტმი აძლიერებს შინაარსის გამოსახვას, ის გამოხატავს ლექსში მოცემულ განწყობილებას. სწორედ ამიტომ სხვადასხვა მეტრისა და რიტმის ლექსების განოყენება განსაზღვრულია შესაფერისი შინაარსის მოთხოვნით. ასე, მაგალითად, როდესაც პოეტს სურს გადმოსცეს მხიარული განწყობილება, ღირიკული გრძნობები, დავისურათოს გარკვეული მიზეზებით გამოწვეული მღელვარება, განცდები, მაშინ შემოქმედი აჩქარებული, ამაღლეგებელი კილოთი მეტყველებს. ასეთ შემთხვევაში მამუკა იყენებს მოკლე ლექსებს, რადგან, რაც უფრო მოკლეა ლექსი, მით უფრო ცოცხალია, ჩქარია, სწრაფია, დინამიკურია ის. ხოლო როდესაც რაიმე მოვლენა პოეტში არ იწვევს განსაკუთრებულ შთაბეჭდილებას, მაშინ ამ მოვლენის შესახებ პოეტი დინჯი, ჩვეულებრივი კილოთი ლაპარაკობს. ეპიკური თხრობის გადმოსაცემად, სევდიანი განწყობილების გამოსახატა-

ვად. აღწერითი ხასიათის მოვლენებისა და საგნების გადმოსაცემად, სახობო ლექსებში, მამუკა იყენებს გრძელ ლექსებს, რადგან, რაც უფრო გრძელია ლექსი, მით უფრო ნელია, დინჯია და მძინე.

სხვადასხვაგვარ ლექსთწყობის სისტემაში პოეტური რიტმის საყრდენს სხვადასხვა ელემენტი წარმოადგენს: მეტრულ ლექსში — მარცვლების სიგრძე-სიძოკლე, სილაბურში — მარცვლების რაოდენობა, ტონურში — მარცვლების მახვილიანობა. ვინაიდან ქართული ლექსი სილაბურ-ტონურ ლექსთწყობას განეკუთვნება, ქართული ლექსის რიტმის საყრდენი უნდა ვეძიოთ მარცვალთა რაოდენობისა და მახვილიანობის მთლიანობაში. აქედან გამომდინარე, ლექსის ანალიზის დროს საჭიროა გავითვალისწინოთ მახვილის საკითხი ქართულ ენასა და ლექსში.

ახალ ქართულში მახვილი სუსტია და სიტყვაში ფიქსირებულია თავისი ადგილის მიხედვით. ქართულ მეტყველებაში ერთ-მარცვლიან სიტყვას მახვილი არა აქვს, ლექსში კი შეიძლება მან მახვილი შეიძინოს. ერთმარცვლიანი სიტყვა მოსაზღვრე სიტყვასთან ერთად ქმნის „სამახვილო კომპლექსს“, სწორედ ამ „სამახვილო კომპლექსში“ იძენს ის მახვილს, მაგრამ იქაც განსაზღვრულ პირობებში. ორმარცვლიან სიტყვას მახვილი მოუდის ბოლოდან. მეორე მარცვალზე. სამ და ოთხმარცვლიან სიტყვას მახვილი მოუდის ბოლოდან მესამე მარცვალზე. ზოგ შემთხვევაში კი ოთხმარცვლიან სიტყვას მახვილი აქვს თავიდან პირველ მარცვალზე. ამასთან. დიქორული საზომით დაწერილ ტანგში ოთხმარცვლიანმა სიტყვამ შეიძლება ორი მახვილიც მიიღოს: თავიდან პირველ მარცვალზე და ბოლოდან მეორე მარცვალზე (თანამახვილი). ხუთ და მეტმარცვლიან სიტყვაში გვხვდება ორი მახვილი: ერთია მთავარი და მეორე — დანხმარე, მეორეხარისხოვანი (თანამახვილი). მთავარი მახვილი მოუდის ბოლოდან მესამე მარცვალზე და დანხმარე კი — თავიდან პირველზე. უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ დანხმარე მახვილი მთავარ მახვილთან შედარებით ყოველთვის უფრო სუსტია.

მახვილის საკითხი ქართულში, რა თქმა უნდა, აქ მეტად ზოგადად მოეხაზეთ, მაგრამ, ვფიქრობთ, ამჯერად ჩვენ წინაშე დასმული საკითხის გასაშუქებლად ესეც საკმარისია, რადგან ეს თემა თავისი სიდიდითა და სირთულით ცალკე მონოგრაფიის საგანია<sup>1</sup>.

<sup>1</sup> მახვილის საკითხთან დაკავშირებით გათვალისწინებული გვაქვს პროფ. ა. ჩიქობავას, პროფ. გ. ახვლედიანის, პროფ. ს. ჟღენტის, პროფ. პ. ბერაძის, მკვლევარ ა. ჭაწავაძის, ს. გორგაძის და სხვ. შრომები.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ქართული ლექსის რიტმის საყრდენი უნდა ვეძიოთ მარცვალთა რაოდენობისა და მახვილიანობის მთლიანობაში. მახვილიანი და უმახვილო მარცვლების განსაზღვრული შეერთება გვადლევს მეტრელებია ერთეულს, რომელიც, სქემით გამოხატული, არის ტერფი. ამასთან, უნდა გვახსოვდეს, რომ „ტერფები არსებობს მაოლოდ სტრიქონში მთლიანად, და არა ამ სტრიქონში შემავალ ცალკეულ სიტყვებში, რადგან ისინი (ტერფები—გ. მ.) პირობითი ცნებაა“<sup>1</sup>. იმისდა მიხედვით, თუ რამდენი მარცვლიანია და რა ადგილი უკავია მასში მახვილიან მარცვალს, ვაოჩევთ ტერფის სხვადასხვა სახეობას. ქართული ლექსის ბუნებისათვის შედარებით უფრო ნიშანდობლივია ქორეული (—), დაქტილური (— —) და მეორე პეონური (— ' —) ტერფები. ზემოაზომოთვლილი ტერფების შეერთება იძლევა შესაფერის მუხლებს, ხოლო მუხლების განსაზღვრული მწკრაკი შეადგენს შესაფერის ტაქსს, რომელიც რიტმის ძირითად ერთეულს წარმოადგენს.

იმის გასარკვევად, თუ რა მეტრისა და რიტმის ლექსები დაუწერია მამუკას, საჭიროა განვიხილოთ ლექსის მეტრულ-რიტმული განსაზღვრელება: მარცვალთა რაოდენობა, მახვილთა რაოდენობა და მათი შედარებითი სიძლიერე, მახვილიანი და უმახვილო მარცვლების მოწესრიგებული მონაცვლეობა ტაქსა და სტროფში, ცეზურების განლაგების ცვლილება, რითმათა ხასიათი და განლაგება სტროფში და სხვ. ზემოაღნიშნულთა ცვლილება ლექსში იძლევა სხვადასხვაგვარ მეტრულსა და რიტმულ კომბინაციას. ამისდა მიხედვით თავის ლექსებში მამუკას ძირითადად გამოუყენებია შემდეგი მეტრულ-რიტმული წყობის ტაქები და სტროფები:

## I. ორტერფიანი მეტრი

1. ვინემ ცოცხალი (ინე სმუშაის ხმა).

' —            ' — —

მეტრში გაერთიანებულია ქორე და დაქტილი. ტაქები 5-მარცვლიანია. მახვილიანია 1-ლი და მე-3 მარცვლები.

2. არსად მეტი ნუჯში (ინე სმუშაის ხმა).

' —            ' —            ' — —

<sup>1</sup> Л. Тимофеев, Теория литературы, М., 1948 г., стр. 259.

მეტრში გაერთიანებულია დიქორე და დაქტილი. ტაეპი 7-მარცვლიანია. მახვილიანი მარცვლებია: 1-ლი, მე-3 და მე-5.

3. გამყო ქებით, თაუთა ვნებით (არუსული ხმები).

‘ — ‘ — | ‘ — ‘ — ‘ —

მეტრში გაერთიანებულია ორი დიქორე. ტაეპი 8 მარცვლიანია და ცეზურით შუაზე იყოფა. მახვილიანია 1-ლი, მე-3, მე-5, მე-7 მარცვლები. ტაეპს ახლავს შინაგან-გარეგანი რითმა.

## II. ხაზტერფიანი მეტრი

1. ა) ჩემგან საწუთოს ჩივილი

სცანით, თუ მრუდად ყვირილი (ამოკლე შეწყობილი).

‘ — ‘ — ‘ — | ‘ — ‘ — ‘ —

მეტრში გაერთიანებულია ტერფები: ქორე + დაქტილი + დაქტილი. ლექსი 8-მარცვლიანია. მახვილები ხვდება 1-ლ, მე-3 და მე-6 მარცვლებზე. ცეზურა მოდის ხუთი მარცვლის შემდეგ. ტაეპები გარითმულია, რაც ასხვავებს ლექსის რიტმს შაირის რიტმისაგან.

- ბ) სჯობს მისგან უვაკრელობა,

მრავალი უვა კრელობა (ლექსი მოკლე).

‘ — ‘ — | ‘ — ‘ — ‘ —

ტერფების ადგილის შენაცვლებით (დაქტილი + ქორე + დაქტილი) გამოწვეულია რიტმის ცვლილება. მახვილები ნაწილდება 1-ლ მე-4 და მე-6 მარცვლებზე. ცეზურა სამი მარცვლის შემდეგაა. ტაეპები გარითმულია.

## III. ოთხტერფიანი მეტრი

1. ა) მე, მონა მისი, მაქები მნახეთ,

თვით გმირი ტახად, შევნიერ სახეთ (იაზბიკო).

‘ — ‘ — ‘ — | ‘ — ‘ — ‘ —

მეტრში გაერთიანებულია ოთხი ტერფი: დაქტილი + ქორე + დაქტილი + ქორე. ლექსი 10-მარცვლიანია. სუსტი ცეზურა მოუდის ხუთი მარცვლის შემდეგ. მახვილიანია

შენდეგი ნარცვლები: 1-ლი, მე-4, მე-6 და მე-9. ტაქები გართმულია საერთო რითშით.

მამუქასთან ზოგჯერ ტაქს აქვს შინაგან-გარეგანი რით-მა: «ქალთათვის ქმარი, კეთილად მქმნარი» (აუცხოა). შემდეგ ამ ზომას ხმარობს ბესიკიც.

ტერფთა ადგილის შენაცვლებით ვიღებთ ლექსის რიტ-მის სახესხვაობებს, რომელთაგან მამუქა იყენებს შემდეგს:

ბ) ქალთა სიყვით მისი დამრჩომი (აუცხოა).

' ~ ~ ~ | ~ ~ ~ ~ ~

ტერფთა განლაგება: ქორე + დაქტილი + ქორე + დაქტი-ლი. ნახვილები: 1-ლ, მე-3, მე-6 და მე-8 მარცვლებზე.

გ) მეცა იგი ვარ, ვითაზცა კაცი,

წყუულ არს იგი და მისი ქნაცი (ერუ და მტბიერი წუთისოფელი).

ან:

ზოგი მიეცა სამარის კარსა (არუსული ხმები).

' ~ ~ ~ | ~ ~ ~ ~ ~

ტერფთა განლაგება: ქორე + დაქტილი + დაქტილი + ქორე. ნახვილები: 1-ლ, მე-3, მე-6 და მე-9 მარცვლებზე.

დ) არიან შისთვის ძალთა მჩენანი (იაბბიკო).

' ~ ~ ~ ~ ~ | ~ ~ ~ ~ ~

ტერფთა განლაგება: დაქტილი + ქორე + ქორე + დაქტი-ლი. ნახვილები: 1-ლ, მე-4, მე-6 და მე-8 მარცვლებზე.

2. შენგამო, შენგამო ცრემლდინებულმან,

ან:

ვინ არის, ვინ არის მისი დარია? (არუსული ხმები).

' ~ ~ ~ | ~ ~ ~ ~ ~

მეტრში ტერფთა განლაგება შემდეგია: დაქტილი + დაქ-ტილი + ქორე + დაქტილი. ტაქები 11-მარცვლიანია. ნახ-ვილიანია 1-ლი, მე-4, მე-7 და მე-9 მარცვლები. ცეზურა მოდის პირველი ტერფის (სამი მარცვლის) შემდეგ, მთა-ვარი ცეზურა — ორი ტერფის (ექვსი მარცვლის) შემდეგ. ეს მეტრი პირველად მამუქას მიერაა გამოყენებული. შემ-დეგ იყენებს ბესიკიც.

3. იქნება მისთვის იგი დასაყვედრელი! (უცხოა).

ტერფთა განლაგება: დაქტილი + დიქორე + ქორე + დაქტილი. ტაეპში 12 მარცვალაია. მახვილიანია 1-ლი, მე-4, მე-6, მე-8 და მე-10 მარცვლები. ცეზურა შოუდის მე-7 მარცვლის შემდეგ.

ეს საზომი გამოყენებულია ჯერ კიდევ X საუკუნის ჰიმნოგრაფებთან. შდრ., მაგალითად, იოანე მინჩხის საგალობელს: «გამოხსნად ჩუენდა მოხუედ დამბადებელოა» (პ. ინგოროყვა, ძველ-ქართული სასულიერო პოეზია, წ. I, 1913 წ., გვ. 14).

4. შენა ბულბულმან საყვარელნი შვიდნი მართუენი (პოროდილა ჩეჩოტოჩკას ხმა).

ტერფთა განლაგება. პეონი II + პეონი II + ქორე + დაქტილი. მახვილიანია მე-2, მე-6, მე-9 და მე-11 მარცვლები. ცეზურა თავსდება მე-4 და მე-8 მარცვლების შემდეგ.

5. თუ მამუკას მელექსედ არ იტყვიან, ვა მეო! (შეწყობილა).

მეტრული შედგენილობა: პეონი II + დაქტილი + პეონი II + დაქტილი. ტაეპში 14 მარცვალაია. მახვილიანია ოთხი მარცვალი: მე-2, მე-5, მე-9 და მე-12. ცეზურები თავსდება მე-4, მე-7 და მე-11 მარცვლების შემდეგ. ტაეპის შუაზე (მე-7 მარცვლის შემდეგ) მოთავსებულია მთავარი ცეზურა. ზოგჯერ ტაეპს აქვს შინაგანი რითმა. ეს მეტრი პირველად მამუკამ გამოიყენა. შეიძლება ამ საზომს იყენებს დავ. გურამიშვილიც.

6. იწინ შენნი ტრფიალნი, ლაწენი მათთვის იალნი, სიხარული დაქაოგეს, შუება შექმნეს ტიალნი (პრიიდი დრუეოკის ხმა).

ტერფთა განლაგება: დიქორე + დაქტილი + დიქორე + დაქტილი. ლექსი 14-მარცვლიანია, რომელთაგან მახ-

ვილიანია 6, უმახვილო — 8. მახვილიანი მარცვლებია: 1-ლი, მე-3, მე-5, მე-8, მე-10 და მე-12. ცეზურა მე-4, მე-7, მე-11 მარცვალთა შემდეგაა, მთავარი ცეზურა — მე-7 მარცვლის შემდეგ (ტაეპს ჰყოფს შუაზე). ტაეპებს აქვს საერთო რითმა. ზოგჯერ ტაეპს აქვს შინაგან-გარეგანი რითმაც.

ეს ზომა (ზოგჯერ შინაგანი რითმით) გამოიყენა დავ. გურამიშვილმაც.

7. ა) ვიცი, დასჯის ვინცა ჩემებრ უქმად ენა ანახხაროს (აშაირია),  
ან:

რადგან ვიყავ მისი მდომი, არა მმართვეს მისთვის ომი (არუული).

' — ' — | ' — ' — ' — || ' — ' — | ' — ' — ' —

მეტრში გაერთიანებული ოთხი დიქორე, ტაეპში 16 მარცვალა, 8 მახვილიანი და ამდენივე უმახვილო. მახვილიანია ყველა კენტი მარცვალი. ყოველი ოთხი მარცვლის შემდეგ ცეზურაა. მთავარი ცეზურა ტაეპს ჰყოფს შუაზე (მდებარეობს მეორე მარცვლის შემდეგ). ასეთ ტაეპში მამუკა ზოგჯერ იყენებს შინაგან-გარეგან რითმასაც (რაც გამოწვეულია ლექსის კომპოზიციით).

ეს ზომა სამეცნიერო ლიტერატურაში ძალად შაირითაა ცნობილი. ის პირველად გვხვდება ჩახრუხადის «თამარიანში», რომელშიც ტაეპის ყველა ტერფი გართმულია. შდრ.: თამარ წყნარი, შესაწყნარი, ხმა-ნარნარი, პირ-მცინარი» (ძე. ქართ. ლიტერატურის ქრესტომათია, ტ. II, შედგ. სოლ. ყუბანეიშვილის მიერ, 1949 წ., გვ. 189, სტროფი 19). მაღალი შაირის კანონიზაცია რუსთაველიდან იწყება. მაღალი შაირის სახესხვაობებიდან მამუკა ძირითადად იყენებს შემდეგს:

ბ) თვალთა მიჰსცემს სინათლესა, მზისა სხივთა უნათლესსა (ჩერნიჩკოს ხმა)

' — ' — | — ' — — || ' — ' — | ' — ' —

ტერფთა განლაგება: დიქორე + პეონი II + დიქორე + დიქორე. მახვილიანია 1-ლი, მე-3, მე-6, მე-9, მე-11, მე-13 და მე-15 მარცვლები. ცეზურა მოდის ყოველი 4 მარცვლის შემდეგ.

მთავარი ცეზურა ტაეპს ჰყოფს შუაზე. ტაეპს ახლავს შინა-გან-გარეგანი რითმა.

გ) მათგან მიხვდა წყალობისა უმრავლესი ასი ასად (შაირის ლექსი).

‘ — — — | — — — || — — — | — — — ‘

ტერფთა განლაგება: დიქორე + პეონი II + პეონი II + დიქორე. მახვილიანია 1-ლი, მე-3, მე-6, მე-10, მე-13 და მე-15 მარცვლები. ცეზურა მოდის ყოველი 4 მარცვლის შემდეგ. მთავარი ცეზურა ტაეპს ჰყოფს შუაზე.

დ) მონა, მიწა, ფერხთა მტვერი, დამირთვია არ კი ნება (შაირის ლექსი).

‘ — — — | — — — ‘ || — — — | — — — ‘

ტერფთა განლაგება: დიქორე + დიქორე + პეონი II + დიქორე. მახვილიანია 1-ლი, მე-3, მე-5, მე-7, მე-10, მე-13 და მე-15 მარცვლები. ცეზურა არის ყოველი 4 მარცვლის შემდეგ. მთავარი ცეზურა ტაეპს ჰყოფს შუაზე.

ასეთი შედგენილობის ტაეპს ვხვდებით ჯერ კიდევ რუსთაველთან: «ნახეს უცხო მოყმე ვინმე ჯდა მტირალი წყლისა პირსა» (სტროფი 84).

ე) საყვარლისა გონებამან დამადუმა, დამასულა (აოლციის ხმა).

‘ — — — | — — — || — — — | — — — ‘

მეტრული შედგენილობა: პეონი II + პეონი II + პეონი II + დიქორე. მახვილიანია მე-2, მე-6, მე-10, მე-13 და მე-15 მარცვლები. ცეზურა ყოველი ტერფის (ოთხი მარცვლის) შემდეგაა, მთავარი ცეზურა კი—ორი ტერფის (რვა მარცვლის) შემდეგ. ამ შედგენილობის ტაეპს ვხვდებით ჯერ კიდევ ფილიპე ბეთლემელის საგალობელში, რომელიც მოღწეულია ჩვენამდე X საუკ. ხელნაწერში: «ლამპრითა მით ბრწყინვალითა მიგეგებეთ დედოფალო» (ძვ. ქართ. ლიტ. ქრესტომათია, ტ. I, 1946 წ., გვ. 349), შემდეგ ვეფხისტყაოსანში: «ისმენდიან, გაკვირდიან, რა ატირდის, ატირდიან» (სტროფი 967).



#### IV. ხუთტერფიანი მეტრი

1. ტრფიალო,ლამაზო, მეტრფიალა ბაია შენი (ჩერნიჩკოს ხმა)

' — — | ' — — || — ' — — | ' — — ' —

ტერფთა განლაგება: დაქტილი + დაქტილი + პეონი II + დაქტილი + ქორე. ტაეპში 15 მარცვალთა. მახვილიანთა 1-ლი, მე-4, მე-8, მე-11 და მე-14 მარცვლები. ცეზურათავსდება მე-3, მე-6 და მე-10 მარცვლების შემდეგ. მთავარი ცეზურა ორი ტერფის (6 მარცვლის) შემდეგ არის. ეს მეტრი პირველად მამუკამ გამოიყენა.

#### V. ექვსტერფიანი მეტრი

1. ა) ვითა რიოშთა საცნობლად განჰსცდის კიდონტის ქვანია (წყობილი).

' — — ' — — | ' — — || — ' — — ' — — | ' — —

მეტრული შედგენილობა: ქორე + დაქტილი + დაქტილი + ქორე + დაქტილი + დაქტილი. ლექსი 16-მარცვლიანთა, რომელთაგან მახვილიანთა 6, უმახვილო—10. მახვილიანთა 1-ლი, მე-3, მე-6, მე-9, მე-11 და მე-14 მარცვლები. ცეზურა მე-5, მე-8 და მე-13 მარცვალთა შემდეგაა. მთავარი ცეზურა ტაეპს ჰყოფს შუაზე (8 მარცვლის შემდეგაა). მამუკა ამ ზომას «გძელშაირს» უწოდებს. სამეცნიერო ლიტერატურაში «დაბალი» შაირით არის ცნობილი.

ეს მეტრი სრულყოფილ სახეს რუსთაველის ქმნილებაში ლეზულობს, თუმცა უნდა აღვნიშნოთ, რომ ის ჯერ კიდევ რუსთაველამდე იყო ცნობილი მწერლობაში. აქვე მოგვყავს დაბალი შაირის რიტმით დაწერილი ის პირველი ნიმუშები, რომლებიც გვხვდება ქართულ ლიტერატურაში რუსთაველის დიად ქმნილებამდე.

1) მიქელ მოდრეკილის ერთ-ერთ საგალობელში: «რომელმან სიბრძნით დაჰბადნა ცანი მალაღნი ძალითურთ» (გ. იმედაშვილი, ვეფხისტყაოსნის პარალელები მეათე საუკუნის ქართულ ჰიმნოგრაფიაში, ლიტერატურული ძიებანი, ტ. II, 1944 წ., გვ. 216).

2) ლეონტი მროველის «ცხოვრება ქართველთა მეფეთა-შთა ჩართული ლექსის ექსცერპტი: «რომელმან შეჰკრა ჯაქვითა ბევრასფი გველთა უფალი...» (პ. ინგოროყვა,

ქართ. მწერლობის ისტ. მოკლე მიმოხილვა, ეურნ. «მნათობია», 1939 წ., № 4, გვ. 96).

3) ეფრემ მციარის მიერ შესრულებულ დიონისე არეოპაგელის თხზულების «საადრუმლოდ ღმრთისმეტყველებითსათვის» ერთ-ერთი სქოლიოს ქართულ თარგმანში: «ბარბით მცემელობს პირმშო-შობ ვერ მეცნიერი შობისაჲ» (სიმ. ყაუხჩიშვილი, ეფრემ მცირე და ბერძნულ-ბიზანტიური ლექსწყობის საკითხები, «სტალინის სახელობის თბილისის სახელმწ. უნივერსიტეტის შრომები», ტ. XXVII b, 1946 წ., გვ. 76).

4) არსენ იყალთოელისადმი მიკუთვნილი ლექსი «ხელმწიფის კარის გარიგებაშია: «როს ნაქარმაგვეს მეფენი შვიდნი მე პურად დამესხნეს» (ე. თაყაიშვილი, ჯელმწიფის კარის გარიგება, 1920 წ., გვ. XXXVIII).

5) «ქართლის ცხოვრებაშია ექსცერპტის სახით შემონახულ დემეტრე I-ის დროინდელ ლექსში:

ყოვლითურთ ემსგავსა ძირსა კეთილსა დავითიანსა,  
ხესა ღმრთიე-დანერგულსა და [ნაყოფით] ცხებულიანსა.

(«ქართლის ცხოვრება», ტექსტი დადგენილია ყველა ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, 1955 წ., გვ. 366. გამოცემაში პროზაულად არის დაბეჭდილი. კვადრატულ ფრჩხილებში ჩასმული სიტყვა ჩვენ გვეკუთვნის.—გ.მ.).

6) თამარ მეფის პირველი ისტორიკოსის მიერ დამოწმებულ უცნობი პოეტის ერთსტროფიან ლექსში: «შენ, ვახტანგ, სანატრელი ხარ შენთვის ღმრთის მაქებარისა» («ისტორიანი და აზმანი შარავანდედანი», კორნ. კეკელიძის რედ., 1941 წ., გვ. 55—56). ამავ თხზულების ბოლოში მიწერილია სხვა ლექსიც (იქვე, გვ. 140).

7) ჩახრუხადის «თამარიანშია: «მსგავსად აქილევ-ტროელთა უმბროსისგან შესხმანი» («ძვ. ქართ. ლიტ. ქრესტომათია», ტ. II, 1949 წ., გვ. 191, სტროფი 25. შდრ. აგრ. სტროფი 24)

ამ ძირითადი მეტრიდან ჯერ კიდევ რუსთაველს გამოჰყავს სხვა რიტმული ვარიაციები. მამუქაც მიმართავს შემდეგ რიტმულ ვარიაციებს:

ბ) გვამთა ფრინველთა ჭუათა ჭამითა აქვან შვებანი (ფრძელშაირის ლექსი).

ტერფთა განლაგება: ქორე + დაქტილი + დაქტილი + დაქტილი + ქორე + დაქტილი. მახვილიანია 1-ლი, მე-3, მე-6, მე-9, მე-12 და მე-14 მარცვლები. ცეზურა მე-5, მე-8 და მე-11 მარცვალთა შემდეგაა. მთავარი ცეზურა ტაეპს ჰყოფს შუაზე.

გ) მწირობა სხვათა თემისა, უხმარ და უქმად გდებანი (მრჩობლედო).

' ~ ~ | ' ~ ~ ~ ~ || ' ~ ~ ~ ~ ' ~ ~ | ' ~ ~

ტერფთა განლაგება: დაქტილი + ქორე + დაქტილი + დაქტილი + ქორე + დაქტილი. მახვილიანია 1-ლი, მე-4, მე-6, მე-9, მე-12 და მე-14 მარცვლები. ცეზურა მე-3, მე-8 და მე-13 მარცვალთა შემდეგაა. მთავარი ცეზურა ტაეპს ჰყოფს შუაზე.

დ) ვერა სცნობს ბნელსა გასინჯვით, ვინცა ნათლითა ჰყურებხა (გრძელშაირის ლექსია).

' ~ ~ | ' ~ ~ ~ ~ || ' ~ ~ ~ ~ ' ~ ~ | ' ~ ~

ტერფთა განლაგება: დაქტილი + ქორე + დაქტილი + ქორე + დაქტილი + დაქტილი. მახვილიანია 1-ლი, მე-4, მე-6, მე-9, მე-11 და მე-14 მარცვლები. ცეზურა მე-3, მე-8 და მე-13 მარცვალთა შემდეგაა. მთავარი ცეზურა ტაეპს ჰყოფს შუაზე.

2. იქებან, რომელიცა ეურჩების სიამოვნეს ამ წუთისა არასდროსა (გრძელედი შაირი სამკვეთი).

' ~ ~ | ' ~ ~ ~ ~ || ' ~ ~ ~ ~ | ' ~ ~ ~ ~ ! ' ~ ~ ~ ~ | ' ~ ~ ~ ~

ტერფთა შედგენილობა: პეონი II + პეონი II + პეონი I + პეონი I + პეონი II + დიქორე. ტაეპი 24 მარცვლიანია. მახვილიანია მე-2, მე-6, მე-9, მე-13, მე-18, 21-ე და 23-ე მარცვლები. ტაეპში 6 ცეზურაა, რომლებიც განაწილებულია მე-4, მე-8, მე-12, მე-16 და მე-20 მარცვლების შემდეგ. ორი მთავარი ცეზურა, რომლებიც მდებარეობს მე-8 და მე-16 მარცვლების შემდეგ, ტაეპს ჰყოფს სამ თანაბარ ნაწილად.

ეს მეტრი პირველად გამოიყენა მამუქამ, რომელმაც მას გრძელედი სამკვეთი შაირი უწოდა.

## VI. რვატერფიანი მეტრი

1. ა) რით ვინუგეშებ, ესე არ ვიცი, ვერა ვივიწყებ, ვარ უსასოთა  
(ინე სმუშჩაის ხმა);

შენი შევნება, ბნელთა თენება, არის მხისაგან ციაგებულად (არუსული ხმები) ან:

მეფევე ძლიერო, მტერთა მთხიერო, შემამწიერო, ძალთა მციერო  
(ქება მეფის ბაქარისა).

‘ — ‘ — | ‘ — ‘ — || ‘ — ‘ — | ‘ — ‘ —

ტაეპის პირველი ნახევრის მეტრული შედგენილობა: ქორე + დაქტილი + ქორე + დაქტილი. ამავე შედგენილობისაა ტაეპის მეორე ნახევარი. ლექსი 20-მარცვლიანია, აქედან მახვილიანია 8 და უმახვილო 12. მახვილიანია 1-ლი, მე-3, მე-6, მე-8, მე-11, მე-13, მე-16 და მე-18 მარცვლები. ლექსში სამი ცეზურაა (მე-5, მე-10 და მე-15 მარცვლების შემდეგ). მთავარი ცეზურა ტაეპს ჰყოფს შუაზე (ათი მარცვლის შემდეგაა).

ამ მეტრით დაწერილი ლექსები ცნობილია ფისტიკაურის სახელწოდებით. ფისტიკაურის უძველესი ნიმუში დაცულია ეგსები კესარიელის წამებაა წმიდისა პროკოპისის ტექსტში, რომელიც ნათარგმნია ქართულად არაუგვიანეს VII საუკუნისა. ძეგლში მოყვანილია შემდეგი ციტატი ჰომეროსის ილიადადან: «არა კეთილარს მრავალ-უფლებაჲ, ერთ უფალ იყავნ და ერთ მეუფს» (პ. ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა, რუსთაველის ეპოქის სალიტერატურო მეტყვიდრეობა, «რუსთაველის კრებული», 1938 წ., გვ. 52). ფისტიკაურის მეორე ნიმუში მოგვცა ეფრემ მცირემ თხზულებაში—თებრობანი დიდისა ბასილის ეპიტაფიასა შინა შემოღებულნი». მასში ჰომეროსისვე ილიადადან მოცემულია შემდეგი ციტატი: «ამის ვისიმე დგომაჲ ცხენისაჲ სასმენელ იქმნა ბაგათა ზედა» (იქვე).

როგორც ცნობილია, «ვეფხისტყაოსნის» ხელნაწერებს შემოუნახავს ფისტიკაურით დაწერილი ერთადერთი სტროფი: «შეკრა წითელი ასი ათასი პირად მზემან და ტანად სარომან» (სტრ. 771). მოყვანილი სტროფი, როგორც პროფ. ა. შანიძე აღნიშნავს, რუსთაველის კალამს არ ეკუთვნის და შეტანილია «ვეფხისტყაოსანში» XVI საუკუნეში მაინც.

ფისტიკაური დაუწერია აგრეთვე ვინმე შუენიერს (ქალის სახელია). პროფ. ა. შანიძის შეხედულებით, ეს ლექსი XV საუკუნეს ვერ გადმოსცილდება და შეიძლება უფრო ადრინდელიც იყოს, ვიდრე ვეფხისტყაოსნისა ჩანართის სტროფი (ა. შანიძე, ფისტიკაურის ისტორიისათვის, «ლიტერატურული ძიებანი», ტ. II, 1945 წ., გვ. 6). ქეთევან დედოფალმაც 1614 — 1624 წლებში ფისტიკაურით დაწერა თავისი ანბანთქება: ან, ამას ვსტირი, ბან ბნელსა მჯდომი, გან, გულთა მდულრად, დონ, დადაგული (S 1512, გვ. 25 — 26). ფისტიკაურს ვხვდებით «ქილილა და დამანაშიცა»: აღმართა დროშა აღმოსავლისა ლაშქართ პატრონმა დასარაზმელად (1949 წ. გამოც., გვ. 73)

ხსენებული მეტრი, წინაცეზურული რითმით ერთსა და იმავე ტაეპის ფარგლებში, პირველად გვხვდება «აბდულმესიანსა» და «თამარიანში», ხოლო შემდეგ თეიმურაზ პირველთან («თხზ. სრული კრებ.», 1934 წ., გვ. 161), არჩილ მეფესთან («არჩილიანი», 1936 წ., გვ. 225) და საბასეულ «ქილილა და დამანაში» (1949 წ., გვ. 232). ასეთ ლექსს «ჩახრუხაული» ეწოდება. ოცმარცვლიან ტაეპს შინაგანი რითმებით ვხვდებით ჯერ კიდევ X საუკ. 60-იანი წლების ერთ-ერთ ხელნაწერში. შდრ.: «მე მიქელ მღვდელმან, ზეკეპე ბერმან, ქვაბისა შეილმან, ბერთას აღზრდილმან...» (ალ. ბარამიძე, ნარკვევები, III, 1952 წ., გვ. 272). ამ მეტრით დაწერილ ისეთ სტროფს კი, რომელიც გაწყობილია ერთი საერთო შინაგან-გარეგანი რითმით, პირველად ვხვდებით «აბდულმესიანში» («ძველი ქართული ლიტ. კრესტომათია», ტ. II, 1949 წ., გვ. 208, სტროფი 97), შემდეგ საბასეულ «ქილილა და დამანაში» (გვ. 227).

მამუკა იყენებს ამ მეტრის შემდეგ რიტმითს მრავალსახეობებს, რომლებშიც სხვადასხვანაირია მახვილიან და უმახვილო მარცვალთა თანაშიმდევრობა, ხოლო ცეზურა ყოველთვის უცვლელია:

ბ) პირნათლად ზისა, ვით შუქი მზისა, უფსკრული ბნელი გარემო შენდა  
(«ცრუ და მცბიერი წუთისოფელი»)

' — — ' — | ' — — ' — || ' — — ' — | ' — — ' —

ტაეპის პირველი ნახევრის მეტრული შედგენილობა: დაქტილი + ქორე + დაქტილი + ქორე. ამავე შედგენილობი-

საა ტაეპის მეორე ნახევარი. მახვილიანია 1-ლი, მე-4, მე-6, მე-9, მე-11, მე-14, მე-16 და მე-19 მარცვლები. ტაეპს აქვს წინაცეზურული რითმა.

გ) ქმოყრობს ზაკულად, გარე ბაკულად ბოროტი მოჰსდგამს მისგამო  
ქმნილსა (ცრუ და მცბიერი წუთისოფელი).  
' ~ ' ~ | ' ~ ' ~ || ' ~ ' ~ | ' ~ ' ~

მეტრული შედგენილობა: ქორე + დაქტილი + ქორე + დაქტილი + დაქტილი + ქორე + დაქტილი + ქორე. მახვილიანია 1-ლი, მე-3, მე-6, მე-8, მე-11, მე-14, მე-16 და მე-19 მარცვლები. ტაეპს აქვს წინაცეზურული რითმა.

დ) ვნახენ ნათელი, ბჟუტად სანთელი, უკუნი შექმნის დასასრულია  
(ცრუ და მცბიერი წუთისოფელი).  
' ~ ' ~ | ' ~ ' ~ || ' ~ ' ~ | ' ~ ' ~

მეტრული შედგენილობა: ქორე + დაქტილი + ქორე + დაქტილი + დაქტილი + ქორე + ქორე + დაქტილი. მახვილიანია 1-ლი, მე-3, მე-6, მე-8, მე-11, მე-14, მე-16 და მე-18 მარცვლები. ტაეპს აქვს წინაცეზურული რითმა.

ე) ვიბოსი შევებით, გამზადის ვებით, რიცხვთა ქონება უქონელია  
(ცრუ და მცბიერი წუთისოფელი).  
' ~ ' ~ | ' ~ ' ~ || ' ~ ' ~ | ' ~ ' ~

მეტრული შედგენილობა: დაქტილი + ქორე + დაქტილი + ქორე + ქორე + დაქტილი + ქორე + დაქტილი. მახვილიანია 1-ლი, მე-4, მე-6, მე-9, მე-11, მე-13, მე-16 და მე-18 მარცვლები. ტაეპს აქვს წინაცეზურული რითმა.

2. მიზლის თვალთა ჩენასა, ოდენ ცრემლთა დენასა, მაძღვეს არა სმენასა,  
ეს არის ვნება (აოროდილა ჩეჩოტკას ხმა).  
' ~ ' ~ ' ~ | ' ~ ' ~ ' ~ | ' ~ ' ~ ' ~ | ' ~ ' ~ ' ~

ტერფთა განლაგება: დიქორე + დაქტილი + დიქორე + დაქტილი + დიქორე + დაქტილი + დაქტილი + ქორე. ლექსი 26-მარცვლიანია. მახვილიანია 1-ლი, მე-3, მე-5, მე-8, მე-10, მე-12, მე-15, მე-17, მე-19, 22-ე და 25-ე

მარცვლები. ცეზურა მე-7, მე-14 და 21-ე მარცვალთა შემდეგაა. ტაეპს აქვს შინაგანი რითმა.

ამ საზომის ლექსი იშვიათ მოვლენას წარმოადგენს არა მარტო ქართულ, არამედ მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში. ეს საზომი მამუკას მიერაა შემოღებული.

## VII. ცხრატერფიანი მეტრი

1. სოფელმან ასრე შემოყრა ცრუმან: ლაწვთა შეჰმატა მგლოვარე თვალთა მანანა (აისტიაკურთი).

‘ — ‘ — | ‘ — — ‘ — || ‘ — ‘ — — | ‘ — — ‘ — | ‘ — —

ტერფთა განლაგება: დაქტილი + ქორე + დაქტილი + ქორე + ქორე + დაქტილი + დაქტილი + ქორე + დაქტილი. ტაეპი 23-მარცვლიანია. მახვილიანია 1-ლი, მე-4, მე-6, მე-9, მე-11, მე-13, მე-16, მე-19 და 21-ე მარცვლები. ცეზურა მე-5, მე-10, მე-15 და მე-20 მარცვლების შემდეგაა. მთავარი ცეზურა არის მე-10 მარცვლის შემდეგ.

ეს საზომი მამუკა ბარათაშვილის მიერაა შემოღებული.

## VIII. ათტერფიანი მეტრი

1. არის ქეული, მიწყვი უპირო იგი, სიხარული აქვს ანასდი ავთა არვეით (აისტიაკურთი)

‘ — ‘ — — ‘ — | ‘ — — ‘ — || ‘ — ‘ — — ‘ — — | ‘ — — ‘ — —

ტერფთა განლაგება: ქორე + დაქტილი + ქორე + დაქტილი + ქორე + ქორე + დაქტილი + დაქტილი + ქორე + დაქტილი. ტაეპი 25-მარცვლიანია. მახვილიანი მარცვლებია: 1-ლი, მე-3, მე-6, მე-8, მე-11, მე-13, მე-15, მე-18, 21-ე და 23-ე. სამი ცეზურა, რომლებიც ტაეპს ჰყოფს ოთხ ნაწილად, მოთავსებულია მე-7, მე-12 და მე-20 მარცვლების შემდეგ. მთავარი ცეზურა არის მე-12 მარცვლის შემდეგ. ეს მეტრი პირველად გამოიყენა მამუკამ.

როგორც მოყვანილი მეტრულ-რიტმული სქემებიდან ვხედავთ, მამუკა უხვად იყენებს სხვადასხვა სალექსო საზომს. მაგრამ ჩამოთვლილთაგან მას ყველაზე უფრო მეტად გამოიყენებული აქვს ოთხი, ექვსი და რვატერფიანი საზომები. მარცვალთა რაოდენობის მიხედვით მამუკას ლექსებში ვხვდებით შემდეგ ტაეპებს: 5-მარცვლიანს, 7-მარცვლიანს, 8-მარცვლიანს (სხვადასხვა ცეზურითა და ტერფით), 10-მარცვლიანს (ტერფთა მონაცვლეობით), 11-

მარცვლიანს, 12-მარცვლიანს, 13-მარცვლიანს, 14-მარცვლიანს, 15-მარცვლიანს, 16-მარცვლიანს (სხვადასხვა ცეზურიითა და ტერფით), 20-მარცვლიანს (სხვადასხვა ცეზურიითა და ტერფით), 23-მარცვლიანს, 24-მარცვლიანს, 25-მარცვლიანსა და 26-მარცვლიანს.

მამუკას ლექსის რიტმის შესწავლისას სხვა ფაქტორებთან ერთად ანგარიში უნდა გაეწიოს გადატანისაც (enjambement). გადატანის დროს აზრობლივი მსვლელობა არ ეტევა მოცემული მეტრის ჩარჩოში, რის გამოც წინადადება გადადის მომდევნო ტაქტში. ლექსის წაკითხვისას ინერციულად ვცდილობთ წინადადების მთლიანი სახით წარმოთქმას, მაგრამ ტაქტის დამაბოლოებელი პაუზა გვაიძულებს გავჩერდეთ იქ, სადაც ეს პაუზა აზრობლივად არ არის ნაკარნახევი. ეს გარემოება კი იწვევს მეტყველების უჩვეულო ღრუბრადობას.

მამუკას ლექსის რიტმზე გავლენას ახდენს მონოპოდიური და დიპოდიური აგებულების ტაქტების მონაცვლეობაც. დიპოდიური რიტმის შემთხვევებში ხდება ორი ტერფის გაერთიანება ერთ რიტმულ სამახვილო ჯგუფად (იხ., მაგალ., მაღალი შაირის რიტმი).

მამუკასთან რიტმის მრავალფეროვნება მიღწეულია აგრეთვე ზოგიერთი ლექსის სტროფებში სხვადასხვა საზომის კომბინირებული გამოყენებით. ასე, მაგალითად, ლექსში „რუსული ხმები“ 20-მარცვლიანი ტაქტები შეხამებულია 8 და 10-მარცვლიან ტაქტებთან. „პოროდილა ჩეჩოტოჩკას ხმაში“ 13-მარცვლიანისა და 26-მარცვლიანი ტაქტების მონაცვლეობით მამუკა აღწევს რიტმის ცვლილებას.

ზოგჯერ პოეტი ერთ ლექსში მიმართავს სხვადასხვა საზომით დაწერილი სტროფის გამოყენებას, რითაც სურს ლექსის ამა თუ იმ ნაწილს მისცეს სხვა რიტმი. მაგალ., ლექსში „ცრუ და მცბიერი წუთისოფელი“ პირველი ორი სტროფი დაწერილია 10-მარცვლიანი საზომით, მეორე ორი სტროფი—20-მარცვლიანი საზომით და ასე მეორდება ბოლომდის; ხოლო ლექსში „ნე სმუჰაის“ ხმა კენტი სტროფები დაწერილია 20-მარცვლიანი საზომით, ლუწი სტროფები კი—7-მარცვლიანით.

## D. რ ი ტ მ ა

რითმა არის ერთმანეთთან დაკავშირებულ ტაქტთა რომელიმე ადგილას ერთი და იმავე ან დამსგავსებული ბგერების კამეორება. რითმის მეშვეობით უფრო მკაფიოდ აღვიქვამთ ლექსის შემადგენელი ნაწილების დაწყება-დამთავრებას. დიდი რევოლუციონერი პოეტის ვ. მაიაკოვსკის სიტყვებით რომ ვთქვათ, „Рифма возвращает



შაეტ ნას კ პრედუდუშეი სტოკე, ჯასტავლუეტ ვსპომინატუ ეე, ჯასტავლუეტ ვსე სტოკი, ოფორმლიუშიე ოდნუ მუსლუ, დერჟატუსი ვმესე“ („კაკ დელატუ სტიხ“). რითმა ერთ-ერთი საშუალებაა ლექსის რიტმული მხარის მოსაწესრიგებლად. განსხვავებული რითმები ერთგვარი რიტმის მქონე ტაეპებს სძენს ახალ თავისებურებებს. დასასრულ, ლექსში რითმა ასრულებს წმინდა მუსიკალურ ფუნქციას.

ძველი ქართული ლექსისათვის ერთ-ერთი დამახასიათებელი და თითქმის აუცილებელი ნიშანთაგანია რითმა. ძველი ქართული ლექსისათვის რითმა იმდენად ბუნებრივ და ნიშანდობლივ თვისებას წარმოადგენს, რომ თვით ისეთმა ბერძნულმა ლექსებმა, რომელთა დამახასიათებელ ერთ-ერთ ნიშანსაც სწორედ ურიტმობა შეადგენს, ქართულში რითმა შეიძინეს. ჩვენ მხედველობაში გვაქვს მოგვიანო ხანის ქართული იამბიკოები, რომლებსაც ამშვენებს და მუსიკალობას ჰმატებს მრავალფეროვანი რითმა. რითმა ქართულმა ლექსმა ხალხური პოეზიიდან შეითვისა და ნიჭიერ მელექსეთა ხელში აღრევე მიაღწია განვითარების მაღალ დონეს.

მამუკა ბარათაშვილს თეორიულად კარგად ესმოდა რითმის მნიშვნელობა ქართული ლექსისათვის. ამჟამად საინტერესოა განვიხილოთ, თუ როგორ ახორციელებდა პრაქტიკულად, საკუთარი ლექსების წერის დროს, იმ ნოთიოვნებს, რომლებსაც იგი თავისი დროის მელექსეთ უყენებდა.

ქართული ლექსი გაპირჩევა რითმების სიმდიდრით. რითმები განსხვავდება ერთიმეორისაგან ადგილმდებარეობის, შეთანხმებულ მარცვალთა რაოდენობის, ბგერითი აგებულებისა და გრამატიკული შედგენილობის მიხედვით. მამუკას ლექსებში ადგილმდებარეობის მიხედვით შემდეგი სახის რითმები გვაქვს: გარეგანი, შინაგანი და შინაგან-გარეგანი.

### I. გარეგანი რითმები

მამუკას ლექსებში გარეგან რითმას ვხვდებით შემდეგი კომბინაციებით:

ორ ტაეპიანში: ა ა იხ. ლექსები: „პისტიკაური“ (მეორე სტროფი), „გრძელშაირის ლექსი“, „პრიიდი დრუჟოკის ხმა“, „ცრუ და მცბიერი წუთისოფელი“, „ნე სმუშჩაის ხმა“ (სტროფები: 1, 3, 5, 7).

სამ ტაეპიანში: ა ა ხ (რეფრენია) იხ. „ჩერნიჩოს ხმა“.

ოთხ ტაეპიანში: 1) აააა იხ. ლექსები: „მოკლე შეწყობილი“, „გრძელი შაირი“, „გრძელი შაირი სამკვე-

თი“, „ანბანთქება“, „წამებული“, „ქება მეფის ბაქარისა“ და პოემა „ჯიმშედლიანი“.

2) ა ა ა ბ (რეფერენია) იხ. „უცხო“.

3) ა ა ბ ც იხ. „რუსული ხმები“.

ხ უ თ ტ ა ე პ ი ა ნ შ ი: 1) ა ა ა ა ა იხ. „იამბიკო“.

2) ა ა ბ ბ ც იხ. „ნე სმუშჩაის ხმა“ (სტროფები: 2, 4, 6, 8).

ე ქ ვ ს ტ ა ე პ ი ა ნ შ ი: 1) საერთო რითმა (ა ა ა და ა. შ.) იხ. „წყობილი“.

2) ა ა ბ ა ბ ა იხ. „შერეული“.

შ ვ ი დ ტ ა ე პ ი ა ნ შ ი: საერთო რითმა იხ. „შეწყობილი“, „მდენარი“.

ა თ ტ ა ე პ ი ა ნ შ ი: საერთო რითმა იხ. „წყობილი მრავალმუხლი“.

თ ე რ თ მ ე ტ ტ ა ე პ ი ა ნ შ ი: საერთო რითმა იხ. „პოლცკის ხმა“.

მ რ ა ვ ა ლ ტ ა ე პ ი ა ნ შ ი: ა ა ბ ბ ც ც და ა. შ. იხ. „მრჩობლელი“.

## II. შინაგანი რითმები

მამუკას ლექსებისათვის დამახასიათებელია შინაგანი რითმაც, რომელსაც უხვად ვხვდებით ალორძინების ხანის მწერლებთან. შინაგანი რითმების სახეებიდან მამუკა ხშირად ხმარობს წინა-ცეზურულ რითმებს ერთსა და იმავე ტაეპის ფარგლებში. აი მაგალითი ასეთი შინაგანი რითმისა:

წამილო გული, | მყავს დაკარგული, | ვისგან ვიძიო, | არავინ იცის.  
(„რუსული ხმები“)

ასეთი რითმით არის დაწერილი შემდეგი ლექსები: „ქება მეფის ბაქარისა“, „რუსული ხმები“ (ყოველი სტროფის პირველი ორი ტაეპი), „ცრუ და მცბიერი წუთისოფელი“ (სტროფები: 3, 4, 7, 8).

მამუკასთან გვხვდება უკანაცეზურული რითმებიც ერთსა და იმავე ტაეპის ფარგლებში. ამ მხრივ საყურადღებოა ლექსი „პორადილა ჩეჩოტოჩკას ხმა“ (მეორე სტროფის ყოველი წვეილი სტრიქონი):

ქვეშე ვეცხლი უფაო, | რა ქნას, ვერ გაუფაო || რად არ'დანა უფაო, | მიკვირს მოთმენა.

უკანაცეზურული რითმა, მხოლოდ ოცმარცვლიან ლექსში, პირველად გამოყენებულა „აბდულმესიანიში“<sup>1</sup>.

<sup>1</sup> „ძველი ქართ. ლიტერატურის ქრესტომათია“, შედგ. ს. ყუბანეიშვილი ს. მიერ, 1949 წ., გვ. 208, სტროფი 97.

### III. შინაგან-გარეგანი რითმა

შინაგან-გარეგანი რითმებიდან მამუკას გამოყენებული აქვს ისეთი შემთხვევა, როდესაც წინაცხურული რითმები ეთანხმება გარეგან რითმას:

თუმცა შენი, | შენ ია, || ვარდს არ წარტყვევნა | ჰშენია.  
(„წყობილი მრავალმუხლი“)

ასეთ რითმას ვხვდებით „შეწყობილსა“ და „წყობილ მრავალმუხლში“.

მამუკა იყენებს აგრეთვე ცეზურულ რითმას, რომლის დროსაც ცეზურის წინ მდებარე მარცვლები ეთანხმება იმავე ტაქტის გარეგან რითმას:

ჰნათობ, ვითა ნათელი, | შისა გამოწნათელი.  
(„პრაიდი დრუეოკის ხმა“)

ასეა დაწერილი „უცხოხს“ ყოველი სტროფის პირველი ტაქტი, „რუსული ხმების“ ყოველი სტროფის მესამე ტაქტი, „პრაიდი დრუეოკის ხმის“ ყოველი სტროფის პირველი ტაქტი და „მდენარის“ პირველი ტაქტი.

გვხვდება ისეთი შემთხვევაც, როდესაც ცეზურული რითმა მთელ სტროფს წვდება. ამისი მაგალითია „რეულის“ ქვემოთმოყვანილი სტროფი:

რადგან ვიყავ მისი მღოში, არა მმართებს მისთვის ოში,  
კმუნვა მომცეს თუ რახოში, უნდა ვიყო მუდამ მთიოში,  
მაგრამ ჩემებრ კაცთა ტოში არ უქმნია კირთა მწდლოში,  
ურიტხვი და განუხოში, ჩემთვის ჰბადა მოსარჩოში!

ზოგ შემთხვევაში მთელი სტროფი დაწერილია შინაგან-გარეგანი რითმით. ასეთია „ქება შეფის ბაქარისას“ მე-3 და მე-19 სტროფები:

მეფეე ძლიერო, მტერთა მთხიერო, შემამწიერო, ძალთა მციერო,  
თანახიერო. დახთა ციერო, ლომებო მშიერო, სჩანს სახიერო,  
ლამე მთიერო, წყობად მხიერო, მავნე მტციერო, სხვათ თვით სვიერო,  
სახომიერო, ასაკიერო, კარგსიტყვიერო, მაშუქიერო!

ამავე აგებულების სტროფს ვხვდებით „თამარიანსა“<sup>1</sup> და „აბღლუმესიანში“<sup>2</sup>, ხოლო შემდეგ არჩილ მეფესთან<sup>3</sup> და საბა-

<sup>1</sup> „ძველი ქართული ლიტ. ქრესტომათია“, შედგ. ს. ყუბანეიშვილის მიერ, 1949 წ., გვ. 187, სტრ. 19.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 208, სტრ. 97.

<sup>3</sup> „არჩილიანი“, ტ. I, აღ. ბარამიძისა და ნ. ბერძენიშვილის რედ., 1936 წ., გვ. 239, სტრ. 70.

სეულ „ქილილა და დამანაში“<sup>1</sup>. წინაგანი რითმით გაწყობილ ტაეპს ვხვდებით ჯერ კიდევ X საუკ. 60-იანი წლების ხელნაწერში<sup>2</sup>.

შეთანხმებულ მარცვალთა რაოდენობის მიხედვით მამუკა ბათათაშვილის ლექსებში გვხვდება რითმების შენდები სახეები:

ა) ო რ მ ა რ ც ვ ლ ი ა ნ ი (ქალური), მაგალითად:

გმობა ჰსჯობს მისი, უფამო არხა,  
ყოველთა ჰხედავთ მისგამო მკვდარხა.  
(„ცრუ და მტბიერი წუთისოფელი“)

ორმარცვლიანი რითმებით არის დაწერილი ლექსები: „რვული“, „იამბიკო“ (მე-3 სტროფი), „ჟცხო“, „პოლკის ხმა“ (მე-2 სტროფი).

ბ) ს ა მ მ ა რ ც ვ ლ ი ა ნ ი (დაქტილური), მაგალითად:

მწირობა სხვათა თემისა, უხმარ და უქმად გდებანი,  
მუნთგან იცნათ ძლიერი ჩემი სახმილთა დებანი.  
(„მრჩობლელი“)

სამმარცვლიანი რითმებით არის დაწერილი ლექსები: „წყობილი“, „მრჩობლელი“, „შერეული“, „მოკლე შეწყობილი“, „გრძელი შაირი“, „გრძელშაირის ლექსი“ და სხვ.

მამუკა უმეტესად მიმართავს სამმარცვლიან რითმას.

იმისდა მისეღვით. თუ სტროფში რომელი ტაეპები ერთმეობა ერთიმეორეს, ვასხვავებთ საში სახის რითმას, ესენია: მოსაზღვრე, ჯვარედინი და რკალური. მამუკას თავის შემოქმედებაში გამოუყენებია მხოლოდ მოსაზღვრე რითმები, უფრო სწორად, საერთო რითმაზეა ხოლმე გალექსილი მთელი სტროფი ან ლექსი. გამონაკლისს წარმოადგენს „შერეული“, რომელშიც მესამე სტრიქონი გარითმულია მეხუთე სტრიქონთან დაქმნის ჯვარედინ რითმას.

ბგერითი აგებულების მიხედვით ჩვენ ვიცნობთ სხვადასხვა სახის რითმას. მამუკა თავის ლექსებში უმეტესად ხმარობს ზუსტ რითმას. ზუსტი რითმით აქვს დაწერილი „წყობილი“, „იამბიკო“, „მოკლე შეწყობილი“ და სხვა ლექსები. აი, ერთი სტროფი „მოკლე შეწყობილიდან“.

<sup>1</sup> „ქილილა და დამანა“, აღ. ბარამიძისა და პ. ინგოროძის რედ., 1949 წ., გვ. 227.

<sup>2</sup> აღ. ბარამიძე, ნარკვევები, III, 1952 წ., გვ. 272.

ჩემგან საწუთობს ჩივილი  
ხცანიტ, თუ მრუდად ყავილი,  
მაქვან მრავალი ტკივილი,  
გულკენესით აღმონთხივილი.

ცნობილია, რომ ზუსტი რითმა უფრო მეტ კეთილხმოვანებას აღწევს მაშინ, როდესაც საყრდენი თანხმოვანი შოქცეულია რითმის შემადგენლობაში. ე. ი. რითმებს ერთნაირი საყრდენი თანხმოვანი აქვთ. ასეთ რითმას მდიდარი რითმა ეწოდება. მამუკაც მიმართავს მდიდარი რითმების გამოყენებას. მდიდარი რითმებით არის დაწერილი „გრძელშაირის ლექსის“, „მრჩობლედის“, „ჯიმშედინის“ და სხვ. სტროფები. აი, მდიდარი რითმის ნიმუში „მრჩობლელიდან“:

ვითა ყრმა, წამად შვებული, წამ ურვა მოპოვნებული,  
გულს უყვებდეთ, აღზენდეთ, რა გერგოსთ იგი ვნებული.

მამუკა ერთხელ იყენებს ისეთ რითმასაც, რომლის შემადგენლობაში შედის საყრდენი თანხმოვნის წინმდებარე სხვა ბგერებიც. ასეთ რითმას ღრმა რითმა ეწოდება:

შენი შვენება, ბნელთა თენება, არის მზისაგან ციაგებულად,  
ციმციმებს ბაგე, მსურს თვალი ვაგე, ტანი წერწეტი ზე აგებულად.  
(„რუსული ხმები“)

იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდება მამუკას ლექსებში არაზუსტი რითმა. მას გამოყენებული აქვს არაზუსტი რითმის ის სახეობა, რომელსაც ასონანსი ეწოდება. ასონანსის შემთხვევაში ნხოლოდ ხმოვანი ბგერები იგივეობენ, თანხმოვნები კი არა. ასონანსს ვხვდებით ლექსებში: „უცხო“, „პოლცკის ხმა“, „ნე სმუშჩის ხმა“ და სხვ. ასონანსია:

არსად მეტი ნუგეში,  
ცრემლი თვალთა ბუდეში...

ან:

მითხარ, არ ვქმნა ყვარება,  
ძნელ არს გაოდაცვალება.  
(„ნე სმუშჩის ხმა“)

მამუკას გამოყენებული აქვს მაჯამაც, რითმის ისეთი სახეობა, რომელშიც შეთანხმებულია მთელი სიტყვები ან სიტყვათა კომპლექსები. მოხდენილი და ოსტატურად სრულყოფილი მაჯამებით შემოქმედი კიდევ უფრო აღწევს მხატვრულ ეფექტს. მაჯა-

მას შეიცავს მამუკას შემდეგი ლექსები: „პისტიკაური“, „ლექსი მოკლე“, „შაირი“, „შაირის ლექსი“, „პრიდი ღრუჟოკის ხმა“ (მე-3 სტროფი), „ქება მეფის ბაქარისა“ (მე-11, 31-ე და 54-ე სტროფები) და „ჯიმშედიანის“ მთელი რიგი სტროფები. ომონიმურ რითმებს უხვად ვხვდებით აგრეთვე „ქება მეფის ბაქარისას“ წინაცეზურულ რითმებშიც.

მაჯამების დროს გვაქვს ომონიმური მნიშვნელობის სიტყვები. მაგალ.:

მიწყვი ვემღურით წაუღლხა,  
მაგრამ მოგაგებს წაუღლხა.  
(„ლექსი მოკლე“)

მაგრამ მაჯამების შემთხვევაში ყოველთვის როდი ზერხდება ოპონიმური სიტყვების შერითმვა. ამიტომ მაჯამებს შესაძგენად შემოქმედი ზოგჯერ მიმართავს სიტყვათა კომპლექსებს, რამდენიმე სიტყვას ან სიტყვის შემადგენელ ნაწილებს. ასეთ მაჯამებს რთული ანუ შედგენილი მაჯამა ეწოდება. შედგენილი მაჯამები გამოყენებული აქვს მამუკასაც. შედგენილი მაჯამაა მოცემული, მაგალითად, „შაირის ლექსის“ ქვემოთმოყვანილ სტროფში:

ღმერთმან შორ ჰყოს ჩემგან მისის ბრძანებისა არკინება,  
მონა, მიწა, ფერხთა მტვერი, დაჰირთვია არკინება.

მაჯამების შექმნისას პოეტს წინ ხვდება ბევრი სიძნელე და დაბრკოლება. ზოგჯერ პოეტი ვერ ახერხებს მსგავსი აგებულებისა და სხვადასხვა მნიშვნელობის სიტყვების შერჩევას. ასეთ შემთხვევაში ის გამეორებით მიმართავს ერთი და იმავე მნიშვნელობის სიტყვას. ამგვარ ომონიმურ რითმებს კოქლი ანუ ტავტოლოგიური მაჯამა ეწოდება<sup>1</sup>. რა თქმა უნდა, კოქლი მაჯამების სიხშირე შემოქმედის სისუსტეზე მიუთითებს. მამუკაც ვერ ასცდა კოქლ მაჯამებს. მის ომონიმურ რითმებში ზოგჯერ მკრთალად გამოიყურება კოქლი მაჯამებიც.

როგორც გამონაკლისი, მამუკასთან გვხვდება ნაკლული რითმაც. ნაკლული რითმის დროს ოითმის შედგენილობაში შედის კლაუზულის მხოლოდ ბოლო ნაწილი. ნაკლული რითმა გვხვდება „პრიდი ღრუჟოკის ხმის“ შემდეგ სტროფში:

ოდენ ჭული გემონა. სხვად არად იგემონა,  
კვოეტა საზოდოდ შეჰკობა, თუ მიწყვი ექონება.

მამუკას ლექსებში უპიტესად ვხვდებით ხმოვნით დაბოლოებულ რითმებს — ღ ი ა რ ი თ მ ე ბ ს :

<sup>1</sup> ამ ტერმინის შესახებ იხ. ალ. ბარამიძე, *ნარკვევები*, II, 1940 წ., გვ. 155.

- ა) ქებისა—ნებისა—ბრძნებისა—ვნებისა („წამებულა“, სტრ. 3);
- ბ) ჩივილი—ყვივილი—ტკივილი—აღმონთხივილი („მოკლე შეწყობილი“, სტრ. 2);
- გ) სვისაჲ — მტრისაჲ — ზღვისაჲ — თქმისაჲ („ჯიმშედიანი“, სტრ. 338).

პოეტს უფრო იშვიათად აქვს ნახმარი თანხმოვნით დაბოლოებული რითმები — დახურული რითმები:

- ა) მარემან—შეუწყნარემან — მოუბარემან — სამუდარემან („წამებული“, სტრ. 6);
  - ბ) მშველად—მკვლელად—მთქმელად—ველად („რველი“, სტრ. 1).
- გრამატიკული კატეგორიებიდან მამუჯა რითმებად იყენებს არსებით სახელს, საწყისს, მიმლეობას, შემასმენელს და სხვ.

### 1. არსებითი სახელი

- ა) ტილისმა—დილისმა — ძილისმა — წილისმა („ჯიმშედიანი“, სტრ. 344);
- ბ) ჩინითა—მინითა—ლხინითა — რკინითა („ჯიმშედიანი“, სტრ. 359).

### 2. საწყისი

- ა) ყოლანი—ბრძოლანი—წაცაყოლანი—ძრწოლანი („ჯიმშედიანი“, სტრ. 327);
- ბ) რბილობა—ზდილობა—აღმოვსილობა—შენაცილობა („ჯიმშედიანი“, სტრ. 188).

### 3. მიმლეობა

- ა) განმარტებული — წარმარტებული—განხატებული—ძალსუსტებული („ჯიმშედიანი“, სტრ. 14);
- ბ) დაბნელებული — გაცაძლებული — გაფიცებული — ხლებული („ჯიმშედიანი“, სტრ. 192).

### 4. შემასმენელი

- ა) გაუთევია — დაუტევია — მოურთევია — მოუწევია („ჯიმშედ.“, 49);
- ბ) დამელახა — დამემარხა—მომენახა—მახა („ჯიმშედ.“, 115);
- გ) შეიმუდაროს—დაიბუდაროს—უდაროს—შეისუდაროს („ჯიმშედიანი“, 279).

ჩამოთვლილი რითმებიდან მამუჯას ლექსებში სპარბობს მიმლეობითა და შემასმენლით ნაწარმოები რითმები. ისეთი შემთხვე-

გები კი, სტროფის ოთხივე ტაეპში რითმებად რომ მოცემული იყოს არსებითი სახელი, ძალზე იშვიათია.

როგორც ვხედავთ, მამუკა საფუძვლიანად ფლობს გართმევის იმ ხერხებსა და საშუალებებს, რომლებიც ხანგრძლივი შემოქმედებითი ძიებით გაძოიმუშავებს მისი წინა დროის პოეტებმა. ამ მხრივ მას ახალი არაფერი შეუქმნია, მხოლოდ უნდა აღინიშნოს ის, რომ ქართველ პოეტთა შორის მამუკა პირველია, რომელიც თავის ლექსებში იყენებს გაურითმავად დატოვებულ ტაეპებს. ამასთან, რითმაზე პოეტის გამახვილებული ყურადღების შედეგი უნდა იყოს, რომ მამუკას რითმა უმეტესად ორგანულადაა დაკავშირებული მთლიანად ლექსთან და ხშირად წარმოადგენს მისი ზინაარსისაგან განუყოფელ ნაწილს.

### ე. ს გ რ ო უ ი

ლექსი შედგება სტროფებისაგან. რითმებითა და ინტონაციით დაკავშირებულ ტაეპთა ერთობლიობას სტროფი ანუ ხანა ეწოდება. უმეტეს შემთხვევაში სტროფში მოცემულია ერთი დასრულებული აზრი.

ტაეპთა შედგენილობის მიხედვით მამუკას შემოქმედებაში გვხვდება შემდეგი სახის სტროფები:

1. ერთტაეპიანი: „შაირის ტაეპი“, „გრძელშაირის ტაეპი“.
2. ორტაეპიანი: „პისტიკაური“, „ლექსი მოკლე“, „შაირის ლექსი“, „გრძელშაირის ლექსი“ და სხვ.
3. სამტაეპიანი: „ჩერნიჩკოს ხმა“.
4. ოთხტაეპიანი: „რეული“, „შაირი“, „ჯიმშედინი“ და სხვ.
5. ხუთტაეპიანი: „იამბიკი“, „ნე სმუშჩაის ხმა“ (2, 4, 6, 8 სტროფები).
6. ექვსტაეპიანი: „წყობილი“, „შერეული“.
7. შვიდტაეპიანი: „შეწყობილი“, „ქდენარი“.
8. ათტაეპიანი: „წყობილი მრავალმუხლი“.
9. თერთმეტტაეპიანი: „პოლცკის ხმა“.
10. თოთხმეტტაეპიანი: „პოროდილა ჩეჩოტოჩკას ხმა“.

ჩამოთვლილი სტროფებიდან მამუკა ყველაზე ხშირად ხმარობს ქართულ პოეზიაში გავრცელებულ ოთხტაეპიან სტროფს, რომელიც საერთო რითმაზეა შეწყობილი. არაიშვიათად იგი მიმართავს ორტაეპიან სტროფებსაც.

მამუკას გამოყენებული აქვს ისეთი სტროფები, რომლებიც შედგენილია ერთნაირი მეტრის მქონე ტაეპებისაგან. ასეთია, მაგალითად, „იამბიკოს“ მეოთხე სტროფი:



ვით ჩემი ჰნახთ, სხვაცა ენანი  
 მაქებნი მოწყვიე მკობად მქმნენანი,  
 არიან მისთვის ძალთა მჩენანი;  
 მე ვიაჯ გული მისთვის მდენანი,  
 წყალობისა ჰყავ, მაქვან ქენანი.

მოყვანილი სტროფი სქემის სახით ასე გამოისახება:

' — ' — | ' — ' —  
 ' — ' — | ' — ' —  
 ' — ' — | ' — ' —  
 ' — ' — | ' — ' —  
 ' — ' — | ' — ' —

პოეტი უფრო ხშირად იყენებს ისეთ სტროფებს, რომლებიც შედგება ერთგვარი მეტრის, მაგრამ სხვადასხვა რიტმის მქონე ტაქტებისაგან, როგორც მაგალითად, „ჯიმშედლიანის“ 47-ე სტროფის:

მოვიდა, მეფეს თაყვანი მისცა დიაცმან თავითა,  
 ჰკადრა: „მეფეო, დაგიცვა ვინ ყოვლთა გამკითხავითა,  
 შვილი გიბოძა უებრო, ნუ ხარ გულითა შავითა,  
 მაგრა დაკრძალე მოხარდი კვერცხთაგან უნახავითა“.

მოყვანილი სტროფი სქემის სახით შემდეგნაირად გამოისახება:

' — ' — | ' — ' — || ' — ' — | ' —  
 ' — ' — | ' — ' — || ' — ' — | ' —  
 ' — ' — | ' — ' — || ' — ' — | ' —  
 ' — ' — | ' — ' — || ' — ' — | ' —

ასეთი სტროფი იძლევა სხვადასხვაგვარ ინტონაციურ-რიტმულ ვარიაციას.

მამუკას დაუწერია ისეთი სტროფებიც, რომლებშიც ტაქტთა თანაბარმარცვლიანობა დაცული არ არის. ასეთ სტროფებს „ტეხილი“ ანუ „კოჭლი“ სტროფები ეწოდება. აი, მამუკას ლექსები, დაწერილი „ტეხილი“ სტროფებით, რომლებშიც ტაქტთა რიგის მიხედვით აღნიშნულია მარცვალთა რაოდენობა:

1. „პოროდილა ჩეჩოტოჩკას ხმა“:  $\left. \begin{array}{l} 13 \\ 26 \end{array} \right\}$
2. „პისტიაურის“:  $\left\{ \begin{array}{l} 25 \\ 23 \end{array} \right.$

3. „ჩერნიჩკოს ხმა“:	}	16
		16
		14
4. „რუსული ხმები“:	}	20
		20
		8
		10 ა5 11
5. „უცხო“:	}	10
		10
		10
		12

„ტეხილ“ სტროფად უნდა ჩავთვალოთ ლექსის „ვიხილუ შენი შევენებას“ სტროფებიც, რელიჯიოსებური დაბოლოებით:

ვიხილუ შენი შევენება, სახესა ვეტრფილები... სულო, (18 მარცვ.)  
 ალვად აღზრდილი ლელწამი, წვლილს ტანსა ვეტრფილები. (16 მარცვ.)

მამუკას ზოგიერთი ლექსი გამიზნული უნდა ყოფილიყო სასამღეროდ. ამითაა გამოწვეული მამუკას ლექსებზე მისამღერი სტროფების არსებობა. პოეტი ზოგჯერ შენიშნავს ხოლმე, რომ მოცემული სტროფი ორჯერ გაიმეორეთო. ლექსს „რუსული ხმები“ დართული აქვს პოეტის შემდეგი შენიშვნა: „ეს შემდგომნი ორ-ო[რ]ნი ტაეპნი... ორ-ორჯერ უნდა ითქვას“; ლექსს „პრიდი დრუეოკის ხმას“ კი დართული აქვს ასეთი შენიშვნა: „ამ რიცხვების მეორენი ტაეპნი ორ-ორჯერ უნდა ითქვას“. მსგავსივე შენიშვნა აქვს დართული ლექსს „ნე სმუშჩაის ხმას“: „ეს შემდგომნი ხუთ-ხუთნი მუკლნი... ორ-ორჯერ უნდა ითქვენ“.

ზოგიერთ ლექსში პირველი სტროფის ბოლო ტაეპი მეორდება ყველა დანარჩენ სტროფში, როგორც მინამღერი, რეფრენი, მაგალითად, ლექსებში—„უცხო“ და „ჩერნიჩკოს ხმა“. ხოლო ლექსში „ვიხილუ შენი შევენება“ რეფრენის როლს ასრულებს ერთი სიტყვა („ვეტრფილები“), რომელიც მეორდება ლექსის ყველა ტაეპის დაბოლოებაში.

უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ მამუკას ზოგიერთი ლექსის სტროფებსაც, ისე როგორც აღორძინების ხანის სხვა პოეტთა ლექსების სტროფებს, მეოთხე ტაეპის წინ მიუძღვის „და“.

მამუკას თავისი წვლილი შეუტანია ზოგიერთი ლექსის კომპოზიციურ სიახლეშიც. მისი ლექსები ყურადღებას იქცევს სტროფუ-

ლი აღნაგობის მხრივ. პოეტმა გაბედულად მიმართა სხვადასხვა ზომის სტროფების შეერთებას. სხვადასხვა ზომის სტროფების მონაცვლეობა ქმნის ლექსის ახალ კომპოზიციურ სახეობას. ასეთი კონსტრუქციის ლექსები ცხადყოფენ მამუკას ნოვატორულ როლს ქართული სტროფიკის შეცვლის საქმეში.

ამგვარად, თავისი ლექსებისათვის მამუკამ დაამუშავა ორიგინალური სტროფული სტრუქტურა, რაც განსაზღვრული იყო შინაარსით. არღვევს რა ტრადიციულ სტროფიკას, ამით პოეტი ლექსს ჰმატებს კიდევ უფრო მეტ გამომსახველობითს ძალას.

## მამუკას თხზულებების ლიტერატურული წყაროები

მწერლის საერთო მომზადებისა და განათლების გასათვალისწინებლად, მის თხზულებათა შესწავლა-შეფასებისათვის, საზოგადოდ, არანაკლები მნიშვნელობა ენიჭება იმ ლიტერატურულ მასალას, რომლითაც სარგებლობს ესა თუ ის ავტორი. ამ მხრივ საინტერესოა მამუკას თხზულებების ლიტერატურული წყაროები.

მამუკა კარგად იცნობს სასულიერო მწერლობას. თავის მოღვაწეობაში ის გამოდის მის თეორიულ დამცველად და მქადაგებლად. „ლექსის სწავლის წიგნში“ იგი რამდენჯერმე იხსენიებს „საღვთო წერილს“, „წმინდათ წერილს“. რიგი საკითხის გარშემო გარკვეული კონცეფციის შესამუშავებლად მამუკას გამოუყენებია „საღვთო წერილი“. იქიდანვე აქვს ამოღებული მამუკას ამბავი ადამ და ევას შესახებ:

ადამ და ევა ცთუნებით ერთგზის შეცვიდნენ ღმრთისადა,  
კვლავ შეიწყალა, დაადგნენ აწცა ნებასა მისადა...

(„ჯიმშედიანი“, სტრ. 526)

აღსანიშნავია ისიც, რომ „ლექსის სწავლის წიგნში“ მამუკა იმოწმებს პავლე მოციქულს: „...როგორც პავლე დიდი მოციქული ისწავლებაო“.

მამუკას შემოქმედების მიმოხილვისას აღნიშნული გვექონდა, რომ „წამებულისათვის“ პოეტს გამოუყენებია „ჟამნის“ ის თავი, რომელსაც „თთუშთა“ ეწოდება. „ბაქარ მეფის ქებაში“ კი პოეტს დასახელებული ჰყავს სასულიერო პირები.

მამუკა კარგად იცნობდა აგრეთვე ქართულ საერო ლიტერატურას. მისი შემოქმედების ერთი უმთავრესი წყაროთაგანია შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“. რუსთაველის ქმნილებას მამუკა თვლის პოეზიის უმაღლეს მწვერვალად. „ქილილა და დამანაში“ სულხან-საბა ორბელიანის მიერ ლექსების ჩართვის შესახებ იგი ამბობს: „თუმცა რუსთაველის ნათქვამი არ არი, მაგრამ ნაკლებად სათქმელიც არ არი“. მაღალი პოეზიის ცნებას მამუკა „რუსთავე-

ლის ლექსში“ გამოხატავს: „გვირიანი იქნება, როგორც რუსთველის ლექსი“. რუსთაველს დიდ შეფასებას აძლევს მამუკა „ჯიმშედიანიშიც“:

შოთა ზის უნეს, მხედარი იგი კეთილად წვრილილებსა,  
ვაძინენ, დასხდენ მრავალნი თვის-თვისა დახედნილებსა,  
გარდაუღეს ესე საწუთო, გვაძლევენ შემოთვლილებსა,  
არ ვიცი რა კნეს, ვინებე, მათთა მივიღებ წილებსა. (სტრ. 17)

„ჯიმშედიანიში“ სხვა ადგილას ვკითხულობთ: „მენება შოთა, ზოგადმან საბა მივილოთ მოდებადო“ (სტრ. 560). აქედან ნათელი ხდება, რომ რუსთაველი მამუკასათვის შთამაგონებელია.

ასევე მალალ შეფასებას აძლევს მამუკა რუსთაველს სხვა ლექსშიც, რომელშიც ამბობს:

შოთა ჯდა დიდებულთურთ, არჩილ და საბას ორითა,  
ვახტანგ მიიხმო პირისპირ, სხვა უფლისწულთა სწორითა;  
მონა ჰყვა წირთხლთა მიყრდილი, ერშემოდგომით შორითა,  
რქვა უფლისწულსა: წყალობა მონას ნუ განაშორითა.

რუსთაველიდან მამუკას მოაქვს საილუსტრაციო მასალა. „ლექსის სწავლის წიგნში“ დამოწმებულია „ვეფხისტყაოსნის“ შემდეგი ადგილები<sup>1</sup>:

1. მე, რუსთველი, ხელობითა ვიქმ საქმესა ამა დარი (8, 1-4; იმ);
2. მას ერთსა მიჯნურობასა კვიანნი ვერ მიჰხედებთან (21, 1; კშ);
3. მიჯნურსა თვალად სიტურფე ჰმართებს, მართ ვითა მზეობა (23, 1-4; შ);
4. მას უშმაგო ვით მიენდოს, ვინ მოყვარე გაამელავნოს? (29, 1; ილ);
5. კაცსა დასვრის უგულობა და დიაცსა ბოხი ნაცი (1204, 4; ჩრულ);
6. მიჯნურობა არის ტურფა, საცოდნელად ძნელი გვარი (24, 1; თ);
7. ვარდასა ჰკითხეს: „მგზომ ტურფა რამან შეგქანა თვალად, პირად?“ (878, 1; იშ).

„ვეფხისტყაოსანს“ დიდი გავლენა მოუხდენია მამუკას „ჯიმშედიანიზე“. ამ პოემაში მამუკა უხვად იყენებს „ვეფხისტყაოსნის“ მხატვრულ ხერხებს, ეპითეტებს, მეტაფორებს, შედარებებს, პარალელიზმებსა და მდიდარ ლექსიკურ მარაგს. და ბოლოს, დასახელებული პოემა მამუკამ ხომ რუსთაველის შაირით გალექსა!

აი, რამდენიმე პარალელი რუსთაველის დიადი ქმნილებისა და მამუკას შემოქმედებიდან:

<sup>1</sup> არაბული ციფრებით ნაჩვენებია „ვეფხისტყაოსნის“ 1957 წლის გამოცემის სტროფები და სტრიქონები, ხოლო მთავრული ასოებით ნაჩვენებია ვახტანგის მიერ გამოცემული „ვეფხისტყაოსნის“ სტროფები (ა. შ ა ნ ი ძ ი ს მიერ აღდგენილი „ვეფხისტყაოსანი“, 1937 წ. გამოცემა).

## რუსთაველი

1) დიდთა ხეთა მოჭრევის, მცირე დასწავეს ნაბერწყალი (სტრ. 1046).

### მამუკა

მცირე წინწალმან საწვავად საბმილი შექნას ვრცელია (სტრ. 97).

## რუსთაველი

2) მართ აგრევე მელექსესა—ლექსთა გრძელთა თქმა და ხევა (სტრ. 13).

### მამუკა

მელექსეთ—გრძელთა ამბავთა გალექსვა სათანადოსა (სტრ. 559).

## რუსთაველი

3) მსგავსი ყველაი მსგავსსა შობს, ესე ბრძენთაგან თქმულია (სტრ. 1323).

### მამუკა

მსგავსსა მოგვგოს მსგავსება თქვენი თქვენთავე წყვეისა („შერეული“, სტრ. 1).

ექვს გარეშეა, რუსთაველური ასონანსის (მაგალ., „მოართვეს, გასცა უზომო, უანგარიზო, ულევია“—სტრ. 52,4) მიბაძვამამუკას შემდეგი ტაეპი: „ნუთუ სისხლთაგან უსულო უტყვად უძრავი, ურები“ („ჯიმშ.“, 98). მამუკა იყენებს აგრეთვე, როგორც უკვე აღნიშნული გვაქვს, რუსთაველისათვის საყვარელ სპეციფიკურ მხატვრულ ხერხს—ბგერების გამეორების მიზნით ტაეპში სიტყვათა ხშირ გამეორებას.

რუსთაველის მეტაფორას იყენებს მამუკა შემდეგ ტაეპში: „ვარდსა ნუ აზრობ ფიფქთაგან, ვით სუნთა გამომფშენითა“ („ჯიმშედ.“, სტრ. 302). რუსთაველის გმირების დამოკიდებულება შედარების მიზნით გამოყენებული აქვს მამუკას „ჯიმშედინში“: „ჯიმშედს ბეჭფარის, ვით ცეცხლი ავთანდილს თინათინისა“ (სტრ. 217).

მამუკასათვის უცნობი არ იყო ქართველი მეხოტბეებიც. თავისი თეორიული ნაშრომისათვის მამუკა იყენებს ჩახრუხაძის „თამარიანს“. „თამარიანიდან“ მამუკას მოჰყავს ორი სტროფი. ერთი ჩახრუხაულის საილუსტრაციოდ („თამარ წყნარი“...), ხოლო მეორე — გრძელჩახრუხაულის საილუსტრაციოდ („მო, ფილოსოფენო“...). პოეტი-თეორეტიკოსი თვითონაც იყენებს 20-მარცვლიან ჩახრუხაულ ლექსს „ქება მეფის ბაქარისაში“.

ბაქარის ქების განხილვის დროს აღნიშნული გვჭონდა, რომ მამუკა ბაძავს იაკობ დუმბაძეს, რომელმაც იოანე შავთელის „აბდულმესიანი“ არჩილ მეფის ხოტბად გადააკეთა. ბაქარის ქე-

ბაში მამუკა აღნიშნავს, რომ იაკობ დუმბაძეს ექო არჩილ მეფე, ხოლო ჩახრუხაძეს — თამარ მეფე. მე მივბაძავ „ბრძენსა მას ორსა, ავით სცნობდეთ სწორსაო“.

მამუკას „ჯიმშედნიანი“ განიცდის საგმირო-სარაინდო თხზულებების გავლენას. დევებთან შერკინება, ოროლით ბრძოლა და სხვა მოქმედებები პოემაში აღწერილია „ამირანდარეჯანიანიში“ მოცემული სურათების მსგავსად. ზოგჯერ კი ლექსიკური მასალაც „ამირანდარეჯანიანიდანაა“ აღებული. ასე, მაგალითად, პროზაულ ტექსტში ვკითხულობთ: „მშვილდი გავავდე და ხმალი აღმოვიწოდე“ (S 436, ფ. 84v). გალექსილ „ჯიმშედნიანიში“ კი წერია: „მშვილდი დავდე, მოვიწვადე, ხრმლით სიკვდილი ვაადვილე“ (სტრ. 120). ხაზგასმული სიტყვა სხვადასხვა ფორმით არაერთხელ გვხვდება თხზულებაში (იხ. სტრ. 165,3, 286,3 და სხვ.). ის პოემაში შეტანილი უნდა იყოს „ამირანდარეჯანიანის“ და მისი მსგავსი თხზულებების ლექსიკური მარაგიდან.

მამუკას საფუძვლიანად უნდა სცოდნოდა აღორძინების პერიოდის ქართული ლიტერატურა. როგორც ვიცით, მას გაულექსავს „რუსუდანიანის“ მეორე თავი, რომლისთვისაც „ჯიმშედნიანი“ უწოდებია.

მამუკა იცნობდა თეიმურაზ პირველის შემოქმედებასაც. იგი სიმპათიურად არ იყო განწყობილი თეიმურაზის ლიტერატურული მოღვაწეობისადმი. მართალია, თეიმურაზის შესახებ „ლექსის სწავლის წიგნში“ პირდაპირ არაფერია ნათქვამი, მაგრამ სახელის მოუხსენებლად მამუკა ეხება თეიმურაზის ლიტერატურულ მოღვაწეობას. იგი თავის შრომაში ერთ ადგილას აღშფოთებით წერს: „რომელსამე [მელექსეს] საღმრთო წერილი სამეძაოდ გაულექსავს, სხვას მრავალთ დედაკაცთ ტრფიალებისათვის თათრის ზღაპრები გაულექსავს, მსმენთ საზიანოდ და მთქმელთ საურიგოდ“. როგორც უკვე სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნული იყო, „არავითარი ეჭვი არაა, რომ ციტირებული ნაწყვეტის მთელი მახვილი თეიმურაზის წინააღმდეგ არის მიმართული: «თათრული ზღაპრების» მლექსავთა შორის სწორედ თეიმურაზს მიეკუთვნება პირველი ადგილი... თეიმურაზმა წამოისროლა კლერიკალური თვალსაზრისით მწვალებლური ფრაზა: «სპარსთა (იგულისხმებ ბარათაშვილის თათართა) ენისა სიტკბომან მასურვა მუსიკობანი». მაგრამ ყველაზე უფრო საყურადღებოა შემდეგი დეტალი. ბარათაშვილის სიტყვით, «რომელსამე საღვთო წერილი სამეძაოდ გაულექსავსო». ხოლო ამ შემთხვევაში უსათუოდ თეიმურაზის «იოსებ-ზილიხანიანი» იგულისხმება, რომლის შესახებ თეიმურაზი

პირდაპირ ამბობს: «მათ საქმეთა საღმრთო წიგნი მოკლედ ამბობს დაბადებოა»<sup>1</sup>.

მამუკას ასეთი შეხედულება თეიმურაზ მეფის ლიტერატურულ მოღვაწეობაზე ვახტანგ VI-ის შეხედულებიდან უნდა გამომდინარეობდეს. სწორედ ამავე მიზნით ვახტანგი თავის შემოქმედებაში თეიმურაზ მეფეს არსად იხსენიებს.

როგორც მოყვანილი ციტატიდან ჩანს, მამუკა იცნობდა თეიმურაზის „იოსებ-ზილიბანიანს“, ხოლო „ჯიმშედიანის“ ქვემოთყვანილი სტროფი გვაფიქრებინებს, რომ მას უნდა სცოდნოდა თეიმურაზის „შამი-ფარვანიანი“:

ფარვანა სანთლის შუქს ხედავს ლიფლიფთა შიგან დებულსა,  
გარს ურბენს დაწვად ტრფიალი, მაგრამ ვერა იქს დებულსა,  
მისებრივ მადგას მხის შუქი, ვხედავ არ ჩემსა დებულსა,  
ვით დამწვავს, ჯერეთ არ მათბობს, როს ნახავთ წამალ წდებულსა.

(სტრ. 232)

პოემის სხვა სტროფის მიხედვით კი, მამუკასთვის უცნობი არ უნდა იყოს თეიმურაზის „ვარდბულბულიანი“:

ბაგე ღვინისად ხელქმნილი ზოგად ეწვევის ნებასა,  
შეუწყალებლად ბულბული ვარდს მიუცოა ვნებასა,  
ვით პაქელიკი სანთელმან დაწვის, არ უხამს თნებასა,  
მით გული ჩემი აქ ამან შესცვალა მისთა ცნებასა.

(სტრ. 201)

მამუკა იცნობდა თეიმურაზის მაჯამებსაც. უცილობლად თეიმურაზ I, არჩილი და ვახტანგ VI უნდა იგულისხმებოდეს მამუკას შემდეგ სიტყვებში:

ძველთა მეფეთა, ძლიერთა, მხნეთა, პირად-პირადთა სიყვარულებად,  
განსწვალეს მართლად, გვინათებს სანთლად, წინარე გვიძევს არ ნაკლულებად,  
უხმეს მაჯამა, დიდ ჰყოს გარჯამა, სახელი მისი ვინცა ცვლილებად,  
სიბრძნითა ნათობს. არ შუქით სათობს, მართალსა ხმობად არა ცილებად.

(ჩქება მეფის ბაქარისა, სტრ. 16)

როგორც მამუკას შემოქმედების მიმოხილვიდან ვნახეთ, მას უნდა სცოდნოდა არჩილის დიდაქტიკური თხზულებები და ლექსები პეტრე დიდზე. საერთოდ, მამუკა იცნობდა არჩილის ლიტერატურულ-ესთეტიკურ შეხედულებებს. არჩილიდანვე უნდა მომდინარეობდეს მამუკას თეორიულ ნაშრომში ბრძოლა ფანტასტი-

<sup>1</sup> აღ. ბარამიძე, ნარკვევები, ტ. II, 1940 წ., გვ. 134—135.



კის წინააღმდეგ და მოთხოვნა „მართლის თქმის“ შესახებ მწერლობაში.

თავისი შრომისათვის მამუკა სარგებლობდა „ქილილა და დამანათი“. მას ხელთა ჰქონია „ქილილა და დამანას“ სულხან-საბა ორბელიანისეული რედაქცია<sup>1</sup>. აკი ამბობს იგი თავის „ჯიმშედლიანში“: „საბამ ქილილა, ლაწვნი ილილაო“ (სტრ. 17). საბას ნაღვაწის გარშემო მამუკა უფრო ვრცლად ჩერდება თვით „ლექსის სწავლის წიგნში“, როდესაც ამბობს: „სულხან-საბა ორბელიანმა ქილილა [და] დამანა გალექსა. თუმცა რუსთვლის ნათქვამი არ არი, მაგრამ ნაკლებად სათქმელიც არ არი, იმაში ბევრი ხმა მოუყვანია, ამისთვის რომ სპარსულში მრავალ ხმათ იყო და რამთონ ხმათაც, რამდონ სტრიქონად იმაში იყო, ისე თქვა და ამას ქვეით სწერია თვითო ხმასა თვითო და სახელიც ზედ აწერია“.

მართლაც, მამუკამ თავის შრომას დამატების სახით დაურთო ქართული ლექსის ნიმუშები, ამოკრეფილი „ქილილა და დამანადან“. ესენია<sup>2</sup>: 1. უცხო (377), 2. ჩახრუხაული ძაგნაკორული (299), 3. ჩახრუხაული შერეული (373), 4. ჩახრუხაული მრჩობლედი (541), 5. მრჩობლედი ფისტიკაური (547), 6. შერეული (199), 7. მრჩობლედი (199), 8. წყობილი (156), 9. შეწყობილი (73), 10. იამბიკო (157), 11. იამბიკო (62), 12. რეული (6), 13. წყობილი (95), 14. ფისტიკაური (80), 15. ლექსი (212).

მართალია, მამუკა „ლექსის სწავლის წიგნისათვის“ საილუსტრაციოდ იყენებს „ქილილა და დამანას“ ლექსებს, მაგრამ თავისი პრაქტიკული მოღვაწეობის დროს იგი ბაძავს კიდევაც საბას ლექსებს. საბას მიბაძვით მამუკას დაუწერია შემდეგი ლექსები: „იამბიკო“, „უცხო“, „ანბანთქება“, „რეული“, „შერეული“, „მრჩობლედი“, „ლექსი“ და „რაეპი“. საერთოდ, მამუკა გაყვა სულხან-საბა ორბელიანის გაკვალულ გზას ქართულ ლექსთა გვარების სიახლის ძიებაში.

მამუკა იცნობდა ონანა მდიენის (გარდ. 1728 წ.) „ანდერძსაც“, რომელიც დართული ჰქონდა „ქილილა და დამანას“. ონანა მდიენის დასახელებულ ანდერძში სიტყვა „ხმა“ ნახმარია ლექსის

<sup>1</sup> პოეტი აკადემიკოსის გ. ლეონიძის მოსახრებით, ვახტანგ VI-ის მიერ „ქილილა და დამანას“ თარგმნაში „...უსათუოდ რაიმე მუშაობა უნდა მიუძღოდეს მამუკა ბარათაშვილსაც“ („ჭაშნიკი“, 1920 წ., გვ. 34).

<sup>2</sup> ფრანხლებში მოთავსებული ციფრები აღნიშნავს ი. ჭყონიას გამოცემის (1886 წ.) გვერდებს.

ზომის, მეტრის მნიშვნელობით<sup>1</sup>. ზემომოყვანილი ტერმინი ამავე გაგებით აქვს გამოყენებული მამუკას „ლექსის სწავლის წიგნსა“ და ლექს „წყობილში“.

როგორც ვიცით, მამუკა დაახლოებული ყოფილა ვახტანგ მეფესთან. იგი იცნობდა ვახტანგის როგორც საზოგადოებრივ პოლიტიკურ ცხოვრებას, ისე მის შემოქმედებას. პოეტ-მეფის შემოქმედება შთამაგონებელ წყაროდ გამხდარა მამუკასათვის. ზოგჯერ კი მამუკას სტრიქონები ვახტანგის პოეტური თქმის გადაძლეობას წარმოადგენს:

### ვახტანგი

ისარს ისვრი წამწმისაგან, ცეცხლს გარ უღებ ტრფიას ალად-  
(„სალბუნად გულისა“, სტრ. 13)

### მამუკა

ისარს ისვრის წამწამთაგან, ხელთ უჭირავს სამალა.  
(„პოლცკის ხმა“)

### ვახტანგი

... ვარ ტრფიალი, განახელი (იქვე).

### მამუკა

ტრფიალი ვარ მე ლამაზისა...  
(„პოროდლა ჩეჩოტოჩას ხმა“)

უნდა შევნიშნოთ, რომ რუსთაველის ლექსები, რომლებიც მამუკას მოაქვს თავის „ლექსის სწავლის წიგნში“, ამოღებულია ვახტანგ VI-ის მიერ 1712 წელს გამოცემული „ვეფხისტყაოსნიდან“. ამ გამოცემაზე დართული ვახტანგის კომენტარებითვე არის შთაგონებული მამუკას მიერ რუსთაველის დიადი ქმნილების ისეთნაირი გააზრება, როგორც „ლექსის სწავლის წიგნშია“ მოცემული. პირველად ხომ „ვახტანგმა სცადა ალევგორიულად აეხსნათვითონ ვეფხისტყაოსნის მიჯნურობაც. ვახტანგის სამიჯნურო თვალსაზრისი დაედვა საფუძვლად მამუკა ბარათაშვილის პოეტიკის თეორიას“<sup>2</sup>.

აქვე მოვიტანთ რამდენიმე პარალელს ვახტანგის კომენტარებიდან და „ლექსის სწავლის წიგნიდან“:

<sup>1</sup> „ძველი ქართ. ლიტერატურის ქრესტომათია“, ტ. II, შედგ. სოლ. ყუბანეიშვილის მიერ, 1949 წ., გვ. 341.

<sup>2</sup> აღ. ბარამიძე, ნარკვევები, II, 1940 წ., გვ. 450.

1. ა. ესეც ცოლ-ქრმოზის სიყვარული-სათვის უთქვამს... (გვ. ტმბ<sup>1</sup>).
  - ბ. ეს საღათოც არის და საეროც სამღვდელთათა კარგა ითარგმანება საეროთაც უთქვამს (გვ. ტლგ).
  - გ. ...მიჯნურობას სამართოს მიჯნურობისათვის ამბობს. ძნელი გვარი ის არსო... და გეხვეწებათ [რუსთველი] ამ ჩემს ნათქვამს წიგნს სოფლის სამიჯნუროდ ნურეინ გახდიოლოვ იმახე არ მითქვამსო (გვ. სშბ-სშგ).
2. ამასაც მოძღვრობაზედ ამბობს თუ არ უშმაგო ასეთს მოძღვარს ვინ დაიქვრს რომე მოწაფე გაამკლავნოს: და იმ მოძღვრისათვის უბნობს... (გვ. სშდ-სშე).
3. ნახეთ რა გზით დაუშლია ბოხოზა რომე ავთანდილს ნათხოვნი ჰყვანდა და იმასაც რას გზით უშლის ვისაც ჯელთა ჰყავს იმისგან რთგორ უფრო დასაწლეული და უქნეული არის ნახეთ ფატმანს როგორ აგინებს ბოხოზისათვის... (გვ. ტმზ).

... რუსთველს ცოლ-ქრმოზის სიყვარულზე უთქვამს და სხვა მრავალი საღმთოდ საერო სწავლება მოუყვანია, რომელსა მისი თარგმანი მეფეს რომ უბძანებია, ის გამოაცხადებს, მაგრამ ზოგიერთს შელექსეს იმისი წიგნი ცუდს სააშიყოთ გაუსინჯავს.

ეს ლექსი (იგულისხმება „მას უშმაგო ვით მიენდოს“ - გ. მ.) საიდუმლოს შენახვასაც ისწავლება, მოძღვარ-მოწაფობასაც და სააშიყოშიაც მოიხმარება.

... რუსთველი ცოლ-ქრმოზის სიყვარულს ისწავლება და აქებს და ფატმანის შრუშბას სძაგებს და იტყვის: „კაცსა დასვრის უგულობა და დიაცსა ბოხი ნაცი“....

„ლექსის სწავლის წიგნში“ მამუკა საბას მიაწერს „ქილილა და დამანას“ გალექსვას. მამუკა წერს: „სულხან-საბა ორბელიანმა ქილილა [და] დამანა გალექსაო“. ეს ცნობა მამუკას ალბებული უნდა ჰქონდეს ვახტანგ VI-ის „ანდერძიდან“, რომელშიც ვკითხულობთ: „ვით წინა ლექსი აჩენს, მე დამრჩა გაულექსავეი და სულხან გალექსა, ყაფლანისშვილმან, რომელი ბოლოდ მონოზონ იქნა და ეწოდა საბა“<sup>2</sup>. მაშასადამე, მამუკა იცნობდა ვახტანგ მეფის ამ ანდერძსაც.

„ლექსის სწავლის წიგნში“ მამუკას სანიმუშოდ შეუტანია ვახ-

<sup>1</sup> ვახტანგისეულ „ვეფხისტყაოსანზე“ მითითებული (აღდგ. პროფ. ა. შანიძის მიერ, 1937 წ.).

<sup>2</sup> ვახტანგ VI, ლექსები და პოემები, გვ. 55.

ტანგ მეფის ხუთი ლექსი. ესენია<sup>1</sup>: 1. ზნდა მოგვანდეს ეკალსა, ყმა ახალ ნორჩი რგულებსა (35), 2. მეფის თქმული უწყვეტელი (3), 3. მეფის თქმული ბოლო-ერთი (5), 4. მეფის თქმული (4), 5. მეფის ნათქვამი ლექს-ამბავი (6).

„ქება მეფის ბაქარისაში“ მანუკა იხსენიებს ვახტანგის მიერ გალექსილ „სიბრძნე მალაღობელს“ ანუ „სიბრძნეთაგან ფილოსოფოსთას“, როდესაც წერს: „მეფემან ზძენთა, სიტყვა მსგავსენთა, სიბრძნე-ლალობად სახელდებანი“ (სტრ. 17).

მამუკას უსარგებლია ქართული ხალხური სიტყვიერების მასალითაც. „ლექსის სწავლის წიგნში“ მას საილუსტრაციოდ მოჰყავს სათანადო ნიმუშებიც. ასე, მაგალითად, ხალხური ლექსის „ხმაზე“ გაუწყვია პოეტს თავისი „შეწყობილი“:

ხ ა ლ ხ უ რ ი

მ ა მ უ კ ა

ვანეო, ვანეო, ცოლი მოიყვანეო... აამეო, ამეო საყვარელსა რამეო...

ხალხური სიტყვიერების ნიმუშია მეორე ლექსიც, რომელიც ამჟამად მრავალი ვარიანტითაა ცნობილი და წარმოადგენს სასიმილერო შაირს: „პატარა ქალო თინაო, რას გარდაშიდეგ წინაო“. მამუკას მიუბაძავს ამ ლექსისათვის და „მდენარი მანუკასი“ დაუწერია. სანიმუშოდ მოგვყავს ხალხური ლექსის ერთ-ერთი ვარიანტისა და მამუკას ლექსის ნაწყვეტი:

ხ ა ლ ხ უ რ ი

მ ა მ უ კ ა

მოხევის ქალო თინაო,  
რამ დაგაბერა შინაო,  
შენი ტოლავი დათხოვდენ,  
შენ რალას უცდი შინაო<sup>2</sup>.

ჩემ საყვარელო ვინაო,  
მიწყვი მიდგებარ წინაო,  
გონებით შემკრა სურვილმა,  
აროდღს მომეღმინაო.

ხალხური „ქია, ქია მაიას“ ერთგვარი გადამღერებაა მამუკას „არა მარა მარია სკამთა წამომჯდარიო“ („პოროდილა ჩეირ ტოჩკას ხმა“). მამუკა დაესხებია ქართულ ხალხურ ანდაზებსაც: „თეფი წყალთა ზის, მკერელმან ხამს შექმნას ფერხი სველია“ („გრძელშაირის ტაეპი“).

ხალხური სიტყვიერებიდანვე უნდა გამომდინარეობდეს მამუკას მოთხოვნა ლექსში სახელის ჩართვის შესახებ.

<sup>1</sup> ფრჩხილებში მოთავსებული ციფრები აღნიშნავს ნაბეჭდი გამოცემის („ლექსები და პოემები“, 1917 წ.) გვერდებს.

<sup>2</sup> მ. ჩიქოვანი, ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია, 1956 წ., გვ. 84.

მამუკას შემოქმედების გაცნობისთანავე ნათელი ხდება, რომ მისი ზოგიერთი ლექსი დაწერილი უნდა იყოს რუსულ-უკრაინულ-პოლონური ხალხური სიმღერების ცოდნით, რაზეც მიუთითებს თვით ამ ლექსების სათაურებიც: „რუსული ხმები“, „პრიიდი დრუჟოკის ხმა“, „ჩერნიჩკოს ხმა“, „პოროდილა ჩეროტოჩკას ხმა“ და „პოლცკის ხმა“.

როგორც პოეტის ბიოგრაფიიდან ვიცით, თავისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის გარკვეული ნაწილი მამუკამ გაატარა რუსეთში. ექვს გარეშეა, აქ, ადგილობრივ, მამუკამ არაერთხელ მოიხმინა აღნიშნული ლექსები და სიმღერები, რის შემდეგაც ქართულ პოეზიაში მან პირველმა გამოიყენა რუსულ-უკრაინული ხალხური სიმღერების „ხმები“.

ეს ჰიპოთეზა გამართლდა. პროფ. მ. ჩიქოვანმა მიაკვლია რუსული ხალხური მოტივების მიხედვით დაწერილი ლექსის „პოროდილა ჩეროტოჩკას ხმას“ წყაროს<sup>1</sup>. მამუკას ლექსი წარმოადგენს ამავე სახელწოდების რუსული ხალხური ლექსის „Породила чечёточка“-ს არაზუსტ, უფრო სწორად თავისუფალ, თარგმანს. მამუკას ლექსისა და პროფ. მ. ჩიქოვანის მიერ მიღებული რუსული ხალხური სიმღერის ნათესაობის უტყუარი საბუთია მათი მსგავსება. რუსულ ტექსტში ვკითხულობთ:

Породила чечёточка семеро деток:  
Евдосью, Федосью, Катерину,  
Варварину,  
Агряпину, Марью, Настасью свою.

ამისი შესატყვისია მამუკას ლექსის შემდეგი ადგილი:

ჰშენა ბულბულმან საყვარელნი  
შვიდნი მართვინი:  
ხვარამზე, ქალთამზე, დარეჯანა,  
გულიჯანა,  
ხანფერვანა, ხვარაშანა,  
მზექალა ჩემი.

როგორც ვხედავთ, მამუკა გვაძლევს გადამუშავებულ ტექსტს. მას გადმოუქართულებია ადამიანთა სახელები, რათა ლექსის შინაარსი უფრო გასაგები და მისაწვდომი გაეხადა ქართველი მკითხველისათვის. მამუკას შეუცვლია გეოგრაფიული სახელწოდებანიც. რუსეთის გეოგრაფიული პუნქტები საქართველოს ადგილმდებარეობითაა გადაკეთებული. რუსულ სიმღერაში ნათქვამია:

Были гости дорогие и далекие:  
Из Кракова пан Мецкой,

<sup>1</sup> მ. ჩიქოვანი, მ. ბარათაშვილის ერთი ლექსის განმარტებისათვის „საქ. სსრ მეცნ. აკადემიის მოამბე“, ტ. XV, № 3, გვ. 189—192.

Иао Львова пан Стецкой,  
Из Киена пан Гренской и Северинской.

მამუქასთან სათანადო აღგილას იკითხება:

არნ სტუმარნი კეთილოვნად დამდიდრებულნი:  
იმერეთით, კახეთით, სომხით და სამცხით, ანატოლიისა.

რუსული სიმღერის ტექსტი რამდენიმე ვარიანტად ყოფილა გავრცელებული. ზოგო მათგანი მამუქასთვისაც ცნობილი იყო. მაგალ., პროფ. მ. ჩიქოვანს აღნიშნული აქვს ლექსის ერთ-ერთი ვარიანტი, რომელშიც იკითხება:

Как взывали—воспевали  
Альтысты, басисты, теористы, дишкантисты...

ამ ვარიანტის „ბასისტი“ მამუქას „ბასტიან“-ად გადმოუღია:  
ბასტიან მღერიან, როკიდიან, ზმიან, თაფლუკ-ღვინო შესვიან...

რუსული ხალხური პოეზიიდან არის აღებული აგრეთვე ლექსი „ნე სმუშჩაის ხმა“. პროფ. ჩიქოვანმა მიაკვლია ქართული ნაწარმოების ზუსტ შესატყვის ტექსტს<sup>1</sup>. ტექსტოლოგიური შედარება ნათლად ადასტურებს ამ ლექსების ნათესაობასა და უშუალო კავშირს. რუსული ტექსტი ასე იწყება:

Несущай меня драгая,  
И не кажишь глазам моим;  
Воля знать судьбы такая,  
Чтобы тобой владеть пным.

А мне тебя любить,  
И веж в мученьи жить;  
Одну любя страдать,  
И ту чужею звать,  
Покамест жив.

ქართული ლექსიდან ამისი შესატყვისია:

მე ნუ მაშფოთებ, ჰე, უსასყიდლოვ, ნუ ეჩვენები მით ჩემთა თვალთა,  
ბრძანა მალაღმან ყოვლნი გმონებდენ და მენ უფალად იყომცა სხვათა.

შენა მე შეგიყვარო,  
ტანჯვა არა ვიკბარო,  
სიყვარული ვისახო,  
მასცა სხვისა უძაბო,  
ვინემ ცოცხალი.

როგორც ჩანს, ქართული ტექსტი ზედმიწევნით მიყვება ორი-

1 მ. ჩიქოვანი, XVIII საუკუნის რუსული ხალხური სიმღერა ქართულ ენაზე, „საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე“, ტ. XV, № 9, გვ. 627—632.

გინალს. ასეთივე სიზუსტეა დაცული აღნიშნული ლექსის მესამე სტროფის თარგმანშიც. რუსულში ვკითხულობთ:

Я пеняю тебя не смею,  
И не хочу тебя винить,  
Честь такую я имею,  
Чтобы во век несчастну быть.

Отрады всей лишён,  
Знать я на то рожден,  
Чтобы во век страдать,  
И век в любви не знать  
Драгих утех.

მამუკასთან ვკითხულობთ:

მე ყვედრებასა შენსას ვერ ვბედავ, არცა მწადს შენი გამტყუნებანი,  
უკუნისამდე უბედურება მომცეს ნაწილად, არს ღმრთის ნებანი.

ყველას განყენებული,  
თურმე მისთვის შობული,  
საუკუნოდ ვჰსულთქმიდე,  
ტრფილთაგან ვიჯმნიდე  
ძვირფაია მის.

მამუკა ბარათაშვილი თავის თარგმანში ბოლომდე ორიგინალის „ტყვეა“. ის ცდილობს შეძლებისდა გვარად დაიცვას რუსული ხალხური სასიმღერო ლექსის შინაარსი.

ამრიგად, მამუკას მიერ გადმოცემული ხუთი რუსული ხალხური ლექსიდან ორი უკვე მიგნებულია. პროფ. მ. ჩიქოვანის მიერ მიკვლეულმა რუსულმა ლექსებმა ცხადყვეს, თუ მამუკას რამდენად შესწევდა უნარი რუსული ხალხური პოეზიის ნიმუშები გაეცნო ქართველი მკითხველისათვის და რუსული სიმღერები შემოქმედებითად გამოეყენებინა ორიგინალური ნაწარმოებების შექმნის დროს. როგორც სამართლიანად დაასკვნა მკვლევარმა, „თავისი დროისდა შესაფერისად მის წინაშე დასმული ამოცანა მამუკა ბარათაშვილმა სანიმუშოდ გადაწყვიტა“<sup>1</sup>. ამ თარგმანებშიც გამოვლინდა მამუკას პოეტური ნიჭი.

მამუკა იცნობდა აგრეთვე აღმოსავლურ სიმღერებსაც. ამიტომ, შემთხვევითი როდია, რომ მის შემოქმედებაში ვხვდებით ლექსებს ასეთი დასათაურებით: „გუსტაზ რიდაეთის ხმა“ და „ბლღაღღან გელჯნ ბეშ დურანის ხმა“.

<sup>1</sup> მ. ჩიქოვანი, დავით გურამიშვილი და ხალხური პოეზია, 1955 წ., გვ. 54.

45 ყურადღებას იპყრობს „ლექსის სწავლის წიგნის“ სათაური: „სწავლა ლექსის თქმისა და დასაწყისი პირველი წიგნისა ამის ჰანნიკისა, პოვნილი მამუკა ბარათაშვილის მიერ ძველთა ნათქვამთაგან“. მოყვანილი ამონაწერი თითქოს უნდა მიუთითებდეს მამუკას შრომის რომელიღაც პროტოტიპზე ძველ ქართულ ლიტერატურაში. ამ გარემოებამ შეცდომაში შეიყვანა ზოგიერთი მკვლევარი და გაბედული აზრი გამოათქმევინა „ლექსის სწავლის წიგნის“ შესახებ, თითქოს მამუკას შრომა „ძველი პოეტიკის რესტავრაციაა“ და „შეცვლილია თანადროული 'ზეხედულებით“.

აღნიშნული მოსაზრება გვხვდება ლიტერატურისმცოდნეობის სახელმძღვანელოებშიც, რომლებშიც ვკითხულობთ: მამუკას შრომა წარმოადგენს „...უკვე არსებული ქართული პოეტიკის, ანუ «ლექსის თქმის სწავლის» აღდგენის ცდასო“<sup>1</sup>.

დღემდის მკვლევართათვის უცნობია ქართული პოეტიკის ისეთი სახელმძღვანელო, რომელიც მამუკას შრომამდე იყოს დაწერილი. გამოთქმა „პოვნილი მამუკა ბარათაშვილის მიერ ძველთა ნათქვამთაგან“ გულისხმობს არა იმას, თითქოს მამუკას ხელთა ჰქონია პოეტიკის ძველი სახელმძღვანელო, არამედ იმას, რომ ავტორს საილუსტრაციო მასალად მოუშველებია ლექსები „ძველთა... ნათქვამთაგან“—მისი წინა დროის პოეტთა ქმნილებანი.

„ეს თვითო სტრიქონი ძველი იყო... ამას ქვეითი ხმების ლექსები სულ ასე ვთქვი და გავარჩიე, ძველი ძველად და ახალი ახლად სწერია მთქმელთ საილეგბითურთ. ამ ძველის თვითოს სტრიქონისაგან ვიპოვე ეს ახალი და ამ ძველის მთქმელი არ ვიცოდი“. მოტანილ ციტატაში ნათლად ჩანს, რომ მამუკა „ძველთა ნათქვამთაგან“ გულისხმობს „ლექსის სწავლის წიგნისათვის“ გამოყენებულ საილუსტრაციო მასალას (ლექსებს), რომლის ზოგიერთი ავტორი მისთვის უცნობი ყოფილა. მამუკა რომ „ძველთა ნათქვამთაგან“ პოვნილი ლექსების შესახებ ლაპარაკობს, ამაზე მიუთითებს თავის „ეყობილნიც“: „განბნევით ვნახე, შევკრიბე, სხვდასივა ლექსთა ხმანია“.

❖ იაოთალია, „ლექსის სწავლის წიგნი“ დაწერილია მოსკოვში, მაგრამ ამ შემთხვევაში რუსული პოეტიკის გავლენაზე ლაპარაკი ზედმეტია. ჯერ ერთი იმიტომ, რომ იმდროინდელ რუსულ ლიტე-

<sup>1</sup> ს. გაჩეჩილაძე, ლიტერატურის თეორია. 1953 წ., გვ. 163; შტრ. მისივე, ლიტერატურისმცოდნეობის შესავალი, 1955 წ., გვ. 21.



რატურას არ გააჩნდა პოეტიკის ცოტად თუ ბევრად ცნობილი ორიგინალური მსგავსი სახის სახელმძღვანელო, რომლითაც შეედ-ლო ეხელმძღვანელა მამუქას) ვ. კ. ტრედიაკოვსკისა და მ. ვ. ლომონოსოვის პირველი ცდანი კი ამ დარგში 1735—40 წლებით იფარგლება. სახელდობრ, ტრედიაკოვსკის ცნობილი შრომა — „Новый и краткий способ к сложению российских стихов“ გამოქვეყნდა 1735 წელს, ხოლო ლომონოსოვის შრომა — „Письмо о правилах русского стихотворства“, რომელიც დაწერილია 1739 წ., პირველად ქვეყნდება 1778 წელს.

მეორე, უფრო ძირითადი და მთავარი ის არის, რომ ლექსთა საზომებისათვის აღნიშნულ შრომებში გამოყენებულია პოეტიკის კლასიკური ტერმინოლოგია და ტერმების გრაფიკული ნიშნები, რაც, როგორც „ლექსის სწავლის წიგნის“ მიმოხილვისას ვნახეთ, უცხოა მამუქას შრომისათვის.

თეორიული საკითხების ირგვლივ წამოყენებული ზოგადი მოსაზრებანი ქართულ ლექსზე მამუქას უშუალო დაკვირვების შედეგია და, ამიტომ, „ლექსის სწავლის წიგნი“ მამუქა ბართათაშვილის ორიგინალური ნაწარმოებია.

მაშ, რა პოეტიკური წყაროთი სარგებლობდა მამუქა თავისი შრომის დაწერისას?

„ლექსის სწავლის წიგნის“ დაკვირვებული შესწავლა უკილობელს ხდის, რომ მამუქა ბართათაშვილს უნდა სკოდნოდა არაბულ-სპარსული პოეტიკის სახელმძღვანელოებში გავრცელებული ლექსის საზომის განხილვის მეთოდი.

არაბულ-სპარსული პოეტიკის სახელმძღვანელოებში ლექსთა საზომებისათვის გაბატონებულ კლასიკურ ჯერმინოლოგიასა და ტერმების გრაფიკულ ნიშნებს კი არ იყენებდნენ, არამედ მიმართავდნენ საგანგებო ზღერჩეული სიტყვის ვარიაციებს მარცვლების რაოდენობის მხრივ შეკვეცის თუ გავრცობის სახით. ასე, მაგალითად:

ა რ ა ბ უ ლ შ ი

ჭ ა ც ი ლ ა თ ე ნ მ უ ს თ ა ჭ ყ ი ლ ე ნ ჭ ა ც ი ლ ა თ ე ნ ზ |

1 Д. Благой, История русской литературы XVIII века, М., 1951 г., стр. 156. თვით ტექსტი დაბეჭდილია წიგნში: С. П. Обнорский и С. Г. Бархударов, Хрестоматия по истории русского языка, ч. II, вып. второй, 1948 г., стр. 163—168.

2 ტექსტი დაბეჭდილია წიგნში: „Хрестоматия по русской литературе XVIII века“, составил проф. А. В. Кошорев, М., 1952 г., стр. 154—155.

3 И. Ю. Крачковский, Абу-л-Фарадж ал-Вана Дамасский

როგორც ზემოთ უკვე ვნახეთ, ქართულ ლექსთა მიმოხილვისას მამუჯა იყენებს ლექსის საზომის განხილვის სწორედ აღნიშნულ მეთოდს, რისთვისაც საგანგებოდ შერჩეული აქვს სიტყვა „მიჯ-ნური“:

მიიჯნური | მიჯნური | მიიჯნური | მიჯნური.

ამრიგად, უნდა დავასკვნათ, რომ მამუჯა იცნობდა არაბულ-სპარსული პოეტიკის სახელმძღვანელოებში გამოყენებულ ლექსის საზომის განხილვის მეთოდს.

ახლა გასაკვეთია, მამუჯას უშუალოდ პოეტიკის არაბულ-სპარსული სახელმძღვანელო ჰქონდა ხელთ, თუ სხვა წყარო, რომელშიც გადმოცემული იყო არაბულ-სპარსული პოეტიკის მასალები. „ლექსის სწავლის წიგნში“ არა ერთხელ ვხვდებით საუბარს „თათრის ზღაპრებზე“, „სპარსის მოღეჭებზე“ და „სპარსის მოშაირებზე“, მაგრამ ეს როდი იძლევა იმის საბუთს, რომ ვითიქროთ, თითქოს მამუჯას ხელთა ჰქონია სპარსულ-არაბული სახელმძღვანელო პოეტიკის დარგში. სპეციალური ლიტერატურის შესწავლამ დაავარჯშენა, რომ მამუჯას უნდა სცოდნოდა დიმიტრი კონსტანტინეს ძე კანტემირის (1673—1723 წწ.). ცნობილი რუსი მწერლის ანტიოქე კანტემირის შამის, შრომა, რომელშიც ზოგადად გადმოცემული იყო არაბულ-სპარსული პოეტიკის საკითხები.

იმ. კანტემირს ლათინურად დაუწერია „წიგნი სისტემა ანუ მუჰამედანურ რელიგიათა მდგოაარეობა“. ეს შრომა რუსულად გადმოიღო რუჟენის მეცნიერებმა ან აკადემიის მთარგმნელმა ივანე ილინსკიმ (გარდ. 1737 წ.). თარგმანი დაიბეჭდა სანკტპეტერბურგში 1722 წელს შენდები საეღწოდებით: „Книга система или состояние мухаммеданския религии“. დასახელებული შრომის 3-ე თავში (გვ. 352—353), სხვათა შორის, საუბარია არაბულ-სპარსულ-თურქული პოეტიკის შესახებ. იქ ნათქვამია, რომ აღმოსავლური ლექსის ზომის გადმოსაცემად იღებენ პოგო-

П. тигри, 1914 г., 127. მოცემული გვაქვს ტაეპის პირველი ნახევრის მერჯული შედგენილობა. ამავე შედგენილობისა ტაეპის მეორე ნახევარი. შტრ. Д. Гин-бу р. Г. О-ныя арабского стихосложения отдельный отгек из „Записок восточн. отд. имп. русск. археолог. общ.“ т. IX и X), Санкт-Петербург, 1897 г., стр. 137—142, 152 და 156.

<sup>1</sup> Ю. Н. Марр, Статьи и сообщения. П. М.—Л., 1939 г., стр. 74.

ნილ სიტყვას სხვადასხვა სახეცვლილებით, და სანიმუშოდ მოცემულია შემდეგი ზომა:

Муѣтеп.лун—Меѣаилун—Муѣтеп.лун—Фаилун.

იქვე მოყვანილია ლექსის ტაეპიც:

Ашн ки дн/дар олан/дн деси ру/шеи герек'.

სწორედ ასევე იქცევა მამუკა თავის შრომაში. „ლექსის სწავლის წიგნში“ ჯერ მოცემულია რომელიმე საზომზე გაწყობილი სიტყვა „ნიჯნური“, ხოლო შემდეგ მოყვანილია ესა თუ ის ლექსი. ასე, მაგალითად, გრძელშაირის ანალიზისას მამუკა იძლევა ჯერ სანიმუშო საზომს—

მიჯნურთათვისგან / მიჯნურთა / მიჯნურთათვისგან / მიჯნურთა,

შემდეგ კი რუსთაველის ცნობილ სტროფს:

მიჯნურსა თვალად / სიტურფე / მართებს, მართ ვითა / მზეობა.

ამას გარდა, გვაქვს სხვა დამთხვევებიც. ლექსის შემადგენელი ნაწილის აღსანიშნავად „სისტემაში“ გამოყენებულია სიტყვა „ншд“. მაქუკას შრომაშიც ლექსის შემადგენელ ნაწილს „მუხლი“ ეწოდება. „სისტემაში“ ცეზურისათვის გამოყენებულია შეეული ხაზი. ნამუკასთანაც შეეული ხაზი ცეზურას აღნიშნავს. დიძ. კანტემირის „სისტემისა“ და „ლექსის სწავლის წიგნის“ შეჯერებიდან ნათლად ჩანს, რომ დასახელებული შრომიდან მამუკამ მოიმარჯვა ლექსის საზომის განხილვის მეთოდი.

ერთი სიტყვით, უნდა დავასკვნათ, რომ დ. კ. კანტემირის „სისტემა“ მძუკა ბარათაშვილის „ლექსის სწავლის წიგნის“ ერთ-ერთი წყარო ყოფილა.

საინტერესოა აგრეთვე ისიც, რომ თავის პოეტიკურ ტრაქტატში მამუკა არაერთხელ მიუთითებს სპარსული პოეზიის თავისებურებებზე, რაც, რა თქმა უნდა, დამყარებულია სპარსული პოეზიის ცოდნაზე. მამუკა აღნიშნავს, რომ ჩვენში ძველად „ამბის გალექსვის რიგი-თქმა შაირი და ჩახრუხაული [იყოს], თუცა წინამთქიელებს ადგილ-ადგილ გრძელშაირი და გძელჩახრუხაული ჩაურევიათო“, და იქვე დასძენს: „სპარსის მოშაირეთში ეს უკადრისი არის, ამისთვის რომ ის ამბავი სულ ერთი რიგი სძა უნდა იყოს, სხვა ხმები სხვის რიგისათვის არის“. ხოლო მეორე ადგი-

<sup>1</sup> С. П. Обнорский и С. Г. Бархударов, Хрестоматия по истории русского языка, ч. II, вып. 2, 1948 г., стр. 23.

ლას კი, როდესაც მამუკა იხილავს რითმის საკითხებს, ასკვნის: „მაგრამ სპარსის მოლექსენი ამას მაგთონს არად მიიჩნევენო“.

მამუკას შემოქმედების ლიტერატურული წყაროების შიშობილვა სრული არ იქნება, თუ არ გავითვალისწინებთ ერთ საყურადღებო გარემობას. ლექსში „ქება მეფის ბაქარისა“ მამუკა იძლევა ცნობას ბარათაშვილთა წარმომავლობის შესახებ. საინტერესოა ვიცოდეთ, საიდან მომდინარეობს მამუკას ეს ცნობა? სხვათა შორის, ბარათაშვილთა გვარის ისტორია გადმოცემულია „ბეთენიის გუჯარში“. დასახელებული გუჯარი ერთ-ერთი წყარო ყოფილა ვახუშტი ბატონიშვილისათვის, რომელიც წერს: „ბარათანთ გუჯარსა შინა, რომელ არს ბეთენიას, წერილ არს“<sup>1</sup> და სხვ. ხომ არ იყო „ბეთენიის გუჯარი“ მამუკასთვისაც ერთ-ერთი წყარო, მით უმეტეს, რომ ამ გუჯარის პირის პირი, როგორც მინაწერიდან ჩანს, ჰკუთვნებია მამუკას ძმას თომა კანჭაშვილს (ბარათაშვილს)<sup>2</sup>.

ჯერ კიდევ აკად. სიმ. ჯანაშიამ აღნიშნა, რომ მამუკას გენეალოგია დამყარებულია სხვა წყაროებზე და არა „ბეთენიის გუჯარზე“<sup>3</sup>. სხვას რომ თავი დაეანებოთ, ბარათას პიროვნების გარშემო „ბეთენიის გუჯარი“ სდუმს, მაშინ როდესაც, როგორც ვნახეთ, მამუკა ხაზგასმით აღნიშნავენ ჩის შესახებ: „ვინ ძირად ბარათ, ქავთარის მოძე ქაჩიბადისაო“.

ბარათაშვილთა გენეალოგიის შესახებ მანუკა ვერ გამოიყენებდა ვახუშტი ბატონიშვილის შრომას, რადგან დიდმა ქართველმა მეცნიერმა „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ დაასრულა 1745 წელს, მაშინ როდესაც „ქება მეფის ბაქარისა“ მამუკას შეუთხზავს ათი წლით ადრე (1734 წ.).

დასასრულ, უნდა შევჩერდეთ „ლექსის სწავლის წიგნში“ საწინამუშოდ მოყვანილ ორ ლექსზე: „მუხრანული“ და „ვახტანგური“. ეს ლექსება სადავოა, მათი ავტორები ცნობილი არაა. მეორე ლექსის შესახებ პროფ. ალ. ბარამიძემ შემდეგი მოსაზრება გამოთქვა: „რა თქმა უნდა, ეს ლექსი არ არის ვახტანგისა, მაგრამ ვახტანგურია, ე. ი. ვახტანგის ნეტრის კვალობაზეა შეთხზული. სამწუხაროდ, თვითონ ვახტანგის ორიგინალი ჯერ არსად ჩანს.

<sup>1</sup> ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თ. ლომოურიისა და ბ. ბერძენიშვილის რედ., 1941 წ., გვ. 24.

<sup>2</sup> E. Такайшвили, Еще одна из источников истории Грузии царевича Вахушти, „Записки восточн. отдел. имп. русск. археолог. общ.“, т. VIII, СПб, 1893 г., стр. 114—115.

<sup>3</sup> ს. ჯანაშია, შრომები, II, 1952 წ., გვ. 475.

არც ის ვიცი, თუ ვინაა „ვახტანგურის“ ავტორი, ჩვენ სავა-  
რაუდო ავტორად თვითონ მამუკას მივიჩნევდით<sup>1</sup>.

ვერ გავიზიარებთ პატივცემული მეცნიერის მოსაზრებას სავა-  
რაუდო ავტორად მამუკას მიჩნევის შესახებ. „ლექსის სწავლის  
წიგნის“ ერთ-ერთ ეგზემპლარზე, რომელიც ინახება ლენინგრადის  
სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის ქართულ  
ხელნაწერთა ფონდში და წარმოადგენს ავტორიზებულ ნუსხას,  
სხვა ხელით მიწერილია სამი ლექსი. აქედან ვახტანგ მეფის ორი  
ლექსი დაწერილია მამუკას ხელით. ამ სამ ლექსს შორის უცნობი  
ხელით დაწერილია „ვახტანგური.“<sup>2</sup> შეუძლებლად მიგვაჩნია, რომ  
მამუკას თავისი ლექსი საკუთარი ხელით არ ჩაეწეროს დასახელებ-  
ულ ხელნაწერში და ვილაცას მამუკას მიერ ჩაწერილ ლექსებს  
შორის დაეწეროს თვით მამუკას ლექსი. ვფიქრობთ, ჩვენი მოსაზ-  
რება ლოგიკურად გამართლებული უნდა იყოს. გამომდინარე აქე-  
დან, „ვახტანგურის“ სავარაუდო ავტორთაგან ჩვენ  
გამოვრიცხავთ მამუკას ავტორობას.

---

<sup>1</sup> ვახტანგ VI, ლექსები და პოემები, 1947 წ., წინასიტყვაობა, გვ. X VI.  
დაყოფა ჩვენ გვეკუთვნის.—გ.მ.

<sup>2</sup> გ. მიქაძე, მამუკა ბარათაშვილის „ლექსის სწავლის წიგნი“, „თსუ სტუ-  
დენტთა სამეცნიერო კრებული“, წ. V, 1950 წ., გვ. 118. ესარგებლობთ შემთხვე-  
ვით და აღვნიშნავთ, რომ სწორი არ არის მოსაზრება, თითქოს „ქაზნიკის|  
სტროფებში ჩასწორებები ვახტანგ VI-ის ნამუშევარი უნდა იყოს“ (ლ. მეფარი-  
შვილი, ლენინგრადის სალტიკოვ-შჩედრინის სახ. საჯარო ბიბლიოთეკის ქართულ  
ხელნაწერთა ფონდი, უფრნ. „მნათობი“, 1958 წ., № 3, გვ. 160).

## მამუკას შემოქმედების გავლენა ქართულ მხარღობაზე

მამუკა ბარათაშვილის შემოქმედებას გავლენა ვერ მოუხდენია XVIII საუკუნის საქართველოში მოღვაწე პოეტებზე, მაშინ როდესაც მისი „ლექსის სწავლის წიგნით“ უხვად სარგებლობდნენ იმ დროს რუსეთში მყოფი ქართველი მწერლები. საერთოდ კი, მამუკას გავლენაზე ამონიშურავად ლაპარაკი შეუძლებელია მანამდე, სანამ საფუძვლიანად ჩესწავლილი და გამოცემული არ იქნება ემიგრანტი მწერლების თხზულებანი. ანიტომ ეს საკითხი ჯერ კიდევ კვლევას მოითხოვს. ამჟამად ჩვენ შევეცდებით ნაწილობრივად მაინც შევავსოთ ეს ხარვეზი და ზოგადად მოვხაზოთ მამუკა ბარათაშვილის შემოქმედების გავლენა ქართულ მწერლობაზე.

მამუკას ბიოგრაფიიდან ვიცით, რომ ვახტანგ მეფეს (1675—1737) ძალზე დაახლოებული ჰყოლია მამუკა. ვახტანგი დიდად აფასებდა მამუკას პოეტურ ნიქს. თავისი კარის მგოსანს რუსთაველის, ჩახუხაძის, არჩილისა და სულხან-საბა ორბელიანის გვერდით იხსენიებდა<sup>1</sup>. ამიტომ შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ ვახტანგ VI-ის მხატვრულ შემოქმედებაში ვხვდებით ისეთ ლექსებს, რომლებიც თავისი მხატვრულ კომპოზიციური მონაცემებით „ლექსის სწავლის წიგნში“ მოთავსებულ მამუკას ლექსების მსგავსი არიან.

როგორც ვიცით, მამუკას დაუწერია „მდენარი“. მამუკას „მდენარი“ 16-მარცვლიანი ლექსია, შედგება 7 ტაეპისაგან და საერთო რითმაზეა შეწყობილი. ამასთან, პირველ ტაეპს აქვს შინაგან-გარეგანი (ცეზურული) რითმა და ლექსის ბოლოს (მე-7 ტაეპში) მოხსენიებულია ავტორის სახელი. სწორედ ასეთივე ლექსები დაუწერია ვახტანგ მეფესაც, მცირეოდენი განსხვავებით: პირველ ტაეპში მოცემული აქვს წინაცეზურული რითმები საერთო გარეგან რითმასთან<sup>2</sup>.

<sup>1</sup> ვახტანგ VI, ლექსები და პოემები, 1947 წ., გვ. 168, სტრ. 812.

<sup>2</sup> თ. ჭყონია, ვახტანგ VI თხზულებათა ფრაგმენტები, „ლიტერატურული ძიებანი“, VI, 1950 წ., გვ. 271, სტრ. 11; ვახტანგ VI, ლექსები და პოემები, გვ. 93, სტრ. 17.

მამუკას დაუწერია აგრეთვე „წუობილი მრავალმუხლი“. ის არის 16-მარცვლიანი ლექსი, შედგება 10 ტაეპისაგან და საერთო რიამაზა შეწყობილი. ლექსის პირველ ტაეპს აქვს წინაცეზურული რითმა საერთო გარეგან რითმასთან და ლექსის ბოლოს (მე-10 ტაეპში) მოხსენიებულია პოეტის სახელი. სწორედ ასეთივე ლექსი აქვს დაწერილი ვახტანგ მეფესაც, მხოლოდ მის ლექსში მოხსენიებული არაა ავტორის სახელი<sup>1</sup>.

როგორ უნდა ავსნათ ეს გარემოება, ვის ეკუთვნის პრიორიტეტი აღნიშნული ლექსების გამოყენებაში ვახტანგს თუ მამუკას? უეჭველია, ნოყვანილი ლექსების შემომღები მამუკა უნდა იყოს და მისთვის უნდა მიეძაძა ვახტანგს, რადგან აღნიშნული სახის ლექსები ვახტანგის შემოღებული რომ ყოფილიყო, მაშინ მამუკა ვახტანგის ლექსს მოიყვანდა „ლექსის სწავლის წიგნის“ დანართში, როგორც ამას ჩადის სხვა შემთხვევებში, და თავისი საკუთარი ლექსის მოყვანას კი მოერიდებოდა. გარდა ამისა, როგორც ქვემოთ ვნახავთ, სწორედ ამ ლექსების მიბაძვით დავ. გურამიშვილსაც დაუწერია თავისი ლექსები. ამრიგად, ძველ ქართულ ლიტერატურაში აღნიშნული სახის ლექსების კანონიზაცია მამუკადან იწყება და აქედანვე ჩნდება ის ვახტანგის შემოქმედებაში<sup>2</sup>.

მამუკას მიბაძვითვე „სიბრძნე მალალობელში“ ვახტანგი უხვად იყენებს შინაგან-გარეგან რითმებს:

### მ ა მ უ კ ა

თუმკა შენია, შენ ია, ვარდს არ წარტყვენა ჰშენია.

### ვ ა ხ ტ ა ნ გ ი

1. პლატონ კაცია, კაცია, კეთილის წენატკაცია (გვ. 95);
2. ანტიტინენსა წინენსა ყრმა ვინმე შემოსტინესა (გვ. 103);
3. დიოლენასა შენსა ალექსანდრემა მწყენსა (გვ. 119);
4. შემტყობელია, მბელია, პისისტრატუთე მქნელია (გვ. 124) და სხვ.

<sup>1</sup> ვახტანგ VI, ლექსები და პოემები, გვ. 103, სტრ. 109. ვახტანგს დაწერილი აქვს ასეთი სახის 11-ტაეპიანი ლექსებიც (იქვე, გვ. 99, სტრ. 77 და გვ. 105, სტრ. 133).

<sup>2</sup> ამ ფაქტის დადგენა საყურადღებოა იმითაც, რომ შესაძლებელი ხდება ვახტანგის მიერ „სიბრძნე მალალობელის“ გალექსვის დროის გამოკვეთვა. ვახტანგს დასახელებული თხზულება გაულექსავს 1731—1732 წლებში, როდესაც დაიწერა „ლექსის სწავლის წიგნი“ (1731 წ. 1 თებერვალი) და „ჯიმშედანი“ (1732 წ. 11 დეკემბერი), რადგან პირველში მოცემულია მამუკას ლექსი, ხოლო მეორეში მოხსენიებულია ვახტანგის მიერ გალექსილი „სიბრძნე მალალობელი“. 1731 წ. თებერვლის შემდეგაა დაწერილი აგრეთვე ვახტანგის ის ლექსიც, რომელიც დაბეჭდილია თ. ჭყონიას მიერ.

ფ ჯერ კიდევ პ. უმიკაშვილი აღნიშნავდა, რომ მამუკას „ლექსის სწავლის წიგნში“ გამოთქმულ აზრებს შეუპყრია დავით გურამი-შვილი<sup>1</sup> (1705—1792). მართლაც, ვახტანგის „ლიტერატურულ წრეში ყველაზე მეტი გავლენა დავითზე მოუხდენია მამუკა ბარათაშვილს, რომლის ჭაბუკი სახელმძღვანელო წიგნად გამხდარა მისთვის“<sup>2</sup>.

მამუკას შრომას დავითის შემოქმედებითს ზრდაზე მრავალ-მხრივი გავლენა მოუხდენია. „ლექსის სწავლის წიგნიდან“ დავითი სესხულობს ტერმინებს: ტანი და ხმა. ლექსის ჩონჩხის, სტრუქტურის აღსანიშნავად მამუკა ხმარობს სიტყვას „ტანი“. ეს სიტყვა ამავე მნიშვნელობით ნახმარი აქვს დავ. გურამიშვილს: „ტანსა რაც გინდა უყავი, თავს ნუ შემირყევ“<sup>3</sup>.

სიტყვა „ხმას“ ხმარობს მამუკა ლექსის ზონის, მეტრის მნიშვნელობით. ამავე გაგებით აქვს ნახმარი ეს სიტყვა დავ. გურამიშვილსაც. თომა ბარათაშვილისადმი მიძღვნილ ლექსში ვკითხულობთ: „როზელიც კმა ზენ შეგეწყო, მეც ის შევაწყევ“ (იქვე).

„გურამიშვილმა არსებითად მხატვრობის ხორცი შეასხა მამუკა ბარათაშვილის დევისს: ღვთის ქება-დიდება. კარგები ითქმის. რომ სულის სარგებელი იყოსო“<sup>4</sup>. ამიტომ იყო, რომ მან ხელი მიჰყო რელიგიურ-ბიბლიური თემების დამუშავებას და თავის პოეტურ „მეს“ მოუწოდა: „აღე პირი ღვთის საქებრად, ნუ გაიმუნჯეო“<sup>5</sup>. დავითს საპროგრამოდ გაუხდია აგრეთვე „ლექსის სწავლის წიგნში“ დასმული ღვთიური სიყვარულის იდეა: „მაშ. მართებს. კაცმა ავი ამბავი არ გალექსოს; თუ სააშიყო ლექსი უნდა, ღმრთის სააშიყო, ეკლესიისა წმინდათა [ამბავი გალექსოსო]“. აქაც დავ. გურამიშვილი მიყვება მამუკას არჩეულ გზას „საღვთო მიჯნურობის“ შესახებ, —რიგ ლექსებში ხან პირდაპირ და ხან კი ალევგორიულად პოეტი ემიჯნურება ღმერთს. თვით ალევგორიული ხასიათი ლექსებისა დავითს „ლექსის სწავლის წიგნიდან“ აქვს აღებული<sup>6</sup>.

მამუკას შრომაში მოცემულია ცოლქმრული მიჯნურობის საკითხი. ეს თემა მსგავსად აქვს გადაჭრილი დავ. გურამიშვილსაც. როგორც მამუკა ბარათაშვილი, ისიც აპოლოგეტია ცოლქმრული

<sup>1</sup> „დავითიანი“, პ. უმიკაშვილის რედ., 1881 წ., წინასიტყვაობა. გვ. XXI.

<sup>2</sup> კ. კეკელიძე, ძველი ქართ. მწერლობის ისტორია, ტ. II, 1952 წ., გვ. 529.

<sup>3</sup> დ. გურამიშვილი, დავითიანი, 1955 წ., გვ. 82.

<sup>4</sup> აღ. ბარათაშვილი, ნარკვევები, II, 1940 წ., გვ. 322.

<sup>5</sup> „დავითიანი“, 1955 წ., გვ. 129.



სიყვარულისა. ცოლქმრულ სიყვარულს დაე. გურამიშვილი ეხება „ქაცვია მწყემსში“.

თავისი ლექსი „სვინდისის მხილება“ (იქვე, გვ. 78—79) დავის „მამუკას თქმული შეწყობილის“ გავლენით უნდა შეეთხზა. მამუკასთან შეწყობილი თოთხმეტმარცველიანი ლექსია, რომელიც შვიდი ტაეპისაგან შედგება. შვიდივე ტაეპი ერთ რითმაზეა შეწყობილი. მეზვიდე ტაეპში მამუკას სავალდებულოდ მიაჩნია ავტორის დასახელება. სწორედ ზემოჩამოთვლილი ნიშნებით ხასიათდება დავით გურამიშვილის ლექსიც, რომლის ერთი სტრიქონიც წყობის მიხედვით „მამუკას თქმული შეწყობილის“ გადამღერებას წარმოადგენს:

მ ა მ უ კ ა

და ვ ი თ ი

ააჲჲო, აჲჲო საყვარულსა რაჲჲო. აადჲო, ადჲო! გულით მაიწადჲო!

მამუკას „მდენარის“ მონაცემების მიხედვით თავისი „დინარი“ გაუწყვია დავითს. ამ ლექსის შესახებ მას აღნიშნული აქვს: „ეპატარა ქალო თინაოა-ს სანაცლოდ სამღერალი“<sup>1</sup>. მაგრამ ეს როდი ნიშნავს იმას, თითქოს დასახელებული ლექსი დავითს ხალხური პოეზიის გავლენით შეუთხზავს. ტერმინი „მდენარი“ პირველად გვხვდება მამუკას „ლექსის სწავლის წიგნში“, საიდანაც დავითს გადმოუღია ლექსის დასახელებული სახელწოდება.

„წყობილი მრავალმუხლი მამუკასი“ ჰქონდა მხედველობაში დავით გურამიშვილს, როდესაც წერდა თავის „წყობილის მრავალმუხლი დავით გურამიშვილისას“ (იქვე, გვ. 291). სხვათა შორის, დავითი, მსგავსად მამუკა ბარათაშვილისა, იძლევა დასახელებული ლექსის „ლექსსა“ და „ტაეპს“. „წყობილის მრავალ მუხლი“ დავითმა მამუკას შრომის ცარიელ გვერდზე დაწერა. მამუკას ლექსის მსგავსად, დავითის ლექსშიც დაკულია პირველი სტრიქონის შიდა რითმა საერთო გარეგან რითმასთან:

მ ა მ უ კ ა .

ოჲმტა შენია, შენია, ვარდს არ წარტყვევნა ჰშენია.

და ვ ი თ ი

გასაგონია, მგონია, რაც თქმულა სავარგონია.

ლექსის სწავლის წიგნში“ ვხვდებით იამბიკოს ახალ სახეობას. აქ იამბიკო თოთხმეტმარცველიანი ლექსია. თოთხმეტმარცვე-

<sup>1</sup> „დავითიანი“, 1955 წ., გვ. 150.

ლიან ლექსადვე აქვს გაწყობილი თავისი იამბიკოები დაე. გურამიშვილს (იქვე, გვ. 80).

ადვილი შესაძლებელია ისიც, რომ პირველად მამუკას შრომიდან გაიცნო დავითმა ვახტანგ VI-ის ის ლექსები, რომელთა გავლენაც შემდეგში დაეტყო მის ლექსებს.

მამუკას შემოქმედების მიმოხილვის დროს ჩვენ აღვნიშნეთ, რომ პეტრე I-ის მოღვაწეობის შეფასებისას დაე. გურამიშვილისათვის უცნობი არ უნდა ყოფილიყო „ბაქარ მეფის ქების“ 23—24-ე სტროფები. ამ მსრივ ყურადღებას იქცევს მამუკას სიტყვების— „თეთრთ რუსეთთ მჭირე“ სრული დამთხვევა გურამიშვილის სიტყვებთან: „თეთრის რუსეთის მჭირველი“.

მამუკამ პირველმა გამოიყენა თავის შემოქმედებაში ხალხური შემოქმედების ზასალები. ხალხურ პოეზიას მამუკას შემდეგ უხვად დაესესხა დაე. გურამიშვილიც. მამუკამ პირველმა მიმართა რუსულ-უკრაინული ხალხური სიმღერების „ხმაზე“ ქართული ლექსების გაწყობას. მამუკას ეს გზა განაგრძო დაე. გურამიშვილმაც. იმანაც დაწერა ლექსები რუსულ-უკრაინულ „ხმაზე“.

საინტერესო პარალელებს იძლევა მამუკასა და ბესიკის (1750—1791) მხატვრული შემოქმედება. მამუკას დაწერილი აქვს 24-მარცვლიანი ლექსი:

კაცსა უნდა: ამ სოფელსა არ მიყვეს და არ აქმსა, განემოროს, განაგდოსა.  
(„გრძლელი შიირი სამკვეთი“).

ეს ზომა გამოყენებული აქვს ბესიკსაც.

პირველ სიმდაბლეს ალყარ, მზა ყვენ ლოცვითა ზენანი, წყალობით  
მამუკას გამოუყენებია 11-მარცვლიანი ტაეპი: ძალთა მფენანი!<sup>1</sup>

ვინ არის, ვინ არის მისი დაჩია?  
(„რუსული ხმები“).

ამ მეტრს იყენებს ბესიკიც:

არ რქმნა, არ შემხვდა ეამი შევრისა (გვ. 102).

მამუკას გამოყენებული აქვს 10-მარცვლიანი ტაეპი შინაგან-გარეგანი რითმით:

ქმარი შინ მჯღომეი, დიდების წღომენი (—უცხო“).

ამ ზომას ხმარობს ბესიკიც:

შეფრინა მდომეი, ვის სურის ომი (გვ 35).

<sup>1</sup> ბესიკი, თბ. სრული კრებული, 1932 წ. გვ. 24.

დასასრულ, მამუკას მსგავსად, ბესიკიც მიმართავს ხოლმე ლექსისა და სტროფის ფარგლებში სხვადასხვა საზომის გამოყენებას.

როგორც ვიცით, ქართული ხალხური სიტყვიერების გარდა, მამუკამ ქართულ პოეზიაში პირველმა გამოიყენა რუსულ აღმოსავლური ხალხური სიმღერებიც. ამ მხრივ მამუკას კვალს გაჰყვამდებიტრი ბაგრატიონი (1746—1826), რომელსაც დაუწერია ლექსები როგორც ქართულ ხალხურ, ისე რუსულ და აღმოსავლურ სიმღერების კილოზე. ეს ლექსებია: „ნანა“<sup>1</sup>, „რუსული ხმა“ (იქვე, გვ. 251) და „თათრული ხმა“ (იქვე, გვ. 254).

მამუკასა და დიმ. ბაგრატიონის შემოქმედებაში გვხვდება სხვა შეხვედრებიც. ასე, მაგალითად, მამუკას დაწერილი აქვს 14-მარცვლიანი ლექსი ცეზურული რითმით:

წყლული უჯრნიგელი, შენგან უსვენებელი.  
არვინ მიჰსცა საღბუნი, ოზრავს უღბინებელი.  
(„პრიიდი დრუჟოკის ხმა“)

ასე აქვს გაწყობილი „რუსული ხმა“ დიმ. ბაგრატიონსაც:

წარბი მშვილდად ზეული, კილო წამოწეული,  
მკვრეტელთა სწყლავს წამწამნი, ისრად გამოსეული.

მამუკას აქვს 10-მარცვლიანი ტაეპები:

თუ შეცნა რაზე მისგან კეთილი.  
რა მაქვს მჯერობა გამოკვეთილი.  
(„ცრუ და მტბიერი წუთისოფელი“)

ამის მსგავსად გაუწყვია თავისი ლექსები დიმ. ბაგრატიონსაც:

შენგან მომეცა თვალთა ჩენანი.  
ვაგამუსიკე მისთვის ენანი<sup>2</sup>.

საერთოდ, დიმ. ბაგრატიონის ლექსიკა და მხატვრული სახეებში ეხმარება მამუკას პოეტურ მეტყველებას.

XVIII საუკუნის ემიგრანტი პოეტის მამუკა გურამიშვილის მხატვრული შემოქმედების შესწავლა ნათელს ხდის, რომ სიყვარულის გაგების საკითხში პოეტი აშკარად მ. ბარათაშვილის თვალსაზრისის ზეგავლენას განიცდის. მასაც, მამუკას „ლექსის სწავლის წიგნში“ გამოთქმული მოსაზრებისა და გვარად, სატრფოში აღეგორიულად ღმერთი ჰყავს წარმოდგენილი.

<sup>1</sup> „ქართული სიტყვა-კაზმული მწერლობის ანთოლოგია“, ტ. II, 1928 წ., გვ. 250.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 252.

როგორც ცნობილია, მამუკას „ლექსის სწავლის წიგნის“ ერთ-ერთი ხელნაწერი წარმოადგებდა იოანე ბატონიშვილის (1768 — 1830) კუთვნილებას. ბუნებრივია, თავის ენციკლოპედიურ შრომაზე — „კალმასობაზე“ მუშაობის დროს იოანე გაიცნობდა და გამოიყენებდა მამუკას აღნიშნულ ნაშრომსაც. მართლაც, როგორც „ლექსის სწავლის წიგნში“, ისე „კალმასობაში“ ხშირად ერთი და იგივე საილუსტრაციო მასალაა მოცემული. უფრო მეტიც, იოანე არცთუ ისე იშვიათად ზედმიწევნით იმეორებს მამუკას მიერ გამოყენებულ პოეტიკურ ტერმინებსა და ცნებებს.

მამუკა წერს, რომ ლექსის შეთხზვა „ღრამატიკის და რიტორიკის უკოდინარს ცოტათ გაუძნელდება“. ამასვე ასკვნის იოანე ბატონიშვილიც: ლექსის შემთხზველმა „უნდა იცოდეს ღრამატიკა, რიტორებაო...“<sup>1</sup>.

რიტმის გაშოსახატავად მამუკა ხზარობს გამოთქმას ლექსის ბოლოები. რიტმის აღსანიშნავად „ბოლოებს“ ხზარობს იოანე ბატონიშვილიც (იქვე, გვ. 31, 35, 45, 55).

მამუკასთან სიტყვა მუხლი აღნიშნავს: 1) ტაეპის შემადგენელ ერთეულს — სიტყვას ან სიტყვების განსაზღვრულ ჯგუფს ტაეპში და 2) ტაეპს. ტაეპის შემადგენელი ერთეულის მნიშვნელობით აქვს ნახმარი იოანე ბატონიშვილს ეს სიტყვა, როდესაც რეულის განმარტებისას წერს: „გარნა გვარი ამისი არს, რომელ ერთი ტრიქონი განიყოს ორ მუხლად ორ-ოლის წერტილებით და თითო მუხლი იპყრობდეს თვის შორის ათსა ხმოვანსა ასოთაგან შემდგარსა სიტყვებას“ (იქვე, გვ. 32). ტაეპს კი გულისხმობს იოანე, როცა წერს: „შედგება წყუბილი ორის მუხლითგან ანუ ტრიქონიდამ ოთხამდის, ექვსამდის, რვამდისაც ტრიქონით და ესრეთ უშორეს“ (გვ. 33).

ცეზურის ცნების გამოსახატავად მამუკას გამოყენებული აქვს სიტყვა გაყოფა. დასახელებული სიტყვა ცეზურასავე აღნიშნავს იოანესთანაც, როდესაც რეულის ზემოწოყვანილ განმარტებაში წერს: „ერთი ტრიქონი განიყოს ორ მუხლად ორ-ოლის წერტილებითო“.

„გაყოფის“ თუ ცეზურის გრაფიკულ განმოსაზღვრებად მამუკას მოცემული აქვს ორწერტილი (:). ორწერტილით ცეზურას აღნიშნავს იოანე ბატონიშვილიც (გვ. 32, 33, 38 — 40).

დასასრულ, არ არის მართებული, თითქოს სხვა წყაროებთან

<sup>1</sup> „პართული პოეტის ქრესტომათია (XVIII—XIX სს.)“, გ. მიქაძის რედაქციითა და შენიშვნებით, 1954 წ., გვ. 29.

ერთად „ნაწილობრივ მამუკას ქაშნიკის (ლექსის სწავლის წიგნის). — გ.მ.) გავლენას მოწმობს აგრეთვე ტაეის მძიმეებით განყოფა“<sup>1</sup>, რადგან მამუკას დასახელებულ შრომაში ცეზურის გამოსახატავად მძიმის ხმარების აუცერთ შემთხვევას არ ვხვდებით.

ის ფაქტი, რომ ვახტანგ VI, დავ. გურამიშვილი და ბესიკო მამუკას მეძოქმედების გარკვეულ გავლენას განიცდიან, მეტყველია მამუკას პოეტური ნიჭისა და ავტორიტეტისა მის თანამედროვეთა შორის. მამუკას ავტორიტეტზევე მეტყველებს ის გარემოებაც, რომ ვახტანგ VI და დავ. გურამიშვილი ცნობილ ქართველ პოეტებთან ერთად მამუკასაც იხსენიებენ. ესეთა ვითარების გამო პოლიტიკაში დამარცხებული, მაგრამ პოეზიაში გამარჯვებული პოეტი-მეფე უთუოდ თავის მეცნიერულ და პოეტურ ალღოს არ ღალატობდა, როდესაც ქართველ იწერალთა საპატიო რიცხვში საესებით დამსახურებულად მამუკასაც ასახელებდა:

რუსთელისა ლექსი მეფეა ტახტზედ გვირგვინით მჯდომელი,  
კეოავ ჩახრუხამე აგრევე სხვისა რიგისა მდომელი,  
მეფის არჩილის სარჯელი სწავლაა დაუცხროძელი,  
საბა თავადი მჯდომელი, მამუკა ბოლოს მდგომელი<sup>2</sup>.

<sup>1</sup> ავ. ჭაწერელია, ქართული კლასიკური ლექსი. 1753 წ., გვ. 57.

<sup>2</sup> ვახტანგ VI, ლექსები და პოემები, 1947 წ., გვ. 158. არის ამ ლექსის სხვა ვარიანტი, რომელშიც იკითხება: „საბა თავადი მჯდომელი, მამუკა ბოლოს მგმოსანი“ (ე. თაყაიშვილი, Олишание, II, გვ. 401).

# მამუკა ბარათაშვილის ადგილი ქართული ლიტერატურის ისტორიაში

ქართული ლიტერატურის ისტორიაში მამუკა ბარათაშვილის ადგილის განსასაზღვრავად საჭიროა გავითვალ-სწინოთ ის, თუ რა მოგვცა პოეტმა ახალი თავის წინამორბედებთან შედარებით, რადგან, როგორც დიდი ლენინი გვასწავლის, „ისტორიული დამსახურება ფასდება არა იმის მიხედვით, თუ რა აო მოუციათ ისტორიულ მოღვაწეებს თანამედროვე მოთხოვნებთან შედარებით, არამედ იმის მიხედვით, თუ რა მოგვცეს ახალი თავიანთ წინამორბედებთან შედარებით“<sup>1</sup>.

პრინციპად გვაქვს რა მარქსისტულ-ლენინური დამოკიდებულება კლასიკური მემკვიდრეობისადმი, მამუკას დამსახურების შესახებ შემდეგი შეგვიძლია ვთქვათ:

მამუკა ბარათაშვილი XVIII საუკ. ქართული ემიგრანტული მწერლობის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია. მისი პოეზია გამსჭვალულია თითქმის ყველა იმ მონაცემით, რაც ახასიათებს ემიგრანტულ ლიტერატურას. მამუკა ბარათაშვილის შემოქმედების მთავარი მოტივია მღურვა სოფლისადმი, გამოწვეული სამშობლო ქვეყნის უნუგეშო მდგომარეობითა და პირადი ცხოვრების გაუბედურებით. სოფლის მღურვის თემაზე დაწერილ ლექსებში მოცემულია ადამიანისა და სინამდვილის კონტრასტი და შეუთანხმებლობა. მიუხედავად ამისა, მამუკა საბოლოოდ მაინც არ მიდის წუთისოფლის სრულ უარყოფამდე. პირიქით, ზოგიერთ ლექსში იგი მიუთითებს სინამდვილესთან შერიგების აუცილებლობაზე

მოზღვავებული დარღისა და მწუხარების დასავიწყებლად. სევდის განსაქარვებლად მამუკა მიმარდაყს საკრთილო ლოიკას. ცერ-ფილო ლექსებში პოეტი იძლევა მიწიერი სიყვარულს მოტივს

<sup>1</sup> ვ. ი. ლენინი, თხზულებანი. ტ. 2, მეოთხე გამოც., 1948 წ., გვ. 217.

და ეტრფიალება ამქვეყნიურ ქალს. სატრფიალო-სამიჯნურო ლექსებში მამუკამ პირველმა გადადგა ნაბიჯი ამქვეყნიური ქალის სადიდებლად. ამასთან, სატრფიალო ლექსებშიც მამუკა გვევლინება, როგორც უკეთესი მერმისით დაიმედებულნი ადამიანი.

მამუკასათვის უცხო არაა სახობო მოტივებიც. მან აღადგინა ძველი ქართული საკარო პოეზიის ტრადიცია და პირველმა გამოიყენა ახალი ქართული ოდა.

მამუკას ლექსებში საკმაოდ შეიმჩნევა დიდაქტიკური მოტივი. პოეტს შეუქმნია საკუთარი სენტენცია-აფორიზმებიც. მამუკა სენტენცია-აფორიზმებით მიმართავს დამოძღვრას.

თავის თხზულებებში მამუკა ქრისტიანული სარწმუნოების მიმდევრად და მკაფაგებლად გვევლინება. მისი მსოფლმხედველობისათვის ნიშანდობლივია ბედისწერის აღიარებაც. პოეტის თქმით, განგების მიერ მოცემული ბრძანება ადამიანს არ აცილდება.

მამუკას სოციალურ იდეალს წარმოადგენს ბატონყმური ინსტიტუტი, სადაც, მათუკას სიტყვებით რომ ვთქვათ, „მონა მიწაა, პატრონად ვერ უზამს თავთა ხნობასა“. სოციალური გარემოს შეფასებისას მამუკა გამოდის თავადაზნაურული კლასის ინტერესებიდან.

მამუკას კალამს ეკუთვნის აგრეთვე პოეტიკური ტრაქტატი— „ლექსის სწავლის წიგნი“, რომელიც წარმოადგენს ქართული ლექსის შესწავლის პირველ ცდას. აღნიშნულ შრომაში მამუკამ გაილაშქრა უცხოური ლიტერატურული მიმართულების წინააღმდეგ. ამასთან, მამუკამ წამოაყენა მოთხოვნა, რომ ქართველმა მწერლებმა წერონ ისტორიულ სინამდვილეზე და ისეთ აქტუალურ თემებზე, რომლებიც სარწმუნოებასა და ქვეყანას გამოადგება. მამუკა მოითხოვს აგრეთვე ქართველ წმინდანთა ცხოვრება-მოღვაწეობის აღწერას, რაც მისი პატრიოტული მისწრაფებიდან გამომდინარეობს.

ღრდ ინტერესს იწვევს მამუკა ბარათაშვილის პოეტური შემოქმედება მხატვრობის მხრივაც.

მამუკას ლექსები ძირითადად დაწერილია ახალი სალიტერატურო ენით. მაგრამ მისი ლექსიკური მარაგი საკმაოდაა დატვირთული ძველი მწიგნობრული ენისათვის ნიშანდობლივი სიტყვებითა და გამოთქმებით. პოეტის დაძახებულად უნდა ჩათვალოს, რომ იგი ცდილობს ცოცხალი, ხალხური სასაუბრო ენით გაამდიდროს თავისი პოეტური მეტყველება. მამუკა ხშირად მიმართავს ნეოლოგიზმებსაც.

ახრის სრულყოფილად გამოხატვის მიზნით, მხატვრული სახის შესაქმნელად და პოეტური ენის გასამდიდრებლად მამუკა საკმაოდ მოხდენილად მიმართავს სხვადასხვა მხატვრულ ხერხს. ლექსის მუსიკალობისა და ელერადობის მისაღწევად კი მამუკა იყენებს ბგერწერას, რომლის დროსაც ის არჩევს არა მარტო ბგერებს, არამედ სიტყვებსაც. ამ მიზნის მდიდარი ქართული ლიტერატურული ტრადიციების მემკვიდრეა.

მამუკა ბარათაშვილის შემოქმედება მეტად მრავალფეროვანი და მრავალწახნაგოვანია ქართულ ლექსთა სახეების გამოყენების მხრივ. ქართული ლექსების გამოყენებისას პოეტს ზოგჯერ ცვლილებები შეაქვს მათში და მის თანამედროვე თუ შემდგომ თაობას ამ მხრივაც უკაფავს გზას. განსაკუთრებით აღსანიშნავია მამუკას დამსახურება ახალი ზომისა და კომპოზიციის ლექსების შემოღების საქმეში.

მამუკასთან ვხვდებით აგრეთვე ისეთ ლექსებსაც, რომლებსაც არანაკლები მნიშვნელობა აქვს ქართული ლექსის ბუნების შესასწავლად. ამ ლექსებს სპეციალური ქართული სახელი არა აქვს და დაწერილია რომელიმე „ხმაზე“. ყველა ეს ლექსი დაწერილია რუსულ-უკრაინული და აღმოსავლური ხალხური სიძღვრების ცოდნით. აღნიშნული ლექსებით ქართულ პოეზიაში მამუკამ პირველად გამოიყენა რუსულ-უკრაინული ხალხური სიმღერების „ხმები“. მამუკამ პირველმა ისარგებლა აგრეთვე ქართული ხალხური სიტყვიერების მასალითაც.

თავის ლექსებში მამუკა იყენებს მრავალნაირ მეტრსა და რიტმს. რიგ ლექსებში კი პოეტი მიმართავს ახალ საზომსა და რიტმს. სხვადასხვაგვარი მეტრისა და რიტმის გამოყენება უმეტესად განსაზღვრულია შესაბამისი შინაარსის მოთხოვნით.

მამუკა საფუძვლიანად ფლობს გართმვის იმ ხერხებსა და საშუალებებს, რომლებიც გამოიმუშავებს მისი წინა დროის პოეტებმა. ამ მხრივ მას ახალი არაფერი შეუქმნია. მხოლოდ უნდა აღინიშნოს, რომ ქართველ პოეტთა შორის მამუკა პირველია, რომელიც თავის ლექსებში იყენებს გაურითმავად დატოვებულ ტაეპებს.

მამუკამ თავისი წვლილი შეიტანა ზოგიერთი ლექსის კომპოზიციურ სიახლეშიც. მისი ლექსები ყურადღებას იქცევს სტროფული აღნაგობის მხრივ. პოეტმა გაბედულად მიმართა სხვადასხვა ზომის სტროფების შეერთებას. ამგვარად, თავისი ლექსებში



სათვის მამუკამ დაამუშავა ორიგინალური სტროფული სტრუქტურა, რაც ცხადყოფს მამუკას ნოვატორულ როლს ქართული სტროფიკის შეცვლის საქმეში.

დასასრულ, მამუკა ბარათაშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესწავლის შედეგად შემდეგი უნდა დავასკვნათ:

1. მამუკამ გაამდიდრა XVIII საუკუნის ქართული პოეზია შინაარსითა და ფორმით. მანვე დასწერა პირველი ქართული პოეტიკის სახელმძღვანელო, რომელშიც ჩამოაყალიბა მხატვრული ნაწარმოების თემატიკა, ფორმისა და შინაარსის ურთიერთობის საკითხი და გაილაშქრა უცხოური ლიტერატურის წინაშე ქედის მოხრის წინააღმდეგ. ამდენად მამუკა არის ნიჭიერი შემოქმედი, ნოვატორი და ნორმატიკოსი.

2. ქართულ პოეზიაში რუსულ-უკრაინული ლექსების გამოყენებით მამუკამ ხელი შეუწყო XVIII საუკუნეში რუსეთ-საქართველოს კულტურულ-ლიტერატურულ დაახლოებას, რამაც თავის მხრივ განაპირობა შემდგომ ქართველი და რუსი ხალხების დიადი მეგობრობა.

3. მამუკა ბარათაშვილი XVIII საუკ. ქართული ემიგრანტული პოეზიის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია. თავის შემოქმედებაში მან განაგრძო და განავითარა ემიგრანტული მწერლობის ტრადიციები, ხოლო პრაქტიკული მოღვაწეობითა და თეორიული ნაშრომით გზა გაუკაჯა ემიგრანტი პოეტების შემდგომ თაობას და, კერძოდ, მის ერთ-ერთ უდიდეს წარმომადგენელს დავ. გურამიშვილს.

---

ბ ი ბ ლ ი ო ბ რ ა ზ ი ა

1. ბარამიძე ალ. ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, I, 1945 წ., გვ. 340—341 (პირველი გამოც., 1932 წ., გვ. 293—294).
2. „ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, II, 1940 წ., გვ. 456—461 და სხვ.
3. „Мамука Бараташвили (წიგნში: А. Барамидзе, Ш. Радванж, В. Жгенти, История грузинской литературы, Тбилиси, 1958 г., стр. 93).
4. „მამუკა ბარათაშვილი (ბიოგრაფიული უცნობები), ქართული სიტყვა-კაზმული მწერლობის ანთოლოგია“, ტ. II, 1928 წ., გვ. 301.
5. „პატრიოტული მოტივები ძველ ქართულ პოეზიაში (XVI—XVIII სს.), 1942 წ., გვ. 6—7, 62—63 (პირველად დაიბეჭდა: „ლიტერატურა და ხელოვნებაში“).
6. „დავით გურამიშვილი (ბიოგრაფიულ-კრიტიკული ეტიუდი), 1931 წ. (ეს ნარკვევი დართული აქვს აგრეთვე „დავითიანის“ მეხუთე გამოცემას: დავ. გურამიშვილი, თხზულებათა სრული კრებული („დავითიანი“), ალ. ბარამიძისა და ს. იორდანიშვილის რედ., 1931 წ.).
7. „მეთოდური მითითებანი პედაგოგიური ინსტიტუტის დაუსწრებელ სტუდენტთათვის, 1947 წ., გვ. 31 და სხვ. (არსებობს რამდენიმე გამოცემა).
8. „მამუკა ბარათაშვილი (წიგნში: „ქართული ლიტერატურის ისტორია“, ტ. I, საქ. სსრ მეცნ. აკადემიის გამოც., 1954 წ., გვ. 427—431).
9. ბარამიძე რ. მამუკა ბარათაშვილის „ქაშნიკი“, „სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა X სამეცნიერო კონფერენციის მოხსენებათა თეზისები“, 1948 წ., გვ. 62.
10. ბეჭიაშვილი თ. ქართული სიტყვიერების ისტორია, ნაწ. III, 1931 წ., გვ. 139—147.
11. ბერაძე პ. შაირისა და გრძელი შაირის გამოყენების კანონზომიერება ვეფხისტყაოსანში, უურ. „ჩვენი თაობა“, 1937 წ., № 5—6.
12. „БОЛЬШАЯ СОВЕТСКАЯ ЭНЦИКЛОПЕДИЯ“, изд. второе, т. 13, 1952 г., стр. 31, 75.
13. გამეზარდაშვილი დ. ალექსანდრე ჰაქვაძე და ქართული რომანტიზმი, 1948 წ., გვ. 29, 55—58 და სხვ.

14. გაჩეჩილაძე ს. ლიტერატურისმცოდნეობის შესავალი, 1955 წ., გვ. 21 (პირველი გამოცემა 1942 წ., გვ. 16).
15. გაწერელია ა. ქართული კლასიკური ლექსი, 1953 წ., გვ. 42—46 და სხვ. (პირველად დაიბეჭდა: თუო. „მნათობი“, 1948 წ., № 1, გვ. 119—125).
16. „ ქართული ლექსი, 1955 წ., გვ. 170—210.
17. „ ნარკვევები ქართული პოეტიკიდან, 1938 წ.
18. გორგაძე ს. ქართული ლექსი, 1930 წ.
19. იმედაშვილი გ. რუსთველოლოგია (ისტორიულ-კრიტიკული მიმოხილვა), 1941 წ., გვ. 26, 174, 175, 209 და სხვ.
20. კეკელიძე კ. ძველი ქართული მწერლობის ისტორია, ტ. II, 1952 წ., გვ. 516—526 და სხვ. (პირველი გამოც., 1924 წ., გვ. 444—454 და სხვ.; მორე გამოც., 1941 წ., გვ. 575—585 და სხვ.).
21. „ Конспекттивный курс истории древне-грузинской литературы. 1939 г., стр. 95—96.
22. „ ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, II, 1945 წ., გვ. 6, 204 და 285.
23. ლეონიძე გ. კაშნიკი (მამუკა ბარათაშვილის პოეტიკა), 1920 წ.
24. მეძველეია კ. რომანტიზმის მოტივები აღორძინების პერიოდის ქართულ ლიტერატურაში, „აღ. წულუკიძის სახ. ქუთაისის სახელმწიფო ჰედაგოგიური ინსტიტუტის შრომები“, ტ. VII, 1947 წ., გვ. 73—115.
25. მიქაძე გ. მამუკა ბარათაშვილის (ლექსის სწავლის წიგნი, „სტალინის სახელობის თბ. სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა სამეცნიერო შრომების კრებული“, წ. V, 1950 წ., გვ. 97—144.
26. „ მამუკა ბარათაშვილის ლექსის შესახებ, „სტალინის სახელობის თბ. სახელმწ. უნივერსიტეტის სტუდენტთა სამეცნიერო შრომების კრებული“, წ. VI, 1953 წ., გვ. 287—316.
27. „ მამუკა ბარათაშვილის ბიოგრაფიისათვის, გაზ. „სახალხო განათლება“, 1951 წ., № 52.
28. „ „ბაქარ მეფის ქება“ მამუკა ბარათაშვილისა, გაზ. „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1952 წ., № 23.
29. „ XVIII ს. ქართველი პოეტის ლექსი პეტრე დიდზე, გაზ. „ახალგაზრდა სტალინელი“, 1952 წ., № 19.
30. „ რუსულ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობიდან, გაზ. „ახალგაზრდა სტალინელი“, 1954 წ., № 17.
31. „ Мамука Бараташвили (Жизнь и творчество). (Автореферат), Тб., 1954.
32. ნატროშვილი გ. დავით გურამიშვილი, 1955 წ., გვ. 91—92 (პირველი გამოც., 1943 წ.).
33. ძორდანია თ. მოკლე სიტყვა დიდ საქმეებზე, გაზ. „ახალი ქართლი“ (გორი), 1915 წ., № 23 შემოკლებით გადაბეჭდილია: გაზ. „იმერეთი“ (ქუთაისი), 1915 წ., № 13.
34. უმიკაშვილი პ. დავით გურამიშვილი და მისი დავითიანი (წიგნში: „დავითიანი, თქმული გურამისშვილის დავითისაგან“, გამოცემული გიორგი ხალიკალიანისაგან პეტრე უმიკაშვილის რედაქტორობით, 1881 წ.).

35. „ქართული პოეტიკის ქრესტომათია (XVIII — XIX სს.)“, გ. მიქაძის რედაქციით, 1954 წ.
36. ყ ი ფ შ ი ძ ე გ რ. ქართული ლექსთწყობა (წიგნში: „ქართ. პოეტიკის ქრესტომათია (XVIII—XIX სს.)“, 1954 წ., გვ. 208—210).
37. ყ უ ბ ა ნ ე ი შ ვ ი ლ ი ს. დავით გურამიშვილი ჭუსართა პოლქში, 1955 წ.
38. ნ ი ქ ო ვ ა ნ ი მ. მ. ბარათაშვილის ერთი ლექსის განმარტებისათვის, „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე“, ტ. XV, № 3, 1954 წ., გვ. 189—192 (იხ. მისივე, დავით გურამიშვილი და ხალხური პოეზია, 1955 წ., გვ. 52—56).
39. „XVIII საუკუნის რუსული ხალხური სიმღერა ქართულ ენაზე, „საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე“, ტ. XV, № 9, 1954 წ., გვ. 628—632 (იხ. მისივე, დავით გურამიშვილი და ხალხური პოეზია, 1955 წ., გვ. 45—52).
40. „ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია, 1956 წ., გვ. 83—84 (პირველი გამოც. „ქართული ფოლკლორი“, 1946 წ., გვ. 98—99).
41. ხ ა ნ ა ნ ა შ ვ ი ლ ი ა ლ. მე-XVIII საუკუნის ქართული თეორია ლექსთა წყობისა, ჟურნ. „მოამბე“, 1900 წ., № 12, განყ. II, გვ. 50.
42. „Очерки по истории грузинской словесности, вып. III, М., 1901 г., стр. 217, 224—227.
43. „ქართული სიტყვიერების ისტორია, 1919 წ., გვ. 406—409.
44. ხ უ ც ი შ ვ ი ლ ი ს. ქართული ლიტერატურული კრიტიკის მოკლე მიმოხილვა XIX საუკუნემდე (წიგნში: „ქართული ლიტერატურული კრიტიკის ისტორიისათვის (ქრესტომათია)“, შვადგ. ს. ხუციშვილმა, 1954 წ., გვ. 16—17).
45. ჯ ა ნ ა შ ი ა ს. ბარათაშვილთა გენეალოგიისათვის, „შრომები“, II, 1952 წ., გვ. 464—481 (პირველად დაიბეჭდა ნ. ბარათაშვილის თხზულებათა საიუბილეო კრებულში, რომელიც გამოსცა „ფედერაციამ“ 1939 წ., გვ. 131—144).
46. ჯ ი ბ ლ ა ძ ე გ. ხელოვნება და სინამდვილე, I, 1955 წ., გვ. 107—110.

# საძიებლები

## I. პირთა სახელები

ა

- აბაშიშვილები 6  
აბაშიშვილი ქაიხოსრო იხ. ბარათაშვილი ქაიხოსრო  
ადამი (ბიბლ.) 13,117  
ავალიშვილი გ. (გიორგი იოანეს ძე, ცნობილი მთარგმნელი და კალიგრაფი, 1769 — 1850) 54  
ავთანდილი («ვეფხისტყაოსანი») 58,119,124  
აკსაღორ (ანაქსაგორე? ძველი საბერძნეთის ფილოსოფოსი, დაახლ. 500 — 428 ჩვენ ერამდე) 26  
ალექსანდრე (ალექსანდრე მაკედონელი, 356 — 323 ჩვენ ერამდე) 136  
ალმასის გველი («რუსუდანია») 37,61,62  
ანა იოანეს ასული (რუსეთის დედოფალი, ივანე V-ის შვილი, 1693 — 1740) 11  
ანანია (ბიბლ.) 26  
ანგია (ბიბლ.) 26  
ანდრია (ბიბლ.) 26  
ანთიმოს (წმ.) 31  
ანკსიმე (ანაქსიმენე, ძველი საბერძნეთის ფილოსოფოსი, დაახლ. 585 — 524 ჩვენ ერამდე) 26  
ანტისტე, ანტიტინე 26,136  
ანტისტინე იხ. ანტისტე  
ანტონ პირველი (ერისკაცობაში თეიმურაზი, ქართლის მეფის იესეს ძე, 1720 — 1788) 54

- აპული (აპული, რომელი მწერალი და ფილოსოფოსი, II საუკ.) 26  
არეოპაგელი: დიონისე არეოპაგელი 99  
არსენ იჟალთოელი (ქართველი მეცნიერი, დაახლ. 1050 — 1125) 98  
არჩილი, არჩილ მეფე (ვახტანგ V შანავაზის ძე, მეფობდა იმერეთში, 1664 — 1675) 25 — 27, 30, 102, 108, 118 — 121, 135, 142  
ახვლედიანი გ. 91

ბ

- ბაბილა (წმ.) 31  
ბაგრატიონი დიმიტრი (გიორგის ძე, პოეტი, 1746 — 1826) 140  
ბარათაქ [«ქება მეფის ბაქარისა»] 6, 133  
ბარათაშვილები 6 — 8, 133  
ბარათაშვილი ავთანდილ 9  
ბარათაშვილი ავთანდილ (მამუკა ბარათაშვილის მამა) 8  
ბარათაშვილი ავთანდილ ავთანდილის ძე (იხსენიება 1674 წელს) 8,9  
ბარათაშვილი ავთანდილ შიოშის (ხიოშის) ძე 8,9  
ბარათაშვილი ბათათა შიოშის (ხიოშის) ძე 9  
ბარათაშვილი გუგუნა შიოშის (ხიოშის) ძე 9  
ბარათაშვილი დურმიშხან შიოშის (ხიოშის) ძე 9  
ბარათაშვილი ზაალ ავთანდილის ძე 7, 8, 14

ბარათაშვილი თამაზ (გარდაცვლილად ჩანს 1678 წელს) 9  
 ბარათაშვილი თამაზ (სომხით-საბარათაშვილოს სარდალი) 7  
 ბარათაშვილი თომა ავთანდილის ძე, თომა კანქაშვილი 7, 8, 10, 14, 133, 137  
 ბარათაშვილი მამუკა ავთანდილის ძე, ბარათაძე მამუკა, ბარათოვი მათევე, ქვეთარიშვილი მამუკა, მათე 5 — 36, 40 — 50 და სხვ.  
 ბარათაშვილი მამუკა თამაზის ძე 7  
 ბარათაშვილი ქვეთარ (1723 წ. გარდაცვლილად ჩანს) 8  
 ბარათაშვილი ქაიხოსრო ავთანდილის ძე, აბაშიშვილი ქაიხოსრო (1701 წ. ცოცხლად ჩანს) 9  
 ბარათაშვილი შიოშ (სიაოშ) თამაზის ძე (1686 წ. ცოცხლად ჩანს) 9  
 ბარათაძე მამუკა იხ. ბარათაშვილი მამუკა ავთანდილის ძე  
 ბარათოვი მათევე იხ. ბარათაშვილი მამუკა ავთანდილის ძე  
 ბარამიძე ალ. 14, 26, 27, 80, 83, 102, 108, 109, 111, 121, 123, 133, 137  
 ბარნაბა (ბიბლ.) 26  
 ბარუქ (ბიბლ.) 26  
 Бархударов С. Г. 130, 132  
 ბატონიშვილი: იხ. გიორგი ბატონიშვილი (ვახტანგ VI-ის ძე); იოანე ბატონიშვილი  
 ბაქარ მეფე, ბაქარი (ვახტანგ VI-ის ძე, ქართლის მეფე, 1717 — 1719, გარდ. 1750) 10, 11, 14, 24, 25, 28, 29, 61, 119  
 ბედმრული (აქიმშედლიანია) იხ. ბედუკულმართი  
 ბედუკულმართი, ბედმრული (აქიმშედლიანია) 39, 68, 76  
 ბევრასფი 98  
 ბეთლემელი: ფილიპე ბეთლემელი (ავტორი იამბიკოსი, რომლის აკროსტიქიც გვაძლევს: «ფილიპე ბეთლემია») 97  
 ბელინსკი (ბესარიონ გრიგოლის ძე,

ცნობილი რუსი კრიტიკოსი, 1811—1848) 52  
 ბერაძე პ. 91  
 ბერძენიშვილი ნ. 6, 26, 108, 133  
 ბესიკი (ბესარიონ ზაქარაიას ძე გაბაშვილი, 1750 — 1791) 22, 29, 94, 139, 140; 142  
 ბეჭდარი (აქიმშედლიანია) 58, 60, 68, 70, 119  
 Благий Д. (დიმიტრი დიმიტრის ძე ბლაგიი, რუსული ლიტერატურის მკვლევარი, დაიბ. 1893) 130  
 ბოლრაბ (ფილოსოფოსი) 63  
 ბროსე მარი (აკად., 1802 — 1880) 34

გ

გაბრიელ (ბიბლ.) 26  
 გაჩეჩილაძე სიმ. 85, 129  
 გაწერელია აკ. 49, 51, 91, 142  
 გედეონ (ბიბლ.) 26  
 გერმანოზიშვილები 6,7  
 Гюлибурк Д. 131  
 გიორგი (ბიბლ.) 26  
 გიორგი ბატონიშვილი, გიორგი (ვახტანგ VI-ის ძე) 10, 14  
 გორგაძე ს. (1876 — 1929) 91  
 გორკი მაქსიმ (ალექსი მაქსიმეს ძე პეშკოვი, 1868 — 1936) 53  
 გოსტაშაბიშვილები 7  
 გრიშაშვილი ი. 7  
 გულიჯანა (აპოროდილა ჩეჩოტოჩკას ხმა) 126  
 გურამიშვილი დავ. (1705 — 1792) 10, 14, 20, 26, 30, 95, 96, 136 — 139, 142, 146  
 გურამიშვილი მამუკა 10, 14, 15, 140

დ

დავითი (ბიბლ.) 26  
 დავითი (ფილოსოფოსი) 26  
 დავითი (დავით სოსლანი, თამარ მეფის მეორე ქმარი, 1189 — 1207) 27  
 დარეჯანა (აპოროდილა ჩეჩოტოჩკას ხმა) 126

დემეტრე I (დავით აღმაშენებლის ძე.  
1125 — 1156) 99  
დემონაკ (ფილოსოფოსი) 26  
დიონისე არეოპაგელი 99  
დიოდენე (დიოგენი, ძველი საბერძნეთის  
ფილოსოფოსი, დაახლ. 404 — 323  
ჩვენ ერამდე) 136  
დუმბაძე იაკობ (შემოქმედის მიტროპო-  
ლიტი, 1647 — 1712) 25, 27, 119,  
120

## ე

ევა (ბიბლ.) 117  
ევსები კესარიელი (ბიზანტიელი ისტო-  
რიკოსი, 260 — 340) 101  
ელთა (ბიბლ.) 26  
ელისე (ბიბლ.) 26  
ემან (ფილოსოფოსი) 26  
ეპიკ (ფილოსოფოსი) 26  
ეპკურ (ეპიკურე, ძველი საბერძნეთის  
ფილოსოფოსი, დაახლ. 341 — 270  
ჩვენ ერამდე) 26  
ერმოგენე (წმ.) 31  
ეფრემ მცირე (ქართველი მეცნიერი)  
99, 101

## ვ

ვარონ (ფილოსოფოსი) 26  
ვახტანგ VI, ვახტანგ მეფე. ვახტანგი  
(ქართლის მეფე, ლევანის ძე. მე-  
ფობდა სხვადასხვა დროს 1703 —  
1724) 7, 8, 10 — 16, 23 — 25, 30,  
33, 41, 47, 48, 51, 74, 79, 118,  
121 — 125, 133 — 137, 139, 142  
ვახტანგი (მშენ. ვახტანგ, სანატრელი  
ხარ...) 99  
ვახუშტი ბატონიშვილი (ვახუშტი ბაგ-  
რატიონი, ვახტანგ VI-ის ძე, ცნო-  
ბილი ქართველი მეცნიერი, დაახლ.  
1696 — 1772) 6, 133  
ვიას (ფილოსოფოსი) 26  
Винокур Г. О. 53

## ზ

ზეკუპე ბერი (მოსხენიებულია X საუკ-  
ხელნაწერში) 102

ზინონ (ზენონი, ძველი ბერძენი ფილო-  
სოფოსი და პოლიტიკური მოღვაწე,  
V საუკ. ჩვენ ერამდე) 26

## თ

თამარი, თამარ მეფე (გიორგი III-ის  
ასული, 1184 — 1215) 25, 27, 80,  
96, 99, 119, 120  
თანაშვილი სულხან («ამირანდარეჯა-  
ნიანის» გამლექსაეი) 33  
თაუაშვილი ე. 9, 48, 99, 133, 142  
თეიმურაზ I, თეიმურაზ მეფე (დავით  
I-ის ძე. მეფობდა ქართლ-კახეთში  
სხვადასხვა დროს, 1606 — 1648)  
25, 29, 48, 74, 102, 120, 121  
თეიმურაზ II (ერეკლე I-ის ძე, მეფობ-  
და ქართლ-კახეთში სხვადასხვა  
დროს, 1709 — 1761) 29  
თეოქტისტე 31  
თინა («პატარა ქალო თინა...») 125,  
138  
თინათინი («ვეფხისტყაოსანი») 58, 119  
თურმანიძე (შესაძლებელია ეს იყოს  
ვახტანგ VI-ის ამაღის 1724 წ.  
ნუსხაში მოხსენებული «აზნაური  
იესე თურმანიძე») 13

## ი

იარალიშვილები 7  
ილინსკი ივანე (რუსეთის მეცნ. აკადე-  
მიის მთარგმნელი, გარდ. 1737) 131  
იმედაშვილი გ. 98  
იმერელი (ტსკედონიზია) 51  
ინგოროფა პ. 5, 80, 95, 98, 101, 109  
იოანე (რუსეთის მეფე, ივანე V ალექსის  
ძე, პეტრე I-ის ძმა, 1666 — 1696) 11  
იოანე ბატონიშვილი (გიორგი XII-ის ძე,  
1768 — 1830) 141  
იოანე მინჩხი 95  
იოანე პეტრიწი (ქართველი მეცნიერი,  
დაახლ. 1055 — 1130) 31  
იოანე შავთელი 27, 119  
იოვანე 31  
იოთამიშვილები 7  
იორდანიშვილი ს. 73  
ისო 31

უალთოელი: არსენ იყალთოელი (ქართველი მეცნიერი, დაახლ. 1050 — 1125) 98

## კ

კავკასიძე მელიქსედეკ 15

კალისტე 31

კანტემირი ანტიოქე დიმიტრის ძე (რუსი მწერალი-სატირიკოსი, 1708 — 1744) 131

კანტემირი დიმიტრი კონსტანტინეს ძე (1674 — 1723) 131, 132

კანკაშვილი თომა იხ. ბარათაშვილი თომა ავთანდილის ძე

კეკელიძე კორნ. 7, 14, 21, 28, 29, 31, 34, 35, 42, 99, 137

კესარიელი: ევსები კესარიელი (ბიზანტიელი ისტორიკოსი, 260—340) 101  
Кокорев А. В. 130

კრატ (კრატილი? ძველი საბერძნეთის ფილოსოფოსი, V საუკ. ჩვენ ერამდე) 26

Крачковский И. Ю. (იგნატი იულიანეს ძე, აკადემიკოსი, 1883 — 1951) 130

კსისტ (ფილოსოფოსი) 26

## ლ

ლენინი ვ. ი. (1870 — 1924) 52, 143

ლეონიძე გ. 7, 12, 29, 33, 122

ლეონტი მროველი (ქართველი ისტორიკოსი) 98

ლომონოსოვი მ. ვ. (მიხეილ ვასილის ძე ლომონოსოვი, რუსი მეცნიერ-ენციკლოპედისტი, 1711 — 1765) 130

ლომოური თ. ნ. 133

ლორთქიფანიძე იას. 7

## მ

მათე 26

მათე, მათეე იხ. ბარათაშვილი მამუკა ავთანდილის ძე

მათუსალა (ბიბლ.) 13

მაიაკოვსკი ვ. (ვლადიმერ ვლადიმერის ძე, 1893 — 1930) 105

მამანტი 31

მართა (ბიბლ.) 18, 68

მარიაში (ბიბლ.) 18, 68

Март Ю. П. 131

მენელძე (ფილოსოფოსი) 26

მეფარიშვილი ლ. 134

მუქვალა (დპროდილა ჩენოტოჩკას ხმა) 126

მინჩხი იოანე 95

მიტილენელი: ქრისტეფორე მიტილენელი 31

მიქაძე გ. 14, 29, 89, 134, 141

მიქელ მოდრეკილი (ცნობილი ქართველი ჰიმნოგრაფი) 98

მიქელ მღვდელი (მოსხენებულია X საუკ. ხელნაწერის მინაწერში) 102

მოსე 31

მროველი: ლეონტი მროველი (ქართველი ისტორიკოსი) 98

მუსხელიშვილი მამუკა 11, 12

## ო

Обнорский С. П. (სერგეი პეტრეს ძე ობნორსკი, აკადემიკოსი, დაიბ. 1888) 130, 132

ონანა მღვანე იხ. ქობულაშვილი ონანა ორბელიანი დიმიტრი 8

ორბელიანი მამუკა 7

ორბელიანი სულხან-საბა, ყაფლანისშვილი სულხან, საბა (1658 — 1725) 25, 33, 51, 73, 79, 80, 83, 84, 86, 87, 89, 101, 117, 118, 122, 124, 142

ოზანგ, ოშაკ (აქიმშელიანი) 39

ოშაკ იხ. ოზანგ

## პ

პავლე, პავლე მოციქული 23, 26, 46, 117, 121

პეტრე დიდი, პეტრე პირველი (რუსეთის იმპერატორი, ალექსის ძე, 1672 — 1725) 25, 26, 139

პეტრე პირველი იხ. პეტრე დიდი

პეტრიწი: იოანე პეტრიწი (ქართველი მეცნიერი, დაახლ. 1055 — 1130) 31

პითაქ (ფილოსოფოსი) 26



პითაგორ (პითაგორე, ძველი ბერძენი  
ფილოსოფოსი და მათემატიკოსი,  
დაახლ. 580 — 500 ჩვენ ერამდე)  
26

პისისტრატუმე (პისისტრატე, ათინელი  
ტირანი, დაახლ. 600 — 527 ჩვენ  
ერამდე) 136

პლატონი (ბერძენი ფილოსოფოსი,  
427 — 347 ჩვენ ერამდე) 25, 136

## შ

შორდანი ა. (ქართველი მკვლევარი,  
1854 — 1916) 6

შენტი ბ. 91

## რ

რაზდონ (ბიბლ.) 26

რუსთაველი შოთა, რუსთველი, შოთა  
23, 25, 45 — 47, 58, 72, 96 — 99,  
101, 117 — 119, 122 — 124, 132,  
135, 142

რუსულანი («რუსულანიანი») 33, 41

რუსულანი (ჩერქეზთ ბატონის ასული,  
ვახტანგ VI-ის მეუღლე) 33

რუხაძე ტრ. 29, 81

## ს

სააკაძე დიმიტრი 10, 14, 15

საბა იბ. ორბელიანი სულხან-საბა

სალტიკოვ-შჩედრინი (მიხეილ ევგრაფის  
ძე სალტიკოვი, რუსი მწერალი-სა-  
ტირიკოსი, 1826 — 1889) 133

სვიმეონ 31

სიმონიდ 26

სოგრატ (სოკრატე, ძველი საბერძნეთის  
ფილოსოფოსი, დაახლ. 469 — 399  
ჩვენ ერამდე) 26

სოლონ (ძველი საბერძნეთის სახელმწი-  
ფო მოღვაწე, დაახლ. 638 — 559  
ჩვენ ერამდე) 26

[სოსლანი] დავით (თამარ მეფის მეორე  
ქმარი, 1189 — 1207) 27

სტალინი ი. ბ. (1879 — 1953) 53

## ტ

Такайишвили Е. იბ. თაყაიშვილი ე.  
ტარია (ტარიელი, «ვეფხისტყაოსანი») 25  
ტატიშვილი ვლ. 26

Тимофеев П. 92

ტომერანი («რუსულანიანი») 33, 58, 76

ტრედაკოვსკი ვ. კ. (ვასილ კირილეს  
ძე, რუსი მწერალი, 1703 — 1769)  
130

## უ

უმიკაშვილი პ. (1838 — 1904) 137

უმიროსი იბ. კომეროსი

## ფ

ფალავანხოსროშვილები 7

ფარემუსი («ჩიმშელიანი») 41

ფატმანი («ვეფხისტყაოსანი») 124

ფიოფრატ (ფილოსოფოსი) 26

ფილიპე ბეთლემელი (ავტორი იამბიკო-  
სი, რომლის აკროსტიქიუ გეაძლეს:  
«ფილიპე ბეთლემი») 97

## ჭ

ჭავთარიშვილები 7

ჭავთარიშვილი მამუკა იბ. ბარათაშვილი  
მამუკა ავთანდილის ძე

ჭალთამაზე (ძოროდილა ჩეჩოტოჩკას  
ხმა) 126

ჭაჩიბაძე ბარათა (სალაროს მოლარე,  
ცხოვრობდა 1428 წლის ახლო ხა-  
ნებში) 6, 8

ჭაჩიბაძე დავით 8

ჭაჩიბაძეები 6

ჭაჩიბაძე ჭავთარ 6, 133

ჭეთევან დედოფალი (კახთ დედოფალი,  
ამოთან მუხრანბატონის ასული, კა-  
ხეთის მეფის ალექსანდრე მეორის  
(1574 — 1605) შვილლე, თეიმურაზ  
I-ის დედა, შაჰ-აბასმა აწამა სპარ-  
სეთში 1624 წ.) 102

ჭერამი («ჩიმშელიანი») 61, 70

ჭობულაშვილი ონანა, ონანა მდივანი

(გარდ. 1728) 8, 9, 48, 122  
ქრისტე (ბიბლ.) 26  
ქრისტეფორე მიტილენელი 31

უ

ყარან (შანშიან-მარტიროზაშვილი, დაე.  
გურამიშვილის თანამედროვე პოეტი)  
10  
ყაუხჩიშვილი სიმ. 99  
ყაფლანისშვილი სულხან იხ. ორბელიანი  
სულხან-საბა  
ყაფლანიშვილები 7  
ყუბანეიშვილი ს. 7, 8, 96, 107 108, 123

შ

შავთელი: იოანე შავთელი 27, 119  
შანიძე აკაკი 23, 41, 74, 101, 102, 118,  
124  
შაპთაშაი (სპარსეთის შაჰი, შაჰ-აბაზ  
I-ის შვილიშვილი, მოკლულ იქნა  
ნადირ-შაჰის მიერ 1735 წელს) 10  
შოთა იხ. რუსთაველი შოთა  
შუენიერი (ქალის სახელია) 102  
შჩედრინი იხ. სალტიკოვ-შჩედრინი

ჩ

ჩახრუხაძე 25, 27, 96, 99, 119, 120, 135,  
142  
ჩიქობავა ა. 54, 91  
ჩიქოვანი მ. 125 — 128  
ჩუბინაშვილი დ. (დავით იესეს ძე,  
პროფ., 1814 — 1891) 34

ც

ციცი 14  
ციციშვილი ნოდარ (ფარსადანის ძე.  
«ბარამგურიანის» ავტორი) 74

ძ

ძავევაძე ილ. (1837 — 1907) 5  
ძუონია თ. 135, 136  
ძუონია ი. 122

ბ

ბანდერვანა (პოროდილა ჩეჩოტოჩკას  
ხმა) 126  
ბახანაშვილი აღ. (პროფ., 1866 — 1912)  
34  
ბვარამზე (პოროდილა ჩეჩოტოჩკას  
ხმა) 126  
ბვარაშანა (პოროდილა ჩეჩოტოჩკას  
ხმა) 126  
ბუბუა მ. 9

ჭ

ჭაკობია გ. 29  
ჭანაშია სიმ. (სიმონ ნიკოლოზის ძე,  
ისტორიკოსი, აკადემიკოსი, 1900 —  
1947) 6, 12, 133  
ჭიმშედი (ერუსლანინი) 33, 34, 38,  
42, 43, 58 — 65, 68, 70, 119

კ

კომეროსი, უმიროსი 99, 101

II. თხზულებათა სპიჩეგალი

ა

აბდულმესიანი (იოანე შავთელი) 27,  
54, 102, 107, 108  
ამირანდარეჯანიანი 119  
ამირანდარეჯანიანი (გალექსილი) 33  
ანბანთქება (მამუკა) 107, 122

ანდერძი (ვახტანგ VI-ისა, «ქილილა და  
დამანაზე» დართული) 124  
ანდერძი (ონანა მღვივინისა, «ქილილა და  
დამანაზე» დართული) 122  
აღწერა სამეფოსა საქართველოსა (ვა-  
ხუშტი ბატონიშვილი) 133

ბ  
ბარამ-გულანდამიანი 14  
ბალდადღან გელნ ბემ ღურანის ხმა (მა-  
მუკა) 128  
ბეთენის გუჯარი 133

ბ  
გრძელი შაირი (მამუკა) 30, 72, 74, 106,  
109  
გრძელშაირის ლექსი (მამუკა) 30, 72,  
99, 100, 106, 109, 110, 113  
გრძელშაირის ტაეპი (მამუკა) 30, 31,  
113, 125  
გრძლელი შაირი სამკვეთი (მამუკა) 20,  
100, 106, 139  
გუსტაზ რიდაეთის ხმა (მამუკა) 128

ღ  
ღინარი (დავ. გურამიშვილი) 138

ვ  
ვარდულებულიანი (თეიმურაზ I) 121  
ვახტანგიანი (ფავლენიშვილი) 8  
ვახტანგური (ანონიმი) 133, 134  
ვეფხისტყაოსანი 23, 46, 47, 81, 97,  
101, 102, 117, 118, 123  
ვიხილე შენი შევენება (მამუკა) 22, 66,  
115

ზ  
ზუბოვკა (დავ. გურამიშვილი) 20

თ  
თათრული ხმა (დიმ. ბაგრატიონი) 140  
თამარიანი (ჩახარუხაძე) 50, 54, 80, 96,  
99, 101, 108, 119  
თოუეთა 31, 117  
თხრობანი დიდისა ბასილის ეპიტაფიასა  
შინა შემოღებულნი (ეფრემ მცირე)  
101

ი  
იამბიკო (მამუკა) 24, 75, 78, 79, 93, 94,  
108, 113, 122  
ილიადა (კომეროსი) 101

იოსებ-ზილიხანინი (თეიმურაზ I-ის  
თარგმ.) 120, 121  
ისტორიანი და აზმანი შარავანდეღთანი  
(1941 წ. გამოც.) 99

კ  
Как делать стихи (В. Маяковский)  
106  
კალმასობა (იოანე ბატონიშვილი) 141

Кинга систима или состояние му-  
хаммеданския религии (Кантемир  
Д. К.) 131, 132

ლ  
ლექსი (მამუკა) 122  
ლექსი მოკლე (მამუკა) 19, 30, 71, 88,  
93, 111, 113  
ლექსის სწავლის წიგნი, კაშნიკი (მამუ-  
კა) 7, 10, 20, 23, 31, 32, 45, 47,  
48, 51, 54, 78 — 86, 117, 118, 120,  
122 — 124, 129 — 142, 144

მ  
მდენარი (მამუკა) 22, 55, 70, 75, 77,  
107, 108, 125, 135, 138  
მეფეთა საქებელნი და სამხილებელნი  
(არჩილ მეფე) 26  
მეფის თქმული უწყვეტელი (ვახტანგ VI)  
125  
მოკლე შეწყობილი (მამუკა) 18, 71, 76,  
93, 106, 109, 112  
მრჩობლელი (მამუკა) 17, 18, 20, 77, 88,  
100, 107, 109, 110, 122  
მუხრანული (ანონიმი) 133

ნ  
ნანა (დიმ ბაგრატიონი) 140  
ნე სმუშაის ხმა (მამუკა) 74, 76, 92,  
101, 105, 106, 110, 113, 115, 127  
Новый и краткий способ к сло-  
жению российских стихов (В. К.  
Тредиаковский) 130

ო  
ოთხ-ხუთი ლექსი (საბა) იხ. უცხო

პ  
Письмо о правилах российского  
стихотворства (М. В. Ломоно-  
сов) 130

- პისტიატორი (მამუკა) 19, 69, 72, 104,  
111, 113, 114  
პოლტვის ხმა (მამუკა) 67, 68, 89, 97,  
107, 109, 110, 113, 123, 126  
პრიიდი დრეუკოს ხამ (მამუკა) 65, 75,  
95, 103, 105, 107, 113, 114, 123,  
125, 126  
პრიიდი დრეუკოს ხმა (მამუკა) 65, 75,  
95, 106, 108, 111, 115, 126, 140

ჟ  
ჟამნი 31, 32, 117

- რ  
რეული (მამუკა) 20, 30, 64, 66, 96,  
108, 109, 112, 113, 122  
რუსულდანიანი 10, 33, 34, 119  
რუსული ხმა (დიმ. ბაგრატიონი) 140  
რუსული ხმები (მამუკა) 21, 64, 67,  
68, 89, 93, 94, 105, 107, 108, 110,  
115, 126, 139

- ს  
საიდუმლოდ ღმრთისმეტყველებისათვის  
(დიონისე არეოპაგელი) 99  
სალბუნად გულისა (ვახტანგ VI) 123  
საღვთო წერილი 117  
სახარება (1709 წ. გამოც.) 7  
სეინდისის მხილება (დავ. გურამიშვილი)  
138  
სიბრძნეთაგან ფილოსოფოსთა (ვახტანგ  
VI) იხ. სიბრძნე მალაღობელი  
სიბრძნე მალაღობელი, სიბრძნეთაგან  
ფილოსოფოსთა (ვახტანგ VI) 30,  
125, 136

ტ  
ტაეპი (მამუკა) 122

- უ  
უნდა მოგვანდეს ეკალსა... (ვახტანგ VI)  
125  
უცხო (მამუკა) 23, 61, 66, 83, 94, 95,  
107 — 110, 115, 122

უცხო, ოთხ-ხუთი ლექსი (საბა) 83

- ჭ  
ქართლის ცხოვრება 99  
ქაცვია შწყემსი (დავ. გურამიშვილი) 138  
ქება მეფის ბაქარისა (მამუკა) 11, 14,  
27 — 29, 54 — 58, 61, 64, 72, 77,  
81, 101, 107, 108, 111, 119, 121,  
125, 133, 139  
ქება სრისა (თეიმურაზ II) 29  
ქილილა და დამანა (საბასეული) 51, 79,  
80, 84, 88, 102, 109, 117, 122, 124

- შ  
შაირი (მამუკა) 18, 96  
შაირის ლექსი (მამუკა) 29, 97, 111, 113  
შაირის ტაეპი (მამუკა) 17, 24, 30, 68,  
113  
შამი-ფარვანიანი (თეიმურაზ I) 121  
შერეული (მამუკა) 30, 32, 71, 107, 109,  
113, 119, 122  
შეწყობილი (მამუკა) 55, 95, 107, 108,  
113, 125, 138  
შეღღა კრებათათვის (თეიმურაზ I) 29

- ჩ  
ჩერნიჩკოს ხმა (მამუკა) 66, 74, 77, 89,  
96, 98, 106, 113, 115, 126

- ც  
ცრუ და მცბიერი წუთისოფელი (მამუ-  
კა) 19, 58, 70, 74, 94, 102, 103,  
105 — 107, 109, 140  
ცხოვრება ქართველთა მეფეთა (ლეონ-  
ტი მროველი) 98

- წ -  
წამება წმიდისა პროკოპისი (ეცებები კე-  
სარიელი) 101  
წამებული (მამუკა) 7, 10, 17, 31, 32,  
68, 107, 112, 117  
წყობილი (მამუკა) 71, 98, 107, 109, 113,  
123, 129  
წყობილი მრავალმხელი (დავ. გურამი-  
შვილი) 138

## აზტორისაგან

წინამდებარე შრომის მიზანს შეადგენდა სრულად შეგვესწავლა XVIII საუკუნის ქართული ემიგრანტული სკოლის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენლის — მამუკა ბარათაშვილის ცხოვრება-შემოქმედება და გაგვესაზღვრა პოეტის ადგილი ძველ ქართულ მწერლობაში. შრომაში ყველა საკითხი ერთნაირად არ არის დასმული და გაშუქებული. ზოგიერთი მათგანი საჭიროებს კიდევ არაერთგზის დაკვირვებასა და შესწავლას, რაც მომავლის საქმეა. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ძალზე მოკლედ შევეხეთ ე. წ. აღორძინების ხანის სოციალურ-ეკონომიურსა და პოლიტიკურ მდგომარეობას, რადგან ამის შესახებ არსებობს საკმაოდ მდიდარი სამეცნიერო ლიტერატურა.

მონოგრაფია დაწერილია 1950 — 58 წლებში. მისი ნაწილები დროდროდ ქვეყნდებოდა კიდევ ქართულ პერიოდულ გამოცემებში, მაგრამ მიუხედავად ამისა, შესაძლებლობის ფარგლებში გათვალისწინებული გვაქვს უკანასკნელი დროის გამოკვლევებიც.

წიგნის მოცულობის განსაზღვრულობის გამო მოგვიხდა ზოგიერთი თავის შემცირება, რამაც, რა თქმა უნდა, გარკვეული კვალი დააჩნია ნაშრომს. წიგნს დავურთეთ მამუკა ბარათაშვილის ცხოვრება-შემოქმედების ამსახველი შრომების ბიბლიოგრაფია.

შრომაში საილუსტრაციოდ მოყვანილი ლექსები ამოღებულთა გვაქვს პოეტის დასაბეჭდად გამზადებული თხზულებებიდან. მამუკას სურათი შესრულებულია საქართველოს სსრ სახალხო მხატვრის ლ. გუდიაშვილის მიერ, რომელსაც უღრმეს მადლობას მოვასვენებთ.

ყოველგვარი საქმიანი შენიშვნა ნაშრომის შესახებ კმაყოფილებით იქნება მიღებული და გათვალისწინებული ავტორის მიერ.

თბილისი.

1958 წ.

## ს ა რ ჩ ე ვ ი

ავტორის აგან . . . . .	3
მამუკა ბარათაშვილის ბიოგრაფიისათვის . . . . .	5—15
მამუკა ბარათაშვილის შემოქმედება . . . . .	16—51
მამუკა ბარათაშვილის შემოქმედების მხატვრული მხარე . . . . .	52—116
მამუკას თხზულებების ლიტერატურული წყაროები . . . . .	117—134
მამუკას შემოქმედების გავლენა ქართულ მწერლობაზე . . . . .	135—142
შ. ბარათაშვილის ადგილი ქართული ლიტერატურის ისტორიაში . . . . .	143—146
ბიბლიოგრაფია . . . . .	147—149
საძიებლები . . . . .	150—158

---